ქართველური ენათმეცნიერების სერია
THE SERIES OF THE KARTVELIAN LINGUISTICS
II

რამაზ ქურდაძე, მაია ლომია
ქეთევან მარგიანი, ნინო ჭუმბურიძე
Ramaz Kurdadze, Maia Lomia
Ketevan Margiani, Nino Tchumburidze

უარყოფის კატეგორია ქართველურ ენებში
The Category of Negation in the Kartvelian Languages

გამომცემლობა „უნივერსალი"
თბილისი 2022 Tbilisi

სამეცნიერო პროექტი – **„უარყოფის კატეგორია ქართველურ ენებში“** (FR17-№388) – განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით. წინამდებარე პუბლიკაციაში გამოთქმული ნებისმიერი მოსაზრება ეკუთვნის ავტორებს და შესაძლებელია არ ასახავდეს რუსთაველის ფონდის შეხედულებებს.

The scientific project – **"The Category of Negation in the Kartvelian Languages"** (FR17-№388) – was implemented with the financial support of Shota Rustaveli National Science Foundation. Al the ideas expressed herewith are those of the authors and may not represent the opinion of the Foundation itself.

პროექტი განხორციელდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში

დამტკიცებულია გამოსაცემად ივანე ჯავახიშვილის
სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს მიერ

უფასო გამოცემა

© რ. ქურდაძე, მ. ლომია,
ქ. მარგიანი, ნ. ჭუმბურიძე

გამომცემლობა „უნივერსალი“, 2022

თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაიას №4, ☎: 5(99) 17 22 30; 5(99) 33 52 02
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

ISBN 978-9941-9668-8-0 (ყველა წიგნი)
ISBN 978-9941-33-265-4 (წიგნი II)

UDC (უაკ) 811.353'36
ქ – 882

ანოტაცია

წინამდებარე მონოგრაფია წარმოადგენს ქართველური ენების სისტემურ აღწერასა და ანალიზს ერთ-ერთი ფუნდამენტური კატეგორიის, უარყოფის, მიხედვით. უარყოფა სხვა უნივერსალური კატეგორიებისაგან იმით განსხვავდება, რომ წარმოიქმნება მტკიცებითი აზრის უარყოფით, თუმცა მისი ერთ-ერთი სემანტიკური მახასიათებელი მტკიცება-დადასტურების გამოხატვაცაა. აქედან გამომდინარე, უარყოფა რთული კატეგორიაა, რომელიც სხვადასხვა ენობრივ დონეზე გამოიხატება და წარმოაჩენს ფუნქციურ-სემანტიკურ მრავალფეროვნებას.

„უარყოფის კატეგორია ქართველურ ენებში“ ინტერდისციპლინური ხასიათის ნაშრომია. საანალიზო მასალა დამუშავებულია აღწერით-სტატისტიკური, ისტორიულ-შედარებითი, დისტრიბუციული (სინტაგმატური და პარადიგმატული) ანალიზის, სუბსტიტუციისა და პერმუტაციის (ჩანაცვლებისა და გადანაცვლების), ელიმინირების, გავრცობილი კვადრატის მეთოდებით. კვლევის შედეგები მნიშვნელოვანია სპეციალისტებისთვის, რომლებსაც აინტერესებთ კოგნიციის ენობრივ გამოხატულებასთან დაკავშირებული საკითხები; ასევე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორია, ქართველურ ენათა ტიპოლოგია ისტორიულ-შედარებითი პროცესებისა და სინქრონიული მონაცემების გათვალისწინებით.

ნაშრომი განკუთვნილია ჰუმანიტარული და მომიჯნავე დარგების სპეციალისტებისთვის, სტუდენტებისთვის.

Annotation

The monograph offers a systematic description and analysis of Kartvelian languages based on one of the fundamental categories – negation. Negation differs from other universal categories in that it is formed by means of negating an affirmative idea. However, one of its semantic features is the expression of affirmation/confirmation. Therefore, negation is a complex category. It is expressed on various levels of language and is characterized by functional-semantic diversity.

"The Category of Negation in the Kartvelian Languages" is an interdisciplinary research. The empirical material is analyzed by means of descriptive-statistical, historical-comparative, distributional (syntagmatic and paradigmatic), substitution and permutation, elimination and expanded square methods. The outcomes of the given research will be valuable for the specialists interested in the issues of linguistic expression of cognition, the history of literary Georgian language, the typology of Kartvelian languages based on the historical-comparative processes and synchronic data.

The book is aimed at the specialists and students of humanitarian disciplines and other related fields.

სარჩევი

წინასიტყვაობა 11
Preface 14

შესავალი 17
1. უარყოფის კატეგორიის რაობა 18
2. ტერმინოლოგიასთან დაკავშირებული საკითხები 23
   2.1. უარყოფის კატეგორიასთან დაკავშირებული ტერმინების შესახებ 23
   2.2. უარყოფის სახეები და მათი სახელდების პრინციპები ... 25
3. უარყოფის კატეგორიის ლინგვისტური კვლევის ჩარჩო უცხოენოვანი სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით 29
4. უარყოფის კატეგორიის ლინგვისტური კვლევის ჩარჩო ქართულენოვანი სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით 34
   4.1. ქართული ენის ძველი გრამატიკების მიმოხილვა 35
   4.2. უარყოფის გამოხატვის საშუალებები აკაკი შანიძის „ქართული ენის გრამატიკის საფუძვლებსა“ და „ძველი ქართული ენის გრამატიკაში“ 38
   4.3. უქონლობის სახელები აკაკი შანიძის ქართული ენის გრამატიკის გამოცემებში 41
   4.4. უარყოფა-უქონლობის ენობრივი ასახვა სხვა ქართველური ენების გრამატიკებში 43

4.5. სამეცნიერო ლიტერატურის ზოგადი მიმოხილვა ქართველურ ენათა მასალაზე 50

თ ა ვ ი I – უარყოფა-უქონლობის გამოხატვა ქართველურ ენებში: **სახელური მოდელები**..... 57

1. უარყოფა-უქონლობის სახელთა ფორმა-წარმოება და სემანტიკური დიფერენციაცია ქართველურ ენებში 58
   - 1.1. ოდენ უ- პრეფიქსიანი ანტონიმური ლექსემები 59
   - 1.2. ოდენ უ- პრეფიქსიანი ცალეული ლექსემები და მარკერის გამოყოფის მეთოდოლოგიური საფუძვლები 65
   - 1.3. სუფიქსთა გენეზისისა და ფუნქციის საკითხები 67
   - 1.4. კონფიქსური ფორმაწარმოება და სემანტიკური დიფერენციაცია ქართულ სალიტერატურო ენაში 71
   - 1.5. ზოგი უ- – -ო სახელურფუძიანი ოკაზიური ზმნური ფორმის შესახებ „ვეფხისტყაოსანში“ 83
   - 1.6. *უჩა „შავი“* ლექსემა მეგრულში: სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი 94
   - 1.7. უქონლობის სახელთა ფორმაწარმოება და სემანტიკური დიფერენციაცია მეგრულსა და ლაზურში 99
   - 1.8. ცალკეული ლექსემები მეგრულსა და ლაზურში: სინქრონიულ-დიაქრონიული მიმართება და ნასესხობა 109
   - 1.9. უქონლობის სახელთა ფორმაწარმოება და სემანტიკური დიფერენციაცია სვანურში..... 114

შ ე ჯ ა მ ე ბ ა 120

2. რთული უარყოფითი სახელები ქართველურ ენებში: სტრუქტურა და სემანტიკა 124

2.1. არა-/არ- უარყოფითნაწილაკიანი არსებითი და ნაზმნარი სახელები ქართულ ენაში 124
2.2. *ვაი-, ცრუ-, ანტი-* კომპონენტებიანი უარყოფითი სემანტიკის სახელები ქართულ სალიტერატურო ენაში . 131
2.3. ქართულ სალიტერატურო ენაში უარყოფა-უქონლობის სახელური მოდელების გააქტიურების ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური ფაქტორები 133
2.4. უარყოფის გამომხატველ სახელთა ჩამოყალიბება-განვითარების დინამიკა ქართველურ ენებში (შედარებითი ანალიზი) 137

თავი II – უარყოფით ნაცვალსახელთა, უარყოფით ზმნიზედათა სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი და ორმაგი უარყოფის საკითხი ქართველურ ენებში 151

1. უარყოფითი ნაცვალსახელები და უარყოფითი ზმნიზედები ქართველურ ენებში 152
1.1. უარყოფითი ნაცვალსახელები და უარყოფითი ზმნიზედები ქართულ სალიტერატურო ენაში: სტრუქტურა და სემანტიკა 152
1.2. უარყოფითი ნაცვალსახელები და უარყოფითი ზმნიზედები მეგრულსა და ლაზურში: სტრუქტურა და სემანტიკა 158
1.3. უარყოფითი ნაცვალსახელები და უარყოფითი ზმნიზედები სვანურში: სტრუქტურა და სემანტიკა 169
1.4. უარყოფითი ნაცვალსახელების სტრუქტურა ტიპოლოგიური თვალსაზრისით 177
2. ორმაგი უარყოფის საკითხი ქართველურ ენებში 179
2.1. ორმაგი უარყოფა ქართულ სალიტერატურო ენაში ... 180

2.2. ორმაგი უარყოფა და სხვა ქართველური ენები 184
2.3. უარყოფის გამოხატვის ძირითადი და ალტერნატიული საშუალებები ქართველურ ენებში და ორმაგი უარყოფის საკითხი 185
შ ე ჯ ა მ ე ბ ა 197

თავი III - უარყოფის გამოხატვის **ზმნური მოდელები** ქართველურ ენებში 199
1. უარყოფით ნაწილაკთა სისტემა ქართველურ ენებში და ზმნასთან შეხამების საკითხები 200
1.1. უარყოფითი ნაწილაკების სისტემა ქართულ ენაში: გრამატიკულ-სტილისტური თავისებურებანი 200
1.2. უარყოფით ნაწილაკთა სისტემის დახასიათება მეგრულსა და ლაზურში 209
1.3. უარყოფითი ნაწილაკების სისტემის მიმოხილვა სვანურ ენაში 218
1.3.1. უარყოფის ერთი ტიპი სვანურში 220
1.3.2. მოქმედების შესაძლებლობის უარყოფა ქართულ და სვანურ ენებში (შედარებით-შეპირისპირებითი ანალიზი) 224
1.4. „ნ“ თანხმოვნის შემცველი უარყოფითი ნაწილაკების შესახებ ქართველურ და ინდოევროპულ ენებში (ტიპოლოგიური კვლევის პერსპექტივა) 231
1.5. არ და მისი ფარდი ნაწილაკები წყვეტილისა და I თურმეობითის ფორმებთან ქართველურ ენებში: სემანტიკური დიფერენციაციის საფუძველი 235
1.6. არ და *ვერ* ნაწილაკების განაწილების საკითხი და მათი ჩანაცვლების ტენდენცია სასაუბრო მეტყველებასა და დიალექტებში 242

თავი IV – უარყოფის სემანტიკურ-პრაგმატიკული ასპექტები ქართველურ ენებში 253

1. უარყოფის გამოხატვის პოლარული საშუალებები ქართველურ ენებში 254

1.1. უარყოფის უარყოფა ქართველურ ენებში 255

1.2. უარყოფა და პირობით-შედეგობითი ჰიპოტაქსური კონსტრუქცია ქართველურ ენებში 258

1.3. წინააღმდეგობა ფორმასა და შინაარსს შორის წართქმით და უკუთქმით წინადადებებში 263

1.3.1. ქართული ენის მასალის ანალიზი 263

1.3.2. მეგრულ-ლაზური და სვანური მასალების ანალიზი 268

1. 4. უარყოფა და ჩაკითხვა: უარყოფითი ნაწილაკის ფუნქციური განაწილების პრინციპები ქართველურ ენებში 272

1.5. სხვადასხვა ემოციურ-გამომსახველობითი ნიუანსის გამოხატვა არა / არ უარყოფითი ნაწილაკის საშუალებით 279

1.6. უარყოფითი ნაწილაკი მტკიცება-დადასტურების ფუნქციით სპეციფიკურ ზმნურ მოდელში: გამოხატვის საერთო საფუძველი მეგრულ ენასა და ქართული ენის დასავლურ დიალექტებში 283

1.7. დადებითი და უარყოფითი კონოტაციის ლექსემათა ურთიერთმიმართება მეგრულში: *უჩაში „უფროსი“– უჩა „შავი“* 289

1.8. *-მე* სუფიქსიანი ლექსემა დადებითი და უარყოფითი კონოტაციით მეგრულსა და ქართულში 296

თავი V – უარყოფის ზოგი სპეციფიკური საკითხი და მისი ასახვა თარგმანში 309
1. არა- / არ- ნაწილაკიანი ზმნური და სახელური მოდელები „ვეფხისტყაოსნის“ ორიგინალურ ტექსტსა და ინგლისურენოვან თარგმანებში 310
1.1. პრობლემის განსაზღვრა 310
1.2. არა- / არ- ნაწილაკიანი ზმნური და სახელური მოდელები „ვეფხისტყაოსანში“ 312
1.3. არა - / არ- ნაწილაკიანი ზმნური და სახელური მოდელების ასახვა „ვეფხისტყაოსნის“ ინგლისურენოვან თარგმანებში 315
2. ერთი სახის უკუთქმითი წინადადების შესახებ „ვეფხისტყაოსნის“ ორიგინალურ ტექსტსა და ინგლისურენოვან თარგმანში 318

ძირითადი დასკვნები 330
Summary 341
Conclusions 456
ლიტერატურა 467
წ ყ ა რ ო ე ბ ი:
ლექსიკონები, ტექსტები, თარგმანები
ელექტრონული რესურსები 499
შემოკლებათა განმარტებანი 506
ინფორმატორები 512
დანართი 517
საძიებელი 555

წინასიტყვაობა

უარყოფა დადასტურებასთან ერთად ქმნის ბინარულ ოპოზიციას, როგორც ამ სისტემის მარკირებული წევრი, თუმცა შესწევს საპირისპირო სემანტიკის გამოხატვის უნარიც; აქედან გამომდინარე, უარყოფა რთული კატეგორიაა, რომლის სრულყოფილი ანალიზისთვის მნიშვნელოვანია როგორც ფორმობრივ-ფუნქციურ ურთიერთმიმართებათა განხილვა, ასევე ურთიერთსაპირისპირო სემანტიკათა გათვალისწინება. ცნობილია, რომ უნივერსალურ-კომპლექსური თემების მიმართ ინტერესს იჩენს მეცნიერების სხვადასხვა დარგი; მათგან **უპირატესობა ლინგვისტიკას** ენიჭება, რადგან ფორმალურად მარკირებული ერთეულები თუ ლექსიკური საშუალებები ლინგვისტურ სტრუქტურებშია წარმოდგენილი.

წინამდებარე ნაშრომი – **„უარყოფის კატეგორია ქართველურ ენებში“** – მომზადებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული ამავე სახელწოდების პროექტის (FR17-388) ფარგლებში. მონოგრაფიული ანალიზი დაემყარა ვრცელ ემპირიულ მასალას: ელექტრონულ ბაზებში განთავსებულ ძველი და ახალი ქართულის ტექსტებს; ორიგინალურ და თარგმნილ მხატვრულ თხზულებებს; მეგრულის, ლაზურისა და სვანურის ბეჭდურად გამოცემულ ტექსტებს და კორპუსულ მონაცემებს; ქართველურ ენათა განმარტებით და თარგმნით ლექსიკონებს; 2018-2020 წლებში სვანეთში, სამეგრელოსა და ლაზეთში, მათ შორის თურქეთის ლაზეთში, ლინგვისტური ექსპედიციების დროს ველზე მოპოვებულ მასალას.

აღნიშნულ პროექტში **პირველად განხორციელდა უარყოფის კატეგორიის კვლევა სისტემურად: ქართველ და უცხოელ ავტორთა თეორიული ნააზრევის გათვალისწინებით; ქართველურ ენათა დიაქრონიული და სინქრონიული მონაცემების შედარება-შეპირისპირებითა და საერთოქართველური კანონზომიერებების დადგენით; ცალკეულ შემთხვევებში ერთიანი არეალურ-ტიპოლოგიური კონტექსტის გააზრებითა და კვლევის პერსპექტივის დაგეგმვით.**

მონოგრაფიაში განხილულია ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორებიცაა:

1. უარყოფის გამოხატვის სახელური მოდელები და სემანტიკური ნაირსახეობები დიაქრონიული და სინქრონიული პერიოდების მიხედვით.

2. უარყოფითი ნაცვალსახელებისა და უარყოფითი ზმნიზედების მოდელები ქართველურ ენებში; მათთან დაკავშირებული „ორმაგი უარყოფის" (უარყოფის გაძლიერების) გამოხატვის მექანიზმი: ფორმალურ-სემანტიკური ასპექტები.

3. უარყოფის ნაწილაკთა სისტემა ქართველურ ენებში; მათი შეხამება ზმნურ ფუძეებთან: ფორმობრივ-ფუნქციური განაწილების პრინციპები ნაწილაკთა რაოდენობრივი სხვაობის პირობებში.

4. უარყოფით ნაცვალსახელთა სტრუქტურისა და „ნ" თანხმოვნის შემცველი უარყოფითი ნაწილაკების დახასიათება არეალურ-ტიპოლოგიური თვალსაზრისით.

5. უარყოფის გამოხატვის პოლარული საშუალებები ცალკეული ნაწილაკებისა და ლექსიკური ერთეულების საშუალებით; სხვადასხვა მოდალობის კონსტრუქციებში კომპონენტთა აზრობრივი მიმართების მიხედვით.

6. უარყოფის ზოგი სპეციფიკური საკითხი „ვეფხისტყაოსანში“: ა. უარყოფითნაწილაკიანი ზმნური და სახელური მოდელები, ბ. ერთი სახის უკუთქმითი წინადადება; მათი ასახვა პოემის ინგლისურენოვან თარგმანში.

მიღებული **შედეგები მნიშვნელოვანია** არამარტო თეორიული ლინგვისტიკის, არამედ **ინტერდისციპლინური** კვლევის თვალსაზრისითაც და ხელს შეუწყობს ისეთი მომიჯნავე დარგების განვითარებას, როგორებიცაა: ლინგვოკულტუროლოგია, ფსიქოლინგვისტიკა, ლინგვოპრაგმატიკა, ლინგვისტური ანთროპოლოგია. ნაშრომის **პრაქტიკულ ღირებულებას განსაზღვრავს** მისი გამოყენება სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო დანიშნულებით.

დასკვნების სანდოობის ხარისხი მნიშვნელოვნად გაზარდა ვრცელმა ემპირიულმა საანალიზო მასალამ, მათ შორის, ველზე მოპოვებული სინქრონიული მონაცემების გათვალისწინებამაც; ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობამ; დისკუსიამ მოხსენებების გარშემო; ქართველი და უცხოელი კოლეგების რჩევებმა.

Preface

Negation forms a binary opposition with affirmation, the former being a marked member of the system. However, negation is also capable of expressing the opposite semantics. Hence, negation is a complex category, and its thorough analysis requires the discussion of formal-functional relations and envisaging of contrary semantics. It is widely known that various fields of science deal with universal-complex topics. Out of these fields, **linguistics** is of utmost importance, because formally marked units or lexical means are represented in linguistic structures.

The given book – **"The Category of Negation in the Kartvelian Languages"**– has been compiled within the project of the same title, financed by Shota Rustaveli National Science Foundation (FR17-388). The monographic analysis was based on ample empirical material: Old and New Georgian texts provided by electronic databases; original and translated literary works; Megrelian, Laz and Svan printed texts and corpus data; Explanatory and translation dictionaries of Kartvelian languages; linguistic material obtained during the field expeditions to Svaneti, Samegrelo and Laz settlements, including the Laz region of Turkey, implemented in 2018-2020.

For the first time within the above-mentioned project, **the category of negation was analyzed systematically, taking into**

account the theoretical works of Georgian and foreign authors, based on the comparative-contrastive study of the diachronic and synchronic data of Kartvelian langauges and identification of common Kartvelian phenomena. In some cases, the research was based on the study of unified areal-typological context and identification of research perspectives.

The monograph analyzes the following important issues:

1. The nominal patterns and semantic diversity of expressing negation based on diachronic and synchronic periods.

2. Patterns of negative pronouns and negative adverbs in Kartvelian languages; related mechanism of "double negation" (enhanced negation): formal-semantic aspects.

3. The system of negative particles in Kartvelian languages; their concord with verbal stems: principles of formal-functional distribution in conditions of different quantities of particles.

4. Analysis of the structure of negative pronouns and negative particles containing the consonant "n" from the areal-typological viewpoint.

5. Various means of expressing negation by means of certain particles and lexical units, based on the semantic relations between the components of constructions expressing diverse modality.

6. Some specific issues on negation in "The Knight in the Panther's Skin": a. Verbal and Nominal lexeme patterns with a negative particle, b. One type of a negative sentence; their reflection in the English translation of the poem.

The research outcomes are significant not only for theoretical linguistics but also for **interdisciplinary research.** The outcomes

will support the development of related fields like linguoculturology, psycholinguistics, linguopragmatics and linguistic anthropology. **The practical importance of the research** consists in its use for scientific research and teaching purposes.

The degree of reliability of conclusions has been increased thanks to the ample empirical material, including the synchronic data obtained during field expeditions, participation in local and international scientific conferences, discussions on the research issues and valuable advice of the Georgian and foreign colleagues.

შესავალი

1. უარყოფის კატეგორიის რაობა

უარყოფა გრამატიკული და სემანტიკური ანალიზის პროცესია; კონსტრუქციაა, რომელიც ჩვეულებრივ გამოხატავს წინადადების რაიმე ნაწილის ან სრული მნიშვნელობის საპირისპიროს (Cristal 2003:310).

სხვა განმარტებით, უარყოფა მორფოსინტაქსური პროცესია, რომლის დროსაც ლექსიკური ერთეული უარყოფს ან საპირისპიროდ ცვლის სხვა ლექსიკური ერთეულის ან კონსტრუქციის მნიშვნელობას. უარყოფის გამომხატველ ლექსიკურ ერთეულს ***ნეგატორს*** (*negator*) უწოდებენ (GLOSSARY OF LINGUISTIC TERMS).

უარყოფა – მსოფლიოს ენათათვის ერთ-ერთი ამოსავალი, სემანტიკურად დაუშლელი აზრობრივი კატეგორიაა, რომელიც არ განისაზღვრება მარტივი სემანტიკური ელემენტების საშუალებით (ЛЭС 1990:354).

უარყოფას გამოხატავს: უარყოფითი ნაწილაკები; უარყოფითი ნაცვალსახელები; უარყოფითი ზმნიზედები; მიმღეობები; კავშირთა წყვილები (*არც - არც*); უარყოფითი აფიქსებითა და უარყოფითი აფიქსოიდებით ნაწარმოები სიტყვები; ზმნის უარყოფითი ფორმა (მაგ. თურქ.: *okur კითხულობს, შდრ.: okumaz არ კითხულობს;* ინგლ.: *I don't want* – აღწერითი უარყოფითი ფორმა); სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობა (მაგ., ქართ.: *უარი*). შესაძლებელია უარყოფა გამოხატოს მთელმა წინადადებამაც: „შენ რა გესმის!“ და სხვ. (ЛЭС 1990:354; ქართული ენა 2008:463).

უარყოფითი სიტყვის ან ზმნის უარყოფითი ფორმის შემცველ წინადადებას უწოდებენ **უკუთქმითს**. უკუთქმით წინადადებაში ყოველთვის უარყოფილია რაიმე მტკიცება (პრედიკაცია), რომელსაც უარყოფის მოქმედების სფერო ეწოდება. უარყოფის მოქმედების სფერო შეიძლება იყოს მთელი წინადადება („ის არ მოსულა სამსახურში“), რომელსაც **სრული უარყოფის** მქონე წინადადება, სხვაგვარად კი, სემანტიკურად **ზოგადუარყოფითი** ჰქვია. წინადადებაში („ბავშვებს არ სძინავთ ხმაურის გამო“) შეიძლება გამოიყოს **არასრული უარყოფითი** წინადადება: („ბავშვებს არ სძინავთ“), რომელსაც, სხვაგვარად, სემანტიკურად **ნაწილობრივ უარყოფითი** ეწოდება; მიზეზის გარემოება („ხმაურის გამო“) არ შეაქვთ უარყოფის მოქმედების სფეროში. ნებისმიერ წინადადებაში შეიძლება იყოს **სემანტიკური კომპონენტი – პრესუპოზიცია**, რომლის უარყოფა არ ხდება; მაგალითად, ზოგადუარყოფით წინადადებაში: „მე არ დამწყვეტია გული იმაზე, ის რომ წავიდა“, კომპონენტი „ის რომ წავიდა“, შედის უარყოფის მოქმედების სფეროში, მაგრამ მისი უარყოფა არ ხდება (ЛЭС 1990:354.)

ენაში უარყოფითი – **ნეგატიური** მის საპირისპიროსთან – **პოზიტიურთან**, მტკიცებითთან ერთად ქმნის **პოლარულობას**. ამის შესაბამისად, განსხვავებულია უარყოფითი და დადებითი პოლარულობის მქონე ენობრივი ერთეულები (სიტყვა, ფრაზა). უარყოფითი პოლარულობისაა ერთეულები, თუ მათი მნიშვნელობა იგუებს მხოლოდ წინადადების უარყოფით შინაარსს, მაგ. „არაფერი“: „არაფერი (არა) გაქვს?“, „არაფერი (არა) მაქვს“; ხოლო დადებითი პოლარულობისაა, თუ იგი მხოლოდ დადებითი (ან კითხვითი) შინაარსის წინადადებაში გვაქვს, მაგ.: „რამე“: „რამე ხომ არა გაქვს?“, „თუ რამე მაქვს...“ (ქართული ენა 2008:463).

ბოლოდროინდელ საენათმეცნიერო გამოკვლევებში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ნეგატორების (უარყოფითი ნაწილაკების, ან უარყოფის გამომხატველი სხვა საშუალებების) გადაადგილებას; შესაბამისად, ერთი თვალსაზრისით, შესაძლებლად მიიჩნევენ უარყოფის გადაადგილებას მთავარი წინადადებიდან დამოკიდებულში: „არ ვფიქრობ, რომ ის სიმართლეს იტყვის“ > „ვფიქრობ, რომ ის სიმართლეს არ იტყვის“; ან პირიქით, დამოკიდებულიდან – მთავარში, რასაც *უარყოფის აღმავლობას* (подъём отрицания) უწოდებენ: „ვფიქრობ, რომ ამჯერად ეს ჭორი არ გამართლდება“ > „არ ვფიქრობ, რომ ეს ჭორი ამჯერად გამართლდება“. მეორე თვალსაზრისით კი, ასეთი გადანაცვლება გავლენას ახდენს წინადადების ლოგიკურ სტრუქტურასა და სემანტიკაზე, რაც საეჭვოს ხდის მათ იგივეობას (ЛЭС 1990:355; ქართული ენა 2008:463).

გვხვდება **ორმაგი უარყოფაც**, რაც თანამედროვე ქართულში უკვე დამკვიდრებულად ითვლება. ორმაგია უარყოფა, როცა უკუთქმით წინადადებაში ერთდროულად გამოყენებულია უარყოფითი ნაცვალსახელი ან ზმნიზედა და უარყოფითი ნაწილაკი ზმნის წინ. ორმაგი უარყოფა ასე მიიღება – უარყოფით ნაცვალსახელებთან და ზმნიზედებთან ერთად წინადადებაში გამოხატული უარყოფის გასაძლიერებლად **ზმნის წინ** გამოყენებულია **არ, ვერ, ნუ** უარყოფითი ნაწილაკები. ჩვეულებრივ, ზმნის წინ ის ნაწილაკი გაჩნდება, რომელიც უარყოფითი ნაცვალსახელისა თუ ზმნიზედის შემადგენლობაშია.

ერთმაგი უარყოფა	ორმაგი უარყოფა
არავინ მოსულა	*არავინ არ* მოსულა
ვერსად დამემალები	*ვერსად ვერ* დამემალები
ნურსად წახვალ	*ნურსად ნუ* წახვალ

დადგენილია, რომ ერთმაგი და ორმაგი უარყოფის ფორმები ერთმანეთს თავისუფლად ენაცვლება და რომელიმესათვის უპირატესობის მინიჭება სტილის საკითხია, თუმცა გამოყოფენ შემთხვევებს, როცა ორმაგი უარყოფის გამოყენება აუცილებელია:

„1. როცა უარყოფითი ნაცვალსახელი თუ ზმნიზედა გათიშულია უარყოფითი ნაწილაკისაგან: *არსად ისე არ მღერიან...*

2. როცა უარყოფით ნაცვალსახელსა თუ ზმნიზედას დაერთვის ნაწილაკი -**ც(ა)**: *ვერაფერსაც ვერ ვხედავ...*

3. როცა უარყოფითნაწილაკიანი სიტყვა მსაზღვრელ წევრს წარმოადგენს: *მუცელას სმა-ჭამის მეტი არავითარი დარდი არა ჰქონდა...*

4. თუ ძირითადი წევრის უარყოფითობას გამოხატავს **არც, ვერც, ნურც** ნაწილაკები: *მიყვარხარ და არც არავის დავუთმობ შენს თავს!*“ (არაბული 2004:117-178).

ძველ ქართულსა და სხვა ქართველურ ენებს არ ახასიათებს ორმაგი უარყოფა. ახალ ქართულში მის გაჩენას რუსულის გავლენას მიაწერდნენ, თუმცა, ვ. თოფურიას აზრით, ორმაგი უარყოფა უცხო ენის გარეშე, თავისთავად არის აღმოცენებული ქართულში. ამას ადასტურებს ის ფაქტი, რომ ასეთი ფორმები ფართოდაა გავრცელებული ქართულ დიალექტებში; საერთოდ, ორმაგი უარყოფა სათავეს იღებს X-XI საუკუნეებიდან და მისი გამოყენება იზრდება საშუალ ქართულსა და შემდგომ პერიოდში. ვარაუდობენ, რომ ორმაგ უარყოფას უარყოფის გაძლიერება, სინტაქსური კონსტრუქცია, ასოციაცია და ზოგი სხვა ენობრივი მოვლენა, მაგ., ემფაზიის (კომუნიკაციური გამოყოფის) საჭიროება განაპირობებს (თოფურია 1923-1924:74-116; ქართული ენა 2008:464).

ზოგ ენაში ვხვდებით **მრავალჯერად, კუმულაციურ** უარყოფას. ამას **შეთანხმებულ** უარყოფას უწოდებენ. ეს გვაქვს მაშინ, როდესაც ზმნის პრედიკატულ ფორმაში უარყოფის არსებობი-

სას სხვა წევრებიც უარყოფითი ფორმით გვხვდება (მაგ.: რუსულში: "Никто никогда ничего не брал"). ასეთი კონსტრუქცია, გარკვეული ემფაზიის პირობებში, ზოგჯერ ისეთ ენებშიც შეიძლება შეგვხვდეს, რომელთაც არ ახასიათებთ მრავალჯერადი უარყოფა, მაგ.: ქართულში: *„მე არასოდეს არავის არაფერს არ ვთხოვ"* (ЛЭС 1990:355; ქართული ენა 2008:464).

ლოგიკური წესი იმის შესახებ, რომ **უარყოფის უარყოფა** მტკიცების ტოლფასია, მოქმედებს ბუნებრივ ენაშიც: „ვერც სიყვარული დავარქვი, **არც უმისობა არ** იყო" (მ. ჩიტიშვილი, 2021, 1).

არსებობს მიმიკითა და ჟესტებით გადმოცემული უარყოფაც, რაც სემიოტიკაში განიხილება.

2. ტერმინოლოგიასთან დაკავშირებული საკითხები

2.1. უარყოფის კატეგორიასთან დაკავშირებული ტერმინების შესახებ

ნეგაცია *(negation)* ლინგვისტიკაში გავრცელებული საერთაშორისო ტერმინია; ქართულად მისი აზრობრივი შესატყვისია ***უარყოფა***, რომელიც მომდინარეობს ძველი ქართული რთული სახელიდან „უვარისყოფა“. ძველი ქართული ენის ლექსიკონებში *უარყოფის* ლექსიკური შესატყვისი რამდენიმე ფორმითაა მოცემული: *1. უვარება [უარყოფა], უვარ-ყოფა* (იმნაიშვილი 1986:575); *2. უარება – უარყოფა; უვარქმნილი – უარყოფილი* (სარჯველაძე 1995:198), თუმცა საკუთრივ ***უარყოფა*** ტერმინის შექმნა ილია ჭავჭავაძის სახელთანაა დაკავშირებული (ღამბაშიძე 1986:139; არაბული 2004:268). უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში ტერმინი „*უარყოფა*“, ენობრივი კატეგორიის აღსანიშნავად, აქამდე გამოყენებული არ ყოფილა, რადგან სისტემურ დონეზე უარყოფის კატეგორიის კვლევა ქართველურ ენებში პირველად ხორციელდება წინამდებარე მონოგრაფიის ფარგლებში. *უარყოფა*, მიუხედავად იმისა, რომ დღეს ჩვეულებრივ გამოსაყენებელი სიტყვაა და დასტურდება სახელური და ზმნური ფუძე-

ების სახით[1], ჯერ კიდევ ძველ გრამატიკებში სხვადასხვა ფორმით განიხილებოდა *უკუთქმითობასა* და *უქონლობასთან* ერთად; ამ მონაცემების მიხედვით შეიძლება ერთ სემანტიკურ ველში გაერთიანდეს ძველ გრამატიკებში გამოყენებული ტერმინები: ***სახელთა უქონლობა, უკუთქმითობა, მქონებლობის გადათქმა, ნაკვეთნი უარყოფობითნი, უარყოფითი სახელები, რისამე უქონელი ან მოკლებული*** (ამ თვალსაზრისით საინტერესოა ძველი გრამატიკების მიმოხილვა, იხ. შესავალი: §4.1). შემდგომში უარყოფის კატეგორიასთან დაკავშირებული ტერმინების გადანაწილება მოხდა შემდეგნაირად:

• **უქონლობა** ნათესაობითი ბრუნვის ფორმით დაუკავშირდა **სახელებს**: *უქონლობის სახელები; უქონლობა* ფართო გაგების ტერმინია და აერთიანებს თვისობრივისა და მატერიალურის, უსულოსა და სულიერის უქონლობას; ზოგჯერ, დაზუსტების მიზნით, იყენებენ *უქონლობა-უყოლობას*. წინამდებარე მონოგრაფიაში *უქონლობა* ყველაგან გამოყენებულია ფართო გაგებით.

• **უარყოფითი**, სახელობითი ბრუნვის ფორმით, სახელებთან დაწყვილდა, კერძოდ, **ნაცვალსახელებთან, ზმნიზედებთან** და **ნაზმნარ სახელებთან (მიმღეობასთან)**; ასე შეიქმნა შესიტყვებები: *უარყოფითი ნაცვალსახელები, უარყოფითი ზმნიზედები, უარყოფითი მიმღეობები*; ზოგჯერ შეიძლება ნაწილაკის მსაზღვრელადაც შეგვხვდეს: *უარყოფითი ნაწილაკი*.

• **უარყოფა**, ნათესაობითი ბრუნვის ფორმით, ნაწილაკის მსაზღვრელია: *უარყოფის ნაწილაკი*.

• **უკუთქმითი-ც**, სახელობითი ბრუნვის ფორმით, განსაზღვრავს ნაწილაკს: *უკუთქმითი ნაწილაკი*.

[1] **უარყოფა** (უარყოფისა) სახელი **უარყოფს** ზმნის მოქმედებისა, რისამე (არსებულის) არმიჩნევა, მიუღებლობა, უკუგდება, რამეზე უარის თქმა (ქეგლ-ი).

„უკუთქმითი ნაწილაკი“ ზმნასთან დასტურდება, ამიტომ გრამატიკულად მორფოლოგიას ეკუთვნის, თუმცა ტერმინი „უკუთქმითი“ სინტაქსის კუთვნილებაც გახდა იმ თვალსაზრისით, რომ ზმნა-შემასმენელი არის წინადადების პრედიკატული ცენტრი და განსაზღვრავს მის მთლიან შინაარსს.

უარყოფითნაწილაკიანი ზმნით უარყოფის გამოხატვას, უცხოური ლიტერატურის მიხედვით, **პრევერბალური უარყოფა** ეწოდება.

***შენიშვნა 1**: პრევერბალურის საპირისპიროდ არსებობს ტერმინი **პოსტვერბალური**, რომელიც უარყოფის გამომხატველ ენობრივ საშუალებებს ზმნის მომდევნოდ განიხილავს. **პოსტვერბალური** პოზიცია ქართველური ენებისთვის არ არის დამახასიათებელი. ასეთ პოზიციაში მოცემული უარყოფითი ნაწილაკი გამოხატავს **ჩაკითხვას** და **აძლიერებს საპირისპირო მნიშვნელობას – დადასტურებას**.*

ამრიგად, ქართველურ ენებში **უარყოფა კომპლექსური კატეგორიაა** და გამოიხატება **ცალკეული ენობრივი მონაცემებითაც** (ნაცვალსახელით, ზმნიზედით, ნაწილაკით).

2.2. უარყოფის სახეები და მათი სახელდების პრინციპები

უარყოფის სახეების გამოყოფა და, შესაბამისად, სახელდება, უკავშირდება ზმნასთან გამოყენებულ უარყოფის ნაწილაკთა სემანტიკურ მახასიათებლებს. აკაკი შანიძე ქართულში გამოყოფს უარყოფის სამწევროვან სისტემას **არ, ვერ, ნუ** ნაწილაკების მონაწილეობით და მათ შორის განსხვავებას შემდეგი მაგალითებითა და სახელდებით წარმოადგენს:

ა. არ ჭამს – **მარტივი** უარყოფა; ბ. ვერ ჭამს – **მოქმედების შეძლების** უარყოფა; გ. ნუ ჭამს – **მოქმედების აკრძალვა** (II კავშირებითთან „არ“ ნაწილაკსაც შეუძლია მსგავსი სემანტიკის გამოხატვა: „არ ჭამოს“) (შანიძე 1980:610). აღნიშნული ნაწილაკებით დიფერენცირებული შინაარსობრივი ნიუანსები გამჭვირვალეა ორ შემთხვევაში, როცა შესაძლებლობის უარყოფასა (ვერ ნაწილაკით) და აკრძალვაზეა (ნუ ნაწილაკით) საუბარი. დაზუსტებას მოითხოვს, რა სახის შინაარსობრივი მახასიათებელი იგულისხმება **მარტივ** უარყოფაში; ჩვენი აზრით, ამის დაზუსტება შესაძლებელია არ ნაწილაკის სემანტიკის შედარებით *ვერ* და *ნუ* ნაწილაკების სემანტიკასთან, რაც სპეციალურ ლიტერატურაშიცაა აღნიშნული; კერძოდ, ვ. თოფურია წერს: „არ ნაწილაკით გამოხატული უარყოფა **კატეგორიული** და **მკაფიოდ გამოხატული** უარყოფაა, რომელიც **მოუბრის ნება-სურვილზეა დამოკიდებული**“ (თოფურია 1923-1924:77-78). I და II სერიის ზმნურ პარადიგმებში (მწკრივებში) ბ. ჯორბენაძე არ ნაწილაკის ძირითად მნიშვნელობად კატეგორიულობის გამოხატვას ასახელებს (ჯორბენაძე 1984:140-143; ამავე თვალსაზრისისთვის იხ. ბაბუნაშვილი 1953; ზექალაშვილი, აბესაძე 2016:63). მოცემული განმარტებებისა და ა. შანიძის მიერ დამოწმებული მაგალითის („არ ჭამს“) მიხედვით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ტერმინები „მარტივი“ და „კატეგორიული“ ერთი ტიპის უარყოფის გამოსახატავად არის გამოყენებული.

კატეგორიულობის შესუსტებას სამეცნიერო ლიტერატურაში **„კატეგორიულობის ნეიტრალიზაცია“** ჰქვია (ჯორბენაძე 1984:141). მიჩნეულია, რომ „ნეიტრალური ფაქტია აღნიშნული და არა კატეგორიული უარყოფა შემდეგ შემთხვევებში: *არ მწყურია, არ შემიძლია, არ მესმის, არ მაბადია...*“ (იქვე:141). ამგვარი შინაარსის ენობრივ მონაცემებს, როცა უარყოფის გამოხატვის კატეგორიულობის ხარისხი შესუსტებულია, წინამ-

დებარე მონოგრაფიაში **ნეიტრალურ უარყოფას** ვუწოდებთ. ქართველურ ენათა მასალაზე მსჯელობისას კატეგორიულობა-ნეიტრალურობის გამიჯვნა იმიტომაც არის აუცილებელი, რომ **სვანურში** კატეგორიული უარყოფა სპეციალური ნაწილაკებით გამოისატება, ზმნა-შემასმენლის სემანტიკისა და კონტექსტისგან დამოუკიდებლად (იხ. თ. III: §1.3.1). სხვა ქართველურ ენებში უარყოფის კატეგორიულ და ნეიტრალურ ფორმებს შორის განსხვავება კარგად ჩანს უარყოფითნაწილაკიანი წყვეტილისა და I თურმეობითის გარდამავალ ზმნურ ფორმათა შედარებისას: *არ დავწერე – არ დამიწერია* (დაწვრილებით იხ. თ. III: §1.5).

ვერ ნაწილაკი გამოხატავს **შესაძლებლობის უარყოფას**, ამიტომ ახლავს მას მოდალური ნიუანსი (ქართულში ამის შესახებ იხ. ზექალაშვილი, აბესაძე 2016:63; შარაშენიძე 2020:202-205). განსხვავებული მნიშვნელობების გამო „არ“ და „ვერ“ ნაწილაკები, კანონიკური გრამატიკის მიხედვით, არ მონაცვლეობენ; სასაუბრო მეტყველებასა და დიალექტებში „ვერ“ ნაწილაკი იფართოებს ფუნქციონირების არეალს და ჩნდება „არ“ ნაწილაკთან ჩანაცვლების ტენდენცია (დაწვრილებით იხ. თ. III: §1.6).

ნუ ნაწილაკი მატერიალურად ერთნაირია ყველა ქართველურ ენაში. იგი საერთოქართველურ მონაცემად განიხილება და აღდგება *ნუ არქეტიპის სახით. „ნ“ თანხმოვნის შემცველი უარყოფითი ნაწილაკების განხილვა ქართველურ და ინდოევროპულ ენებში პერსპექტიულია ტიპოლოგიური კვლევის თვალსაზრისით (დაწვრილებით იხ. თ. III: §1.4).

უარყოფა, როგორც ლინგვისტური მონაცემი, შეიძლება იყოს **ექსპლიციტური** და **იმპლიციტური**. ცნობილია, რომ ექსპლიციტური მნიშვნელობა გადმოიცემა ფორმალურად: სპეციალური ენობრივი მარკერებით; შესაბამისად, ქართველურ ენებში **ექსპლიციტური უარყოფა** გამოიხატება სხვადასხვა სემანტიკური ნიუანსის ჯგუფებით: **უ-** აფიქსიანი უარყოფა-უქონლობის

სახელებით, **არა/არ**-ნაწილაკიანი რთული სახელებით, უარყოფითი ნაცვალსახელებითა და ზმნიზედებით, უარყოფის ნაწილაკიანი ზმნური ფორმებით. რამდენადაც **უარყოფა** და **დადასტურება / მტკიცება**[1] განუყოფელია ერთმანეთისაგან სემანტიკურ-პრაგმატულად, უარყოფის სისტემის სრულყოფილად წარმოსაჩენად ექსპლიციტურის გვერდით განიხილება **იმპლიციტური უარყოფა**, რომლის ორი ქვესახეობა გამოიყოფა: **იმპლიციტური უარყოფა** და **იმპლიციტური პოზიტივი**. *იმპლიციტური უარყოფის* გავრცელებული ნიმუშებია დადებითი ფორმით გადმოცემული რიტორიკული შეკითხვის გამომხატველი ფრაზები, ხოლო *იმპლიციტური პოზიტივი* გვაქვს მაშინ, როცა უარყოფითი მარკერი ფორმალურადაა მოცემული, რადგან საპირისპირო ფუნქციური დატვირთვა აქვს და საბოლოოდ შინაარსი დადებითია *(იმპლიციტური უარყოფა* და *იმპლიციტური პოზიტივი* ქართველურ ენათა მასალაზე ვრცლად განხილულია მონოგრაფიის IV თავში: *„უარყოფის გამოხატვის პოლარული საშუალებები ქართველურ ენებში“).*

ქართულში ტრადიციულად დამკვიდრებული **„ორმაგი უარყოფა“** და მისი საპირისპირო ტერმინები – **ერთმაგი / ცალმაგი** უარყოფა განხილულია მონოგრაფიის შესავალში: §1; ასევე, II თავში.

ენაში უარყოფის გამოხატვის საშუალებათა რაოდენობის მიხედვით განარჩევენ **მონონეგატიურ** და **პოლინეგატიურ** ენებს. პოლინეგატიური საშუალებებით გამოხატულ უარყოფას სხვანაირად **მრავალჯერად, კუმულაციურ** ან **შეთანხმებულ** უარყოფასაც უწოდებენ (განმარტებებისთვის იხ. *შესავალი:* §1).

[1] ნეგატიურ-პოზიტიურის ურთიერთობის შესახებ იხ. შესავალი: §1.

3. უარყოფის კატეგორიის ლინგვისტური კვლევის ჩარჩო უცხოენოვანი სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით

უარყოფა ოდითგან იყო ფილოსოფოსებისა და ლოგიკოსების შესწავლის საგანი, ხოლო მისი კვლევა საენათმეცნიერო კუთხით XX საუკუნიდან იწყება დანიელი ენათმეცნიერის **ოტო ესპერსენის** მიერ. მან უარყოფის სხვადასხვა ლინგვისტური ასპექტი განიხილა ტიპოლოგიური კვლევების ჩათვლით, გაითვალისწინა ლოგიკური ასპექტებიც. ესპერსენის კვლევები მოიცავს საკითხთა წყებას, რაც თანამედროვე ეტაპზე ენის პრაგმატული კვლევის პროცესში განიხილება დისკურსში უარყოფის ფუნქციონირების გათვალისწინებით. ესპერსენი გამოყოფდა და აანალიზებდა მრავალჯერად უარყოფას, უარყოფის ჩვეულებრივი და მარკირებული ფენომენის ინტერპრეტაციის საკითხებს, განასხვავებდა **ზოგად** (sentential/nexal negation) და **კერძო** (constituent/special negation) **უარყოფას** (Jespersen 1917).

ენაში უარყოფის შესწავლას შემდგომში სხვა მნიშვნელოვანი ნაშრომებიც მიეძღვნა; მათგან გამოვყოფთ რამდენიმე მნიშვნელოვან გამოკვლევას; კერძოდ, **ო. დალი** ენათა 40 ოჯახის დაახლოებით 240 ენის მაგალითზე გვაცნობს მორფოლოგიური და სინტაქსური უარყოფის ტიპოლოგიური კვლევის შედეგებს. უარყოფითი მარკერის მიხედვით იგი გამოყოფს მორფოლოგიური უარყოფის რამდენიმე ტიპს: პრეფიქსულს, სუფიქსურს, ცირკუმფიქსურს, პროსოდიულს და რედუპლიკაციურს. სინ-

ტაქსური უარყოფის შემთხვევაში მკვლევარი უარყოფით მარკერად დამოუკიდებელ ნაწილაკს ან უარყოფით ფორმაში მყოფ დამხმარე ზმნას ასახელებს. ო. დალის კვლევის მიხედვით, მორფოლოგიური უარყოფა 108 ენაშია, სინტაქსური უარყოფა არაფლექსიური ნაწილაკით – 99 ენაში, ხოლო სინტაქსური უარყოფა უარყოფითი დამხმარე ზმნით – 40 ენაში. ორმაგი უარყოფითი მარკერები გვხვდება არა მხოლოდ ცირკუმფიქსებით გამოხატული მორფოლოგიური უარყოფის შემთხვევაში, არამედ სინტაქსური უარყოფის დროსაც (Dahl 1979).

მოგვიანებით **ჯ. ფეინიმ** განიხილა უარყოფის სხვადასხვა ასპექტი, თუმცა მისი ყურადღების ცენტრში მოექცა **სტანდარტული უარყოფა**; ტერმინიც მას ეკუთვნის. ჯ. ფეინის განსაზღვრებით, *სტანდარტული უარყოფა* უარყოფის ისეთი სახეა, რომელიც გამოიყენება ყველაზე მინიმალურ და მთავარ წინადადებებში. ასეთია, ჩვეულებრივ, ერთშემასმენლიანი მთავარი წინადადებები, რამდენიმე სახელური ფრაზითა და საჭირო რაოდენობის გარემოებით (Payne 1985). დღეისათვის ეს ტერმინი გამოიყენება მთავარ თხრობით წინადადებაში ზმნური შემასმენლის უარყოფითი ფორმის საწარმოებლად, უფრო ზუსტად, იმ პრაგმატულად **ნეიტრალური** და პროდუქტიული სტრატეგიებისათვის, რომლებსაც ენები იყენებენ ამ ფუნქციისთვის (დაწვრილებით იხ. Miestamo 2005:39-45). ჯ. ფეინი სტანდარტული უარყოფისათვის სამი სახის უარყოფის მარკირებას გამოყოფს: მორფოლოგიურ უარყოფას, უარყოფით ნაწილაკებს და უარყოფით ზმნებს (Payne 1985).

უარყოფის სამი სახის მარკირებასთან ერთად (აფიქსები, ნაწილაკები, ზმნები) ასახელებენ უარყოფითი მარკირების რამდენიმე მარგინალურ სახეს; კერძოდ, ზოგ ენაში უარყოფა გამოიხატება რედუპლიკაციით, ინტონაციით და სიტყვათა რიგის ცვლილებითაც (Dahl 1979; Payne 1985; Dryer 2013b [2011]).

უარყოფის სხვადასხვა სახის მარკერთა ადგილი ზმნასა თუ წინადადების სხვა კომპონენტებთან მიმართებით დეტალურად არის განხილული **მ. დრაიერის** მიერ (Dryer 2013b[2011], 2013c [2011]).

რაც შეეხება სხვადასხვა ნეგატორის სიხშირულ გამოყენებას, აღსანიშნავია, რომ ყველზე ხშირია უარყოფითი ნაწილაკები და აფიქსები, კერძოდ, 1157 ენიდან უარყოფითი ნაწილაკები გვხდება 502 ენაში, ხოლო აფიქსები – 395 ენაში; უარყოფითი მეშველი ზმნები უფრო იშვიათია – 47 ენაში გვაქვს, ხოლო ორმაგი უარყოფა კი – 119 ენაში (Dryer 2013a[2005]).

ფრიად საყურადღებოა **მ. მიესტამოს** კვლევები **სიმეტრიულ** და **ასიმეტრიულ** უარყოფასთან დაკავშირებით; კერძოდ, მან 297 ენის მაგალითზე განიხილა წართქმით და უკუთქმით სინტაქსურ ერთეულთა სტრუქტურული განსხვავებანი. განხილულ უკუთქმით ერთეულთა საფუძველზე გამოყო ე. წ. სიმეტრიული და ასიმეტრიული უარყოფანი: სიმეტრიული უარყოფის მქონე ერთეულები, გარდა უარყოფითი მარკერის არსებობისა, არ გვიჩვენებენ სხვა რაიმე განსხვავებას წართქმითი ერთეულებისაგან, მაშინ როდესაც ასიმეტრიული უარყოფის შემთხვევაში უკუთქმითი ერთეულის სტრუქტურა წართქმითის სტრუქტურისაგან სხვა საშუალებებითაც განსხვავდება: ეს შეიძლება იყოს ასიმეტრია წართქმით და უკუთქმით ერთეულთა კონსტრუქციაში ან განსხვავება იმ პარადიგმათა შორის, რომლებიც წართქმით და უკუთქმით ერთეულებს აყალიბებენ (Miestamo 2000, 2003, 2005, 2013a[2005], 2013b[2005]).

უარყოფის ლინგვისტური თვალსაზრისით შესწავლის დასაწყისიდანვე დიდი ყურადღება ეთმობოდა **უარყოფის გამომხატველი ელემენტის ადგილს** წინადადებაში. თავდაპირველად პრევერბალური და პოსტვერბალური უარყოფის ფორმები გააანალიზა **ესპერსენმა**. სწორედ მან შენიშნა, რომ „ბუნდოვანების თავიდან ასაცილებლად არსებობს ბუნებრივი ტენდენცია იმი-

სა, რომ მოვათავსოთ უარყოფითი მარკერი უშუალოდ იმ სიტყვის წინ ან რაც შეიძლება იმ სიტყვასთან ახლოს, რომლის უარყოფაც საჭიროა“ (Jespersen 1917:5). **ლ. ჰორნი** ესპერსენის მოსაზრებას **ნეგაციის პირველადობის პრინციპს უწოდებს** (Horn (2001 [1989]).

აღსანიშნავია **ო. დალისა** და **მ. დრაიერის** შრომები ზმნასთან მიმართებით უარყოფის მარკერის პოზიციის გამოვლენის შესახებ (Dahl 1979; Dryer 1988).

უარყოფის მარკერის ადგილი წინადადების სამ წევრთან: სუბიექტთან (S), ობიექტთან (O) და ზმნასთან (V) მიმართებით განიხილა მ. დრაიერმა 345 ენის მონაცემის მიხედვით. გამოვლინდა, რომ SOV ენათათვის უფრო მეტად დამახასიათებელი იყო SOVNeg ან SONegV რიგი. შედარებით ნაკლებად დადასტურდა NegSOV და SNegOV. SVO ენათათვის უფრო მეტად დამახასიათებელია SNegVO რიგი, ხოლო იმ ენებში, სადაც ზმნა (V) საწყის პოზიციაშია, უმეტესად NegV თანამიმდევრობა (NegVSO / NegVOS) დადასტურდა (Dryer 1988).

ამ გამოკვლევამაც ნათლად აჩვენა ტენდენცია, რომლის მიხდვითაც უარყოფითი მარკერები ზმნის წინ დგას, რაც ცხადყოფს, რომ ეს ტენდენცია საკმაოდ ძლიერია.

ორმაგ და **მრავალჯერად** უარყოფასთან დაკავშირებით საინტერესოა **ტ. ვუდენის** კვლევა. იგი ოთხი სახის მრავალჯერად უარყოფას გამოყოფს:

თუ უარყოფა ემატება კონსტრუქციას, რომელიც უკვე ნეგატიურია, შემდეგი შესაძლებლობები არსებობს:

1. სემანტიკურად არაფერი იცვლება, რამდენიმე უარყოფის მატარებელი კონსტრუქცია ეკვივალენტურია ერთი უარყოფის მქონე წინადადებისა.

2. ორი უარყოფა ასუსტებს ერთმანეთს: შედეგად ვიღებთ ნაკლებად უარყოფით (ან ნაკლებად პოზიტიურ წინადადებას), ვიდრე გვაქვს ერთი უარყოფის მქონე წინადადებაში.

3. ორი უარყოფა აბათილებს ერთმანეთს, როგორც ლოგიკაში, და შედეგად აღარ გვაქვს უარყოფა.

4. ორი უარყოფა აძლიერებს ერთმანეთს, შედეგი უფრო უარყოფითია, ვიდრე იმავე კონსტრუქციაში მხოლოდ ერთი უარყოფის შემთხვევაში გვაქვს (Wouden 1994 : 93).

უცხოურ სამეცნიერო ლიტერატურაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა უარყოფითი მნიშვნელობის ნაცვალსახელებსა და ზმნიზედებს კონტექსტებში როგორიცაა: „არავინ მოვიდა“, „არავინ დამინახავს“, „ისინი არასდროს მღერიან“ და ა. შ. ამ თვალსაზრისით გამოყოფენ ხუთი სახის კონსტრუქციას (Dahl 1979; Bernini & Ramat 1992; Kahrel 1996).

სხვადასხვა ენაში შეიძლება შეგვხვდეს სპეციალური უარყოფითი კავშირები, რომლებიც უარყოფას გამოხატავენ რთულ წინადადებაში, მაგ.: ინგლ. neither... nor ან რუს. не... не. (Miestamo 2017). ინგლისურისა და რუსულის გარდა აღნიშნული ვითარება დასტურდება ქართულშიც: არც... არც და სხვ.

4. უარყოფის კატეგორიის ლინგვისტური კვლევის ჩარჩო ქართულენოვანი სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით

უარყოფა ფორმალურ-ფუნქციური თვალსაზრისით კრებსითი კატეგორიაა; შესაბამისად, უარყოფის ენობრივი გამოხატვის გრამატიკული და სტილისტურ-პრაგმატიკული მრავალფეროვნება ასახულია როგორც მორფოლოგიაში (სახელური და ზმნური მოდელების საშუალებით), ასევე სინტაქსურ კონსტრუქციებში. მიუხედავად იმისა, რომ უარყოფის კატეგორია ქართველურ ენებში აქამდე კომპლექსური კვლევის საგანი არ ყოფილა, ქართული სამეცნიერო ლიტერატურა მდიდარია საყურადღებო გამოკვლევებით, რომლებიც ეხება უარყოფის კატეგორიის ცალკეულ საკითხებს ან მის გრამატიკულ-სტილურ გამოხატულებასთან უშუალოდ დაკავშირებულ თემებს.

აღსანიშნავია, რომ სახელურ მოდელებში უარყოფის გამოხატვის ერთ-ერთი გზა და საშუალებაა უ- პრეფიქსი ცალკე და სუფიქსებთან ერთად; ასევე, **არა / არ** ნაწილაკით გაფორმებული რთული სახელები. ინფორმაცია ზემოაღნიშნული სახელური მოდელების წარმოებაზე ჯერ კიდევ ძველ გრამატიკებშია მოცემული; საყურადღებოა, რომ ძველ გრამატიკებში უარყოფა-უკუთქმითობა და უქონლობა ერთად განიხილება; ხშირად არ არის გამიჯნული ტერმინოლოგიურად და მაწარმოებელი აფიქსების მიხედვითაც. ა. შანიძის „ქართული ენის გრამატიკის“ გამოცემებში დიფერენცირებულია უარყოფისა და უქონლობის გამოხატვის საშუალებები.

4.1. ქართული ენის ძველი გრამატიკების მიმოხილვა

პირველად *ანტონ კათალიკოსმა* გამოყო თავის გრამატიკაში უქონლობის სახელები **უკუთქმითის**[1] სახელწოდებითა და **უ-, უ- – -ო** მაწარმოებლებით: **უსმი, უმკაცრო** და სხვ. ანტონის გრამატიკა, როგორც ცნობილია, საფუძვლად დაედო შემდგომ გრამატიკებს, მათ შორის *გაიოზ რექტორის* ნაშრომსაც. აქაც ცალკეა გამოყოფილი **უკუთქმითი** (resp. უქონლობის) სახელები, „რომლისაცა მნიშვნელობა **უკუსთქუამს** პირუელსა და წინააღმდგომსა შეასმენს; მაგალ., **უსახური, უღმრთო, უწყალო** და სხუანი“ (ნიკოლაიშვილი 1970:56). აღსანიშნავია, რომ *დავით ყიფიანის* „ახალ ქართულ გრამატიკაში“ უქონლობის სახელები მოხსენიებულია, როგორც მქონებლობის (იგივე: ქონების) სახელთა **გადათქმა**[2]: **უფულო, უდედმამო...** (ყიფიანი 1882:51). *თედო ჟორდანიამ* თავის „ქართულ გრამმატიკაში“ (1889) ცალკე გამოყო უქონლობის აფიქსები სახელწოდებით **„ნაკვეთნი უარყოფობითნი“**, რომლებიც დაერთვიან არსებითებს, ზედსართავებს („ზედშესრულთა“), ზმნიზედებს („უცვალებადს სიტყვის ნაწილებს“) (1889:102-103). *მოსე ჯანაშვილის* ნაშრომი („ქართული გრამატიკა“ 1906) იმით არის მნიშვნელოვანი, რომ უქონლობის სახელები პირველად წარმოდგენილია არა მხოლოდ ქართულის, არამედ სხვა ქართველური ენების (მეგრულის, სვანურის) მონაცემებითაც; აღსანიშნავია ისიც, რომ უქონლობის სახელებს მ. ჯანაშვილი უწოდებს **„ზედშესრულებს“**, ხოლო უქონლობის აფიქსებს **– უარყოფით ნაწილაკებს**: „ზედშესრულები“ იწარმოებიან „სახელარსებითთაგან უარყოფით ნაწილაკის შემწეობით“ (ჯანაშ-

[1] შდრ.: ანტონის გრამატიკაში გამოყენებული საპირისპირო ტერმინი *ქონებითი.*

[2] შდრ.: ტერმინები *უკუთქმა, უკუთქმითი.*

ვილი 1906 : 25-26). *პეტრე მირიანაშვილი* წარმოქმნილ სახელებს ყოფს მაწარმოებელთა ადგილის მიხედვით (იხ. მისი ნაშრომი „Практический курс грузинского языка“); მისთვის **„უარყოფითი სახელები“** პრეფიქსიანთა ჯგუფში მოიაზრება **უ-** თავსართითა და **-ური** ან **-ო** ბოლოსართით; შესაძლებელია **-ოვო** ბოლოსართითაც, როცა არსებითი სახელი ორმარცვლიანია და **ო**-ზე მთავრდება: **უგუნური, უბედური, უკარო, უსახლო, უსოკოვო, უეზოვო.** ავტორი ასევე აღნიშნავს, რომ **უ-** პრეფიქსით იწარმოება პირის ნაცვალსახელების ნათესაობითი ბრუნვისგან მომდინარე **უარყოფითი ზმნიზედები** და **უარყოფითი მიმღეობები: უიმისოდ, უმაგისოდ, უკითხველი, უნახველი** (Мирианашвили 1914:195).

სილოვან ხუნდაძე ვრცლად მსჯელობს **უარყოფით** ფორმებზე ერთ-ერთ სპეციალურ გამოკვლევაში, „სალიტერატურო ქართული“ (ქუთაისი 1901), რომელიც გრამატიკამდე („ქართული გრამატიკა, პირველდაწყებითი სკოლებისათვის“, ქუთაისი 1917) კარგა ხნით ადრე გამოსცა. ავტორს უარყოფის მაწარმოებლად, **უ-** პრეფიქსთან ერთად, პირველად შემოაქვს **არა-, ვერა-**: „უარყოფითი აზრი ძველათ ორგუარათ გამოითქმოდა: უ-ნით და არა-თი/ ან ვერა-თი/... უძველეს ქართულ ენაში უარყოფა გამოიხატებოდა აგრეთვე თანდებულით *თვინიერ*“ (ხუნდაძე 1901:145); ამასთან, ავტორი სემანტიკურ სხვაობას ხედავს **უ-** და **არა-**თი წარმოქმნილ პარალელურ ფორმებს შორის: „უ-ნით გამოხატული უარყოფა ნიშნავს რისამე სრულს, გადაწყვეტილ უარყოფას; მაგ.: უჩვეულებრივო ცხოვრება ნიშნავს იმისთანა ცხოვრებას, რომელიც ჩვეულებრივს სრულიად არ გავს, ხოლო არაჩვეულებრივი ცხოვრება – იმისთანას, რომელიც მცირეთ მაინც მოგვაგონებს ჩვეულებრივს“ (იქვე:145). ასეთივე სხვაობაა, ავტორის აზრით, შემდეგ ფორმებს შორის: ***უწესო*** და ***არაწესიერი, არცოდნა*** და ***უცოდინარობა*** (იქვე:145).

ს. ხუნდაძე ასევე წარმოაჩენს **უ-** და **არა-** მაწარმოებლების დიფერენციაციას მეტყველების ნაწილების მიხედვით; კერძოდ, „უარყოფა უ-ნით უმთავრესად მიმღეობაში და არსებით სახელთაგან ნაწარმოებ ზედსართავებში გამოიხატება; მაგ.: დაწერილი – დაუწერელი, დამჭკნარი – დაუმჭკნარი, ხმიანი – **უხმო**, მამულიანი – **უმამულო**, ბედნიერი – **უბედური**, ძლიერი – **უძლური**, გონიერი – **უგუნური**. წმინდა ზედსართავ სახელთან კი უარყოფა ან **არა-**თი გამოიხატება, ან წინააღმდეგი აზრის გამომხატველი, მოპირდაპირე სახელით; მაგ.: მაღალი – დაბალი, მდიდარი – ღარიბი, კეთილი – ბოროტი და სხვ.[1] (იქვე:145).

იასონ ნიკოლაიშვილი „ქართული ენის პრაქტიკული გრამატიკის“ კურსში ზედსართავ სახელებს ყოფს რამდენიმე ჯგუფად; ერთ-ერთი ჯგუფია „დამოკიდებითი“, რომელშიც გაერთიანებულია ქონების აღმნიშვნელი სახელების რამდენიმე სემანტიკური ჯგუფი, ხოლო **უქონლობის** სახელები ცალკეა გამოყოფილი: **უთაო, უთაური, უპურო, უწყლო, უხელო** (ნიკოლაიშვილი 1923:87-88). *დავით კარიჭაშვილს* „ქართული ენის გრამატიკაში“ გამოყოფილი აქვს „დასართავი სახელების“ რვა ჯგუფი, რომელთაგან ბოლო ჯგუფის სახელები გამოხატავენ „რისამე **უქონელს** ან **მოკლებულს**. მაგალ., უშნო, უჭკუო, უგუნური, ურცხვი, კუდა, ცხვირა“ (კარიჭაშვილი 1930:19). აღსანიშნავია, რომ დ. კარიჭაშვილი **-ა** სუფიქსსაც გამოყოფს უქონლობის მაწარმოებლად (აღნიშნული სუფიქსის შესახებ განსხვავებული თვალსაზრისი აქვს გამოთქმული თ. ჟორდანიას. მისი აზრით, ამ სახელში **-ა** სუფიქსი „**დაკნინებითის**“ ანუ „**დამცირებითის**“ მნიშვნელობით გამოიყენება (იხ. ჟორდანია

[1] ს. ხუნდაძე არ ასახელებს **არა-**თი ნაწარმოებ ზედსართავებს, თუმცა სათანადო მაგალითების შედგენა შესაძლებელია ანტონიმურ წყვილებში მოცემული ზედსართავების მიხედვით: *მაღალი – **არამაღალი**, მდიდარი – **არამდიდარი**, კეთილი – **არაკეთილი*** და სხვ.

1889:87). *ილია სიხარულიძის* „ქართული ენის გრამატიკაში“ სიტყვაწარმოების საკითხები განხილულია ცალკე, სინტაქსის შემდეგ; **უქონლობის** აფიქსთაგან მხოლოდ **უ- – -ო** კონფიქსია დასახელებული.

4.2. უარყოფის გამოხატვის საშუალებები აკაკი შანიძის „ქართული ენის გრამატიკის საფუძვლებსა“ და „ძველი ქართული ენის გრამატიკაში“

უარყოფა, როგორც ცნობილია, გამოიხატება **უარყოფითი ნაცვალსახელებით**, რომელთა წარმოქმნაში მონაწილეობს:

- უარყოფითი ნაწილაკები: *არა, ვერა, ნურა / ნუ.*
- კითხვითი სიტყვები: *ვინ, რა.*
- დამოუკიდებელი ლექსიკური ერთეულები: *-ფერი, -ვითარი.*

ა. შანიძე აღნიშნავს: „ამ ჯგუფის სახელები გაკეთებულია „ვინ“ და „რა“-საგან წინ უარყოფითი ნაწილაკების დართვით. „რა“-ს მაგივრობას „ფერი“-ც ეწევა. მათი დანიშნულებაა **უარყოფა**: **არა**ვინ, **ვერა**ვინ (ვერვინ), **ნუ**ვინ (**ნურა**ვინ), **არა**ფერი, **ვერა**ფერი, **ნურა**ფერი (შანიძე 1973:44).

ა. შანიძე ქართულში ორი ტიპის „არა“-ს განასხვავებს: ერთ შემთხვევაში ის არის **უარყოფითი ნაწილაკი**, ხოლო მეორე შემთხვევაში – **უარყოფითი ნაცვალსახელი**. ნაცვალსახელი „არა“ მიღებულია რთული ფორმის გამარტივების შედეგად: **„არარა** შეიძლება შემოკლდეს შუა ხმოვნის ამოღებით და **არა-რა**’საგან **არა** მივიღოთ (სადაც ორ ერთნაირ თანხმოვანთაგან ერთია დარჩენილი)“ (შანიძე 1973:103). ამ მსჯელობის გათვალისწინებით, **არარა** → **არრა** → **არა**. მეცნიერი **არა** ნაცვალსახელის ორი ბრუნვის ფორმას გამოყოფს: სახელობითისას და მიცემითისას. როგორც მაგალითებიდან ჩანს, სახელობითის ფორმით მაშინ

დასტურდება, როცა არარა-ს „შემადგენელი ნაწილები ერთმანეთისაგან ზმნით არის გათიშული: მაგ., „იყო და **არა** იყო **რა**“, „მაგისი **არა** მესმის **რა**“ და სხვ. (იქვე:103). მიცემითის ფორმა უშუალოდ ზმნის წინ იკავებს ადგილს: „ა რ ა ს ვერჩი“, „ა რ ა ს ვაკეთებ“ და მისთ. **არას** = **არ-რას** = **არა-რას** = არა-ფერს. უარყოფითი ნაცვალსახელისა და უარყოფითი ნაწილაკის **არა**'ში გაერთიანებამ და ერთმანეთში არევამ გამოიწვია **ა(რ)-რა-ს** ნაცვლად **არა-ფერ**'ის გაბატონება“ (იქვე:103).

ავტორი „საფუძვლებში“ ჩამოთვლის **ზმნიზედის** ჯგუფებს შინაარსის მიხედვით, მაგრამ მათ შორის **უარყოფით ზმნიზედას არ ასახელებს; არსად** ფორმას ა. შანიძე დროული გაგებისაგან დაცლილად მიიჩნევს და ადგილის ზმნიზედას უწოდებს, მაგრამ იქვე აღნიშნავს, რომ **არსად** „მიღებულია **არა სადა**-საგან, რომლის მნიშვნელობა ძველ ქართულში იყო „არაოდეს“: „ღმერთი არასადა ვინ იხილა, იო.1,18 = ღმერთი არაოდეს უნახავს ვისმე; თვით დღევანდელი **არასოდეს** მიღებული ჩანს „არასადა“ და „არაოდეს“ ფორმათა კონტამინაციით“ (შანიძე 1973:597).

თანამედროვე ქართულში **არსად, არასოდეს** ზმნიზედები **უარყოფით ზმნიზედათა ჯგუფს ქმნიან**, რადგან სინქრონიულ დონეზე:

- **არ-სად** გამოხატავს **უარყოფით ზმნიზედას ადგილის მიხედვით**:
  არ (უარყოფითი ნაწილაკი) + **სად** (რა ადგილას?).
- **არასოდეს** გამოხატავს **უარყოფით ზმნიზედას დროის მიხედვით**:
  არა (უარყოფითი ნაწილაკი) + **-ს** (< სადა) + **ოდეს** (როცა, როდესაც).
- **არასოდეს** ფორმის პარალელურია **არასდროს** (იხ. ქეგლ-ი).

ა. შანიძე „საფუძვლებში“ გამოყოფს აგრეთვე **ნაწილაკთა** ჯგუფებს, რომელთა შორის ასახელებს **უკუთქმით** ნაწილაკებს:

არ, ვერ, ნუ და აზუსტებს მათ შორის სემანტიკურ სხვაობას: „არ“ მარტივად[1] უარყოფს („არ ჭამს“), „ვერ“ მოქმედების შეძლებას უარყოფს („ვერ ჭამს“), „ნუ“ კი (II კავშირებითთან აგრეთვე „არ“) კრძალავს მოქმედებას („ნუ ჭამს“, „არ ჭამოს“) (შანიძე 1973:610). აღსანიშნავია, რომ ავტორი „მიგებით ნაწილაკებს“ ცალკე პარაგრაფად განიხილავს და გამოყოფს ორ სახეს: დადასტურებითსა და **უკუთქმითს**, რომლის სინონიმურ სახელწოდებად ასახელებს **უარყოფითსაც** (შანიძე 1973:610).

ა. შანიძის „**ძველი ქართული ენის გრამატიკის**“ მოკლე კურსში, რომელიც 1976 წელს დაიბეჭდა, დადასტურებითთან ერთად დასახელებულია **უარყოფითი** ნაწილაკები, თუმცა მხოლოდ ამ სახელწოდებით (შანიძე 1976:147).

უარყოფის გამოხატვა „თვინიერ“ **თანდებულის** საშუალებითაც რომ არის შესაძლებელი, ეს ფაქტი, ძველი ქართული ენის მიხედვით, პირველად შენიშნული აქვს ს. ხუნდაძეს (იხ. მონოგრაფიის *შესავალი:* §4.1). იმავე თანდებულს ნათესაობითი ბრუნვის ფორმებთან ასახელებს ა. შანიძეც „ძველი ქართული ენის გრამატიკის კურსში“, ოღონდ აღნიშნავს, რომ პოზიციის მიხედვით იგი ხან **წინდებულია**, ხან **უკუდებული**: „**თჳნიერ** უპირატესად წინდებულია: თჳნიერ ფიცისა, თჳნიერ სისხლისა.... (მ. 14,21) და მისთ. იშვიათად უკუდებულადაც იხმარება: ამისა თჳნიერ (ებრ. 12,14 AB)“ (შანიძე 1976:143). აღნიშნულ თანდებულს თანამედროვე ქართულში, ასევე ნათესაობითი ბრუნვის ფორმებთან, შინაარსობრივად შეესაბამება ცალკე მდგომი **გარდა**, რომლის შესახებ აღნიშნულია, რომ „**იხმარება გამოსარიცხად**: *ქვის გარდა, ვერცხლის გარდა* და მისთ. საშუალ ქართულში გვხვდებოდა **გან**-დართულ ნათ. ბრუნვის ფორმასთან

[1] ა. შანიძისეული „მარტივი უარყოფის“ შინაარსის შესახებ მსჯელობისათვის იხ. შესავალი: §2.2.

კიდე, რომელიც იმასვე ნიშნავდა, რასაც დღევანდელი „გარდა“: „მისგან კიდე არვინ შეჰყვა“ («ვეფხ.», 101) (შანიძე 1973:602).

4.3. უქონლობის სახელები აკაკი შანიძის ქართული ენის გრამატიკის გამოცემებში

უქონლობის სახელთა წარმოების მიმოხილვა მნიშვნელოვანია აგრეთვე ა. შანიძის „ქართული ენის გრამატიკის“ მიხედვით, რომლის რამდენიმე გამოცემა არსებობს. უქონლობის სახელთა წარმოებასთან დაკავშირებით სრული სურათის წარმოსაღგენად ყველა გამოცემას ცალ-ცალკე განვიხილავთ.

1930 წელს გამოიცა პირველი გრამატიკა სახელწოდებით: „ქართული გრამატიკა, ნაწილი I, მორფოლოგია“. როგორც წინასიტყვაობაშია აღნიშნული, სახელებთან დაკავშირებული საკითხები მოკლედ არის განხილული, თუმცა სახელთა წარმოებას უფრო მეტი ადგილი ეთმობა, ვიდრე ადრინდელ გრამატიკებში; კერძოდ, უქონლობის სახელები ნაშრომში განხილულია პრეფიქს-სუფიქსის საშუალებით: **უ-ჭკუ-ო, უ-კბილ-ო, უ-გულ-ო, უ-მარილ-ო, უ-ცოლ-ო, უ-შვილ-ო** და მისთ. (შანიძე 1930:54). ავტორი **უ- – -ო**'ს პარალელურად განიხილავს **უ- – -ურ /-ულ** კონფიქსს, მნიშვნელობით ათანაბრებს კიდეც მასთან, თუმცა აფასებს პროდუქტიულობის თვალსაზრისით და აღნიშნავს, რომ **უ- – -ურ /-ულ** „ახლა იმდენად ცოცხალი ფორმანტი აღარაა; მაგ., ა. **უ-ბედ-ურ-ი, უ-წეს-ურ-ი**, /*უგონური/ > **უ-გუნ-ურ-ი** და მისთ. ბ. **უ-ფსკრ-ულ-ი, უ-წვერ-ულ-ი, უ-ხერხ-ულ-ი, უ-ფერ-ულ-ი** და მისთ“ (იქვე: 54).

ა. შანიძის „გრამატიკის“ შემდგომი გამოცემა, „ქართული გრამატიკის საფუძვლების“ სახელწოდებით, **1942 წელს** გამოვიდა. მასში გაერთიანდა 1930 წელს გამოცემული მორფოლო-

გიის ერთი ნაწილი გადამუშავებული სახით. ამ გამოცემაში „ქონების“ სახელების შემდეგ გამოყოფილია „უქონლობის“ სახელები, რომელთა კონფიქსური მონაცემები იგივეა (**უ- – -ო, უ- – -ურ/-ულ**). ამ გამოცემაში კიდევ ერთხელაა აღნიშნული დასახელებული აფიქსების საერთო წარმომავლობა და მათ შორის ქრონოლოგიური სხვაობა: „ესენი ერთნია წარმოშობით, მაგრამ მათი გამოყენება ქართული სალიტერატურო ენის ხაზით განსხვავებულია ქრონოლოგიურად: უფრო ძველია **უ- – -ურ**, მაგრამ ამ წარმოების მაგალითებიდან მხოლოდ ნაშთია მოღწეული. სამაგიეროდ, დღესაც მკვიდრია **უ- – -ო**, რომელიც ამჟამად ერთადერთი მაწარმოებელია უქონლობის სახელებისა ახალ სიტყვათა ფუძეებისაგან“ (შანიძე 1942:124). რაკი ზოგ შემთხვევაში ერთსა და იმავე სახელურ ფუძეს დაერთვოდა აღნიშნული აფიქსები, ავტორმა ყურადღება გაამახვილა ამგვარ ფორმათა სემანტიკურ დიფერენციაციაზეც: **უ-თა/ვ/- ურ-**ი და **უ-თა/ვ/-ო; უ-ბედ-ურ-**ი და **უ-ბედ-ო; უ-წეს-ურ-**ი და **უ-წეს-ო; უ-რწყ-ულ-**ი და **უ-წყლ-ო** (იქვე:124).

ა. შანიძის „ქართული გრამატიკის საფუძვლები“ შემდგომ გამოიცა **1953** წელს; ხოლო **1973** წელს – სახელწოდებით, „ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები; აღნიშნული გამოცემა **1980** წელს შევიდა ავტორის თხზულებათა თორმეტტომეულში (III ტომში). ბოლო გამოცემებში, ადრინდელებთან შედარებით, სახელთა წარმოქმნასთან და კონკრეტულად უქონლობის სახელთა წარმოებასთან დაკავშირებით რაიმე არსებითი ცვლილებები არ ასახულა.

4.4. უარყოფა-უქონლობის ენობრივი ასახვა სხვა ქართველური ენების გრამატიკებში

უარყოფის ენობრივ გამოხატულებასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი გრამატიკული ინფორმაცია მოცემულია სხვა არასალიტერატურო ქართველური ენების (მეგრულის, ლაზურის, სვანურის) მასალაზე შექმნილ გრამატიკებშიც.

მეგრული და **ლაზური** ემპირიული მასალის მეცნიერული ანალიზი მოცემულია უცხოელ მკვლევართა საუკუნეების წინანდელ ნაშრომებში; თუმცა ამ ტიპის გამოცემებში, მასალის სიმცირისა და აღწერის სირთულის გათალისწინებით, არ იყო მოსალოდნელი და არც არის სრულად აღწერილი გრამატიკული საკითხები და სპეციალური მანარმოებლები; ასეთია გ. როზენის ოსური ენის გრამატიკაში (Rosen 1946) ჩართული მსჯელობა მეგრულის ფონეტიკასა და გრამატიკაზე (ჩიქობავა 2008:157), რომლებიც არ შეიცავს ინფორმაციას ჩვენს საკვლევ თემატიკასთან დაკავშირებით. ლაზური ენის გრამატიკული სტრუქტურის პირველი აღწერაც გ. როზენის სახელს უკავშირდება, მაგრამ არც აქ არის საუბარი უარყოფის გამომხატველ ენობრივ საშუალებებზე (დაწვრილებით იხ. დანელია 2006:41-42; მემიშიში 2015:197-198).

ლაზური ენის გრამატიკა ნ. მარის ავტორობით დაიბეჭდა 1910 წელს (Марр 1910). „ეს იყო პირველი ფუნდამენტური ნაშრომი, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ლაზურის მეცნიერულ შესწავლას. ნაშრომს ახლავს ქრესტომათია და ლექსიკონი“ (მემიშიში 2015:198). 1911 წელს ი. ყიფშიძემ გამოსცა „დამატებითი ცნობები ჭანური ენის შესახებ“ (რუსულ ენაზე) (Кипшидзе 1911); ანალიზი დაემყარა თავად ავტორის მიერ 1910 წლის აგვისტოში ჩხალის უბანში (ართვინის ოლქი) მოპოვებულ მასალას. იგი დაწვრილებით შეჩერდა ჩხალურ თქმაზე (ნ. მარის აღუნიშნავ ფაქტებზე). გრამატიკაზე დაკვირვებას (გვ.1-8) თან

ახლავს ტექსტები (გვ. 9-23) და ჭანურ-რუსული ლექსიკონი (გვ.24-33) (დანელია 2006:44; მემიშიში 2015:202). ლაზური ენის გრამატიკის შესახებ ორივე გამოცემაში დასახელებულია უქონლობის სახელები (უნჯუმელი „უმარილო“ და სხვ.),

ნ. მარი მათ *უარყოფით ზედსართავებს* უწოდებს (Марр 1910:17), ხოლო ი. ყიფშიძე – *უარყოფით სახელებს* (უჩხინდელი „უცხვირო“ და სხვ.) (Кипшидзе 1911:1).

ი. ყიფშიძის „მეგრული (ივერიული) ენის გრამატიკას“ (რუსულ ენაზე) ახლავს მეგრულ-რუსული ლექსიკონი და ქრესტომათია (Кипшидзе 1914). ეს ნაშრომი, რომლის შედეგად ი. ყიფშიძეს მაგისტრის ხარისხი მიენიჭა პეტერბურგის უნივერსიტეტში, პირველი სერიოზული ენათმეცნიერული გამოკვლევაა **მეგრულის** შესახებ. წიგნში გამოყოფილია არა მხოლოდ უარყოფითი ნაცვალსახელებისა და უარყოფითი ზმნიზედების ჯგუფები, არამედ აღნიშნულია, რომ ისინი ზმნის დადებით ფორმას ეხამებიან უგამონაკლისოდ; ი. ყიფშიძემ პირველმა შენიშნა უარყოფითი და განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელების მონაცვლეობის კანონზომიერება უარყოფითნაწილაკიან ზმნასთან (Кипшидзе 1914: 050; 0145).

ავტორი „მეგრულის გრამატიკაში“ წინდებულებთან ერთად ასახელებს უარყოფის *ვა „არ“* ნაწილაკს; სათანადო მაგალითების მოხმობით განხილული აქვს ზმნურ ფორმებთან *ვა* ნაწილაკის უცვლელად შენარჩუნებისა და ფონეტიკური ტრანსფორმაციის საკითხები (Кипшидзе 1914:0108-0111). ი. ყიფშიძეს შენიშნული აქვს *ვა* ნაწილაკიანი ზმნური ფორმების *(ვარენო?/ვარდუო? „არ არის?/არ იყო?“)* სხვადასხვა შინაარსის ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში ჩართვის ფაქტები. მეცნიერმა *მათ* „წინადადებაში ჩართული წინადადებები უწოდა“ (Кипшидзе 1914: 0144-0145;301); ამით, ფაქტობრივად, აღნიშნული ზმნური ფორმების ფუნქციურ დანიშნულებაზე გააკეთა აქცენტი.

ი. ყიფშიძე უქონლობის სახელებსა და უარყოფით მიმღეობებს აერთიანებს ერთ ჯგუფში და მათ *უარყოფით ზედსართავებს* უწოდებს (შდრ.: ზევით ლაზურის გრამატიკების მონაცემები). ავტორი **უ-** პრეფიქსთან ერთად ასახელებს სხვადასხვა სუფიქსს; თუმცა, როგორც ჩანს, ძირითად მაწარმოებლად **უ-** პრეფიქსს მიიჩნევს და დამოწმებულ მაგალითებშიც მხოლოდ მას გამოყოფს (Кипшидзе 1914:035-036).

კ. დანელიას „კოლხური ენის გრამატიკული ანალიზი“ ავტორის მიერ შედგენილი სალექციო კურსია მეგრულ-ლაზური მასალის მიხედვით, რომელიც უცვლელად გამოიცა მოგვიანებით, კ. დანელიას გარდაცვალების შემდეგ (დანელია 2006); მასში გათვალისწინებულია ყველა მანამდე გამოცემული მონოგრაფია და სამეცნიერო სტატია; დართულია ავტორის მსჯელობა-კომენტარებიც; ზოგჯერ შეხედულებისამებრ განსხვავებულად აქვს დალაგებული ემპირიული მასალაც. ამ თვალსაზრისით საინტერესოა *უქონლობის სახელთა* ჯგუფი; მასში გაერთიანებულია:

- კონფიქსიანი უქონლობის სახელები (ლაზ. **უ-ღნოს-ე**, მეგრ. **უ-ჭკუ-ე** „უჭკუო“ და სხვ.).
- ოდენ პრეფიქსიანი უარყოფის სახელი (მეგრ. **უ-ჩა** „შავი“ = „უთეთრო“).
- ოდენ სუფიქსიანი სახელები (მეგრ. ცურ-**უ** „უყურო“, ტვინ-**გა** „უტვინო“ და სხვ.) (დანელია 2006:173).

სეგმენტაციის მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ კ. დანელიამ ერთ-ერთმა პირველმა მიუთითა, რომ მეგრული *უჩა* დიაქრონიულად **უ-** პრეფიქსით წარმოქმნილი უარყოფითი სახელია.

-უ სუფიქსი ქართველურ ენათა განვითარების არცერთ ეტაპზე არ დასტურდება უარყოფის მაწარმოებლად, თუმცა კ. დანელიას ინტერპრეტაცია საყურადღებოა იმ თვალსაზრისით, რომ ცურ-**უ**-ში გამოყოფს **-უ** სუფიქსს და არა **-ურ**-ს, რო-

გორც ეს სამეცნიერო ლიტერატურიდან არის ცნობილი (შდრ.: თოფურია 1979:77-78). აღსანიშნავია ისიც, რომ *ღურ-უ-ს* ქართულ ვერსიად დასახელებულია არა „ყრუ“ (უარყოფითი ლექსიკური ერთეული), არამედ „უყურო“ (იმავე უარყოფითი მნიშვნელობის, ოღონდ წარმოქმნილი სახელი).

რაც შეეხება -გა სუფიქსს, მეცნიერი ეთანხმება გ. როგავას თვალსაზრისს -გა-ს ნასესხობის შესახებ აფხაზურ-უბიხურ-ადიღეური ენებიდან (როგავა 1942ბ).

მეგრულის შესახებ ბოლო პერიოდის გამოკვლევებს შორის აღსანიშნავია **გ. კარტოზიას** ხელმძღვანელობით ჯგუფის მიერ შესრულებული ნაშრომი „მეგრულის ლინგვისტური ანალიზი“ (ავტორები: გ. კარტოზია, რ. გერსამია, მ. ლომია, თ. ცხადაია; იხ. კარტოზია და სხვები 2010); დასახელებულ მონოგრაფიაში უარყოფასთან დაკავშირებული საკითხების განხილვისას გათვალისწინებულია არსებული სამეცნიერო ლიტერატურა; ცალკეულ შემთხვევებში არის საკითხის ანალიზის გაღრმავების ცდა; კერძოდ, უარყოფითი ნაცვალსახელებთან ერთად დასახელებულია განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელებიც უარყოფითი ნაწილაკის გარეშე. როგორც დამოწმებული მაგალითიდან ჩანს, ოდენ განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი უარყოფითი ნაცვალსახელის მონაცვლედ ჩათვლილია ქართული ვერსიის მიხედვით (კარტოზია და სხვები 2010:131).

უკუთქმით (უარყოფით) ნაწილაკებად მხოლოდ *ვა(რ)* „*არ(ა)*“ და *ნუ* „*ნუ*“ ნაწილაკები სახელდება. ი. ყიფშიძის ქრესტომათიასა და შემდეგდროინდელ ტექსტებში ყურადღება გამახვილებულია მათ დაწერილობაზე (კარტოზია და სხვები 2010:307).

კითხვითსიტყვიანი და არაკითხვითსიტყვიანი ჰიპოტაქსური კონსტრუქციის კომპონენტთა აზრობრივი მიმართების მიხედვით წამოჩენილია ორი შესაძლებლობა: ა. *დადებითი ზმნუ-*

რი ფორმით კონსტრუქციის შინაარსი უარყოფითია; ბ. უარყოფითი ზმნური ფორმით კონსტრუქციის შინაარსი დადებითია (კარტოზია და სხვები 2010:390-392).

უქონლობის სახელები დალაგებულია მაწარმოებელ აფიქსთა პროდუქტიულობის მიხედვით; ემპირიული მასალა შევსებულია სინქრონიული მეტყველების ნიმუშებით (კარტოზია და სხვები 2010:447-449).

ავტორთა ჯგუფმა (ჭ. ქირია, ლ. ეზუგბაია, ო. მემიშიში, მ. ჩუხუა) 2015 წელს გამოსცა „ლაზურ-მეგრული გრამატიკა. I. მორფოლოგია“ (ქირია და სხვები 2015); მასში ლაზური და მეგრული მასალების მიხედვით განხილულია სახელებისა და ზმნის მორფოლოგია, ფორმაუცვლელი მეტყველების ნაწილები. უარყოფის გამოხატვის მორფოლოგიური საშუალებებიდან დასახელებულია უარყოფითი ნაცვალსახელები და მათი მონაცვლე ვარიანტები; ვრცლად არის მიმოხილული სახელთა სიტყვაწარმოება, მათ შორის უქონლობის სახელები; აღნიშნულია, რომ უქონლობას გამოხატავს უ- პრეფიქსი, ხოლო სუფიქსური ნაწილი ცვალებადია; ამ ჯგუფში გაანალიზებულია აგრეთვე -ურ და -გა სუფიქსიანი სახელები ლაზურსა და მეგრულში; ცალკე განიხილება ის სახელები, რომლებიც, ავტორთა თქმით, ერთდროულად გამოხატავენ უქონლობა-აბსტრაქტულობას; კომპოზიტთა დერივაციაზე მსჯელობისას ასევე ცალკეა გამოყოფილი უქონლობის გამომხატველი რთული სახელები და მათ *უქონლობის კომპოზიტები* ეწოდებათ. ნაწილაკები ორი ტერმინით, *უკუთქმითით* და *უარყოფითით*, არის დასახელებული. აღნიშნულია, რომ მათ საპირისპირო მნიშვნელობის გამოხატვაც შეუძლიათ (ქირია და სხვები 2015:123; 134-142; 149-150; 234; 743-744).

სვანური ენის ადრეული გრამატიკული მიმოხილვებიდან ცნობილია გ. როზენის (Rosen 1846), ალ. ცაგარლის (Цагарели

1872) და სხვათა ნაშრომები; დასახელებულ ავტორებთან არ დასტურდება მონაცემები საანალიზო თემატიკასთან დაკავშირებით. ბ. ნიჟარაძის – „თავისუფალი სვანის“ ავტორობით შედგენილი „მოკლე განხილვა სვანური გრამატიკისა“ 1911 წელს დაიბეჭდა „ძველი საქართველოს“ მე-13 ნომერში; მოგვიანებით, 2013 წელს, ცალკე ბროშურის სახით გამოსცა მისმა შთამომავალმა ლელა ნიჟარაძემ; რედაქტორის, სვანური ენის გამორჩეული სპეციალისტისა და ამაგდარის, ზ. ჭუმბურიძის, მიერ წამძღვარებულ წინასიტყვაობაში ვკითხულობთ: „ნაშრომი მცირე მოცულობისაა, მაგრამ მისი მნიშვნელობა ქართველურ ენათა შესწავლის ისტორიაში განუზომელია: ესაა პირველი ნაშრომი სვანური ენის გრამატიკის საკითხებზე დაწერილი ქართულ ენაზე... მასში მოკლედ არის საუბარი უმნიშვნელოვანეს გრამატიკულ მოვლენებზე“ (ნიჟარაძე 2013:3-5). აღნიშნულ გამოცემაში დასახელებულია სვანური „დე“, ქართული „არც“-ის შესატყვისი (იქვე:23); ასევე, გაკეთებულია მცირე კომენტარი: „უარყოფითი უ სვანურში სიტყვის ბოლოშიაც გვხვდება“ (იქვე:25); სამწუხაროდ, თვალსაჩინოებისთვის ავტორს არ მოჰყავს შესაბამისი მაგალითი, მაგრამ ვფიქრობთ, ბ. ნიჟარაძე გულისხმობს უ̆-ს, რომელიც მართლაც ჩანს ზოგიერთი უ- პრეფიქსით ნაწარმოები უქონლობის სახელისა თუ მიმღეობის აუსლაუტში. ვინაიდან ეს ელემენტი სვანურში უქონლობის სახელთა წარმოებისას იქცევს ყურადღებას (იხ. მსჯელობა თ. I:§1.9), აქაც აღვნიშნავთ: **ჩვენი აზრით, საანალიზო ელემენტს არა აქვს უარყოფის წარმოების ფუნქცია, ის უბრალოდ განვითარებულია,** ვინაიდან:

1. ამ მონაცემის დართვა-დაურთველობის მიხედვით განსხვავდებიან დიალექტები:

ბქვ. *უ-ტა̆ახ*, შდრ.: ბზ. *უ-ტახ-უ̆* „დაუბრუნებელი“ (თოფურია 2002:198).

2. იგივე ელემენტი ერთვის უარყოფითი ლექსემის საოპოზიციო ცალს – დადებით ფორმასაც:

ნა-ტპ-ულ „დაბრუნებული“.

3. უარყოფით ლექსემათა ნაწილი პარალელური ფორმებით (დაბოლოებით ან მის გარეშე) გვხვდება ერთსა და იმავე დიალექტშიც.

დასკვნა: საანალიზო ელემენტი უარყოფის წარმოების თვალსაზრისით სრულიად უფუნქციოა.

უარყოფის გამომხატველი სრულმნიშვნელობიანი სვანური ლექსემები და ნაწილაკები აღწერილია ვ. თოფურიას 1965 წელს შექმნილ ნაშრომში „სვანური ენა“ (თოფურია1965 [2002:150-220]); გამოკვლევაში წარმოდგენილია უქონლობის სახელთა, უარყოფით მიმღეობათა და ზმნისართთა წარმოება, რაც ჩვენ მიერ განხილულია წინამდებარე ნაშრომის სათანადო თავებში (იხ. თ. I და II); რაც შეეხება უკუთქმით ნაწილაკებს (ვ. თოფურიას ტერმინოლოგიით), მკვლევარი ძირითადად ეყრდნობა თ. შარაძენიძის ცნობილ გამოკვლევას (შარაძენიძე 1946) და ასკვნის: „უკუთქმითი ნაწილაკების ანალიზით ირკვევა, რომ უმეტესობა მათგანი რთული შედგენილობისაა და გამოყოფილი მეორე კომპონენტები ნაცვალსახელებია, რომლებიც ამჟამად არ გვხვდება, და ეს კი ნაწილაკთა სიძველეზე მიუთითებს“ (თოფურია 2002:202).

ალ. ონიანის ნაშრომში „სვანური ენა“ (ონიანი 1998) მოკლედ არის განხილული უარყოფითი მიმღეობები და მაწარმოებლად, დიალექტური ალომორფების გათვალისწინებით, დასახელებულია რამდენიმე აფიქსი: **უ- – -ა, ურ- – -ა, უ-, ურ-**. საინტერესოა მკვლევრის მოსაზრება უარყოფით მიმღეობათა გრამატიკულ დროსთან მიმართებით: „უარყოფით მიმღეობათა ერთი ნაწილი აღნიშნავს არა წარსულში შეუსრულებელ მოქმედებას, არამედ – რაიმე ნიშნის უქონლობას ზოგადად... მაგ., უ-მჯერ-ა

„გაუგონარი, რეგვენი“, უ-მჩ-ა „უბერებელი“, უ-დგარ-ა „უკვდავი“...“ (ონიანი 1998:270); წიგნის იმ თავში, რომელშიც ავტორი უდეტრებს განიხილავს, უარყოფასთან დაკავშირებით თითქმის არაფერია ნათქვამი, თუ არ ჩავთვლით მსჯელობის გარეშე უარყოფითი ნაწილაკების ჩამონათვალს, კვლავ თ. შარაძენიძის ნაშრომზე დაყრდნობით.

ზ. ჭუმბურიძის, ლ. ნიჟარაძისა და რ. ქურდაძის წიგნში „სვანური ენა“ (ჭუმბურიძე და სხვები 2007) ვრცლად არის განხილული უქონლობის სახელები და აღნიშნულია, რომ სვანურში ამ სახელთა ორგვარი წარმოება დასტურდება: **უ-** – **-ა** კონფიქსიანი და **-ურ** სუფიქსიანი, რომლებიც „ფუნქციურად ახლოს დგანან და თითქმის არ განსხვავდებიან ერთმანეთისგან“ (ჭუმბურიძე და სხვები 2007:71). წიგნში ასევე აღწერილია უარყოფითი ნაცვალსახელები და აღნიშნულია, რომ „ისინი ქართულის ანალოგიურად არის წარმოქმნილი – ნაწარმოებია *ვინ* და რა კითხვით ნაცვალსახელებზე უარყოფითი ნაწილაკების დართვით“ (იქვე:129-130); წიგნის ავტორები თ. შარაძენიძის მოსაზრებაზე დაყრდნობით ხსნიან რთული ნაწილაკებისა და ნაცვალსახელების მონაცვლეობის (მაშა – „არა“/ „არაფერი“; დეშმა – „ვერა“/ „ვერაფერი“...) მიზეზს (იქვე:129-130).

4.5. სამეცნიერო ლიტერატურის ზოგადი მიმოხილვა ქართველურ ენათა მასალაზე

ქართველურ ენებში უარყოფის გამომხატველ ფორმათა ნაირსახეობები არაერთ სტატიაში, მონოგრაფიასა და დისერტაციაშია განხილული; საინტერესო ენობრივ სურათს იძლევა სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა ამ თვალსაზრისით; კერძოდ, **ქართული ენის მასალის** მიხედვით სამეცნიერო სტატიები

მიეძღვნა: უარყოფა-უქონლობის სახელთა წარმოებას, უარყოფის ნაწილაკთა ზმნურ ფორმებთან შეხამების თავისებურებებს (ჯორბენაძე 1984); უარყოფითი წარმოების სინთეზურ შემთხვევათა განხილვას მხატვრულ ტექსტებში (სუხიშვილი 1984); უარყოფის ნაწილაკთა ფუნქციურ-სტილური შესაძლებლობების ანალიზს (ჭუმბურიძე 1970); არა-/არ- ნაწილაკის განაწილების პრინციპებს (გელენიძე 1984); პირველი თურმეობითის ფუნქციებს კითხვითსა და უარყოფით წინადადებებში (ფხაკაძე 1980).

ქართულ სალიტერატურო ენასა და ქართული ენის დიალექტებში უქონლობის წარმოებას ეხება მ. ტუსკიას დისერტაციის (ტუსკია 1975) ცალკეული მონაკვეთები; მასალის სინქრონიული და დიაქრონიული ანალიზის შედეგად ავტორი აკეთებს მეტად მნიშვნელოვან დასკვნას: ქართულში „უარყოფითი შინაარსის გამომხატველია უძველესი ფორმატი უ-"; სადისერტაციო ნაშრომი უცვლელად დაიბეჭდა მოგვიანებით (ტუსკია 2004). მ. ტუსკიას გამოთქმულ თვალსაზრისს ეხმიანება ქართველ მეცნიერთა მიერ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული კვლევის შედეგები, რომელთა თანახმად, უქონლობის სახელებში ამოსავალი ვითარების გამომხატველია ოდენპრეფიქსით ნაწარმოები ფორმები (ბერიძე 1959; ლომთათიძე 1966; გოგოლაშვილი 1970). ნ. ჭუმბურიძის დისერტაციაში, ქართული სალიტერატურო ენის, ქართული ენის დიალექტების ვრცელი მასალის მიხედვით, მქონებლობის სახელებთან შეპირისპირებით სისტემურადაა განხილული უქონლობის სახელთა ჯგუფები, არა- ნაწილაკიანი წარმოქმნილი სახელები (ჭუმბურიძე 1995).

თემატური ანალიზისთვის მნიშვნელოვანია ქართველურ ენათა უარყოფითი ნაცვალსახელებისა და უარყოფითი ზმნიზედების სტრუქტურათა ანალიზი, დიაქრონიული და სინქრონიული პერიოდების გათვალისწინებით; ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ ინტერესს აღძრავს დ. იმნაიშვილის სტატია (იმნაიშვილი 1953) და არ. მარტიროსოვის მონოგრაფია (მარტირო-

სოვი 1964). უარყოფით ნაცვალსახელებთან და ზმნიზედებთან კავშირში „ორმაგი უარყოფის“ საკითხი პირველად განიხილა ვ. თოფურიამ; მეცნიერმა დაასახელა წინადადებაში უარყოფის გაძლიერების შემაპირობებელი ფაქტორები და ახსნა ამ პროცესის განხორციელების სტილურ-გრამატიკული მექანიზმი; ქართული ტერმინი „ორმაგი უარყოფაც“ ვ. თოფურიას ეკუთვნის (თოფურია 1923-1924 [2002]); შემდგომ, ქართული ენის მასალაზე, არაერთხელ იქნა განხილული „ორმაგი უარყოფის“ ფუნქციური დანიშნულების კანონზომიერებანი და მართლწერის საკითხები (ჭუმბურიძე 1970; შალამბერიძე 1980; ჟურნალისტის სტილისტიკური ცნობარი 2002; არაბული 2004; ზექალაშვილი 2004; გეგუჩაძე 2007).

საყურადღებოა ს. ომიაძის ნაშრომები, რომლებშიც „საწინააღმდეგოს უარყოფის“ და „უარყოფის უარყოფის“ პრინციპებით აგებული ლიტოტესის შემთხვევები და უარყოფითი ნაწილაკებით ნაწარმოები მიმღეობების სტილისტიკური ფუნქციებია განხილული (ომიაძე 1998, 2000, 2016).

აღსანიშნავია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაცული სადიპლომო ნაშრომი, რომელშიც ქართული ენის **უ-** პრეფიქსიანი სახელურ ფუძეები ფორმათა კვადრატის მეთოდით არის გაანალიზებული (გოგოჩაშვილი 2016).

საინტერესო გამოკვლევები მიეძღვნა უარყოფის თეორიულ-პრაგმატულ ასპექტებს ქართულ და ზოგ ინდოევროპულ ენაში. ამ მხრივ აღსანიშნავია მ. ანდრაზაშვილის ნაშრომები: „უარყოფის კატეგორიის პრობლემა ლინგვისტიკაში“, „მონონეგატიურობისა და პოლინეგატიურობის საკითხი თანამედროვე გერმანულ სალიტერატურო ენაში ქართულთან შეპირისპირებით“; „უარყოფის გამოხატვის დერივაციული, ლექსიკური და ფრაზეოლოგიური საშუალებები“, „უარყოფის გამოხატვის მორფოლოგიური საშუალებები გერმანულ ენაში“, „უარყოფის კონტექსტუალური საშუალებები“, „უკუთქმითი შინაარსის ინფორ-

მაციის გადმოცემის სინტაქსური საშუალებები“, „უარყოფისა და მოდალობის კატეგორიების ურთიერთმიმართება გერმანულსა და ქართულში“; „უარყოფის მორფოლოგიურ საშუალებათა სემურ-კონტრასტული ანალიზი და ენობრივი ინტერფერენციის ზოგიერთი საკითხი (გერმანული და ქართული ენების მასალაზე დაყრდნობით)“ (ანდრაზაშვილი 1979, 1982, 1983ა, 1983ბ, 1983გ, 1984ა, 1984ბ; 1986) და მ. ადვაძის სადისერტაციო ნაშრომი: „უარყოფის პრაგმატული ასპექტები სხვადასხვა სისტემის ენებში (ქართული და ინგლისური ენების მასალაზე დაყრდნობით)“ (ადვაძე 2015).

მეგრული მასალის მიხედვით, სხვადასხვა დროს გამოცემული გრამატიკების გარდა, ცალკეულ სტატიებში **შეჯამებულია** ი. ყიფშიძის მიერ *ვა* ნაწილაკსა და ზმნას შორის ფორმალური ურთიერთობის შედეგად გამოვლენილი ფონეტიკური ვარიანტები; დამატებით აღწერილია ორი ახალი შემთხვევა: *ა. ვა ნაწილაკის ინფიქსაცია რთული ზმნისწინის კომპონენტებში; ბ. ვა და ქო ნაწილაკების თანხვედრა ერთი ზმნის ფარგლებში (ვაქოძირესო?! „ქე არ ნახეს?!“)* (ხუბუა 1942ბ); **განხილულია** უარყოფითი და დადასტურებითი ნაწილაკების ფუნქციური განაწილების პრინციპები (ლომია 2013); **განსაზღვრულია** უარყოფითი და განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელების სტრუქტურული და ფუნქციური მონაცვლეობის საფუძველი (ჯღარკავა 2015); **გაანალიზებულია** *ვა* უარყოფითი ნაწილაკის სტრუქტურა და სემანტიკა (საბაკალავრო სადიპლომო ნაშრომი ხელნაწერის უფლებით; გეგეჭკორი 2017).

სვანური მასალის მიხედვით უარყოფის შესახებ შექმნილ სტატიებს შორის მნიშვნელობით განსაკუთრებით გამოირჩევა თ. შარაძენიძის ნაშრომი. მეცნიერმა, დიაქრონიული პერიოდის გათვალისწინებით, პირველად აღწერა, განიხილა და სტრუქტურულ-სემანტიკურად დაალაგა მრავალრიცხოვანი უარყოფითი

ნაწილაკები სვანურში (შარაძენიძე 1946). როგორც აღვნიშნეთ, ამ მონაკვეთის ანალიზისას შემდგომი პერიოდის გრამატიკების ავტორები თ. შარაძენიძის დასახელებული სტატიით ხელმძღვანელობდნენ; იგი ამ საკითხში სამაგიდო ნაშრომად რჩება დღევანდელი მკვლევრებისთვისაც.

აღსანიშნავია ქ. მარგიანის სადიპლომო შრომა, რომელშიც ზმნისა და სახელის უარყოფითი ფორმები ცალ-ცალკეა განხილული ქართველური ენების, აფხაზურისა და ადიღეურის მიხედვით; გარდა კონკრეტული საკითხებისა, ნაშრომში საანალიზო ენების მიმართ დასმული და განხილულია ზოგადი საკითხები უარყოფის გამომხატველი ენობრივი ინვენტარისა და სიტყვაში უარყოფის ელემენტთა (ნაწილაკთა და აფიქსთა) ადგილის შესახებ; ასევე, არის ცდა, საანალიზო ენები განისაზღვროს უარყოფის ტიპის (ერთმაგი ან ორმაგი) მიხედვით. ნაშრომში შედარებულია საანალიზო ენათა მონაცემები და შეჯამებულია კვლევის შედეგები (მარგიანი 1978).

ქართველურ ენებში უარყოფის გამომხატველ ცალკეულ ენობრივ მოდელთა სტრუქტურულ-სემანტიკურ ანალიზს მიეძღვნა **ორი შიდასაუნივერსიტეტო მიზნობრივი გრანტი,** რომლებიც განხორციელდა **2015** და **2016** წლებში თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ენის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ბაზაზე, პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტების მონაწილეობით. მიზნობრივი გრანტების ფარგლებში მომზადებულ **საკონფერენციო მოხსენებებსა** და **პუბლიკაციებში** განხილულ იქნა:

ა. უარყოფის გამოხატვის ენობრივი საშუალებები ქართველურ ენებში (ქართულ და ინგლისურ ენებზე: ქურდაძე და სხვები 2016ა / Kurdadze et al 2016a).

ბ. ნაწილაკებითა და აფიქსებით ნაწარმოებ უარყოფით ფორმათა სემანტიკა ქართველურ ენებში (ქურდაძე და სხვები 2016ბ).

გ. მეგრულ-ლაზურისა და სვანურის მასალა ორმაგი უარყოფის გამოხატვის თვალსაზრისით (Lomia & Margiani 2016).

დ. უარყოფის გამოხატვის გრამატიკული და აფიქსური მოდელები ქართველურ ენებში (Maduashvili et al 2016)

ე. უარყოფის ფუნქციურ-სემანტიკური მიკროველი ქართულ სალიტერატურო ენასა და დიალექტებში (ზექალაშვილი, აბესაძე 2016).

რუსთაველის ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის (FR17-388) ფარგლებში ნაყოფიერად იმუშავა ახალგაზრდა წევრმა **თამარ ჩანქსელიანმა**. მან სვანური ენის ემპირიული მასალის მიხედვით დაამუშავა:

ვ. უქონლობის სახელთა სემანტიკური დიფერენციაციის საკითხები (ჩანქსელიანი 2018ა).

ზ. შესაძლებლობის შეზღუდულობის გამოხატვა უარყოფით ნაცვალსახელთა სტრუქტურასა და სემანტიკაში (ჩანქსელიანი 2018ბ; ჩანქსელიანი 2018გ).

თ. მარტივი უარყოფის გამომხატველი ნაწილაკების ფუნქცია და სემანტიკა (ინგლისურ ენაზე თანაავტორთან ერთად: Margiani & Chankseliani 2019). აღნიშნული პუბლიკაცია ჩართულია მონოგრაფიის ინგლისურენოვან ნაწილში.

სვანური ენის მასალა შეუდარა სხვა ქართველური ენების მონაცემებს და **სამაგისტრო სადიპლომო ნაშრომი** მიუძღვნა *მოქმედების შესაძლებლობის გამომხატველ უარყოფის ნაწილაკთა სტრუქტურულ-სემანტიკურ ანალიზს ქართველურ ენებში* (ჩანქსელიანი 2019).

მონოგრაფიის ძირითად ნაწილში სრულად არის გათვალისწინებული სათანადო სამეცნიერო ლიტერატურა; ზოგჯერ, საჭიროების შემთხვევაში, შედარებით ვრცლად არის წარმოდგენილი ამა თუ იმ საკითხის კვლევის ისტორია.

თავი I

უარყოფა-უქონლობის გამოხატვა ქართველურ ენებში: სახელური მოდელები

1. უარყოფა-უქონლობის სახელთა ფორმაწარმოება და სემანტიკური დიფერენციაცია ქართველურ ენებში

ქართველურ ენებში **უ-** პრეფიქსის გამოყენების არე ფართოა: იგი მონაწილეობს როგორც უარყოფითი, ასევე უქონლობის სახელური მოდელების წარმოქმნაში. **უ-** პრეფიქსი უარყოფით სახელებს დამოუკიდებლად აწარმოებს, უქონლობის სახელებს კი – სუფიქსებთან ერთად. **უ-** თავსართი, ცალკე თუ სხვა მაწარმოებლებთან, საერთოქართველური აფიქსია, რაც მის სიძველეზე მიუთითებს. უარყოფა-უქონლობის სახელებში დადასტურებული საერთო **უ-** პრეფიქსი, ცხადია, ამ ორი ჯგუფის სახელთა კავშირსაც გამოხატავს და ლოგიკურად სვამს მათი ურთიერთმიმართების საკითხს.

უარყოფა ლინგვისტიკაში ორი მონაცემის ურთიერთშედარების საფუძველზე იქმნება და გადმოიცემა; მათ შორის ერთი სრულყოფილია, დადებითია, ხოლო მეორე ნაკლულია, შესაბამისად, უარყოფითია. თავისი არსით, ნებისმიერი საგანი საწყის ეტაპზე სრულყოფილი და დადებითია; მასთან დაპირისპირებითა და მისი გამორიცხვით იქმნება უარყოფითი, რომელიც განსაზღვრული და მარკირებულია. სწორედ სპეციალური მარკერი განასხვავებს ერთმანეთისაგან დადებით და უარყოფით ფორმებს და ხაზს უსვამს მათ შორის დაპირისპირებასაც. უარყოფა დადებითის ოპოზიციური ცალია; აქედან გამომდინარე, ყველაფერი დადებითია, რაც არ არის უარყოფითი და პირიქით; ამიტომ ორივე ცნება – დადებითი და უარყოფითი – ფართო და ზოგადია, ხოლო უქონლობა, როგორც სამეცნიერო ლიტერა-

ტურაშია აღნიშნული, უარყოფის ერთ-ერთი სახეა (ჯორბენაძე 1984) და მატერიალური თუ თვისებრივი უქონლობის აღმნიშვნელ კონკრეტულ სახელთა ჯგუფს ქმნის.

სიტყვაწარმოებითი მოდელების სტრუქტურა, სემანტიკა და პროდუქტიულობა იცვლება ენის განვითარების პერიოდების შესაბამისად. ყოველივე ამის გათვალისწინებით, უარყოფა-უქონლობის სახელთა წარმოქმნის, მათ შორის სემანტიკური მსგავსება-განსხვავების საკითხებს განვიხილავთ ცალ-ცალკე: მაწარმოებელი აფიქსებისა და ქართველური ენების მიხედვით, დიაქრონიული და სინქრონიული ეტაპების გათვალისწინებით.

1.1. ოდენ უ- პრეფიქსიანი ანტონიმური ლექსემები

უ- პრეფიქსის გენეზისი. უ- პრეფიქსი დაკავშირებულია **ვე** უარყოფით ნაწილაკთან, რომელიც თავის მხრივ **ჳე**-საგან მომდინარეობს: ***ჳე → ვე → უ-**. ამ ნაწილაკის ნულსაფეხურიანი ვარიანტი უარყოფის **უ-** პრეფიქსის სახით დასტურდება ყველა ქართველურ ენაში (გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965:323).

ქართულ სალიტერატურო ენაში ოდენ **უ-** პრეფიქსიანი სახელები პირობითად ორ ჯგუფად შეიძლება დაიყოს: პირველ ჯგუფში გაერთიანდება ერთი ფუძისგან წარმოქმნილი **ანტონიმური ლექსემები,** კერძოდ, დადებითი და უარყოფითი ფორმები, რომელთა შორის განსხვავებას ქმნის **უ-** პრეფიქსი; მეორე ჯგუფში **უ-** პრეფიქსით მარკირებული სახელი **ცალადაა წარმოდგენილი** და მას არ მოეპოვება თავისივე ფუძის ლექსემა დადებითი ფორმით. ამ მონაცემების გათვალისწინებით, ოდენ **უ-** პრეფიქსიანი სახელური ფორმების თითოეულ ჯგუფს განვიხილავთ ცალ-ცალკე:

ოდენ **უ-** თავსართიანი სახელები თანამედროვე ქართულ

ენაში რაოდენობრივად ცოტაა; ამას თავისი მიზეზები აქვს, რაც, სალიტერატურო ენაში მიმდინარე პროცესების შესაბამისად, უ- პრეფიქსიანების ფორმისა და შინაარსის ცვლილებითაა განპირობებული. უ- პრეფიქსიანი მოდელი ანტონიმური ლექსემების წარმოსაქმნელად იყენებს ***სახელურ*** და ***ზმნურ ფუძეებს***.

ა. სახელური ფუძეებით წარმოქმნილი ანტონიმური ლექსემები:

(1) ***უ-რიცხვი – რიცხვი,*** *(2)* ***უ-სრული – სრული;*** *უ- პრეფიქსიანი ანტონიმური ლექსემების რიცხვი შეიძლება გაიზარდოს ძველი ქართულის მონაცემებითაც: (3)* ***უ-ზავი – ზავი,*** *(4)* ***უ-ზომი – ზომა,*** *(5)* ***უ-რჯული – რჯული;*** *(6)* ***უ-შიში – შიში;*** *(7)* ***უ-ძილი – ძილი*** *და სხვ.*

მაგალითები:

ხოლო ესე სტეფანოზ იყო ურწმუნო და ***უშიში*** *ღმრთისა. St Ninos Legend: Mokc., 836,KC-222,14; დაყუდებაჲ მუშაკი არს* ***უძილი*** *და მოქმედი ყოვლისა საქმისა კეთილისაჲ. Mamata scavlani: MSc., 2.-Jo.Chr.-Sec.-Jud., 23, 8, 32r.*

თანამედროვე ქართულში „ამ სახელებს შეიძლება დაემატოს -ო ხმოვანფუძიანებიც:

(8) ***უ-ღვინო*** *– ღვინო, (9)* ***უ-სამშობლო*** *– სამშობლო, (10)* ***უ-სახელო*** *– სახელო*[1] *(შდრ.: (11) უ-დრო-ო, (12) უ-ბოლო-ო)“* (ჭუმბურიძე 2009:281).

შენიშვნა 1*: სტრუქტურული თვალსაზრისით ამ ქვეჯგუფში შემოვა* ***უ-შნო – შნო*** *ლექსემები (****უშნო*** *←* ***შნო****: შანიძე 1980:127), თუმცა ქეგლ-ის მიხედვით, „****უშნო****“ „****შნოიანი****“-ს*

[1] იგულისხმება ტანსაცმლის სახელო.

ანტონიმადაა მიჩნეული. სხვა თვალსაზრისით, „უშნო“ უ- – -ო კონფიქსიანი წარმოებისაა, რომლის მიხედვით ფუძედ მოიაზრება არა „შნო“, არამედ „შუენ“; აქედან, თავდაპირველ სრულ ფორმად ივარაუდება „უ-შუენ-ო“, რომელმაც ფონეტიკური გარდაქმნის შედეგად მოგვცა „უ-შნ-ო“, ხოლო მის ანტონიმად განიხილება „შუენ-იერ-ი“ → „მ-შუენ-იერ-ი“ (გოგოჩაშვილი 2016:16). როგორც ჩანს, სემანტიკური ვარიაციების დაშვებას ხელს უწყობს საანალიზო ლექსემის პოლისემანტურობა: შნო – 1. მოხდენილობა, სილამაზე, ლაზათი; 2. ხელგამომავლობა, გარჯის ღონე. უნარი, მოხერხება (ქეგლ-ი).

ბ. ზმნური ფუძეებით წარმოქმნილი ანტონიმური ლექსემები:

(13) უ-ვალი – სვლა, (14) უ-ნახავი – ნახვა, (15) უ-ტეხი – ტეხა, (16) უ-წერ-ი – წერა, (17) უ-ძრავი – ძვრა,(18) უხილავი – ხილვა, (19) უ-ხატავი – ხატვა, (20) უ-კლები – კლება; ძველ ტექტებში უ- პრეფიქსიანი მოდელი მეტ ფუძესთან გვხვდება: (21) უ-დები – დებ-ა, (22) უ-რეკი – (გადა) რეკვა. (23) უ-ქმი – ქმნა, (24) უ-ღვაწი – ღვწა, (25) უ-შენი – შენ(ებ)-ა, (26) უ-წვი [1]– წვა; (27) უ-ჭმი – ჭამა. (28) უ-ჴმარი – ჴმარ(ებ)ა და სხვ.

მაგალითები: რომელმან განაჴმო ზღუაჲ მღელვარჱ უვალი წამის-ყოფითა თჳსითა. Dzlisp. Ghmrt.: Dzl. Ghmrt., OdO, B, ugal, 7.(66), h (HL, 63, 7).

ყოველი სიტყუაჲ უქმი, რომელსა იტყოდიან კაცნი, მისცენ სიტყუაჲ მისთჳს დღესა მას საშჯელისასა. Tetraevangelium (redactio praeathonensis): NT, Mt., 12, 36.

[1] ცეცხლგამძლე

*უკუეთუ შენ მოჰკუდე, **უშენი** დაშთესა ცასა ქუეშე, ანუ დაიქცენ მთანი საფუძვლითურთ? Biblia Mcxetica: VT, Hiob, (18. 4).*

*და ამისთჳს ქუეყანაჲ **უძრავი** არს და გარდაიქცევის. The Shatberd Codex: Cod.Satb., Greg.Nyss.-Hom.Op., 1, 71, 25 (5v, 145).*

*დღეს განიწმინდების ჴორცი და განიჴსნების **უხილავი** ღმრთეებაჲ. Sinai Polycephalion: Sin.Mr., 13, 74, 19 (70v).*

*და მონაჲ იგი **უჴმარი** განჴადეთ ბნელსა მას გარესკნელსა. Tetraevangelium (e codicibus chanmetico et Adishi): NT, Mt., (25, 30).*

ქართულ სალიტერატურო ენაში დასტურდება ისეთი შემთხვევებიც, როცა **უ-** პრეფიქსიანი ნაზმნარი სახელის (მიმღეობის) ანტონიმური მეწყვილეა არა ზმნური ფუძე, არამედ ზმნა:

*(29) **უ-**ხამსი – ხამ-ს,* იგივე ძველი ქართულის ფორმა *ჴამს „საჭიროა“, (30) **უ-**ვიცი – ვიცი* (ჯორბენაძე 1984:137); *(31) **უ-**ღირს-ი – ღირს-ი* ფორმათა ოპოზიცია წარმოაჩენს, რომ ამოსავალი ფუძე *ღირს-ი* თავად მიმღეობაა, რომელიც პირიანი ფორმისგან მომდინარეობს: ღირ-**ს** → ღირს-**ი** (შანიძე 1980:582).

როგორც ზმნური ფუძეებით წარმოქმნილი მაგალითები გვიჩვენებს, **უ-** პრეფიქსიანი ანტონიმური მიმღეობა ეყრდნობა აწმყოს ფუძეს და ქმნის ბუნებრივ ფორმებს. ცალკეულ შემთხვევაში გამოყენებული მეორე სერიის ფუძისგან შეიძლება შეიქმნას მხოლოდ პოეტური ენისთვის დამახასიათებელი ლექსემები; მაგალითად,

*(32) **უ-**რგ-ი ← ა-რგ-ო* (ნამყო ძირითადი), შდრ.: *უ-რგებ-ი ← რგ-ებ-ს* (აწმყო) (ჯორბენაძე 1984:138)[1].

[1] ***ურგი*** დასტურდება დ. გურამიშვილისა და ა. აბაშელის პოეტურ ტექსტებში: *„შენი კარგი სილამაზე არს ჩემთვის **ურგი**“* (დ. გურამ.); *„რად გინდა გული მგზნებარი, თუ ქვეყნისათვის **ურგი** ხარ“* (ა. აბაშ.) (ჯორბენაძე 1984:138).

სალიტერატურო ენის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე სახელური (ან ზმნური) ფუძით წარმოქმნილი ოდენ უ- პრეფიქსიანი მოდელი პრეფიქს-სუფიქსიანმა ჩაანაცვლა, რამაც ხელი შეუწყო მხოლოდ უ- თავსართით მარკირებულ ფორმათა რაოდენობის თანდათან შემცირებას. **-არ, -ურ, -ელ** სუფიქსებით გაფორმებულმა **სახელურმა ფუძეებმა** ფორმასთან ერთად შინაარსიც შეიცვალეს: *(33) უ-შიშ-ი – უ-შიშ-არ-ი, (34) უ-შურ-ი – უ-შურვ-ელ-ი* და სხვ.

ზმნური ფუძეებით წარმოქმნილმა უ- პრეფიქსიანმა მიმღეობებმა დროთა განმავლობაში შეიცვალეს საყრდენი ფუძე **-ელ, -არ** სუფიქსური დანამატით (ჩიქობავა 1982:8) და ზმნისწინის დართვით, რომლის შედეგად გაჩნდა იმავე მნიშვნელობის ახალი ფორმები:

(35) უ-წერ-ი – და-უ-წერ-ელ-ი, (36) უ-ტეხი – გა-უ-ტეხ-ელ-ი, (37) უ-ხატავი – და-უ-ხატვ-ელ-ი, (38) უ-ნახავი – და-უ-ნახვ-ელ-ი (resp. დაუნახავი), (39) უ-კლები – და-უ-კლებ-ელ-ი, (39) უ-ვალ-ი – გა-უ-ვლ-ელ-ი, (40) უ-დებ-ი – და-უ-დებ-ელ-ი,(41) უ-ჭმ-ი – შე-უ-ჭმ-ელ-ი, (42) უ-პობ-ი – გა-უ-პობ-ელ-ი, (43) უ-ჩინ-ი – უ-ჩინ-არ-ი და სხვ.

ქართული ენის დიალექტებში, არასალიტერატურო ქართველურ ენებში სახელური ან ზმნური ფუძის მქონე მხოლოდ უ-პრეფიქსიანი **უარყოფის სახელები** იშვიათად, მაგრამ მაინც დასტურდება; კერძოდ: (*44) უ-მქი* (resp. თავისუფალი), შდრ.: მეგრ. *(45) უ-ქვი* „უქმე / უქმი“ (იხ. ქართ. ქმნა, მეგრ. ქიმინუა); ლაზ. *(46) უ-ონჯღოდანი* „მოურიდებელი“ (შდრ.: ონჯღოდანი „მორცხვი“, „მორიდებული“); სვან. *(47) უ-თოლ* „უტვინო, უჭკუო“ (შდრ.: ლეჩ-თუშელ „ტვინიანი, ჭკვიანი“); *(48) უ-ძუ̈რ* „არაიშვიათი, არაძვირი“ (შდრ.:*ძუ̈რ* „იშვიათი, ძვირი“); *(49) უ-მარჯუ̈* „არამარჯვე, მოუხერხებელი რამ, ფეხსაცმელი, ნივთი...“ (შდრ.: მა̈რჯუ̈ „მარჯვე, მოხერხებული რამ“); *(50)*

უ-ბა̈დუ̈ „უბედური“ (შდრ.: ბედნია̈რ „ბედნიერი“). ზოგიერთ სვანურ ფორმასთან აუსლაუტის უ̈-ს შესახებ იხ. *შესავალი:* §4.4; თ. I: §1.9.

უ- პრეფიქსიან ანტონიმურ ლექსემებს შორის ყურადღებას იქცევს სიტყვა-ფორმა ***უ-ხეში*** არა მხოლოდ იმით, რომ რამდენიმე მნიშვნელობა მოეპოვება[1], არამედ იმითაც, რომ მის საპირისპირო დადებით ფორმად შეიძლება ვივარაუდოთ მხოლოდ დიალექტებში დადასტურებული და სალიტერატურო ენისთვის უცნობი ზმნური ფუძეები:

• *ხეშვა – 1. ტყავის დამუშავება* (კახური); 2. *მოხეშვა, მორჯულება* (იმერული), შდრ.: მეგრ. *გრეშუა* „გაწვრთნა“ :

(51) ბაღანა ძღაბი დუ მიცონესი დო ოჯახიქ *მოგრეშუ* მუშ ჭკუაშა (ექსპ. მასალები) „ძალიან ახალგაზრდა / „ბავშვი“ გოგო იყო, რომ მოიყვანეს და ოჯახმა *გაწვრთნა (გამოზარდა)* თავის ჭკუაზე“.

ამრიგად, ***უ-ხეში მოხეშვა*** ზმნის **უკუთქმით მიმღეობად** შეიძლება მივიჩნიოთ; შდრ.: **უ**-დრეკი – მოდრეკა, **უ**-რჩი – მორჩილი (ჭუმბურიძე 1995:105).

ქართველურ ენებში ოდენ **უ-** პრეფიქსიანი სახელების ფორმობრივი და შინაარსობრივი ცვლილება კარგად ჩანს კონფიქსური წარმოების ანალიზის დროს (იხ. თ. I: §1.4; 1.7; 1.9); თუმცა **უ-** პრეფიქსის ამოსავალი მნიშვნელობა ზოგჯერ უქონლობის კონფიქსიან სახელებშიც შეიძლება იყოს შენარჩუნებული; ამ თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს „ბავშვთა მეტყველება“; ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით, უქონლობის **უ- – -ო** კონფიქსიან სახელებში ბავშვები სწორედ **უ**-ზე აკეთებენ აქცენტს, როგორც უარყოფის გამომხატველ პრეფიქსზე.

[1] ა. რაც ნაზი არ არის, მოუქნელი, მოუხეშავი, ხეშეში; ბ. დიდი და ტლანქი; გ. უდიერი, თავხედური, უტიფარი (მოქმედება) (ქეგლ-ი).

„ბავშვთა მეტყველების“ ნიმუშები:

(52) ჩემი დისშვილი (3 წლის მარიამი) წვნიანის შეთავაზებისას ამბობდა: „უმშიერო ვარ მე“; უ-ს წარმოთქვამდა გრძლად, ინტონაციური მახვილით (მ. ლომიას მასალებიდან).

(53) მეგობრის შვილს (2 წლის მიხოს) ჰკითხეს, ლუკა ჩანთით იყო თუ უჩანთოდ? მან უპასუხა: **უ** (ნ. ჭუმბურიძის მასალებიდან).

მოხმობილი მაგალითებიდან ჩანს, რომ „ბავშვის ენაში“, რომელიც სპეციფიკური მოვლენაა და რომლის თვისებაა ენობრივი შესაძლებლობების, ენისათვის დამახასიათებელი თავისებურებების წარმოჩენა, ნათლად აისახება, რომ უარყოფის მარკერი სწორედ **უ-** პრეფიქსია („ბავშვთა მეტყველებაში“ უქონლობა-უარყოფის გამომხატველი ფორმების ანალიზისთვის იხ. ჭუმბურიძე 1999:122-126)[1].

1.2. ოდენ უ- პრეფიქსიანი ცალეული ლექსემები და მარკერის გამოყოფის მეთოდოლოგიური საფუძვლები

ძველსა და ახალ ქართულში დასტურდება **უ- პრეფიქსიანი** უარყოფითი სახელები: *(1) **უ-ბირ-ი** (= უვიცი), (2) **უ-დიერ-ი** (= მოურიდებელი, მოძალადე), (3) **უ-კმეხ-ი** (= მოურიდებელი, უხეში), (4) **უ-სიერი** (= დაბურული), (5) **უ-ღრანი** (= გაუვალი), (6) **უ-შვერი** (= უხამსი), (7) **უ-წმაწური** (= უხამსი), (8) **უ-ხიაგ-ი** (=თავნება)*, რომელთა სპეციფიკურობა ის არის, რომ **ცალკეულ ლექსემებად** არიან წარმოდგენილი და ანტონიმური სიტყვაწარმოებისთვის დამახასიათებელი საპირისპირო დადებითი ფორმა არ მოეპოვებათ; უფრო ზუსტად, საპირისპირო დადე-

[1] ემპირიული მასალა სრულად იხ. დანართი №1-ში.

ბით ფორმად საგულვებელი სიტყვა-ფორმები სემანტიკურად ბუნდოვანია და დამოუკიდებლად არ გამოიყენება. მაგალითისთვის ავიღოთ: უ-ბირ-ი (უვიცი, უმეცარი, უსწავლელი), შდრ.: საყრდენი ფუძე *ბირ-ი, რომელიც მნიშვნელობისაგან დაცლილია; ამგვარი ვითარება აძნელებს ამ ტიპის სახელთა სეგმენტებად დაშლასა და სტრუქტურულ ანალიზს. უ- პრეფიქსის გამოყოფისა და უარყოფის მარკერად კვალიფიცირების სისწორეს მთლიანი სიტყვის სემანტიკაც ადასტურებს, მაგრამ წინააღმდეგობას ქმნის საანალიზო ლექსემის მეორე ნაწილი, რომელიც კონკრეტულ სემანტიკურ მნიშვნელობას მოკლებულია. წინააღმდეგობის მოხსნა და ამ საკითხის დადებითად გადაჭრა შესაძლებელია **კვადრატის მეთოდის** გამოყენებით, რომელიც სიტყვის მორფემებად დაშლის ერთ-ერთი ხერხია. ამ მეთოდის გამოყენების საჭიროება განსაკუთრებით იჩენს თავს ზემოაღნიშნულის მსგავსი ენობრივი მონაცემების ანალიზის დროს.

კვადრატის მეთოდით სიტყვის მორფებად სეგმენტაციის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები დაწვრილებით არის მიმოხილული „თეორიული ენათმეცნიერების კურსში“ (გამყრელიძე და სხვები 2008:228-242): სიტყვა რომ დაიშალოს მორფემებად, აუცილებელია მივიღოთ კვადრატი. კვადრატი სანდო საფუძველია მორფთა გამოყოფისთვის, მაგრამ ეს პირობა ძალიან მკაცრია და ხშირ შემთხვევაში ვერ სრულდება; ამიტომ სიტყვის მორფებად დაშლის ფარგლების გაფართოება შესაძლებელია კვადრატის მოდიფიცირების გზით. ეს უშვებს, რომ მორფებად დაშლილმა სიტყვამ კვადრატი თუ ვერა, სამკუთხედი მაინც მოგვცეს, რომლის გავრცობა სრულ კვადრატამდე შესაძლებელია პარალელური ფორმების მოშველიებით. დასახელებულ ნაშრომში განხილულია „*უ-ბირ-ი*“ ტიპის ლექსემათა მორფოლოგიური ანალიზის პრინციპები *დედამთილი, მამამთილი* ფორმების მიხედვით. *დედამთილი, მამამთილი* რთული სახელებია, რომელთა I კომპონენტები (**დედა,**

მამა) კონკრეტული სემანტიკის მქონეა და მათი გამოყოფა ეჭვს არ იწვევს; თუმცა რჩება **-მთილ** სეგმენტი, რომლის მნიშვნელობა გაურკვეველია; მიუხედავად ამისა, მისი გამოყოფა შესაძლებელია, რადგან მის მარცხნივ და მარჯვნივ (**დედა**-მთილი, დედა-მთილ-**მა**) გამოიყოფა კონკრეტული მნიშვნელობისა და ჩანაცვლების უნარის მქონე მორფები. ტიპოლოგიურად ამ ფორმათა მსგავსია *უ-ბირ-ი*, *უ-დიერ-ი*, *უ-ხიაგ-ი* და მისთ. ლექსემებიც, რომელთა შემადგენელი სეგმენტები ქმნიან სამკუთხედს, რომლის გავრცობა სრულ კვადრატამდე შესაძლებელია; შესაბამისად, *-მთილ*-ის მსგავსად შეიძლება გამოიყოს *ბირ, *დიერ, *ხიაგ... სეგმენტები და მიეცეთ მათ მორფის კვალიფიკაცია[1].

1.3. სუფიქსთა გენეზისისა და ფუნქციის საკითხები

საენათმეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია, რომ კონფიქსური წარმოების დროს თავსართი და ბოლოსართი წარმოშობით სხვადასხვა ფუნქციის აფიქსებს წარმოადგენენ: „სადაც ორი აფიქსია გამოყენებული ერთი ფუნქციით, იქ ისტორიულად ორი ფუნქცია უნდა ვივარაუდოთ. პრეფიქს-სუფიქსიანი წარმოების შემთხვევაში გასარკვევია, რა ეკისრება სუფიქსს, რა როლს ასრულებს პრეფიქსი“ (ჩიქობავა 1942:127). ქართულში წარმოქმნილ სახელთა რამდენიმე ჯგუფში **ამოსავლად მიჩნეულია ოდენ პრეფიქსით ნაწარმოები ფორმები**; მათ შორის დასახელებულია **უქონლობის სახელებიც** (ბერიძე 1959:137; ლომთათიძე 1966:35-36; გოგოლაშვილი 1970:42-50), რომელთა ოდენ-

[1] მსგავსი დასკვნები ჩამოყალიბებულია საბაკალავრო ნაშრომშიც, რომელშიც *ფორმათა კვადრატის მიხედვით* განხილულია ამ ჯგუფის უქონლობის სახელები ქართულ ენაში (გოგოჩაშვილი 2016).

პრეფიქსული წარმოება **უ-** პრეფიქსითაა გამოხატული[1], ხოლო შემდგომ გაჩენილი ბოლოსართები წარმოშობით სხვადასხვა ფუნქციის მქონე აფიქსებს უნდა წარმოადგენდნენ (ტუსკია 2004:61).

ერთი სემანტიკის სიტყვაწარმოებით მოდელებს თუკი პრეფიქსი საერთო აქვთ, უდავოა, რომ ამ სემანტიკური ჯგუფისთვის პრეფიქსის როლი განმსაზღვრელია; ქართველურ ენებში **უ-** პრეფიქსი დამოუკიდებლადაც აწარმოებს უარყოფა-უქონლობას და სუფიქსებთან ერთადაც; ამიტომაც, კონფიქსის შემადგენელ სეგმენტებს შორის უარყოფის მაჩვენებელია პრეფიქსი **უ-**, ხოლო სუფიქსების დანიშნულება საკვლევია: „უარყოფით ფორმათა გაანალიზებისას **საჭიროა სუფიქსთა როლის კვლევა**“ (ტუსკია 2004:201). ქართულში **უ-** პრეფიქსთან ერთად უარყოფა-უქონლობას აწარმოებენ სუფიქსები: **-ო, -არ, -ურ,** რომლებიც სახელთა ფუძის უძველესი მაწარმოებლებია და ისტორიულად სხვადასხვა სემანტიკას გამოხატავდნენ; კერძოდ: წარმომავლობას, თვისების მქონებლობას, კრებითობას (დაწვრილებით იხ. შანიძე 1956; ოსიძე 1958; ლომთათიძე 1982; ლოლაძე 1983; ტუსკია 2004); შესაბამისად, ცალკე აღებულ ამ სუფიქსებს უარყოფა-უქონლობასთან არაფერი აქვთ საერთო, მაგრამ თანამედროვე ქართულში ამ შინაარსის გამოხატვა **უ-** პრეფიქსთან ერთად შეუძლიათ და აღნიშნული ჯგუფის სემანტიკურ მრავალფეროვნებასა და დიფერენციაციას განსაზღვრავენ.

-ო სუფიქსი **-ე**-საგან მიღებულად მიიჩნევა სხვა აფიქსთა ანალოგიური სახეცვლილების გათვალისწინებით, შდრ.: სა- – -ე → სა- – -ო (დაწვრილებით იხ. ოსიძე 1958:5; ტუსკია 2004:201-202). **-არ** სუფიქსი გამოხატავდა ქონებას (თვისებას) ან წარმომავლობას. ძველ ქართულში დადასტურებული წარმომავლობის სემან-

[1] ოდენ **უ-** პრეფიქსიან სახელთა ანალიზი იხ. თ. I: § 1.1; 1.2.

ტიკის **-არ** მიჩნეულია ზანიზმად (შანიძე 1956:28-32; ტუსკია 2004:194, 202-203). **-ელ** სუფიქსი, რომელიც უარყოფით ნაზმნარ ფუძეებთან (მიმღეობებთან) დასტურდება, ისტორიულად „მიმდევრობასა და მოსაქმეობაზე მიუთითებს“ (ტუსკია 2004:206).

-ურ სუფიქსის გენეზისთან დაკავშირებით საყურადღებო მოსაზრება აქვთ გამოთქმული თ. გამყრელიძესა და გ. მაჭავარიანს. მათი აზრით, -ურ სუფიქსი ისტორიულად ორი – *-ე უ და *-ერ სუფიქსის კომბინაციით არის მიღებული. ძაღ-უ-ერ-ი ფორმა, რომელიც ნიშნავს „მრუშ მამაკაცს“, ეტიმოლოგიურად „ძაღლურს, ძაღლის თვისების მქონეს“, ნაწარმოებია **-ძაღ-** ძირისაგან (-ძაღ-ლ-) ორი სუფიქსის დართვით: *-ეუ (ნულ საფეხურზე) და *-ერ (ნორმალურ საფეხურზე). მისი უარყოფითი ფორმა იქნებოდა *უ-ძაღლ-უ-ერ; ასევე: *მად-უ-ერ – *უ-მად-უ-ერ; *ჯამ-უ-ერ – უ-ჯამ-უ-ერ. გარკვეულ პირობებში (სრულსაფეხურიანი ბრუნვის ნიშნის დართვისას) -ერ სუფიქსი ნულ საფეხურზე გადავიდოდა და, შესაბამისად, წინამავალი სუფიქსისეული /*უ/ სონანტი მარცვლოვანი [უ] ალოფონის სახეს მიიღებდა. აქედან, ნულ-საფეხურიანი ფორმა ანალოგიით უნდა გავრცელებულიყო მთელს პარადიგმაზე. მოგვიანებით, **-უ** და **-რ** ელემენტები მთლიან დაუშლელ **-ურ** სუფიქსურ მორფემად იქცა და დაიწყო ფუნქციონირება, როგორც დამოუკიდებელმა სუფიქსმა, რომელიც განსაკუთრებით პროდუქტიული გახდა ახალ ქართულში (გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965:298-299).

-ურ სუფიქსს გამოკვეთილი სიტყვაწარმოებითი ფუნქცია აქვს. **წარმომვლობა-სადაურობის** გარდა, იგი გამოხატავს **თვისებას** სათანადო საგანთან მიმართებით: კაც-ურ-ი, ქალ-ურ-ი, მგლ-ურ-ი, მხეც-ურ-ი... (შანიძე 1973:128). ეს ფუნქცია თავს იჩენს უქონლობის უ- – -ურ კონფიქსით წარმოების დროსაც (ლოლაძე 1983:23). როგორც მ. ტუსკია აღნიშნავს, უ-ცნა-ურ-, უ-თა/ვ/-ურ- ფორმებში უქონლობას მხოლოდ უ- გამოხატავს,

-ურ კი საპირისპირო – დადებითი სემანტიკის ფორმაშიც რჩება, შდრ.: სა-ცნა-ურ-ი, მე-თა/ვ/-ურ-ი, თა/ვ/-ურ-ი (ტუსკია 2004:61).

-ურ მაწარმოებელი, ქართულის მსგავსად, კონფიქსის შემადგენელი ნაწილია მეგრულშიც (უ-ხუჯ-ურ-ი „უხერხული“ და სხვ.); გარდა ამისა, მეგრულში -ურ მარცვლის შემცველი რამდენიმე ლექსიკური ერთეული (ჩხურუ „სიცივე“, ცურუ „ყრუ“) უარყოფითი სემანტიკისაა. სვანურში სინქრონიულ დონეზე ოდენ -ურ სუფიქსი დასტურდება უქონლობის მაწარმოებელ აფიქსებს შორის[1]. ამ ფაქტების მიხედვით, ვ. თოფურია -ურ ბოლოსართს განიხილავდა უქონლობის საერთო-ქართველურ სუფიქსად (თოფურია 1940; თოფურია 1979), თუმცა ამ მოსაზრებას არ ადასტურებს აღნიშნული სუფიქსის გენეზისი. სვანურში -ურ სუფიქსიანი ფორმები *„გარეშე“-ს* სემანტიკას უფრო შეესაბამება და, შეიძლება ითქვას, საანალიზო ფორმანტი ძირითადად ზმნისართული ფუნქციისაა. ამგვარი ენობრივი ფაქტი ამყარებს მოსაზრებას სვანურში -ურ სუფიქსის თანდებულოვანი წარმოშობის ელემენტად მიჩნევის შესახებ (აბესაძე 1972).

ქართველურ ენათა ცალკეულ ლექსემებში **უარყოფის სემანტიკას გამოხატავს ოდენ -ა სუფიქსიც**. ქართული -ა სუფიქსი, როგორც უარყოფითობის მაწარმოებელი, შეესატყვისება სვანურ -ა სუფიქსს (ფენრიხი, სარჯველაძე 1990:30); ფორმალურ-სემანტიკური შესატყვისობის მაგალითებია: ქართ. კუდ-ა– სვან. კუდ-ა̈-ჲ „უკუდო“, ქართ. ფეხ-ა– სვან. კ̇უარჩხ-ა̈-ჲ „კოჭლი“ (ეტიმოლოგიურად: „უფეხო“ / „ფეხის არმქონე“); -ა ბოლოსართი ამავე ფუნქციით დასტურდება მეგრულშიც; კერძოდ, ი. ყიფშიძე ცუჯ-ა ფორმის ორ მნიშვნელობას ასახელებს: 1. „ყურიანი“, 2. „*უყურო*“, გადატ. *ყრუ, გაუგონარი* (Кипшидзе

[1] მეგრულსა და სვანურში უქონლობის სახელთა ფორმაწარმოება და სემანტიკური ვარიაციები დაწვრილებით განხილულია თ. I: §1.2; 1.4.

1914:422-423, იხ. ცუჯი „ყური“). მიუხედავად ამ მონაცემებისა, მაგალითების სიმცირე, ცხადია, გამორიცხავს უქონლობის -ა სუფიქსიანი მოდელის სისტემურობას უარყოფის გამოსახატავად; როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, უქონლ.ბის გამოხატვა -ა სუფიქსისთვის მეორეულია (ტუსკია 2004:35); -ა სუფიქსის ძირითადი ფუნქცია ქონების, კნინობით-ალერსობითი, თვისებისა და მსგავსების სემანტიკის სახელთა წარმოებაა (დაწვრ. იხ. მანჯგალაძე 1956:171; შანიძე 1973:121-122,125; პაპიძე 1974:50). დასახელებულ მნიშვნელობათაგან ყველაზე ახლოს უქონლობასთან, ცხადია, კნინობითის შინაარსი დგას და სემანტიკური გადაწევა, როგორც ჩანს, სწორედ კნინობითის შინაარსის მოდიფიკაციით გახდა შესაძლებელი: *კუდ-ა → პატარა კუდიანი → კუდის უქონელი* (ტუსკია 2004:35).

1.4. კონფიქსური ფორმაწარმოება და სემანტიკური დიფერენციაცია ქართულ სალიტერატურო ენაში

ძველ ქართულ ენაში[1] დასტურდება უქონლობის სემანტიკის სახელები, რომლებიც წარმოდგენილია სახელურ ფუძეებსა თუ ნაზმნარ სახელებზე სხვადასხვა აფიქსის დართვით:

უ- – -ო:

(1) და თჳსი მჴევალი იჩემა დედად, რომელი იყო არსებით უდედო და მოღუაწებით **უმამო**. Sinai Polycephalion: Sin.Mr., 6, 42, 4 (42r).

(2) არამედ ვარდი იგი იყო **უეკლო** და უკუანაჲსკნელ შეეყო ეკალი ბუდესა თანა ყუავილისასა. Basilius Magnus, Hexaemeron: Bas.Caes., Hexaem., 5, 69, 30 (25R, 24R).

[1] ძველი ქართული ენის მასალა დამოწმებულია TITUS-ის მონაცემთა ელექტრონული ბაზის მიხედვით; სრულად იხ. დანართი №2-ში.

(3) ბუნებაჲ ჴორცთაჲ მათ **უთმინო** არს. Udabnos Mravaltavi: Ud.Mr., Joh.Chrys.Jej.Jon., 12, 5 (55r, 128, 34).

უ- – -ურ/-ულ:

(4) კუალად ვიტყჳ: ნუ ვინმე **უგუნურად** შემრაცხოს მე, უკუეთუ არა, მაშა ვითარცა **უგუნური** თავს-მიდევით მე, რაჲთა მეცა მცირედ რაჲმე ვიქადო. Epistulae Pauli georgice (CD): NT, 2.Kor., 11, 16 , 10.

(5) წულილი და თხელი **უფერული** ბუნებაჲ ჰაერისაჲ, მიზეზი ცხოველთა აღმოფშჳნვისა. Major Nomocanon: Nomoc.Mai., Col. (555, 9, 248r).

უ- – -ელ:

(6) არა შჭამოთ მისგანი **უგბოლველი**, არცა მგბარი წყლითა. Vetus Testamentum iberice: codd. Oshki & Jerusalem: VT, Ex., 12, 9 (88r).

უ- – -არ:

(7) **უპოვარი** ვიყო, ვიპარო და ცილი ვფუცო სახელსა ღმრთისა ჩემისასა. Lectionarium Hierosolymitanum georgice: Pericopae VT: Lect.Par., VT, Prov., 30, 9 (124V).

თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში[1] სახელთა უქონლობა სისტემურად ორი კონფიქსით იწარმოება: ესენია: **უ- – -ურ, უ- – -ო**. ა. შანიძის აზრით, ეს ორი მაწარმოებელი წარმოშობით ერთია, მაგრამ მათი გამოყენება ქართული სალიტერატურო ენის ხაზით განსხვავებულია ქრონოლოგიურად: უფრო ძველია **უ- – -ურ**, მაგრამ ამ წარმოების მაგალითებიდან მხოლოდ ნაშთია მოღწეული; სამაგიეროდ, დღესაც მკვიდრია **უ- – -ო**, რომელიც ამჟამად ერთადერთი მაწარმოებელია უქონ-

[1] მაგალითები დამოწმებულია ქეგლ-ის მიხედვით.

ლობის სახელებისა ახალ სიტყვათა ფუძეებისგან (შანიძე 1980:125).

➢ **უ- – -ურ კონფიქსიანი წარმოება**

უ- – -ურ აწარმოებს უქონლობის სახელებს მეტწილად არსებით სახელთა ფუძისაგან, იშვიათად – ზედსართავებისაგანაც; თვით წარმოქმნილი სახელები კი, ორიოდე გამონაკლისის გარდა, ზედსართავებია და, შესაბამისად, გამოხატავენ **საგნის თვისების უქონლობას**: (8) **უ-ბედ-ურ-ი**, (9) **უ-გემ-ურ-ი**, (10) **უ-მად-ურ-ი**, (11) **უ-მწყემს-ურ-ი**, (12) **უ-ნეს-ურ-ი**, (13) **უ-წიგნ-ურ-ი**, (14) **უ-ყმ-ურ-ი**, (15) **უ-ძლ-ურ-ი**, (16) **უ-დაბ-ურ-ი**, (17) **უ-წმინდ-ურ-ი**, (18) **უ-დღე-ურ-ი**, (19) **უ-ზნე-ურ-ი**, (20) **უ-საქმ-ურ-ი**, (21) **უ-სახ-ურ-ი**, (22) **უ-სუს-ურ-ი**, (23) **უ-ძუძ-ურ-ი** და სხვ.

წარმოშობით ზედსართავებია, მაგრამ არსებითად არის ქცეული *უყმური, უფსკრული* ფორმები (შანიძე 1980:125).

➢ **ფონეტიკური პროცესები უ- – -ურ კონფიქსიანი უქონლობის სახელთა წარმოებისას**

უ- – -ურ კონფიქსიანი უქონლობის ცალკეულ სახელთა წარმოებისას სხვადასხვა სახის ფონეტიკური პროცესი იჩენს თავს; კერძოდ, ესენია: ასიმილაცია, დისიმილაცია, რედუქცია, ბგერის დაკარგვა და სხვ.

გონ- ფუძისაგან მიღებული გვაქვს, ერთი მხრივ, (24) **უ-გუნ-ურ-ი** *ო* → **უ** ასიმილაციით, ხოლო მეორე მხრივ, (25) **უ-გნ-ურ-ი**, „ო“ ხმოვნის რედუქციით (შანიძე 1980:126). ფუძისეული **ა** რედუცირებულია სახელებში: (26) **უ-ყმ-ურ-ი** (← *უ-ყამ-ურ-ი), (27) **უ-ძლ-ურ-ი** (← *უ-ძალ-ურ-ი). *სასო-*'საგან **ა** → **უ** ხმოვანთა ასიმილაციით და ბოლოკიდური „ო“ ხმოვნის კვეცით არის მიღებული (28) **უ-სუს-ურ-ი**. *ამო* და *გემო* ფორმებისგან ბოლოკიდური **-ო**-ს მოკვეცით მიიღება (29) **უ-ამ-ურ-ი** და (30) **უ-გემ-ურ-ი** ფორმები. ფუძისეული ბოლოკიდური **ა** და **ე** ხმოვ-

ნები იკვეცება წარმოქმნილ ლექსემებში: (31) **უ-დაბ-ურ-**ი, (32) **უ-წმინდ-ურ-**ი, (33) **უ-საქმ-ურ-**ი, (34) **უ-სახ-ურ-**ი.

***შენიშვნა 1**: ერთმარცვლიან სახელებში პირიქითი პროცესიც შეიძლება განხორციელდეს და ფუძისეული **ე** შენარჩუნდეს: **უ-დღე-ურ-**ი, **უ-ზნე-ურ-**ი.*

***შენიშვნა 2**: ზემოაღნიშნული ორი ტიპის პროცესის გათვალისწინებით, ცალსახად ძნელი სათქმელია, **უ-ძუძ-ურ-**ში ფუძისეული „**უ**“ შენარჩუნებულია თუ მოკვეცილია, თუმცა ბოლოხმოვნიან სახელთა უმრავლესობის ანალოგიით ამ შემთხვევაშიც ფუძისეული „**უ**“ მოკვეცილად შეიძლება ვივარაუდოთ.*

სახელთა წარმოქმნის დროს, ხმოვნების გარდა, შეიძლება დაიკარგოს ფუძისეული თანხმოვანიც; კერძოდ, მოკვეცილია ბოლოკიდური „**ლ**“ თანხმოვანი შემდეგ ლექსემებში: (35) მადლი → **უ-მად-ურ-**ი, (36) კეთილი → **უ-კეთ-ურ-**ი (-ილ მარცვალი, წარმოშობით მაწარმოებელი, დაკარგულია), (37) ჯამლი → **უ-ჯამ-ურ-**ი (ძვ. ქართული). დაკარგულია ფუძის ბოლოკიდური **ვ**, როცა მას წინ ხმოვანი უძღვის: (38) **უ-თავ-ურ-**ი → **უ-თა-ურ-**ი.

უფსკრული ყურადღებას იქცევს იმით, რომ მასში რედუცირებულია ფუძისეული **ე**, ამასთანავე, ფუძისეული **რ-ს** გავლენით სუფიქსში ხდება დისიმილაცია: -ურ → -ულ. ორი განსხვავებული ფონეტიკური პროცესი აღნიშნულ ლექსემაში ასე აისახება: (39) *უ-ფსკერ-ურ-ი → *უ-ფსკრ-ურ-ი → **უ-ფსკრ-ულ-**ი.

დისიმილაციით არის მიღებული: (40) **უ-ფერ-ულ-**ი (← *უ-ფერ-ურ-ი), (41) **უ-წვერ-ულ-**ი (← *უ-წვერ-ურ-ი), (42) **უ-ხერხ-ულ-**ი (←*უ-ხერხ-ურ-ი) ფორმებიც. დისიმილაციით და ბგერის გაჩენით არის მიღებული ძველი ქართული ფორმა (43) **უ-კაც-რ-ულ-**ი, შდრ.: **უ-კაც-ურ-**ი. *ურწყული*-ც დისიმილაციის გზით ჩანს მიღებული, ოღონდ აქ ფუძისეული **ლ** გადასულია **რ**-ში, რასაც

ზედ დართვია მეტათეზისიც: (44) უ-წყლ-ურ-ი → უ-წყრ-ულ-ი → უ-რწყ-ულ-ი.

➢ **უ- – -ო კონფიქსიანი ნარმოება**

უ- – -ო კონფიქსი თანამედროვე ქართულში გაცილებით ფართოდ არის გავრცელებული, ვიდრე უ- – -ურ. უ- – -ო, განსხვავებით უ- – -ურ-ისაგან, დაერთვის როგორც უსულო, ასევე სულიერ სახელებს; შესაბამისად, შეუძლია გამოხატოს საგნის უქონლობაც და უყოლობაც: (45) უ-ზად-ო, (46) უ-მთვარ-ო, (47) უ-მისამართ-ო, (48) უ-ტყე-ო, (49) უ-ძელ-ო, (50) უ-დედ-ო, (51) უ-შვილ-ო, (52) უ-ძაღლ-ო და სხვ.

უ- – -ო, მარტივფუძიანი სახელების გარდა, აწარმოებს უქონლობის სახელს კომპოზიტებისგანაც: (53) უ-გვარტომ-ო, (54) უ-თვისტომ-ო, (55) უ-ცოლშვილ-ო, (56) უ-ქმარშვილ-ო, (57) უ-შვილძირ-ო, (58) უ-სულგულ-ო, (59) უ-ადგილმამულ-ო, (60) უ-პასუხისმგებლ-ო, (61) უ-ჭირნახულ-ო, (62) უ-ცხვირპირ-ო, (63) უ-წვერულვაშ-ო, (64) უ-გულისყურ-ო, (65) უ-ყურადღებ-ო, (66) უ-შინაარს-ო, (67) უ-ქვემდებარ-ო, (68) უ-თანდებულ-ო, (69) უ-კმაყოფილ-ო და ა. შ.

➢ **უ- – -ო და უ- – -ურ კონფიქსების ურთიერთმიმართების საკითხი**

უ- – -ო და **უ- – -ურ** კონფიქსები ერთი ფუძისაგან წარმოქმნილ სახელებს ზოგჯერ **განასხვავებენ მნიშვნელობის მიხედვით** და ქმნიან მათ შორის სემანტიკური დიფერენციაციის საფუძველს; მაგალითად,

წიგნი → უ-წიგნ-ურ-ი (თვისობრივი უარყოფა-უქონლობა) და უ-წიგნ-ო (მატერიალური უარყოფა-უქონლობა) (იხ. ჯორბენაძე 1984:139).

სასო → უსასო „უიმედო“, უსუსური „სუსტი“, „უძლური“; სახე →უსახო „სადა“, „უფორმო“ და უსახური „უშნო“, „ულამაზო“ (ჭუმბურიძე 2009:284).

უ- – -ო კონფიქსის **პროდუქტიულობას უ- – -ურ**-თან შედარებით **ზრდის ისიც**, რომ, სახელური ფუძეების გარდა, დაერთვის უდეტრებსაც; მაგალითად, კავშირს: (70) **უ-თუ-ო**, თანდებულს: (71) **უ-ებრ-ო**; მისი პარალელური ფორმაა **უ-ებარ-ი**, რომელიც, როგორც ა. შანიძე აღნიშნავს, ნაწარმოებია *უწყინარ*-ისა და სხვა მსგავსი **უ- – -არ** კონფიქსიანი სახელების ანალოგით (შანიძე 1980:125). განსაკუთრებით მრავალფეროვანია ზმნისართული მნიშვნელობების გამოხატვა, რაც შეპირობებულია ვითარებით ბრუნვაში მდგარი **უ- – -ო** კონფიქსიანი სახელების საყრდენი ფუძით; თუკი **ფუძე მარტივია,**

ა. კუთვნილებითი ნაცვალსახელით გადმოცემული უარყოფითი ზმნისართი კუთვნილებაზე მეტად პირის ნაცვალსახელის სემანტიკას გამოხატავს: (72) **უ-ჩემ-ო-დ** (= ჩემ გარეშე), (73) **უ-ჩვენ-ო-დ** (= ჩვენ გარეშე), (74) **უ-თქვენ-ო-დ** (= თქვენ გარეშე), (75) **უ-ამის-ო-დ** || **უ-იმის-ო-დ** || **უ-მის-ო-დ** (= ამის / იმის გარეშე)[1].

ბ. შესაძლებელია კუთვნილების ნიუანსის გამოხატვა, თუკი „**ფუძედ** აღებულია **რთული** სახელი“ (შანიძე 1973:147); შდრ.: მანანა ჩიტიშვილის პოეტური ლექსემა *უ-ჩემთვალებ-ო-დ* (= ჩემი თვალების გარეშე) (მ. ჩიტიშვილი, 2020, 81).

სამეცნიერო ლიტერატურაში შენიშნულია, რომ **უ- – -ო** პრეფიქს-სუფიქსით ორშემადგენლიანი უარყოფითი ზედსართავი სახელებისა და ზმნისართების წარმოება დამახასიათებელია თანამედროვე ქართულისთვის (შანიძე 1973:147; სუხიშვილი 1984:175-181) და განსაკუთრებით ხშირად დასტურდება

[1] პირისა და კუთვნილებითი ნაცვალსახელების ფორმობრივ-ფუნქციური კავშირი კანონზომიერია, რადგან მათთვის საზიაროა ნათესაობითი ბრუნვის ფორმა, რომელიც მოცემულ შემთხვევაში უარყოფითი ზმნისართის ფუძეა.

მხატვრულ ტექსტებში[1]. სინთეზური წარმოების ორშემადგენლიანი უარყოფითი ზმნისართები იმითაც არის საყურადღებო, „რომ უარყოფით ანალიზურ წარმოებას ანაცვლებენ[2]: *უსახლკაროდ = სახლ-კარის გარეშე, უამქალოდ = ამ ქალის გარეშე, უამწიგნოდ = ამ წიგნის გარეშე* და სხვ.“ (სუხიშვილი 1984:176-178). სინთეზური წარმოების შედეგად „ახალი სახელი წარმოიშობა, მთელი გამოთქმა ერთ ერთეულად არის მიჩნეული“ (შანიძე 1973:147-148) და „მიუხედავად იმისა, ერთცნებიანია რთული სახელი თუ მეტცნებიანი, მოლაპარაკის მიერ ის გააზრიანდება, როგორც ერთი სახელი“ (სუხიშვილი 1984:180); ამგვარი წარმოება უფრო მოქნილიც ჩანს, რადგან ანალიზური და სინთეზური ფორმების მონაცვლეობა ყოველთვის ვერ ხერხდება და „უარყოფითობის სინთეზური წარმოება გარკვეულ შემთხვევაში ერთადერთი საშუალებაა სათანადო შინაარსის გამოსახატავად“; თუმცა ცალკეულ შემთხვევაში, პირიქით, სინთეზური შეიძლება აღმოჩნდეს მოუქნელი და გაუმართავი სალიტერატურო ენის თვალსაზრისით, მაგალითად, *უთანდებულბრუნვიანი* (იხ. იქვე:180).

➢ ფონეტიკური პროცესები უ- – -ო კონფიქსიანი უქონლობის სახელთა წარმოებისას

უ- – -ო კონფიქსიანი უქონლობის ცალკეულ სახელთა წარმოებისასაც ხორციელდება ასიმილაციის, დისიმილაციის, რედუქციის, ბგერის დაკარგვის გამომხატველი ფონეტიკური პროცესები; განსაკუთრებით ხშირია ხმოვანთა რედუქცია; ა და

[1] ამგვარად წარმოქმნილ სახელთა სია სრულად იხ. დანართი №3-ში.

[2] უარყოფითი ანალიზური წარმოება დამახასიათებელია ძველი ქართულისთვის; მის გადმოსაცემად გამოიყენება თანდებულები: *თჳნიერ, გარეშე, გარნა, გარდა...*; იხ. მარტიროსოვი 1946:240, 244.

ე ხმოვნების რედუქცია დასტურდება როგორც ერთმარცვლიან, ისე ორ და სამმარცვლიან ფუძეებში:

(76) უ-კვლ-ო (← უკვალო)[1], (77) უ-ქმრ-ო (← *უქმარო), (78) უ-წყლ-ო (← *უწყალო), (79) უ-ბადლ-ო (← *უბადალო), (80) უ-ეკლ-ო (← *უეკალო), (81) უ-მარცვლ-ო (← *უმარცვალო), (82) უ-მიზნ-ო (← *უმიზანო), (83) უ-მხრ-ო (← *უმხარო), (84) უ-სახსრ-ო (← *უსახსარო), (85) უ-სიზმრ-ო (← *უსიზმარო), (86) უ-წამლ-ო (← *უწამალო), (87) უ-მეგობრ-ო (← *უმეგობარო), (88) უ-მოსავლ-ო (← *უმოსავალო), (89) უ-ხერხემლ-ო (← *უხერხემალო), (90) უ-აბჯრ-ო (← *უაბჯარო), (91) უ-ბეჭდ-ო (← *უბეჭედო), (92) უ-მზითვ-ო (← *უმზითევო), (93) უ-ღრუბლ-ო (← *უღრუბელო), (94) უწვნო (← *უწვენო) (95) უ-სარგებლ-ო (← *უსარგებელო), (96) უ-საფუძვლ-ო (← *უსაფუძველო) და სხვ. ცალკეული ლექსემები წარმოდგენილია პარალელური ვარიანტებით რედუცირებული და არარედუცირებული ფორმების მიხედვით: (97) უმტვერო || უმტვრო, (98) უმტერო || უმტრო, (99) უღმერთო || უღმრთო || უღვთო [2].

შედარებით იშვიათია, თუმცა წარმოქმნილ ფუძეებშიც ო ხმოვნის ცვლილება ორი სახითაა წარმოდგენილი: 1. რედუცირებულად: (100) უ-მაწვნ-ო (მაწონ- → მაწვნ-) და 2. სრულად შეკუმშულად: (101) უ-ფოთლ-ო (ფოთოლ- → ფოთლ-), (102) უ-საპნ-ო (საპონ- → საპნ-) და სხვ. უქონლობის სახელურ ფუძეში უ ხმოვნის რედუქციაც იშვიათია. თანამედროვე ქართულში *პატივცემულ*-ისაგან წარმოქმნილ პარალელურ ლექსემათაგან

[1] ზმნისართული მნიშვნელობისაა არარედუცირებული ფორმა ვითარებით ბრუნვაში: *უკვალოდ გაქრა.*

[2] უ-ღვთ-ო-ს საფუძვლად უდევს ნათესაობითი ბრუნვის ფორმა *ღვთის*, რომელიც შემდეგი ფონეტიკური ტრანსფორმაციითაა მიღებული: ღმერთის → ღმრთის → ღვთის (შანიძე 1973:96).

ერთ-ერთი სწორედ რედუცირებულია: (103) უ-პატივცემულ-ო || უ-პატივცემლ-ო.

ხმოვანფუძიანი სახელები უ- – -ო კონფიქსის დართვისას უმეტესწილად კარგავენ ფუძის ბოლოკიდურ ხმოვანს. ძირითადად ეს პროცესი ახასიათებს -ა ხმოვანზე დაბოლოებულებს:

(104) უ-ძმ-ო (← *უ-ძმა-ო), (105) უ-ხმ-ო (← *უ-ხმა-ო), (106) უ-თმ-ო (← *უ-თმა-ო), (107) უ-რქ-ო (← *უ-რქა-ო), (108) უ-ფრთ-ო (← *უ-ფრთა-ო), (109) უ-ფხ-ო (← *უ-ფხა-ო), (110) უ-ენ-ო (← *უ-ენა-ო), (111) უ-ვად-ო (← *უ-ვადა-ო), (112) უ-დედ-ო (← *უ-დედა-ო), (113) უ-მამ-ო (←*უ-მამა-ო), (114) უ-ჭკუ-ო (←*უ-ჭკუა-ო), (115) უ-იდე-ო (←*უ-იდეა-ო), (116) უ-ენერგი-ო (←*უ-ენერგია-ო), (117) უ-პრეტენზი-ო (← *უ-პრეტენზია-ო), (118) უ-პერსპექტივ-ო (← *უ-პერსპექტივა-ო), (119) უ-ცერემონი-ო (← *უ-ცერემონია-ო) და მრავალი სხვ.

შენიშვნა 3: *იშვიათად ფუძედ აღებულია თხზული სახელი (კომპოზიტი), რომლის ორივე სახელი ფუძითაა წარმოდგენილი, თუმცა ივარაუდება, რომ უ- – -ო კონფიქსის დართვამ ბოლოკიდური -ა-ს დაკარგვა გამოიწვია: უ-დედმამ-ო (← *უ-დედ-მამა-ო).*

შენიშვნა 4: *გამონაკლისის სახით ზოგ ფუძეში ა შენარჩუნებულია: უ-სუფთა-ო, უ-ბინა-ო და სხვ. დაცულია ფუძის ბოლოკიდური ე ხმოვანიც, ოღონდ მხოლოდ ერთმარცვლიან ფუძეებში: უ-მზე-ო, უ-დღე-ო, უ-ზნე-ო, უ-ტყე-ო, უ-ძე-ო, უ-მწე-ო.*

უ- – -ო კონფიქსის დართვისას ბოლოკიდური -ე ძირითადად იკვეცება ორ და მეტმარცვლიან ფუძეებში:

(120) უ-კიდ-ო (← *უ-კიდე-ო), (121) უ-ზღუდ-ო (← *უ-ზღუდე-ო), (122) უ-საქმ-ო (← *უ-საქმე-ო), (123) უ-ღონ-ო (← *უ-ღონე-ო), (124) უ-მეფ-ო (← *უ-მეფე-ო), (125) უ-სიცხ-ო (← *უ-სიცხე-ო), (126) უ-საფრთხ-ო (← *უ-საფრთხე-ო), (127) უ-მოწყალ-

ო (← *უ-მოწყალე-ო), (128) **უ-სიამ-ო** (← *უ-სიამე-ო)[1], (129) **უ-საუზმ-ო** (← *უ-საუზმე-ო), (130) **უ-სავან-ო** (← *უ-სავანე-ო), (131) **უ-მემკვიდრ-ო** (← *უ-მემკვიდრე-ო).

➢ **ო ხმოვანფუძიან სახელთა თავისებურებანი უ- – -ო კონფიქსით წარმოების დროს**

თავისებური ვითარება გვაქვს **ო** ბოლოხმოვნიან სახელებთან. მათგან ნაწარმოები ზოგი უქონლობის სახელი ბოლოში მხოლოდ ერთ **ო**-ს გვიჩვენებს: (132) **უ-შნო**[2], (133) **უ-ღვინო**, (134) **უ-სამშობლო**, (135) **უ-სახელო** (კაბა) (შდრ.: *უსახელო კაცი, უსახელოდ დარჩა*), (136) **უ-თავბოლო**. თუ არ ჩავთვლით, რომ აქ ფუძისეული **ო** არის მოკვეცილი, მაშინ ეს სახელები ოდენ პრეფიქსული წარმოების იშვიათ ნიმუშებს უნდა მივაკუთვნოთ, შდრ.: **უ-რიცხვ-ი, უ-მსგავს-ი**[3].

ზემოხსენებულთა გვერდით გვხვდება ისეთი ფორმებიც, რომელთა ბოლოში ორივე **ო** დაცულია, ფუძისეულიც და სუფიქსისეულიც:

(137) **უ-დრო-ო**, (138) **უ-ალო-ო**, (139) **უ-ბოლო-ო**, (140) **უ-პალტო-ო**. ეს ორი **ო** ცოცხალ მეტყველებაში ხშირად **ვ** თანხმოვნით არის გამიჯნული: (141) **უ-დრო-ვ-ო**, (142) **უ-პალტო-ვ-ო**, მაგრამ ასეთი ფორმები დღეს არასალიტერატურო ფორმებად მიიჩნევა. როცა **უ- – -ო** კონფიქსი ერთვის **ვ**-ზე დაბოლოებულ სახელებს, აქ კი **ო**-ს წინ ფუძისეული **ვ**-ს დაცვა სავალდებულოდ ითვლება: (143) **უ-თავ-ო**, (139) **უ-დავ-ო**, (144) **უ-სახურავ-**

[1] *უსიამო-ს* პარალელური ფორმაა *უსიამოვნო*, თუმცა განსხვავებულია საყრდენი ფუძეები: **უ-სიამ-ო**-სთვის ამოსავალია სახელური ფუძე „სიამე“, ხოლო **უ-სიამოვნ-ო**-სთვის – ზმნური ფუძე „სიამოვნება“.

[2] *უშნო-ს* საყრდენ ფუძესთან და, შესაბამისად, სემანტიკურ ვარიაციებთან დაკავშირებით განსხვავებული თვალსაზრისების მიმოხილვა იხ. თ. I: §1.1.

[3] ოდენ **უ-** პრეფიქსიანი სახელები, მათ შორის **ო** ხმოვანზე დაბოლოებულები, განხილულია: თ. I: §1.2.

ო, (145) **უ-ფესვ-ო**, (146) **უ-ძარღვ-ო**, (147) **უ-სიტყვ-ო**, (148) **უ-ეჭვ-ო**, (149) **უ-მოტივ-ო**, თუმცა გვხვდება გამონაკლისებიც: (150) **უ-პატი-ო** (იხ. პატივ-ი), (151) **უ-მოძრა-ო** (იხ. მოძრავ-ი).

➢ **უ- – -ო კონფიქსი ზოგ ნასესხებ ფუძესთან**

უ- – -ო კონფიქსი ერთვის ზოგ ნასესხებ ფუძესაც. ამგვარი ფორმები დასტურდება ძველ ქართულში. ერთ-ერთი ძველი ქართულიდან ცნობილი სოციალური ტერმინია **უაზნო**, რომელიც ჯერ კიდევ „შუშანიკის წამებაში“ გვხვდება: *„...აზნაურნი და უაზნონი სოფლისა ქართლისანი მოვიდეს“ (შუშ. XVII, 7)*. **უ-აზნ-ო** ნიშნავს არათავისუფალს, დაბალ სოციალურ საფეხურზე მდგომს. მის საპირისპიროდ, ზემოთ მოყვანილ კონტექსტში წარმოდგენილია დღესაც კარგად ცნობილი და ხშირად ხმარებული სიტყვა „აზნაური“, ნაწარმოები -ურ სუფიქსით ფალაური სიტყვისაგან **აზნა**, რომელიც ცნობილს, წარჩინებულს, კეთილშობილს ნიშნავს (ანდრონიკაშვილი 1965:218-221). ეს სიტყვა ძველ ქართულში უსუფიქსოდაც დასტურდება; მაგალითად, *უკუეთუ* **აზნა** *იყოს, ვიპყრა იგი ჩემდა ცოლად, და უკუეთუ* **მჴევალი** *იყოს, მივეც სასყიდელი მისი და იყოს იგი ჩემდა ხარჭად (Sin-11, 78 v)*. სწორედ ამ ფორმისაგან (ბოლო ხმოვნის მოკვეცით) არის ნაწარმოები **უ-აზნ-ო**. ძველ ქართულში გვხვდება აგრეთვე მისგანვე ნაწარმოები აზნ-ება და სი-აზნ-ე (აბულაძე 1973: 3, 388).

უოხჭნო („დაუბოლოებელი“, „უსასრულო“, გადატან., „უკვდავი“) ძველ ქართულში იშვიათად ხმარებული სიტყვაა. იგი ნაწარმოებია უ- – -ო კონფიქსით **ოხჭან**-ფუძისაგან, რომელიც წარმოშობით სომხურია (Վախճան) და ნიშნავს „ბოლოს“, „დასასრულს“; გვხვდება „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“: *„...**ოხჭანი** ამის ცხორებისაჲ შატბერდს ეგულების სულიერად მამასა მათსა“ („ცხორებაჲ გრიგოლ ხანცთელისაჲ“ ძვ. ქართ. აგიოგრ. ძეგლები, წ. 1, 2020:308)*. ამჟამად ორივე ლექსიკური ერთეული გამქრალია.

უბელო უქონლობის სახელია და ნიშნავს შეუკაზმავ, უუნაგირო ცხენს ან ჯორს. უ- – -ო ამ სიტყვაში აშკარად გამოიყოფა, როგორც უქონლობის მაწარმოებელი კონფიქსი, ხოლო **ბელ-** ძირი ნასესხებია თურქულიდან (bel-); *ბელ-* არის „წელი“; მაშასადამე, **უბელო** ნიშნავს „უწელოს“, ე. ი. „წელ-შეუკაზმავს“, „წელ-შიშველს“ (რუხაძე 1990). *ბელ-* დამოუკიდებლად ქართულში არ გვხვდება, გვაქვს მხოლოდ ზემოხსენებულ უქონლობის სახელში და ზმნაში „დაბელვა“ (ხისა), ე.ი. ხის ტოტების გადაჭრა წელს ზემოთ. *დაბელვა* სწორედ ხის წელში გადაჭრას, წელს ზემოთ გადასხეპვას ნიშნავს. *ბელ-* შედის აგრეთვე კომპოზიტში **ბელ-ყაიშ-**ი, რომელიც გვხვდება გურულ დიალექტში *„ძველებური ტყავის სარტყლის“* მნიშვნელობით. იგი ამ ფორმით მთლიანად ნასესხებია თურქულიდან.

➢ **ერთი კომპოზიტის შედგენილობისათვის ქართულში**

თანამედროვე ქართულში სიტყვა ***უბრყვილო*** შემონახულია მხოლოდ კომპოზიტში ***გულ-უბრყვილო***, მისი ძირეული ფორმა *ბრყვილ-ი* დღეს აღარ გვხვდება, მაგრამ ძველად ის საკმაოდ გავრცელებული სიტყვა ჩანს. ი. აბულაძის ლექსიკონის მიხედვით, *ბრყულ-*ის მნიშვნელობაა „ბლაგვი“, „სუსტი“, *დაბრყულება* – თვალის სინათლის მოკლება, დაბლაგვება, *სიბრყულე* – სიჩლუნგე. საბას განმარტებით, *ბრყვილი* მოსუსტებულს ნიშნავს, დ. ჩუბინაშვილის განმარტებით, არის „შავი ნიშანი, სუსტი, „ჩლუნგი“. მასვე *უბრყვილო* განმარტებული აქვს, როგორც „წმინდა, სუფთა, ბრყვილობა არ მექონი“. ყოველივე ამის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, *უ-ბრყვილ-ო / გულ-უბრყვილ-ო* – ესაა *ბრყვილის* ანუ რაიმე შავი ნიშნის, ხინჯის უქონელი, სუფთა, წმინდა[1].

[1] ცალკეული ლექსიკური ერთეულების მიმოხილვა მოცემულია ნ. ჭუმბურიძის ნაშრომის მიხედვით (ჭუმბურიძე 1995).

➢ **ზოგი უარყოფითი მიმღეობის თავისებურების შესახებ ქართულში**

წარმოშობით უარყოფით მიმღეობებს უნდა წარმოადგენდნენ ისეთი უქონლობის სახელები, როგორებიცაა უ-გბ-ილ-ი, უ-ზმ-ო, უ-მ-ი, უ-ხეშ-ი. ეს პირველ რიგში ითქმის *უგბილ*-ის შესახებ, რომელსაც საბა ასე განმარტავს: „თჳს ჭკუაზედ დაჟინებული: გინა შეუმგბარი“. გბ-ობ-ა „ხარშვა“ საერთოქართველური ზმნური ფუძეა, წარმოდგენილი რედუცირებული ფორმით, შდრ.: სვან. ლი-ჟაბ „ხარშვა“. მისგან ნაწარმოებია ვნებითი გვარის მიმღეობა მ-გბ-არ-ი „მოხარშული“. უკუთქმითი მიმღეობის ფორმაში მოსალოდნელი -ელ სუფიქსის ადგილას -ილ გვაქვს: უ-გბ-ილ-ი, მაგრამ ეს არ არის შეუძლებელი ფორმა, მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ ა. შანიძის შემდეგ შენიშვნას: „უკუთქმითი მიმღეობის -ელ სუფიქსი ზოგ შემთხვევაში შეიძლება -ილისაგან მოდიოდეს, როგორც ამაზე ხანმეტი ლექციონარის „წინადაუცუეთილებაჲ“ მიუთითებს (გალატ. 6,15) და „ვეფხისტყაოსნის“ „შეუშრობილი“, თუ იგი ლიცენცია არ არის: „მო დავსხდეთ, ტარიელისთვის ცრემლი გვდის შეუშრობილი“ (შანიძე 1973:579).

1.5. ზოგი უ- – -ო სახელურფუძიანი ოკაზიური ზმნური ფორმის შესახებ „ვეფხისტყაოსანში“

უ- – -ო კონფიქსიანი ზედსართავი სახელებით ზმნიზედური სემანტიკის გამოხატვა დამახასიათებელია ქართველური ენებისთვის (იხ.თ.I:§1.4); რაც შეეხება უ- – -ო სახელური ფუძისაგან მომდინარე ზმნურ ფორმებს, ისინი ოკაზიონალიზმებია და დასტურდება „ვეფხისტყაოსანში“. ცნობილია, რომ შოთა რუსთაველი არაერთ ოკაზიურ ფორმას ქმნის პოემაში, რითიც ქართული ენობრივი გამომსახველობის შესაძლებლობებს ნარმოაჩენს. ასეთი თავისებური ფორმებია უ- – -ო სახელურფუძიანი ზმნები: **უჩუმოდა, უდიდოდა, უმხნეოდა.**

„უჩუმოდა“ ფორმა, რომელიც „ვეფხისტყაოსანში“ ერთხელ დასტურდება (რუსთაველი 1974:111, №361,4)[1], სხვადასხვა მკვლევართა მიერ განსხვავებული პრინციპითაა დაშლილი; შესაბამისად, სეგმენტების კვალიფიკაციასთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობაა სამეცნიერო ლიტერატურაში: კერძოდ, აღნიშნული ლექსემა ა. შანიძემ *„ვეფხისტყაოსნის“ სიმფონიაში* გამოყო, როგორც **უ-** პრეფიქსიანი **ორპირიანი გარდაუვალი ზმნა**. *„სიმფონიაში“* მოცემული ინდექსების წესის მიხედვით, **უ-** სასხვისო ქცევის ნიშნად მოიაზრება (შანიძე 1956:370), **-ოდ** უწყვეტლის სავრცობია გარდაუვალი ზმნებისთვის, **-ა** კი – მესამე სუბიექტური პირის ნიშანი მხოლობით რიცხვში. ამგვარი დაყოფის მიხედვით, საყრდენი ფუძეა **-ჩუმ-**. „ვეფხისტყაოსნის“ კომენტარებიდან ჩანს, რომ აღნიშნული ფორმა ნ. ნათაძისთვისაც **ორპირიანი გარდაუვალი ზმნაა**: **„უჩუმოდა** – გასჩუმებოდა, დუმდა მისი პატივისცემით“ (რუსთაველი 1974:116, № 361, 4).

ნ. ნათაძე აღნიშნული ფორმის სეგმენტაციას არ განიხილავს, თუმცა ივარაუდება, რომ ზემოაღნიშნული დაყოფა მისთვისაც მისაღებია. აღნიშნული ფორმის თავისებურება შენიშნა შ. ღლონტმაც, თუმცა მთლიანად ფორმა სახელად ჩათვალა და შეიტანა რითმისთვის ერთჯერ გამოყენებულ **სახელთა ცხრილში** (ღლონტი 1961:279); ამოსავალ საწყის ფორმად მან მიიჩნია **უჩუმო** (იქვე:196). მკვლევარს სხვა სეგმენტებზე კომენტარი არ გაუკეთებია, მაგრამ მის მიერ შემოთავაზებული კვალიფიკაციისა და საყრდენი სახელური ფუძის გამოყოფის შემდეგ *უჩუმოდა* ფორმაში გამოსაყოფად რჩება ვითარებითი ბრუნვის ნიშანი **-დ** და ემფატიკური ხმოვანი **-ა**: *უჩუმო-დ-ა*.

[1] „ზე წამოვჯე. მეფისაგან კაცი დია მოვიდოდა, / ახარებდეს: «წამოჯდაო», დედოფალი გამორბოდა; / მეფე მორბის თავ-შიშველი, არ იცოდა, რას იქმოდა, / იგი ღმერთსა ადიდებდა, სხვა ყველაი **უჩუმოდა**“ (რუსთაველი 1974:111, № 361, 4).

გ. კარტოზია მეცნიერთა ორივე ჯგუფის თვალსაზრისს ნაწილობრივ დაეთანხმა; შესაბამისად, დააზუსტა და მეტი სიცხადე შეიტანა საანალიზო ფორმის კვალიფიკაციაში იმის გათვალისწინებით, რომ *უჩუმოდა* მიიჩნია *უჩუმო* სახელური ფუძისგან მომდინარე **ერთპირიანი უწყვეტლის მწკრივის ფორმად**: აღნიშნული ზმნა „ნაწარმოებია უ ჩ უ მ ო ზედსართავი სახელიდან და ნიშნავს: „უჩუმოდ იყო“, „უჩუმოობდა“. ტაეპის აზრი ეს არის: მეფე ღმერთს ადიდებდა, სხვები კი ჩუმად იყვნენ“ (კარტოზია 1975:57). მკვლევარს, ცხადია, უ ჩ უ მ ო მიაჩნია ჩ უ მ ფუძიდან წარმოქმნილად უქონლობის უ- – -ო კონფიქსის საშუალებით[1] (იქვე:58).

ყველა ზემოთ მოხმობილ თვალსაზრისს გრამატიკული საფუძველი აქვს, თუმცა მოკლედ შეიძლება ჩამოვაყალიბოთ, მათგან რომელს შეიძლება მიენიჭოს უპირატესობა და რატომ:

1. საანალიზო ტაეპიდან – „იგი ღმერთსა **ადიდებდა**, სხვა ყველაი **უჩუმოდა**“ – ჩანს, რომ ამ კონტექსტში *უჩუმოდა-ს* ბუნებრივად ენაცვლება არა ორპირიანი ზმნა, არამედ ერთპირიანი. ამას ადასტურებს ნ. ნათაძისეული კომენტარიც, კერძოდ, ორპირიანი (*გასჩუმებოდა ის, მას*) ზმნის გვერდით დამოწმებული აქვს ერთპირიანი ზმნაც: „*დუმდა მისი პატივისცემით*“ (რუსთაველი 1974:116). გ. კარტოზიას დაკვირვებითაც, „სწორედ ასეთ არარელატიურ მნიშვნელობას დებს ამ ზმნაში ა. შანიძე“ და *უჩუმოდა-ს* შანიძისეული განმარტებაა „ჩუმად იყო“ (შანიძე 1956:385; კარტოზია 1975:57).

2. *უჩუმოდა* ფორმის შემცველი მეოთხე ტაეპი „აგებულებით რთული თანწყობილი წინადადებაა. უ ჩ უ მ ო დ ა-ს სახე-

[1] შდრ.: ქართული მწერლობის სხვა ძეგლებში მოცემული **ჩუმ-** ფუძისგან წარმოქმნილი ფორმები (უქონლობის **უ-** პრეფიქსითა და **უ- – -არ** კონფიქსით): **უჩუმი** → **უჩუმად** (რუსუდ. 55, 9); **უჩუმარი** → **უჩუმრად** (შაჰნამე, I, 925,4); **უჩუმარი** (ქეგლ-ი, ტ. 6, თბ., 1960) (კარტოზია 1975:38-39).

ლად ჩათვლის შემთხვევაში რთული წინადადების მეორე ნახევარი უშემასმენლოდ დარჩება: სხვა ყველა ჩუმად“ (კარტოზია 1975:57). ასევე, „ემფატიკური **ა**-ს დართვა ვითარებითში „ვეფხისტყაოსნის“ ენისთვის, ისევე როგორც ძველი ქართულისთვის, არ არის დამახასიათებელი“ (იქვე:57).

გასათვალისწინებელია, რომ ჩ უ მ ფუძისთვის დღევანდელი მნიშვნელობა – *უხმაურო, უხმო, უსიტყვო* (ქეგლ-ი) – მეორეულია და ძველად, პირიქით, ნიშნავდა: *ხმაურს, ხმიანობას, ჩქამს;* როგორც ჩანს, სწორედ ამიტომ გახდა საჭირო **უ- – -ო** აფიქსით უ ჩ უ მ ო სიტყვის წარმოქმნა, რათა მას თავდაპირველი ჩ უ მ ფუძის საპირისპირო მნიშვნელობა განევითარებინა[1] და ტაეპი აზრობრივად გამართულიყო: *მეფე ღმერთს ადიდებდა, სხვები კი ჩუმად იყვნენ.*

გ. კარტოზია *უჩუმოდა*-ს ტიპის წარმოებად მიიჩნევს პოემაში დადასტურებულ **უდიდოდა, უმხნეოდა** ფორმებსაც[2]. იგი აღნიშნავს: „ნასახელარი ზმნის უწყვეტლის ამგვარი [*უჩუმოდა-ს* ტიპის] წარმოება „ვეფხისტყაოსანში“ სხვაგანაც გვხვდება. მხედველობაში გვაქვს უქონლობის **უ- – -ო** აფიქსით წარმოქმნილი უ დ ი დ ო და უ მ ხ ნ ე ო ზედსართავებიდან ნაწარმოებ ზმნათა უწყვეტლის ფორმები: უ დ ი დ ო დ ა, უ მ ხ ნ ე ო დ ა“ (კარტოზია 1975:57). *უჩუმოდა, უდიდოდა, უმხნეოდა* ზმნური ფორმების ერთგვარ აგებულებაზე ავტორი აგრძელებს მსჯელობას: „უწყვეტლის წარმოების ყალიბი ამ ზმნებში ერთია: **ო** ფუძიან სახელს უშუალოდ დაერთვის სავრცობი **-დ-** და სუბი-

[1] შდრ.: „ვეფხისტყაოსანში“ დადასტურებული **უ- – -ო** აფიქსით ნაწარმოები სხვა ანტონიმური წყვილები: ბოროტი – **უბოროტო**; შმაგი – **უშმაგო** და სხვ.

[2] გ. კარტოზიას აზრით, ამ ყალიბისაა **მიდამოდა** ფორმაც (კარტოზია 1975:58), რომელიც **უ- – -ო** კონფიქსიან სახელურ ფუძეს არ ეყრდნობა; ამიტომ არ განვიხილავთ.

ექტური მესამე პირის -ა სუფიქსი. სავრცობის წინ ზმნას თემის ნიშანი არ ერთვის“ (კარტოზია 1975:58).

დამატებით დასახელებულ ორ ლექსიკურ ერთეულს მეცნიერი შემდეგნაირად განმარტავს: „ა რ უ დ ი დ ო დ ა = დიდობდა, ა რ უ მ ხ ნ ე ო დ ა = მხნეობდა“ (კარტოზია 1975:57). ასეთივე შინაარსის განმარტებებია მოცემული ნ. ნათაძის კომენტარებშიც: „**არ უდიდოდა** = დიდია, პატარა არ არის (რუსთაველი 1974:199, №609,4); **არ უმხნეოდა** = მხნედაა, მხნეობას არ კარგავს“ (რუსთაველი 1974:313, №963,3). აღნიშნულ ფორმებში უქონლობის აფიქსის მნიშვნელობა უკეთ რომ წარმოჩნდეს, შეიძლება დავაზუსტოთ:

ა. „ *არ უდიდოდა*“ = *უდიდო არ იყო; ბ. „*არ უმხნეოდა*“ = * უმხნეო არ იყო.

აღსანიშნავია, რომ გ. კარტოზიას მიერ დამატებით მოხმობილი ორი ლექსემა (*უდიდოდა, უმხნეოდა*) „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემებში, ორიოდე გამონაკლისის გარდა (t,u)[1], ჩვეულებრივ **შედგენილ შემასმენლებად** არის მიჩნეული, ასევეა *„ვეფხისტყაოსნის“ სიმფონიაშიც* (შანიძე 1956), ნ. ნათაძის კომენტარებშიც (რუსთაველი 1974:199, №609,4; 313, № 963,3) და ამასთან დაკავშირებით სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობა არ ყოფილა.

[1] **t** ლიტერით აღნიშნულია: შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი. ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს გიორგი წერეთელმა, სარგის ცაიშვილმა, გურამ კარტოზიამ. რედაქტორები: გ. წერეთელი, ი. აბაშიძე. თბ., 1966; **u**-თი კი – შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი. სარედაქციო კოლეგია: ირაკლი აბაშიძე, ალექსანდრე ბარამიძე, პავლე ინგოროყვა, აკაკი შანიძე, გიორგი წერეთელი. თბ., 1966.
„ვეფხისტყაოსნის“ გამოცემათა ლიტერები სრულად, განმარტებებითურთ, მოცემულია გ. კარტოზიას წიგნში: „ვეფხისტყაოსნის ტექსტის საკითხები“ (კარტოზია 1975:105-106).

შესაბამისი კონტექსტები პოემიდან აღნიშნულ ზმნურ ფორმათა მონაწილეობით:

• „ნავითა გავე, ზღვისაგან შტო რამე გამოვიდოდა.
არ ამოვჰკრეფდი გამყოფთა, ვთქვი, ჩემთა რად დავჰრიდო, და-?
დამეძაბუნნეს, სიმრავლე მე მათი არ გამვიდოდა,
ვნადირობდი და ვიზახდი, ხმა ჩემი **არ უდიდოდ-ა**“.
(რუსთაველი 1974:195, № 609)

• „ვარდი ჭნებოდა, ღვრებოდა, ალვისა შტო ირხეოდა;
ბროლი და ლალი გათლილი ლაჟვარდად გარდიქცეოდა;
გაჰმაგრებოდა სიკვდილსა, ამისთვის **არ უმხნეოდ-ა**,
იტყვის, თუ: «ბნელი რას მიკვირს, რათგან დავაგდე მზეო, და-“!
(რუსთაველი 1974:310, №963)

***შენიშვნა 1**: „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემებში შედგენილი შემასმენლის პროსოდიული ხმოვანი ან დეფისითაა დაწერილი, ან დაშორებულია სახელად ნაწილს. დამოწმებულ წყაროშიც ზმნური კლიტიკა გამოყოფილია დეფისით: უდიდოდ-ა, უმხნეოდ-ა.*

ჩვენი შემდგომი მსჯელობა საანალიზო ზმნურ ფორმათა შემცველი ტაეპების სტილურ-პრაგმატიკული თვალსაზრისით შეფასებას ისახავს მიზნად, რაც იძლევა იმის დამტკიცების საშუალებასაც, რომ აღნიშნული ზმნური ფორმებით ვერ გადმოიცემა შედგენილი შემასმენელი; შესაბამისად, ამ საკითხს მოგვიანებითაც დავუბრუნდებით.

როგორც აღვნიშნეთ, გ. კარტოზიამ **უ- – -ო** სახელურფუძიან ერთპირიან გარდაუვალ ზმნაში გამოყო **-დ-** სავრცობი. ცნობილია, რომ ტერმინი „*სავრცობი*“ ზმნური ფუძის მაწარმოებ-

ელია, თუმცა გაიგება ორგვარი – ვიწრო და ფართო მნიშვნელობით; ვიწრო მნიშვნელობით ის მხოლოდ გარდამავალ ზმნათა ზმნური ფუძის მაწარმოებელია აწმყო-მყოფადის წრეში და ამით უპირისპირდება გარდაუვალი ზმნებისთვის დამახასიათებელ **-ოდ** სავრცობს; ფართო მნიშვნელობით, **-დ-** სუფიქსი სახელისაგან ზმნის მაწარმოებელია. როგორც ჩანს, გ. კარტოზია ამ უკანასკნელ შემთხვევას გულისხმობდა, თუმცა მას ამ მიმართულებით მსჯელობა არ გაუგრძელებია.

ნასახელარ ზმნებში **-დ-** სუფიქსზე, როგორც სახელისაგან ზმნის მაწარმოებელ ფორმანტზე, პირველად ა. შანიძემ გაამახვილა ყურადღება; რამდენადაც ამ ფორმებს გარდაუვალი მნიშვნელობა აქვთ, სინქრონიულ დონეზე ვნებითი გვარის ერთერთ სახეობად მიიჩნია, მაგრამ წინ წამოსწია **დ**-ს არა ფორმაწარმოებითი, არამედ სიტყვაწარმოებითი (დერივაციული) ფუნქცია, გარდაქცევა-გარდაქმნის გამოხატვა (შანიძე 1951:41). კვლევებმა აჩვენა, რომ ნასახელარ ზმნებში **-დ-** სუფიქსი არა მარტო **პასიურობისა და გარდაქცევითობის,** არამედ **პოტენციალისის, ჩვეულებითობისა** და **დაწყებითობის** ფუნქციების მქონეცაა (ღვინაძე 1989:55-62); რუსთაველის პოემის მიხედვით შეიძლება გამოიკვეთოს **მსგავსებითობის** ფუნქციაც (დანელია 1996:82); საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ **„პოემაში აშკარად საგრძნობია ნასახელარ ზმნათა დონიანი წარმოების აქტივიზაცია და მისი სიტყვაწარმოებითი ფუნქციებით დატვირთვა“** (იქვე:82). ნ. დანელიას დაკვირვებით, სახელური ფუძეებიდან ნაწარმოებ სპეციალურ დონიან ზმნურ ფორმებს რუსთაველი იყენებს **შინაარსის ექსპრესიულობის მისაღწევად.** პოემაში დიდი სიხშირით დასტურდება ნასახელარი **დ**ონიანი ზმნები. მათ საწარმოებლად 80-მდე სახელური ფუძეა გამოყენებული, რომელთაგან სიხშირით პირველ ადგილზეა **ზედსართავთაგან** ნაწარმოები ფორმები (დანელია 1996:83). საინტერესოა ისიც, რომ

დონით ნაწარმოები ნასახელარი ზმნები ტევადი ინფორმაციის შემცველია და პოეტი ამ მოდელის გამოყენებით **„შესიტყვების კონდესირებას“** (ნ. დანელია) ახდენს.

უჩუმოდა, უდიდოდა, უმხნეოდა საანალიზო ფორმები იმითაც არის საყურადღებო, რომ

- **მხატვრული პარალელიზმის პრინციპით**

აგებული ტაეპის ერთ-ერთ წევრად განიხილება.

- **ქმნიან სარითმო ერთეულებს.**

ა. მხატვრული პარალელიზმი: „იგი ღმერთსა **ადიდებდა,** სხვა ყველაი **უჩუმოდა**“ (რუსთაველი 1974:111, №361,4) = ის ღმერთს ადიდებდა, სხვა ყველა *ჩუმად იყო.*

ბ. სარითმო ერთეული: „მოვიდოდა / გამორბოდა / რას იქმოდა / უჩუმოდა“ (რუსთაველი 1974:111, №361).

ა. მხატვრული პარალელიზმი: „ვნადირობდი და **ვიზახდი,** ხმა ჩემი **არ უდიდოდა**“ (რუსთაველი 1974:195, №609,4) = ვნადირობდი და *ვყვიროდი,* ჩემი ხმა *დიდად ისმოდა /***უდიდო არ იყო.*

ბ. სარითმო ერთეული: „გამოვიდოდა / რად დავჰრიდო, და-? /არ გამვიდოდა / არ უდიდოდა“ (რუსთაველი 1974:195, №609).

ა. მხატვრული პარალელიზმი: „**გაჰმაგრებოდა** სიკვდილსა, ამისთვის არ **უმხნეოდა**“ (რუსთაველი 1974:310, №963,3) = მტკიცედ, მედგრად ხვდებოდა სიკვდილს, ამიტომ არ კარგავდა მხნეობას /**უმხნეო არ იყო* = მხნედ იყო.

ბ. სარითმო ერთეული: ირხეოდა / გარდიქცეოდა / არ უმხნეოდა / მზეო, და (რუსთაველი 1974:310, № 963).

ამრიგად, „ვეფხისტყაოსანში“ დადასტურებული ნასახელარი ზმნური ფორმები: *უჩუმოდა, უდიდოდა, უმხნეოდა* -**დ**- სუფიქსიანი წარმოებისაა. მათი სტილურ-პრაგმატიკული დანიშნულებაა **მხატვრული პარალელიზმისა** და **სარითმო ერთეულების** შექმნა.

დონიანი წარმოების ზმნური ფორმა, *უჩუმოდა*, რომელიც **მხატვრული პარალელიზმის ერთ-ერთი კომპონენტია**, ეყრდნობა *უ- – -ო* კონფიქსიან უქონლობის სახელურ ფუძეს; ტაეპში იგი რიგით მეორეა, მომდევნოა და წინამავალ დადებით ფორმასთან ქმნის

კონტრასტს:

ა. „**ადიდებდა – უჩუმოდა**“ / ადიდებდა – უხმაუროდ იყო.

სხვა საანალიზო ფორმებიც, *უდიდოდა, უმხნეოდა*, **მხატვრული პარალელიზმის კომპონენტებია**. ისინი ეყრდნობიან *უ- – -ო* კონფიქსიან უქონლობის სახელურ ფუძეს, დაირთავენ **არ** ნაწილაკს და წინამავალ დადებით ფორმასთან ქმნიან

სინონიმურ წყვილს:

ბ. „**ვიზახდი – არ უდიდოდა**“ / ვყვიროდი – [ხმა] არ იყო *უდიდო = [ხმა] დიდად ისმოდა.

გ. „**გაჰმაგრებოდა – არ უმხნეოდა**“ / მედგრობდა – არ იყო *უმხნეო, არ კარგავდა მხნეობას = მხნეობდა.

აღსანიშნავია, რომ სინონიმიზაცია განსაზღვრა *უ- – -ო* სახელურფუძიან ზმნურ ფორმებთან „არ“ ნაწილაკის გაჩენამ. ეს მოვლენა **ორმაგი უარყოფის** ერთ-ერთი სახეა, რომელსაც **უარყოფის უარყოფა** ეწოდება. ესპერსენის ცნობილი დებულების თანახმად, უარყოფის უარყოფა იძლევა **დადებით შედეგს** (Jaespersen 1924:332); შდრ.: საანალიზო ლექსიკური ერთეულები „ვეფხისტყაოსნიდან“:

*ა. **არ** უდიდოდა = დიდად ისმოდა; ბ. **არ** უმხნეოდა = მხნეობდა.*

(უარყოფის უარყოფაზე იხ. შესავალი: §1; თ.IV: §1.1).

***შენიშვნა 2**: ნ. დანელიამ თავის გამოკვლევაში ასევე მიაქცია ყურადღება „ვეფხისტყაოსანში“ მხატვრული პარალელიზმის ხერხით აგებულ ტაეპს, რომელშიც დონიანი წარმოების ფორ-*

*მა მონაწილეობს. მხედველობაში გვაქვს „**იქო – არ გაუქდა**“ ზმნური ფორმების შინაარსობრივი ურთიერთმიმართება, რომელიც შეიძლება ასე ჩამოყალიბდეს:*

- *აქეს [ერთმანეთი] – არ დარჩა უქებელი [არცერთი]*

*„რა „ტარიელ“ მოისმინა, ფრიდონს ჭირი უსუბუქდა,/ თვალთა ცრემლნი გარდმოსცვივდეს, გული უფრო აუჩუქდა,/ მონაქროლმან ვარდი დაზრა, წამწამთაგან ბუქი ბუქდა;/ შეიყარნეს ერთმანეთი მათგან იქო, არ **გაუქდა**“ (რუსთაველი 1974:318, №995,4).*

„**გაუქდა**“ ფორმისთვის ამოსავალია **ქებ-** ფუძიანი წარსული დროის უარყოფითი მიმღეობა: **უ-ქ-ებ-ი**[1], რომელიც, როგორც ჩანს, მეტრის საჭიროებით გაუმარტივებია ავტორს და ჩამოუცილებია თემის ნიშანი; პოეტს უთემისნიშნო **უ-ქ** ფუძიდან უწარმოებია ოკაზიური ფორმა გა-**უ-ქ**-დ-ა (დანელია 1996:90-91). საინტერესოა იმ ტაეპის შინაარსი, რომელშიც ეს ფორმა მონაწილეობს: ავთანდილი და ფრიდონი შეიყარნენ, **ერთმანეთი აქეს, უქებელი არ დარჩა** ერთმანეთისაგან არც ერთი; ე.ი. „**არ გაუქდა**“ ნიშნავს: **უქებელი არ დარჩა**. საგულისხმოა ნ. ნათაძის კომენტარი: „**იქო, არ გაუქდა. ერთი და იგივე აზრი გამოთქმულია დადებითი და უარყოფითი ფორმით**“ (რუსთაველი 1974:325, №995,4).

*აღნიშნულ სტროფში მოცემული ბოლოკიდური დონიანი ფორმები შდრ.: ერთმანეთს **სარითმო ერთეულების მიხედვითაც**: ჭირი უსუბუქდა /გული აუჩუქდა / ბუქი ბუქდა / მათგან იქო, არ გაუქდა (რუსთაველი 1974:318, №995) (დანელია 1996:91).*

საანალიზო ზმნურ ფორმათა **მწკრივის საკითხს** რაც შეეხება, ცნობილია, რომ **-დ-** სუფიქსიანი ნასახელარი ზმნები ძირი-

[1] **უ-ქები** უკუთქმითი მიმღეობის მოკლე ფორმაა, რომელმაც მოგვიანებით დაირთო ზმნისწინი **შე-** და **-ელ** სუფიქსი: **შე-უ-ქებ-ელ-ი;** ამ ტიპის ფორმათა ჩამოყალიბების დინამიკაზე მსჯელობა იხ. თ. I: §1.1.

თადად წყვეტილის მწკრივს ქმნიან; შდრ.: *დაბნელდა, განმართლდა, დაძუელდა, განცოცხლდა, დასნეულდა, აღმაღლდა* და მისთ. (შანიძე 1976:76); ასეთივე ვითარებაა „ვეფხისტყაოსანშიც“: *გაბედითდა, გადიადდა, გასალდა, მოგუბდა, გაცვილდა, გატინდა, გასისხლმდინარდა, გასაწყინარდა, დაყმუნდა, გაბროლდა* (ამგვარ ფორმათა ანალიზი იხ. დანელია 1996:81-95). როცა ენობრივი მოვლენა სტილურ-პრაგმატიკული თვალსაზრისით ფასდება, მით უფრო ოკაზიური ფორმები პოეტურ ტექსტში, პირობითად თუ შეიძლება მისი მოქცევა რომელიმე გრამატიკულ მოდელში ან შეფასება გრამატიკული წესების სიზუსტის თვალსაზრისით. ვფიქრობთ, ამ შემთხვევაშიც ასეთ ვითარებასთან გვაქვს საქმე და ამიტომ, ამგვარი პირობითობის გათვალისწინებით, *უჩუმოდა, უდიდოდა, უმხნეოდა* ფორმები უწყვეტლის მწკრივს შეიძლება მივაკუთვნოთ. ამის მიზეზია არა მხოლოდ ვერბალურად შექმნილი **-ოდ** სუფიქსის (**ო** ფუძიან სახელებს + **-დ-** სუფიქსი) აკუსტიკური შთაბეჭდილება, არამედ ორი რამ: 1. უზმნისწინო ფორმებია; 2. თავადაც **განგრძობითი მნიშვნელობა** აქვთ და სინტაგმატურ-პარადიგმატული ანალიზის შედეგად დგინდება, რომ ეხამებიან **წარსულში განგრძობითობის გამომხატველ** წინამავალ ზმნურ ლექსემებს, რომლებიც, იმავდროულად, სარითმო ზმნური ერთეულებია.

ზმნურ ფორმათა *თ ა ნ ა დ რ ო უ ლ ო ბ ა* სტაბილური ენობრივი მოვლენაა მხატვრული პარალელიზმის პრინციპით აგებულ ტაეპში, რაც ასევე ამყარებს ვარაუდს, რომ *უდიდოდა, უმხნეოდა*, მსგავსად *უჩუმოდა-სი*, წარსული დროის (უწყვეტლის) ერთპირიანი გარდაუვალი ზმნური ფორმებია.

ამრიგად, რაკი საანალიზო ლექსემები გამოხატავენ წარსულ დროს, შეუძლებელია მათ ჰქონდეთ შედგენილი შემასმენლის კვალიფიკაცია; ამგვარი დაშვების შემთხვევაში *უდიდო-*

და. *უმხნეოდა, უჩუმოდა ფორმები* ახლანდელი დროის გაგებას შეიძენენ ბოლოკიდური **-ა**-ს მიხედვით: **-ა** ←*არის*, რაც დაარღვევს მთლიანად სტროფისა თუ ტაეპის აგების კანონზომიერებასა და დროულ გაგებას.

1.6. *უჩა „შავი“* ლექსემა მეგრულში: სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი

➢ *უ ჩ ა: სტრუქტურული ანალიზი*

უ ჩ ა სინქრონიულ დონეზე „შავი“ ფერის აღმნიშვნელი ზედსართავი სახელია მეგრულში; დიაქრონიული პერიოდის გათვალისწინებით, შეიძლება დაიშალოს სეგმენტებად: უ-ჩ-ა; მათგან **უ**-პრეფიქსია, **-ჩ-** ძირია, **-ა** სუფიქსია.

უ- უარყოფის გამომხატველი უძველესი პრეფიქსია.

-ჩ- ძირი ეტიმოლოგიურად აღნიშნავს „თეთრს“ და შესატყვისობებს ქმნის ამავე ეტიმოლოგიის ძირებთან სხვა ქართველურ ენებში; კერძოდ:

ქართ. ჴც- /მ-ჴც-ე, მ-ჴც-ოვან-ი, მეგრ. რჩ-//ჩ-/ჩ-ე „თეთრი“, ლაზ. ქჩ-//ხჩ-//ჩქ- /ქჩ-ე//ხჩ-ე//ჩქ-ე „თეთრი“ (ფენრიხი, სარჯველაძე 1990:501-502). შესატყვისობის გამომხატველ დასახელებულ ლექსიკურ ერთეულებთან, ვ. თოფურიას თვალსაზრისზე დაყრდნობით, დასახელებულია *უ-ჩა „შავი“*, როგორც ეტიმოლოგიურად მათთან დაკავშირებული ლექსემა, ოღონდ უარყოფითი ფორმითა და მნიშვნელობით; კერძოდ, ესაა „არათეთრი“ (თოფურია 1940:538; ფენრიხი, სარჯველაძე 1990:501). კ. დანელიას განმარტებით, უჩა-ს ქართული ლექსიკური ფარდია *უთეთრო* (დანელია 2006:173; იხ. შესავალი: §4.4). რამდენადაც ქართველურ ენებში საწყის ეტაპზე ანტონიმურ წყვილებს ოდენ **უ-** პრეფიქსი აწარმოებდა, უჩა-ს განმარტება უფრო ზუსტი იქ-

ნება *უ-თეთრი ფორმით; რაც არა- და უ- ფორმანტების სინონიმურ მნიშვნელობაზეც მიუთითებს.

-ა სუფიქსი თავდაპირველი სახითაა შემორჩენილი *უჩა* სიტყვა-ფორმაში, ხოლო შემდგომ *ა-ი უმლაუტის შედეგად ტრანსფორმირებულია და -ე სუფიქსად დასტურდება მეგრულ ჩ-ე „თეთრი“ და ლაზურ ხჩ-ე „თეთრი“ ფუძეებში (უმლაუტის პროცესთან დაკავშირებით იხ. გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965:166).

ამრიგად, საანალიზო ლექსიკური ერთეულის სტრუქტურა განსხვავებულია დიაქრონიულად და სინქრონიულად; *უ ჩ ა* დიაქრონიულად რთული წარმოქმნილი სახელია, სინქრონიულად კი გაიგება დაუშლელ მარტივ ერთეულად; შესაბამისად, არ გამოიყოფა სეგმენტები და მნიშვნელობით უტოლდება ქართულ „შავს“. როგორც ჩანს, სტრუქტურულმა ცვლილებამ – გამარტივებამ „უჩა“-ს ბაზისურ ტერმინად ჩამოყალიბებას შეუწყო ხელი, რადგან, „დამატებითი კრიტერიუმის მიხედვითაც, მორფოლოგიურად არამარტივი ტერმინის ბაზისურობა საეჭვოა“ (სოსელია 2009:125).

- *ჩე – უჩა: ბაზისურ ფერთა ჩამოყალიბების დინამიკა და სემანტიკური ვარიაციები*

ბაზისურ ფერთა გამოყოფის უნივერსალური კრიტერიუმების მიხედვით, საკუთრივ მეგრულში დაზუსტებულია შემდეგი ტერმინები: **ჩე** [თეთრი], **უჩა** [შავი], **ჭითა** [წითელი] (სოსელია 2009:123-124). ნავარაუდევია, რომ ტერმინი *უჩა* „ზანურში შეიძლებოდა გაჩენილიყო მხოლოდ სამტერმინიან სისტემაში, სადაც ფერითი სივრციდან გამოცალკევებულია კატეგორია [წითელი], როგორც ნამდვილი ფერის კატეგორია (იგულისხმება ქრომატული ფერი) და დანარჩენი ფერითი სივრცე ორ ნაწილადაა გაყოფილი, რომელთაგან ერთი აღინიშნება ტერმინით *ჩე*,

ხოლო მეორე – ამ ტერმინის უარყოფით, ტერმინით *უჩა*“ (სოსელია 2009:142).

ჩე – უჩა ტერმინთა სემანტიკის დაზუსტება შესაძლებელია ქართულ-ზანურ დონეზე არსებული ფერის ტერმინთა სამელემენტიანი სისტემის განხილვით; კერძოდ, ამ პერიოდის ბაზისური ფერის შემადგენელი კატეგორიებია:

1. [თეთრი] + [ყვითელი], 2. [წითელი], 3. [შავი] + [მწვანე] + [ლურჯი].

[თეთრი]+[ყვითელი] ტერმინის არქეტიპია *მჭცıე, ხოლო მეგრულში ამ კატეგორიის აღსანიშნავად ჩამოყალიბდა ტერმინი „ჩე“; ივარაუდება, რომ ამგვარი კომბინირებული ფერის აღსანიშნავად გამოყენებული მეგრული „ჩე“-ს სემანტიკა ვერ იქნებოდა ქართული „თეთრი“, იგი უფრო ზოგადი უნდა ყოფილიყო. ამას ადასტურებს მეგრულ პოეზიაში დადასტურებული შესიტყვება: „ჩე ბჟალარა“ (Кипшидзе 1914:136,8). „მოცემული კონტექსტი „ჩე“ ტერმინისთვის „თეთრის“ მნიშვნელობაზე უფრო მეტად „ნათელის“ მნიშვნელობას უნდა გულისხმობდეს“ (სოსელია 2009:127); შესაბამისად, მეგრ. „ჩე ბჟალარა“-ს ქართული ვერსია ნაცვლად „თეთრი მზის სხივისა“ იქნება „ნათელი მზის სხივი“.

[წითელი] ტერმინის არქეტიპია *წ¡ითელი, ხოლო მეგრულში ამ კატეგორიის აღსანიშნავად ჩამოყალიბდა ტერმინი „ჭითა“. *[შავი]+[მწვანე]+[ლურჯი]* ტერმინის არქეტიპია *მრუმე, ხოლო მეგრულში ამ კატეგორიის აღსანიშნავად ჩამოყალიბდა ტერმინი „უჩა“ (სოსელია 2009:142). კომბინირებულ ფერთა სამი ტერმინიდან (ჩე, ჭითა, უჩა), როგორც აღვნიშნეთ, ცალკე იყო გამოყოფილი და კონკრეტულ მნიშვნელობას გამოხატავდა *ჭითა „წითელი“*, ხოლო *ჩე* და *უჩა* ერთმანეთს მიემართებოდა, როგორც ზოგადი მნიშვნელობის ანტონიმური ტერმინები; კერ-

ძოდ, თუ „ჩე“-სთვის ივარაუდებოდა მნიშვნელობა „ნათელი“, უჩა-ს მნიშვნელობა იქნებოდა „არანათელი“. ენისთვის დამახასიათებელი ასიმეტრიის პირობებში – „უ ა რ ყ ო ფ ი თ ი თვისებების გამომხატველნი ორჯერ და მეტადაც ჭარბობენ დ ა დ ე ბ ი თ ი თვისებების აღმნიშვნელთ“ (ბერულავა 1976:59,93) – პირველ რიგში სპეციალური მარკერით გაფორმდებოდა უარყოფის გამომხატველი ლექსემა *უ-ჩა*; შდრ.: მსჯელობა *ორგულსა* და *ერთგულს* შორის პირველად უარყოფითი კონოტაციის *ორგულის* შექმნის შესახებ; იხ. დანელია 1979 [2009:87].

ქართულ-ზანურ ქრონოლოგიურ დონეზე არსებული ფერის კატეგორიათა სისტემა ცვლილებას განიცდის შემდგომ, ქართული და ზანური ენების დამოუკიდებლად ჩამოყალიბების ეტაპზე. ამ მხრივ ქართული და ზანური სისტემები განვითარების დამოუკიდებელ გზას გადიან და ცალ-ცალკე საინტერესო ენობრივ სურათს იძლევიან; ზანურში, კერძოდ, მის შემადგენლობაში შემავალ მეგრულში, ქართულთან მიმართებით, ფერის ტერმინთა დაზუსტების ასეთი სურათი ივარაუდება:

1. *[თეთრი]+[ყვითელი]* შედგენილი კატეგორია, რომელიც აღინიშნებოდა მეგრულში „ჩე“ ტერმინით, იშლება „თეთრ“ და „ყვითელ“ ტერმინებად; აქედან, „ჩე“ ზუსტდება, კონკრეტდება და სემანტიკურად მას შეესაბამება ქართული „თეთრი“, ხოლო „ყვითელს“ სესხულობს მეგრული ქართულისგან და ამკვიდრებს *ყვინთელი / ღვინთელი* ტერმინის სახით.

2. *[წითელი]* აღინიშნა მეგრულში ტერმინით „ჭითა“ (საერთოქართველური შესატყვისობისათვის იხ. მსჯელობა ზევით).

3. *[მუქ-გრილი]=[შავი]+[მწვანე]+[ლურჯი]* შედგენილი კატეგორია, რომელიც აღინიშნებოდა მეგრულში „ჩე“-ს საპირისპირო „უჩა“ ტერმინით, დაიშალა შავ, მწვანე და ლურჯ ტერმინებად. აქედან, „უჩა“ დაზუსტდა, დაკონკრეტდა და ჩამოყალიბ-

და ჩე-ს ანტონიმური მნიშვნელობის ლექსემად, რომელსაც სემანტიკურად შეეფარდა ქართული „შავი“ (ქართულში დამკვიდრებული „შავი“ ირანული წარმოშობის ნასესხები ტერმინია; ამის შესახებ იხ. Абаев 1956; ანდრონიკაშვილი 1965). *[მწვანე]+[ლურჯი]* ქართულში ცალ-ცალკე კატეგორიებად (მწვანე და ლურჯი) ჩამოყალიბდა, ხოლო მეგრულმა ისესხა ქართულისგან, დაამკვიდრა *რწვანე / ლურჯი, ჟურჯი* ფორმების სახით, თუმცა ისინი ბაზისური ფერის განსხვავებულ კატეგორიებად ვერ ჩამოყალიბდნენ; ამიტომ დღესაც ვერ ხერხდება მეგრულში *მწვანე* და *ლურჯი* ტერმინების დიფერენციაცია და ჩვეულებრივია მათი „აღრევა“.

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ მეგრულში სინქრონიულ დონეზე, ძირეული და ქართულიდან ნასესხები ლექსემების გათვალისწინებით, ბაზისური ფერის ხუთი კატეგორიაა წარმოდგენილი შემდეგი ტერმინებით:

- ჩე-[თეთრი], უჩა-[შავი], ჭითა-[წითელი]
- ყვინთელი-[ყვითელი], რწვანე / ლურჯი-[მწვანე]+[ლურჯი].

(ბაზისური ფერის ტერმინთა კატეგორიაზე მსჯელობა ეყრდნობა ე. სოსელიას ნაშრომს: Соселиа 2009:126).

ამრიგად, *ჩე – უჩა* ბაზისურ ფერთა სემანტიკა საწყის ეტაპზე ზოგადი იყო, კონკრეტული შინაარსობრივი გაგება მოგვიანებით შეიძინა. მნიშვნელობათა ჩამოყალიბების დინამიკა ლექსიკური ერთეულების მიხედვით შემდეგნაირად გამოიხატება:

ჩე – უ-ჩა: ნათელი – არა-ნათელი (ზოგადი) → თეთრი – არა-თეთრი = შავი (კონკრეტული).

1.7. უქონლობა-უყოლობის სახელთა ფორმაწარმოება და სემანტიკური დიფერენციაცია მეგრულსა და ლაზურში

უქონლობის სახელები მეგრულში გამოხატულია რამდენიმე აფიქსით: **უ- – -ე, უ- – -ო, უ- – -ურ, უ- – -ოლ, უ- – -ელა**, რომელთაგან **უ- – -ო, უ- – -ურ** საერთოქართველურია და ქართულთან კანონზომიერ შესატყვისობას ავლენს (ფენრიხი, სარჯველაძე 2000:450), თუმცა სიხშირული თვალსაზრისით ჩამორჩება **უ- – -ე** წარმოებას, რომელიც ყველაზე პროდუქტიულია. ნაკლებად არის გავრცელებული უქონლობის სახელები **უ- – -ოლ** და **უ- – -ელა** აფიქსებითაც, ამიტომ მაგალითების დამოწმებას **უ- – -ე** კონფიქსიანი ლექსემებით დავიწყებთ:

I. უ- – -ე:

(1) **უაბარნე** „უაივნო“ (ქობალია): *უაბარნე* ცუდეს მილარდუ (ექსპ. მასალები) „*უაივნო* სახლში ცხოვრობდა“; (2) **უბარბალე** „უბორბლო“ (ქობალია): *უბარბალე* არაბაშა ლაიტი ვეგმადვინე (ექსპ. მასალები): „*უბორბლო* ურემზე სიმინდს ვერ დავდებ“; (3) **უბჟალე** „უმზეო“: *უბჟალე* დღა ვესერუ, ღორონთუმე (ექსპ. მასალები) „*უმზეო* დღე არ ღამდება, ღმერთმანი“; (4) **უთოფე** „უთოფო“: *უთოფე* კოჩი მუს იქუნს?! (ექსპ. მასალები) „*უთოფო* კაცი რას იზამს?!“ (5) **უთოლე** „უთვალო“/„ბრმა“: სინთე მუშოთი გოკო, *უთოლე* რექგდა? „ სინათლე რად გინდა, თუ ბრმა (სიტყვასიტყვით „*უთვალო*“) ხარ?“ Megrelian Texts ed. Danelia-Canava: DC, And.s, 452 (442, m), (6) **უთოფურე** „უთაფლო“: *უთოფურე* სქაცალო ქიმკოდინუა „*უთაფლო* ფუტკარივით დაიკარგაო“ Megrelian-Georgian Dictionary Kajaia: Megr. Dict., u, utopure, 20513. (7) **უკიბირე** „უკბილო“: *უკიბირე* დო ცვერე მის მუშო ოკონია! (ექსპ. მასალები) „*უკბილო* და ბრმა ვის რად უნდაო!“; (8) **უკუდელე** „უკუდო“: სქვერი ჭითა, *უკუ-*

დელე „შველი წითელი, *უკუდო*“ (გუდ. 17,32); (9) **უსქე / უსქუალე**[1] „უშვილო“: *უსქე* რე თეცაი ახაიგაზდა ძღაბი (ექსპ. მასალები) „*უშვილო* არის ასეთი ახალგაზრდა გოგო“; (10) **უქვინჯე** „უძირო“, (11) **უხელე** „უხელო“: *უქვინჯე* და *უხელე* სუმკათ გომიტუეს ჩქიმ მუმაშ ცუდეშა (ექსპ. მასალები) „*უძირო* და *უხელო* ჩანთით გამიშვეს ჩემი მამის სახლში“; (12) **უჯოლორე** „უძაღლო“: *უჯოლორე* ქიანას კატუეფი ყვიანდესია (ექსპ. მასალები) „უძაღლო ქვეყანაში კატები კნაოდნენო“.

როგორც დამოწმებული მაგალითებიდან ჩანს, **უ- – -ე** კონფიქსით ნაწარმოები სახელები **მატერიალური** ნივთის უქონლობას გამოხატავენ, იშვიათად შეუძლიათ **თვისების უქონლობის** აღნიშვნაც; მაგალითად, (13) **უკილე** „უნაკლო“: ჩქიმი ბიძიაშ ძღაბი ნაღდას *უკილე* რენია (ექსპ. მასალები) „ჩემი ბიძიას გოგო ნაღდად *უნაკლო* არისო“. აღნიშნული კონფიქსით თვისების გამოხატვა დამოკიდებულია თავად სახელური ლექსემის ფუძის სემანტიკაზეც; ამ თვალსაზრისით გამოირჩევა სხეულის ნაწილების აღმნიშვნელი ცალკეული ლექსემები, რომლებიც დადებითი და უარყოფითი კონოტაციით ძირითადად გადატანითი მნიშვნელობით იხმარება; მაგალითისთვის შეიძლება დავასახელოთ: (14) **უპიჯე** „უპირო“ (საყრდენი ფუძე პიჯ- „პირ-“): ვეენდა, *უპიჯე* კოჩიე „არ ენდო, *უპირო* კაცია“ Megrelian-Georgian Dictionary Kajaia: Megr.Dict., u, up'ije, 20719 (უპირო, ე.ი. სიტყვის გამტეხი)[2]; (15) **უგურე** „უგულო“ (საყრდენი ფუძე გურ-

[1] სქირ- / სქუა- ფუძეები ეტიმოლოგიურად აღნიშნავს „შობილს“. „ქართ. **შვ-ილ-** ფუძეს კანონზომიერად შეესატყვისება ლაზ. **სქ-ირ-**, მეგრ. **სქი-** (< სქ-ირ-ი)“. ქართ. **მ-შ-ო**, მეგრ. **სქუ-ა** (< ***მ-სქუ-ა**), სვან. **სგე//ჳმსგე** ფორმათა შეპირისპირების საფუძველზე თ. გამყრელიძემ აღადგინა ***მ-შვ-ე** ფორმა (ფენრიხი, სარჯველაძე 1990 : 377).

[2] ასევე გადატანითი მნიშვნელობისაა *უპიჯე-ს* პარალელური ვერსია *უპიჯო „უპირო“*.

„გულ-“): *უგურე კოჩი* რე, ვარა მუშიანემს მუჭო ვახვარუდასოკო?! (ექსპ. მასალები) „*უგულო* (= თანაგრძნობის არმქონე) კაცია, თორემ თავისიანებს როგორ არ უნდა ეხმარებოდეს?!“ (16) **უზისხირე** „უსისხლო“ (საყრდენი ფუძე ზისხირ- „სისხლ-“): ახაიგაზდა დო თენერი *უზისხირე*, ვიშო პატონი, სქან ჭირი! (ექსპ. მასალები) „ახალგაზრდა და ამნაირი *უსიხლო* (= უსიცოცხლო / თავისიანების არმცნობი), იქით (= შორს ჩემგან), ბატონო, შენი ჭირიმე!“

II. უ- – -ო:

როგორც აღვნიშნეთ, **უ- – -ო** ნაკლებად არის გავრცელებული, თუმცა დადასტურებული ფორმები განარჩევენ **მატერიალურ** და **თვისობრივ** უქონლობას: (17) **უჩილო** „უცოლო“: *უჩილო* ბოშიე (ექსპ. მასალები) „*უცოლო* ბიჭია; (18) **უკოჩო** „უკაცო“: *უკოჩო* ოჯახი რე (ექსპ. მასალები) „*უკაცო* ოჯახია“; (19) **უქომონჯო** „უქმრო“: *უქომონჯო* ოსური რე, მუ ქიმინას?! „*უქმრო* ქალია, რა ქნას?!“ (20) **უბადო** „უბედური“, „სიავე“: *უბადოს უბადო* მოცუნსია „*სიავეს სიავე* მოსდევსო“ (დან., ცან. 444,37).

აღსანიშნავია, რომ **უ- – -ო** და **უ- – -ე** აფიქსებით ხშირად ერთი ფუძის პარალელური ფორმებია წარმოდგენილი. პირველად ეს ფაქტი აღნიშნული აქვს ი. ყიფშიძეს: (21) **უმუმო || უმუმე** „უმამო“ (Кипшидзе 1914:284. იხ. მუმა „მამა“); (22) **უდიდო || უდიდე** „უდედო“, „ობოლი“ (Кипшидзе 1914:226, იხ. დიდა „დედა“); ასევე, პარალელური ერთეულები დასტურდება გ. ელიავას ლექსიკონში: (23) **უონჯღორო || უონჯღორე** „უსირცხვილო“, (24) **უჩილო || უჩილე** „უცოლო“, (25) **უღორონთო || უღორონთე** „უღმერთო“ (ელიავა 1997:303-304).

III. უ- – -ურ:

უ- – -ურ კონფიქსიანი წარმოქმნილი სახელი **თვისებას** გამოხატავს: (26) **უსქვამური** „ულამაზო“: მოიცონაფუდუკო *უსქვამური* ოსური „მოგეყვანა *უშნო (ულამაზო)* ცოლი“ Megrelian Texts ed. Xubua: MX, 7, 41, 25; (27) **უმინჯური** (სიტყვასიტყვით: „უპატრონო“), გადატანით: „ყურადღების გარეშე დარჩენილი“; (28) **უკუჩხური** (სიტყვასიტყვით: „უფეხური“), გადატანით: „ნავსი ფეხის, მარცხიანი“: *უკუჩხური* კოჩი რენია „*ნავსი ფეხის, მარცხიანი* კაცი არისო“ Megrelian-Georgian Dictionary Kajaia: Megr.Dict., u, uk'uchxur-i, 20587; თვისების გამომხატველი წარმოქმნილი სახელი ზოგჯერ მრავალფეროვანი სემანტიკური ნიუანსებითა და, შესაბამისად, სხვადასხვა სინონიმური ერთეულებითაა მოცემული. მეგრულში ერთ-ერთი ასეთი ლექსემაა (29) **უხუჯური**, რომელიც მეგრულ ტექსტებსა და ლექსიკონებში შემდეგი მნიშვნელობებითაა წარმოდგენილი: **ა.** „მოუხერხებელი“ (გუდავა 1975); **ბ.** „უხასიათო, მიუკარებელი, მიუდგომელი ადამიანი“ (ჭარაია 1997:133); **გ.** „არამეგობრული“ (Кипшидзе 1914:409, იხ. ხუჯი „მხარი“); **დ.** „უხიაგი, ურჩი, უხერხული, უგემური“ (ქობალია): ხუს ვემერჩანს, თიწკუმა საქმე ვეკეთინე, *უხუჯური* კოჩიე (ექსპ. მასალები) „მხარს არ აგიბამს, იმასთან საქმეს ვერ დაიჭერ, *არამეგობრული / უგემური* კაცია“; თე ბარგი ახალი რე დო ძალამს *უხუჯური* რე (ექსპ. მასალები) „ეს ტანსაცმელი ახალია და ძალიან *მოუხერხებელი* [სახმარია]“.

უ- – -ე, უ- – -ო, უ- – -ურ აფიქსიანი წარმოქმნილი ფორმები გარდაქცევით (ვითარებით) ბრუნვაში **ზმნიზედურ** მნიშვნელობას იძენენ; მაგალითები:

(30) **უბჟალე-თ** „უმზეოდ“: *უბჟალეთ* მუ რე ჩქინ ცხოვრება?! (ექსპ. მასალები) „*უმზეოდ* რა არის ჩვენი ცხოვრება?!“ (31) **უკიბირე-თ** „უკბილოდ“: ვაგარჩქილე ნარაგადგ, გილართ

ასე *უკიბირეთ!* (ექსპ. მასალები) „არ გესმის ნათქვამი, იარე ახლა *უკბილოდ!*“ (32) **უჯოლორე-თ** „უძაღლოდ“: *უჯოლორეთ* მუ გოკოდუ ონადირუშა?! (ექსპ. მასალები) „*უძაღლოდ* რა გინდოდა სანადიროდ?!“ (33) **უქომონჯო-თ** „უქმროდ“: *უქომონჯოთ* უმინჯუუ ხუთ სქუას (ექსპ. მასალები) „*უქმროდ* უპატრონა ხუთ შვილს“; (34) **უსქვამურ-ო** „ულამაზოდ“: *უსქვამურო* ორდასი, თის უჯგუ შურო ვედას კამპანიაშა (ექსპ. მასალები) „*ულამაზოდ* რომ იყოს, იმას ჯობია, სულ არ წავიდეს ქორწილში“; (35) **უხუჯურ-ო** „უხერხულად / მოუხერხებლად“: თე ონჯირუს *უხუჯურო* გილვოჯანუქ (ექსპ. მასალები) „ამ საწოლზე *უხერხულად / მოუხერხებლად* ვწევარ“; ...მუჭო გილურქე *უხუჯურო* „...როგორ *მოუხერხებლად* დადიხარ“ (გუდ. 140, 19-20).

***შენიშვნა 1**: ცნობილია, რომ მეგრულში გარდაქცევითი ბრუნვა განარჩევს ფუძის დაბოლოებებს და სხვადასხვა ბრუნვის ნიშანს იყენებს: ხმოვანფუძიანებს ურთავს -თ-ს, თანხმოვანფუძიანებს – -ო-ს. ამის გათვალისწინებით, ოდენ უ- პრეფიქსიანი წარმოებისაა უ-მუშო „უმისოდ“ ფორმა (იხ. მუშ-ი „მის-ი“), ხოლო ბოლოკიდური -ო გარდაქცევითი ბრუნვის ნიშანია. ამგვარ ვარაუდს ადასტურებს -მუშ- ფუძის უ- – -ე კონფიქსიანი წარმოების გარდაქცევითი ბრუნვის ფორმა: უ-მუშ-ე-თ „უმისოდ“. ამრიგად, პარალელური ფორმები უ-მუშო || უ-მუშ-ე-თ „უმისოდ“ მხოლოდ ზმნისართული წარმოებისაა.*

IV. უ- – -ოლ:

უ- – -ოლ კონფიქსიანი ფორმები, როგორც აღვნიშნეთ, იშვიათია, სულ რამდენიმე მაგალითით დასტურდება: (36) **უჯიმოლი** „უმარილო“ (ჭარაია 1997:133): *უჯიმოლი* რე თე ლებია, ძღაბი (ექსპ. მასალები) „*უმარილოა* ეს ლობიო, გოგო“; (37) **უდიდოლი** „უდედო“: **უდიდოლი** გინი (გუდ. 286,12); (38) **უმუმოლი** „უმამო“ (ჭარაია 1997:98): *უმუმოლი* რე თე ბაღანა (ექსპ. მასალები) „*უმამო* არის ეს ბავშვი“. თითოეულ მათგანს პარალელური ფორმები მოეპოვება **უ- – -ო / უ- – -ე** კონფიქსების სახით: **უ-ჯიმ-ოლ-ი || უ-ჯიმ-ო-ი** (აღმოსავლურ არეალში დასტურდება); **უდიდოლი**, შდრ.: **უდიდო || უდიდე** (Кипшидзе 1914:226); **უმუმოლი**, შდრ.: **უმუმალო || უმუმე || უმუმო** (Кипшидзе 1914 :284).

V. უ- – -ელა:

აღნიშნული კონფიქსით წარმოქმნილი სახელებიც იშვიათია; გამოხატავენ საგნის მახასიათებელი ნიშნის უქონლობას. ცხადია, უქონლობას **უ-** პრეფიქსი განსაზღვრავს, ხოლო ნიშნის ქონა ბოლოკიდური **-ა** სუფიქსითაა გამოხატული, რომელიც ქონების სემანტიკის ერთ-ერთი აფიქსია მეგრულში Кипшидзе 1914:347; (39) **უსქვამელა** „ულამაზო“: *უსქვამელა* ოსურეფი (გუდ. 192, 21-22) „*ულამაზო* / მახინჯი ქალები / ცოლები“; (40) **უსაქმელა** „უსაქმური“: *უსაქმელა* რენ დო ოსურს მი მეჩანსია?! (ექსპ. მასალები) „*უსაქმურია* და ცოლს ვინ მისცემსო?!“

-ელა სუფიქსს ზოგჯერ **-ურ** ენაცვლება, განსაკუთრებით აღმოსავლურ არეალში: (41) **უსქვამური** „ულამაზო“: ხვაჲე *უსქვამური* რდასი, მუ უჭირს! (ექსპ. მასალები) „მხოლოდ *ულამაზო* რომ იყოს, რა უჭირს!“ შდრ.: სქვამაია „ლამაზმანი“ ← სქვამი „ლამაზი“ Кипшидзе 1914:322).

VI. უარყოფითი სემანტიკის ნაზმნარი სახელები (მიმღეობები).

მეგრულში უარყოფითი სემანტიკის **ნაზმნარი სახელების (მიმღეობების)** აფიქსები საერთოქართველურია; კერძოდ, მეგრულ **უ- – -ენჯ/-ინჯ** კონფიქსს კანონზომიერად შეესატყვისება ქართული **უ- – -არ** მაწარმოებელი, ხოლო მეგრული **უ- – -უ** კონფიქსის შესატყვისია ქართული **უ- – -ელ**: (42) მეგრ. **ურჩქენჯი / ურჩქინჯი** – ქართ. **უმეცარი**: *ურჩქენჯი* ბრელი რე, მარა ნინას კიბირს გეთმეუნჭირანა (ექსპ. მასალები) „*უმეცარი* ბევრია, მაგრამ ენას კბილს აჭერენ; (43) მეგრ. **უგურაფუ** – ქართ. **უსწავლელი**: *უგურაფუ* ოსური რე, მარა არძა სქუას შარა ქემეურჩქინუ (ექსპ. მასალები) „*უსწავლელი* ქალია, მაგრამ ყველა შვილი გზაზე დააყენა / „გზა მიუჩინა“; (44) მეგრ. **უჭარუ** – ქართ. (და)უწერელი (ფენრიხი, სარჯველაძე 1990:306-307): *უჭარუ* რე თე არიკეფი დო ქიდნიჭარით (ექსპ. მასალები) „*(ჩა)უწერელია* ეს ზღაპრები და ჩაიწერეთ“; „მეგრ. **უ- – -ალ** აგრეთვე შეესატყვისება ქართ. **უ- – -ელ** ცირკუმფიქსს“ (იქვე:306-307): (45) მეგრ. **უჩურცხალი** – ქართ. მოუცილებელი: *უჩურცხალი* ჭირი რე, ვიშო პატონი (ექსპ. მასალები) „*მოუცილებელი* ჭირია, იქით (=შორს), შენი ჭირიმე“; (46) მეგრ. **უგურთალი** – ქართ. განუყოფელი: ჯგირი ჯიმალობა უღუნა, *უგურთალი* რენა (ექსპ. მასალები) „კარგი ძმობა აქვთ, *განუყოფელი* არიან“ და სხვ.

უქონლობის სახელებს ლაზურში ძირითადად **უ- – -ე** და **უ- – -ელ** კონფიქსები აწარმოებს, რომლებიც ქართულ **უ- – -ო** და **უ- – -ურ** აფიქსებს ეფარდება. ლაზურში **უ- – -ე** კონფიქსი გადმოსცემს როგორც უქონლობის სემანტიკას, ასევე მიმღეობურ მნიშვნელობასაც: (47) **უღნოსე** „უჭკუო“: *ე უღნოსე!* მა არ ხე ნცას გემიკლომენ... „*ჰე უჭკუო!* ერთი ხელი ცაზე მიკიდია...“ (დიუმეზილი 34); (48) **უგუნახე** „უცოდველი“: ...არ *უგუნახე*

ოხორჯა მუჭო ეინჭენ? „...ერთი *უცოდველი* ქალი როგორ ჩამოიხრჩობაო?“ (დიუმეზილი 18); (49) **უჲოღანე** (თურქ. yorgan „საბანი“) „უსაბნო“: კიშის *უჲოღანე* ვა ნიხოდინენ „ზამთარში *უსაბნოდ* არ გაიძლება“ (თანდილავა 763).

უ- – -ელ კონფიქსი გამოხატავს როგორც მატერიალურ, ასევე თვისობრივ უქონლობას: (50) **უბაბელი** „უმამო“: *უბაბელი* ბერეფე (ექსპ. მასალები) „*უმამო* ბავშვები“; (51) **უხეელი** „უსახელო“: ...*უხეელი* მეშაქუნაფუფე ფშვარე ნჩხილითენ „...*უსახელო* ჩასაცმელებს მოვქსოვ ჩხირით“ (კარტოზია, მეგრ. და ლაზ.,76,4); (52) **უდულჲელი** „უსაქმური“: *უდულჲელი* ქოდოფსქიდით „*უსაქმური* დავრჩით“ (ჩიქობავა, ჭან. ტექსტ., 69); (53) **უნანელი** „უდედო“: ბეფე-ჩქიმი *უნანელი* დობუტალა „ჩემი შვილები *უდედოდ* დავტოვო!“ (კარტოზია, ლაზ. ტექსტ. 182,3) (თანდილავა 766); (54) **უნენელი** „უენო, მუნჯი“: ნუსაქ... *უნენელი* იქომს „რძალი *უენოდ* აკეთებს“ (ჟღენტი, ჭან. ტექსტ.,30) (თანდილავა 766); (55) **უმითელი** „უპატრონო“/„ობოლი“: მათი *უმითელი* დოფსქიდი „მეც *უვინმეო* (ობოლი) დავრჩი“ (ჩიქობავა, ჭანურის გრამატ. ანალიზი, 23) (თანდილავა 765).

ლაზურშიც დასტურდება უქონლობის სახელთა პარალელური წარმოება; კერძოდ, ერთი და იგივე ფუძე შეიძლება გააფორმოს **უ- – -ე** და **უ- – -ელ** კონფიქსებმა: (56) **უდუცხირე** || **უდიცხირელი** „უსისხლო“, (57) **უდიშქე** || **უდიშქელი** „უშეშო“. აღსანიშნავია, რომ ლაზურში იშვიათად **ა-** პრეფიქსიანი უქონლობის სახელი შეიძლება დაწყვილდეს **-ე** ან **-ელ** სუფიქსთან. „დაფიქსირებულია თითო-ოროლა შემთხვევა, როდესაც უარყოფას გამოხატავს არა **უ-**, არამედ **ა-** პრეფიქსი“ (ქირია და სხვები 2015:135). **ა- – -ე, ა- – -ელ** კონფიქსიანი სახელები დასტურდება პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით: (58) **ა-გურ-ე**, შდრ.: **უ-გურ-ელ-ი** „უგულო“ (გადატანითი სემანტიკის); (59) **ა-პარკ-ე** „უშვილო“, (60) **ა-კიბირ-ელ-ი** „უკბილო“ (პირდაპირი მნიშვნე-

ლობით); „ა- – -ელ წარმოების მხოლოდ ეს ერთი შემთხვევაა დადასტურებული, მაგრამ შემდეგი კვლევა-ძიება ამ მიმართულებით შესაძლებელია პროდუქტიული აღმოჩნდეს“ (იქვე:135).

შენიშვნა 2: ა- პრეფიქსის ამგვარი სემანტიკა არ არის შემთხვევითი, რადგან იგი მომდინარეობს ქართ. „არა“-ს მნიშვნელობის აა უარყოფითი ნაწილაკისაგან (თანდილავა 2013:9).

იშვიათად დადასტურებულ უქონლობის აფიქსებს შორის ლაზურში დასახელებულია **უ- – -ო** კონფიქსიც (აღნიშნული ენობრივი ფაქტის შესახებ იხ. ქირია და სხვ. 2015:135): (61) **უპიჯო** „უპირო“: *უპიჯო* დოსქიდა-ჲა „უპიროდ დარჩეო“ (ჩიქობავა, ჭან. ტექსტ., 13,26) (თანდილავა 766), შდრ.: ლაზ. **უპიჯელი**, მეგრ. **უპიჯო / უპიჯე** „უპირო“. აღსანიშნავია, რომ ჩვენ მიერ ველზე მოძიებულ ლაზურის მაგალითებში უ- – -ო მაწარმოებელი იშვიათად, მაგრამ მაინც ხოფურ კილოში გვხვდება, რომელიც უფრო ახლოს დგას მეგრულთან.

უარყოფითი შინაარსის **მიმღეობური ფორმები** დასტურდება ლაზურშიც. მიმღეობის საწარმოებლად „ქართულ **უ- – -ელ** ცირკუმფიქსს კანონზომიერად შეესატყვისება ლაზური **უ- – -უ**“ (ფენრიხი, სარჯველაძე 1990:307).

მაგალითები:

(62) **უდოჯოხინუ** „დაუძახებელი“: ჭანდაშა *უდოჯოხინუ* მითი ვარ ნაშქუ ფათიშაიქ „ქორწილში *დაუძახებელი* არავინ არ დატოვა ხელმწიფემ“ (კარტოზია, ლაზ. ტექსტ. 49, 6) (თანდილავა762); (63) **უკორეცხუ** „დაუთვლელი“/„დაუთვლელად“: ფარა ნა-მულუტუ, იჲ *უკორეცხუ* ლაროს დოლობდამტუ „ფული რაც მოდიოდა, ყველას *უთვლელად* ორმოში ყრიდა“ (კარტოზია, ლაზ. ტექსტები, 190,33) (თანდილავა 764); (64) **უმონჭაფუ** „დაუმწიფებელი“: *უმონჭაფუ* უწუმელან კობალა „*დაუმწიფე-*

ბელს ეძახიან „კობალას“ (ჩიქობავა, ჭანურის გრამატ. ანალიზი, 75) (თანდილავა 765); (65) **უმოწოფხუ || უმოწიფხუ** „მოურთავი“, „მოუწყობელი“: *უმოწოფხუ* დოსქიდას-ნა, მჭიმაქ დოხცინასენ „*მოუწყობელი* რომ დარჩეს, წვიმა დაალბობს“ (ჩიქობავა, ჭანურის გრამატ. ანალიზი, 4) (თანდილავა 765); (66) **უმოჭკირუ** „მოუჭრელი“: *უმოჭკირუ* კარკალას ხე დოლოჩაფს „*მოუჭრელ* აყიროში ხელს ჩაყოფს“ (კარტოზია, მეგრ. და ლაზ. ტექსტები 89, 10).

უ- – -ე და **უ- – -ელ** კონფიქსიანი **მიმღეობური** ფორმები:

(67) **უაჲლუღე** (თურქ. aylik) „უხელფასო“ (თანდილავა 761); (68) **უგჲარე** „უსაჭმელო“ (მშიერი): არ *უგჲარე* მთუთიქ ოჭკომალე გორუპტუ „ერთი *უსაჭმელო* (მშიერი) დათვი საჭმელს ეძებდა“ (კარტოზია, მეგრ. და ლაზ. ტექსტები, 61,17); (69) **უკუჩხელე** „უფეხო“, (70) **უხეელე || უხეელი** „უხელო“: კოჩისთი ვა ნუნგაფს, *უკუჩხელე, უხეელე* „კაცსაც არ ჰგავს, *უფეხო, უხელო*“ (კარტოზია, ლაზ. ტექსტები 196,33) (თანდილავა 770); (71) **უჩქიმელი** „უჩემოდ“: *უჩქიმელი* ხვალა-ხვალა გულუი? „*უჩემოდ* მარტოდმარტო დადიხარ? (კარტოზია, ლაზ. ტექსტები, 221,30) (თანდილავა 770).

აღნიშნული კონფიქსები პარალელურ დერივატებადაც კი შეიძლება განვიხილოთ:

(72) **უგჲარე || უგჲარელი** „უსაჭმელო“ /„უჭმელი“: დიდო *უგჲარელი* ვორეთ... (ჩიქობავა, ჭანური ტექსტები, 75,3) (თანდილავა 762) „ძალიან მშივრები / „ *უსაჭმელოები*“ ვართ“.

საანალიზო მასალა ცხადყოფს, რომ ყველაზე გავრცელებული მაწარმოებელი მიმღეობურ ფორმებში არის **უ- – -უ** კონფიქსი. ლაზურში წარმოქმნილი სახელები და მიმღეობები ზმნისართული მნიშვნელობისაა, თუკი ზმნას უკავშირდებიან.

1.8. ცალკეული ლექსემები მეგრულსა და ლაზურში: სინქრონიულ-დიაქრონიული მიმართება და ნასესხობა

მეგრულში სინქრონიულ დონეზე დასტურდება უარყოფითი სემანტიკური ნიუანსის რამდენიმე ლექსიკური ერთეული; ესენია: **ჩხურუ** „სიცივე", **ცურუ** „ყრუ" (გადატ. მნიშვნელობით), გაუნათლებელი", **ფური** „ცუდი". ამ ლექსემებში სინქრონიულ დონეზე მანარმოებელი აფიქსის გამოყოფა შესაძლებელი არ არის; მათ უარყოფით ლექსიკურ მნიშვნელობას განსაზღვრავს საპირისპირო – დადებითი მნიშვნელობის სიტყვა-ფორმებთან შედარება-შეპირისპირება: **ჩხურუ** „სიცივე" – **სინჩხე** „სიცხე" / **სიტიბა** „სითბო"; **ცურუ** „გაუნათლებელი" – **ნაქალარდუ**[1] „განათლებული", **ფური** „ცუდი" – **ჯგირი** „კარგი".

მაგალითები:

(1) ხან **ჩხურუ** მაფუ დო ხან **სინჩხე**, თე ამიდიშა მუთა გეგინე (ექსპ. მასალები) „ხან *მცხელა* და ხან *მცივა*, ამ ამინდს ვერაფერს გაუგებ"; (2) **ცურუ** რე, იშა მუთა იკითხირე, **ნაქალარდუ** ხომ ვაიჩქუ? (ექსპ. მასალები) „*ყრუ, გაუნათლებელია*, იმას ვერაფერს ჰკითხავ, *ნასწავლი* / „ნაქალალდევი" ხომ არ გგონია? (3) **ჯგირი** დო **ფური** თიშო არძა ართიე „*კარგი* და *ცუდი* იმისთვის ყველა ერთია".

სინქრონიულ დონეზე საანალიზო სიტყვა-ფორმები შეიძლება განვიხილოთ, როგორც უარყოფის **იმპლიციტურად** გამომხატველი **ლექსიკური ერთეულები**, თუმცა ინტერესს ასევე აძლიერებს დიაქრონიულად ამ ფორმებში უარყოფის მანარმო-

[1] *ნა-ქალარდუ* ნა- პრეფიქსიანი წარმოქმნილი სახელია, წინავითარების ჯგუფისა, სიტყვასიტყვით ნიშნავს „*ნა-ქალალდევს*", *ე.ი. ნა-კითხს* (ქალალდი, იგივე წიგნი; წინავითარების სახელთა წარმოების შესახებ მეგრულში იხ. Кипшидзе 1914:0129).

ებელი **-ურ** სუფიქსის გამოყოფის ვარაუდი. მეგრული ფორმების შესახებ ვ. თოფურიას თვალსაზრისი სვანურის სინქრონიულ მონაცემებს ეფუძნება; კერძოდ, მეცნიერს დასახელებულ ლექსემებში **-ურ** სუფიქსიან ფორმათა ჩამოყალიბების პროცესი წარმოდგენილი აქვს შემდეგნაირად: „ჩხურუ მიღებულია ჩხესაგან -ურ ბოლოსართის მეშვეობით და ნიშნავს „უცხელოს“, „ცივს“; **ფური** „ცუდი, ავი“ სიტყვაში **-ურ** თუ უარყოფითობის სუფიქსია, მაშინ დარჩენილი **ფ** ძირი „კარგს“ უნდა გამოხატავდეს. ეგების ეს **ფ** იყოს შემონახული ჭანურ ზმნაში: ი-**ფ**-ელენ „ვარგა“ (თოფურია 1979: 77-78).

ჩვენი აზრით, სვანურის სინქრონიული მონაცემების განზოგადებას და მეგრულში უარყოფის გამოსახატავად **-ურ** სუფიქსიანი სახელური მოდელის დაშვებას, თუნდაც დიაქრონიულად, თავად ამ სუფიქსის გენეზისი უშლის ხელს; როგორც მასალის ანალიზიდან ჩანს, **-ურ** სუფიქსი წარმოქმნილია **უ** და **რ** ელემენტების შეერთებით, ხოლო მის თავდაპირველ მნიშვნელობებად წარმომავლობა-სადაურობისა და თვისების გამოხატვა ივარაუდება. სვანურის დღევანდელი ენობრივი მონაცემები რეინტერპრეტაციის შედეგია (ამ საკითხზე იხ. თ. I: §1.3).

მეგრულში ყურადღებას იქცევს **-გა** მარცვალზე დაბოლოებული უარყოფითი სემანტიკის ლექსიკური ერთეულები; ესენია: **ტვინგა** „უტვინო“, **ხანგა** „გიჟი“, **ნირგა** „უტიფარი“, **ცუნგა** „ყრუ“ „უცოდინარი“ (გადატ. მნიშვნელობით), **ჩვაგა || ჩვიგა** „ჩლუნგი“, **ჩინგა** „ტლანქი“/„აწონილი“, **ოჩაგა** „მამალი თხა, დაკოდილი საყოჩედ“. ორიოდე სიტყვა-ფორმაში შეიძლება გამოიყოს ძირეული საყრდენი ფუძე, რომელიც დადებითი მნიშვნელობით დაუპირისპირდება **-გა** დაბოლოებიან უარყოფითი სემანტიკის მქონე ლექსემებს: მაგალითად, ტვინი „ტვინი“ – ტვინ**გა** „უტვინო“, ნირი „წესი“, „რიგი“ – ნირ-**გა** „ურიგო“ (უტიფარი), მაგრამ მთელ რიგ ლექსიკურ ერთეულებში, როგორებიცაა:

ბუგა „ჩლუნგი“, ლუგა „ბოთე“ და მისთ., ძირეული მნიშვნელობის დადგენა ვერ ხერხდება (როგავა 1942:625-629; დანელია 2006:173); მეგრულში ეს ფაქტი დაბრკოლებას უქმნის **-გა** ელემენტს, გამოიყოს მაწარმოებლად; გ. როგავას იგი არაზანური წარმომავლობისად მიაჩნდა, კერძოდ, აფხაზურ-ადიღეური ენებიდან შეთვისებულად (როგავა 1942); ამავე თვალსაზრისს იზიარებდა კ. დანელიაც (დანელია 2006).

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული სხვა მოსაზრების თანახმად, **-გა**-ს წარმომავლობის ძიება შესაძლებელია ქართველურ ენობრივ არეალშიც; ავტორებს მხედველობაში აქვთ ძველი ქართულის ძეგლში[1] დადასტურებული ანტონიმური ერთეულები: „ხშირ-ნვერითა“ *(=წვეროსანი)* – „წვერ-**გამო**“ *(=უწვერული)* და ასევე „ვეფხისტყაოსანში“ გამოყენებული წვერ-**გამო** *უწვერული-ს* მნიშვნელობით[2]; რაც შეეხება **-გა**-ს ფორმობრივად ჩამოყალიბებას, განიხილება ან ამოსავალი სახეობის გამარტივება (-გამო → -გა), ან -გალ არქეფორმის არსებობა (ქირია და სხვები 2015:141-142). **-გა** სუფიქსი არ დასტურდება ლაზურში, რაც, ჩვენი აზრით, ასევე ხელს უშლის მის საერთოქართველურ მონაცემად მიჩნევას; სხვა თვალსაზრისით, ეს ფაქტი ლაზურისთვის მეორეულ მოვლენად შეიძლება ჩაითვალოს (იქვე 2015:14).

ლაზურში დასტურდება **თურქულიდან ნასესხები *-სუზ*** დაბოლოებიანი უქონლობის სემანტიკის სახელური ლექსემები, რომელთაგან ზოგიერთი ზმნიზედური მნიშვნელობისაა ან გაარსებითებულია:

---

[1] „დავით და კონსტანტინეს მარტვილობაჲ“.

[2] ძველბერძნული ძეგლის (ქსენოფონის „ნადიმი“) ქ. ჯერვალიძისეულ ქართულ თარგმანშიც „წვერგამო“, ანუ: ბავშვები, ჭაბუკები გამოყენებულია „ვაჟკაცნის“, იმავე „წვეროსანნის“, ანტონიმად (ქირია და სხვები 2015:141).

(1) ნამუსსუზი (არაბ-თურქ. namussuz) „უსინდისო“: ... ოხორჯა *ნამუსსუზი* (ზმნისართის ფუნქციით) გოხთატუკო, ...დოხვამტეს საღი! „ქალს *უსინდისოდ* რომ გაევლო, ცოცხლად დამარხავდნენ“ (ჩიქობავა, ჭანურის გრამ. ანალიზი,15) (თანდილავა 566); ჟირი მუშისთერი *ნამუსსუზი* (გაარსებითებული) ქოძიუ „ორი თავისნაირი *უნამუსო* ნახა“ (ჩიქობავა, ჭან. ტექსტები, 15); (2) იგბალსუზი „უიღბლო“: ...მუჭო ვორტი აში *იგბალსუზი* (ზმნისართის მნიშვნელობით)... „როგორ ვიყავი ასე *უიღბლო*“ (კარტოზია, მეგრ. და ლაზ. ტექსტ., 66, 20); (3) ვაკთისუზი „უდროოდ“: *ვაკთისუზი* (ზმნისართის მნიშვნელობით) გიული გამაბჩამ (ექსპ. მასალები) „*უდროოდ* ვყიდი ვარდს“.

ვ ა კ თ ი ს უ ზ ი განსხვავდება *ნამუსსუზი-სა* და *იგბალსუზი-საგან* იმ თვალსაზრისით, რომ *ნამუსსუზი-სა* და *იგბალსუზი-ს* შემთხვევაში თურქულში სახელის ფუძეებს *–namus (ნამუს-), ikbal (იკბალ- → იგბალ-)* – პირდაპირ ერთვის სუფიქსი -suz (-სუზ) და ამგვარადვე, ფორმალური ცვლილების გარეშე, არის შესული ლაზურში. *ვაკთისუზი* ფორმასთან კი საქმე სხვაგვარადაა; კერძოდ, წარმოქმნილი ფორმის ძირეული სიტყვა *(ვაკთ-)* არაბულია (არაბ. vakt) და არაბულიდან არის შესული თურქულში[1]. თურქულში სახელობითის ფორმაა vakit და თურქულის მიხედვით სწორი წარმოება იქნებოდა vakitsuz / „ვაქითსუზ“. ლაზურში დამოწმებული *ვაკთისუზ-ი (იხ. მაგ.(3))* უთუოდ ლაზურ ნიადაგზე არის წარმოქმნილი, შდრ.: ასევე ლაზურის სხვა ფორმები: *ვაქთი, ვახთი, ვახტი* (თანდილავა 2013:275-276). ამ ფორმათა ბოლოკიდური /**ი**/ ლაზურის სახელობითის ფორმანტია, რომელმაც თურქული vakit ფორმის შეკუმშვა (vakit → vakt) და შეცვლილი სახით დამკვიდრება გამოიწვია.

[1] ლაზურის ლექსიკონში მხოლოდ თურქული წარმომავლობაა მითითებული: **ვაქითი** (თურქ. vakit) „დრო“ (თანდილავა 2013: 275)

შენიშვნა 2: *ლაზურში შეუკუმშავი ვაკიტი, ვაქითი ფორმებიც დასტურდება (იხ. თანდილავა 2013:274-275); ამიტომ არ გამორიცხება წყაროს – არაბულის ან სპარსულის – ფონოტაქტიკის გავლენაც: შდრ.: თურქ. nehir „მდინარე" (< არაბ. nehr) ბრალდებითი ბრუნვის ფორმა თურქულში nehri; თურქ. şehir „ქალაქი" (<სპარს. şehr) ბრალდებითი ბრუნვის ფორმა თურქულში şehri და სხვ.).*

თურქული **-სუზ** სუფიქსი უქონლობას გამოხატავს. სალიტერატურო თურქულში დასტურდება და, შესაბამისად, თურქული ენის გრამატიკებში აღნიშნულია მისი ოთხი ვარიანტი: -sız, -siz, -suz, -süz. თითოეული ვერსია იმის მიხედვით იჩენს თავს, თუ როგორია იმ სიტყვის ბოლო მარცვლისეული ხმოვანი, რომელსაც ერთვის. ლაზურში დადასტურებულ ლექსემებში დასტურდება მხოლოდ -suz ვარიანტი. ზემოთ დამოწმებული მაგალითების მიხედვით, შეიძლება ითქვას, რომ *namussuz (ნამუსსუზ)* კანონზომიერი წარმოქმნაა; რაც შეეხება *იგბალსუზ* და *ვაქთისუზ* ფორმებს, თურქული მორფონოლოგიის კვალობაზე სწორი იქნებოდა ikbalsız და vakitsiz. ეს იმიტომ, რომ ოსმალურის (თანამედროვე თურქული ენის წინაპარი ენის) განვითარების ისტორიაში გამოიყოფა ხანგრძლივი პერიოდი, როცა მთელი რიგი სიტყვებისა და აფიქსების ბოლოკიდურ დახურულ მარცვალში ძირითადად იხმარებოდა ვიწრო ბაგისმიერი ხმოვნები **u**, **ü**, ნაცვლად არაბაგისმიერი **ı**, **i**-ისა. მაგალითად, altun „ოქრო", ნაცვლად დღევანდელი altın-ისა; demür „რკინა", ნაცვლად თანამედროვე demir-ისა; Birdu „ერთი იყო", ნაცვლად Birdi-სა; içün „-თვის"," ნაცვლად için-ისა და სხვ. მკვლევარ-სპეციალისტებისთვის ეს მოვლენა ძველი სალიტერატურო თურქულის წარმოთქმის დამახასიათებელი ნიშანია. ბოლოკიდურ

მარცვალში ხმოვნის ლაბიალობას არა აქვს დისტინქციური ფუნქცია. ამგვარი ფორმები ხშირია დიალექტებში და ისინი გაინიხილება თურქული ენის არქაული მდგომარეობის (იგულისხმება ჰარმონიამდელი პერიოდი) მაჩვენებლად, რომლის ანალოგიებიც უხვად არის ძველ თურქულში[1].

1.9. უქონლობა-უყოლობის სახელთა ფორმაწარმოება და სემანტიკური დიფერენციაცია სვანურში[2]

სვანურში სინქრონიულ დონეზე უქონლობის სახელები ორი მაწარმოებლით დასტურდება; ესენია: სუფიქსი **-ურ** || **-ულ** (დისიმილაციით) და კონფიქსი **უ- – -ა**. მათი დართვა ფუძისეული ხმოვნის რედუქციას იწვევს. უქონლობის სახელთა **-ურ** სუფიქსიანი წარმოება უფრო ხშირია სვანურში და დაერთვის უმლაუტო ფუძეს; მაგალითად,

(1) ***უ-ლჩაქ-ა*** „ულეჩაქო“: ჯუინაღლდ ზურაღ *ულჩაქად* ყრქა მამ ჴედენ „ძველად ქალი თავდაუბურავი / „*ულეჩაქოდ*“ კარში არ გამოვიდოდა“; (2) *გურმაშ-**ურ*** „უულვაშო“: ეჯ *გურმაშურ* ჭყინტ დეშ მირ ოთგრ „ის *უულვაშო* ბიჭი ვერ ვიცანი“; (3) *თეთრ-**ულ*** „უფულო“: *თეთრულ* მარე გუნ ლეჟრი ლი ლაბდილადაღჟი „*უფულო* კაცი ძალიან ცოდვაა დღესდღეობით“.

---

[1] თურქული ლექსიკური ერთეულების შემადგენელი სეგმენტებისა და თურქული სალიტერატურო ენის კვალდაკვალ მათი ფორმალური ცვლილების შესახებ ინფორმაცია მოგვაწოდა თურქოლოგმა, პროფესორმა მარიკა ჯიქიამ, რისთვისაც მას უღრმეს მადლობას მოვახსენებთ.

[2] ლექსიკური ერთეულები აღებულია ლექსიკონებიდან: *ქართულ-მეგრულ-ლაზურ-სვანურ-ინგლისური ლექსიკონი 2015*; *სვანური ლექსიკონი 2000*; საილუსტრაციო მაგალითები დამოწმებულია გრანტის ფარგლებში სვანეთში განხორციელებული ლინგვისტური ექსპედიციის მასალებიდან.

ვ. თოფურიას მოსაზრებით, სვანური **-ურ** ||-**ულ** სუფიქსი მატერიალურად უდრის მეგრულ **-ურ** სუფიქსს (რომლის არსებობაც მან ივარაუდა *ჩხურუ „ სიცივე“, ჯურუ „ ყრუ“, ფური „ ცუდი“/„ ავი“* ფორმებში)[1], ხოლო ფუნქციით შეესაბამება ქართულ **უ- – -ო, უ- – -ურ** და მეგრულ **უ- – -ე** აფიქსებს (თოფურია 2002:171). სვანურში **-ურ** სუფიქსიანი ფორმები უფრო მეტად *„ გარეშე“* სემანტიკის ფარდია და, შეიძლება ითქვას, საანალიზო ფორმანტი ძირითადად ზმნისართული ფუნქციისაა; მაგალითად,

-ურ:

(4) ჭაშუ-**ურ** „ქმრის გარეშე“ = „უქმრო“ / „უქმროდ“, (5) დიარ-**ურ** || დიარ-**ულ** „პურის გარეშე“ = „უპურო“/„უპუროდ“, (6) დოშდლ-**ურ** „მთვარის გარეშე“ = „უმთვარო“/„უმთვაროდ“, (7) ტუეტ-**ურ** „ხელის გარეშე“ = „უხელო“ / „უხელოდ“, (8) ჯიჯუ-**ურ** „ძვლის გარეშე“ = „უძვლო“ /„უძვლოდ“, (9) ლუსდიგუ-**ურ** „ნაწნავის გარეშე“ = „უნაწნავო“/„უნაწნავოდ“, (10) ფათუ-**ურ** „თმის გარეშე“ = „უთმო“/ „უთმოდ“, (11) ლელუ-**ურ** „ხორცის გარეშე“ = „უხორცო“ / „უხორცოდ“ (12) ანტყუასგ-**ურ** „ვარსკვლავის გარეშე“ = „უვარსკვლავო“/ „უვარსკვლავოდ“, (13) თხუმ-**ურ** „თავის გარეშე“ = „უთავო“ / „უთავოდ“, (14) დი-**ურ** „დედის გარეშე“ = „უდედო“/„უდედოდ“, (15) ქუინ-**ურ** „სულის გარეშე“ || „სუნის გარეშე“ = „უსულო“/„უსულოდ“ || „უსუნო“/„უსუნოდ“, (16) მალატ-**ურ** „სიყვარულის გარეშე“ = „უსიყვარულო“/ „უსიყვარულოდ“, (17) თე-**ურ** „თვალის გარეშე“ = „უთვალო“/ „უთვალოდ“, (18) ჭიშხ-**ურ** „ფეხის გარეშე“ = „უფეხო“/ „უფეხოდ“, (19) ლიც-**ურ** „წყლის გარეშე“ = „უწყლო“ / „უწყლოდ“, (20) უშხუარ-**ურ** „ერთმანეთის გარეშე“ = „უერთ-

[1]-**ურ** სუფიქსის გენეზისისა და მეგრულში -ურ ელემენტიანი ლექსიკური ერთეულების შესახებ მსჯელობა იხ. თ. I: §1.3; 1.8).

მანეთოდ“, (21) ქორ-**ურ** „სახლის გარეშე“ = „უსახლო“ / „უსახლოდ“.

როგორც ვხედავთ, საანალიზო ფორმებში გარდაქცევითობის დონი სავალდებულო არ არის (განსაკუთრებით ბალსქვემოურ დიალექტში); ამიტომაც ზმნიზედის ამოცნობა მხოლოდ კონტექსტითაა შესაძლებელი. პარალელურ ფორმად ბრუნვისნიშნიანი ლექსემის აღდგენა ყოველთვის შესაძლებელია.

ვ. თოფურია უქონლობის სახელთა მაწარმოებელ აფიქსად **უ- – -ა** კონფიქსს არ ასახელებს: „უქონლობის სახელის სუფიქსია -ურ, დისიმილაციით -ულ“ (თოფურია 2002:248). ამ ვარაუდს, ცხადია, თავისი საფუძველი აქვს: სვანურში **უ- – -ა** კონფიქსიანი ფორმები, მართალია, ზოგჯერ ოდენსუფიქსიანი წარმოების უქონლობის სახელების პარალელურადაც გვხვდება, მაგრამ ის უფრო მეტად უარყოფით მიმღეობათა კუთვნილებაა და ერთვის აწმყოს ფუძეს:

უ-მჩ-ა-უ-დგარ-ა „უბერებელ-უკვდავი“, *უ-ჭმ-ა* „დაუთიბავი“ და სხვ.

შესაბამისი მაგალითებია:

(22) **უ-თურ-ა** „უსწავლელი“: *უთურა* მარა ლუგუენ მამა ხაზ „*უსწავლელ* კაცს ფასი არ ადევს“; (23) **უ-თუნ-ა** „უსმელი“: ბაუჩიშ ქორხანქა მუშგური *უთუნა(დ)* დემჩიქს მეკედ „ბავჩის ოჯახიდან /„სახლიდან“ სტუმარი *უსმელი („უსმელად“)* არასოდეს გამოსულა“; (24) **უ-მთქუნ-ა** „უჩვევი“: ლიშდაბს *უმთქუნა* სიმქარ ხორდახ ოთარშერს (ბზ.) „შრომას *უჩვევი* ასულები ჰყავდათ ოთარაანთ“; (25) **უ-ღვან-ა** „უქონელი“: მამჭირან მარე ჩიგარ *უღუნა* ერა „ზარმაცი კაცი ყოველთვის ღარიბი / „ *უქონელი* “ იქნება“; (26) **უ-დი/იგ-ა** „ჩაუმქრალი / „უშრეტი“:

ა. ლემესგ ჩიქი *ჩუუდიგა* ლასუ, ლახუბა ქორთე ანჯადხ ეჩქას (ბქ.) „ცეცხლი ჯერ *ჩაუმქრალი* იყო, ძმები (რომ) სახლში მოვიდნენ, მაშინ“.

ბ. ჯგმლა̈ ნა̈თუ̈ფ დაჩუ̈რს გუისგა მეჰად *უდრგა* ლემესგ ხრშუ̈ (ბზ.) „ძმის დამკარგავ დას გულში მუდამ *უშრეტი* ცეცხლი უნთია“.

ჩვენი აზრით, ვინაიდან **უ-** – **-ა** კონფიქსით ნაწარმოები უქონლობის სახელები თანამედროვე ეტაპზე ენაში ნაკლები სიხშირით, მაგრამ მაინც გვხვდება და გვაქვს ერთი და იმავე ფუძიდან უქონლობის სახელთა პარალელური წარმოების ნიმუშები, ეს კონფიქსი უქონლობის სახელთა მაწარმოებლადაც უნდა ჩაითვალოს. იგი მატერიალურად ქართული **უ-** – **-ო** კონფიქსის ფარდია, ფუნქციურად კი – მხოლოდ ნაწილობრივ, ვინაიდან ძირითადად მიმღეობებთან გვხვდება.

უნდა აღინიშნოს, რომ იმ ფუძეებთან, რომლებთანაც პარალელური წარმოება დასტურდება, **უ-** – **-ა** კონფიქსიანი ფორმები კონტექსტის გათვალისწინებით ხშირად შეიძლება აღვიქვათ მიმღეობებადაც; მაგალითად,

(27) თხუ̈იმ „თავი“ – თხუმ-**ურ** „უთავო || თავის გარეშე“, მაგრამ (28) **უ**-თხუ̈მ-**ა** „უმეთაურო“ – ლითხუ̈მი „მეთაურობა, წინ წაძღოლა“ ზმნას უფრო უკავშირდება, ვიდრე „თავის არქონას“, შდრ.:

ა. მეზგა ჩიგარ ღუ̈აჟმარე *ხოთხუ̈მი (ბქ.)* „ოჯახს ყოველთვის *მამაკაცი* უძღვება“ და **ბ.** *უთხუ̈მად* მეზგე დემეგ იმა̈რგ (ბქ.) „*გაძღოლის გარეშე* ოჯახი არ ვარგა“.

(29) გეზალ „შვილი“ – გეზლ-**ურ** „უშვილო(დ)“ / „შვილის გარეშე“ – **უ**-გზელ-**ა** „უშვილო“ = „უმშობიარებელი“, „უშვილოსნო“ (შდრ.: ლიგზელი „შვილოსნობა“), მაგრამ გვაქვს მთელი წყება **უ-** – **-ა** კონფიქსიანი უქონლობის სახელებისა, რომელთა კავშირი ზმნასთან არ შეიმჩნევა; როგორც უკუთქმით მიმღეობებთან, მათთანაც ზოგჯერ **-ა** ბოლოსართი სრულად იკვეცება ან მის ადგილს უ̈ იკავებს.

მაგალითები:

(30) **უ-ტალ-უ̈** „უნაკლო, უზადო“ (ტა̈ლ „ნაკლი სხეულის ნაწილისა“); (31) **უ-მარცხ-(უ̈)** „უმარცხო“ (მა̈რცხ „მარცხი“), შდრ.: **უ-მგრცხ-ა / უ-მარცხ-ა** „დაუმარცხებელი“; (32) **უ-მანკ-უ̈** „უხასიათო“, „უუმური“, „უზნეო“ (მა̈ნკ „ხასიათი“/„ზნე“); (33) **უ-მყალ-უ̈** „უშიშო“ (მაყალ „შიში“); (34) **უ-ძუ̈ირ** „არაიშვიათი“, „არაძვირი“; (35) **უ-სახ-უ̈** „უსახო“, „უკარება“; (36) **უ-ბა̈დ-უ̈** „უბედური“. ვინაიდან ზოგ მათგანთან პარალელურად უსუფიქსო ფორმებიც გვხვდება (**უ-თოლ** „უტვინო“, **უმარცხ** „დაუზიანებელი“, **უმყალ** „უშიშო“), შესაძლოა, ეს მაგალითები ოდენ-პრეფიქსიან წარმოებასაც მიეკუთვნოს, **უ̈** კი, რომელიც, ფაქტობრივად, მნიშვნელობას ვერ ცვლის, აუსლაუტში განვითარებულად ჩაითვალოს (ამ ტიპის სახელებში ბოლოკიდური **უ̈**-ს შესახებ მსჯელობა იხ. *შესავალი:* §1; თ. I: §1.1).

როგორც აღვნიშნეთ, პარალელურ ფორმებს შორის მცირეოდენი სემანტიკური სხვაობა შეინიშნება: *ს უ ფ ი ქ ს ი ა ნ ი* ფორმები უფრო კონკრეტულად და ერთმნიშვნელოვნად გამოხატავენ უქონლობას: (36) ნა̈თი-**ურ** თელღგრა და̈რს ხაკუ (ბზ.) „*უნათესავო* რძალი არავის უნდა“, *კ ო ნ ფ ი ქ ს ი ა ნ ი* ფორმა კი, შესაძლოა, თვისებასაც გამოხატავდეს, რითაც ის მიმღეობას უახლოვდება; ასეთ შემთხვევაში ქართულად ის უპრეფიქსო ფორმით გადმოვა:

(37) ალ მა̈რე იმჟი **უ-**ნა̈თ-**ა** ლი (ბზ.) „ეს კაცი როგორი *უნათესავოა*“, სიტყვასიტყვით: „*არამონათესავეა*“ იმ გაგებით, რომ „*ნათესაობას არაფრად აგდებს*“.

(38) **უ-**სგრგებ „უსარგებლო, გამოუყენებელი რამ“: მიშგუ̈ადი *უსგრგებ* ბა̈რგს ქორისგა დემის აჩრა̈უი̈უ̈ (ბქ.) „დედაჩემი *უსარგებლო* ნივთებს („ბარგს“) სახლში არ აჩერებდა“, შდრ.:

(39) სარგებ-**ურ** „სარგებლის არქონა“: ალ მარე მიჩა *სარგებ-ბურ* ბაჴს დემის გგემ (ბქ.) „ეს კაცი თავისი *სარგებლის გარეშე* ნაბიჴს არ გადადგამს“.

(40) უ-ლ/ნგამ-უ „უგემური“: ალ ლეზებ *უნგამუ* ლი (ბქ.) „ეს საჭმელი *უგემურია*“, შდრ.:

(41) გამ-**ურ** „გემოს არმქონე“: *გამურ* ჟაგრარს ხუეთხელი ბეფშიშდ (ბქ.) „გემოს *არმქონე („უგემოო“)* წამალს ვეძებ ბავშვისთვის“.

გარდა ამგვარი მაგალითებისა, სახელთა ოდენსუფიქსიანი უარყოფითი ფორმები, როგორც აღვნიშნეთ, ხშირად ზმნისართებად გვევლინებიან და ზმნისართია თუ ზედსართავი სახელი, ამის გარჩევა მხოლოდ კონტექსტითაა შესაძლებელი:

შდრ.: (42) ფაყუ-**ურ** ბეფშუ „**უქუდო** ბავშვი“ და (43) ფაყუ-**ურ** ანჴად „**უქუდოდ** მოვიდა“ და სხვ.

კონფიქსიანი უარყოფითი სახელები არასდროს ემთხვევა შესაბამის ზმნისართებს, რადგან, ქართულის მსგავსად, ვითარებითი ბრუნვის ნიშანი სავალდებულოა:

(44) დინა უ-ლჩაქ-ა-დ ანჴად ქორთე (ბზ.) „გოგო **ულეჩაქოდ** მოვიდა სახლში“.

შესაძლოა, საანალიზო მეორეულ ზმნისართებშიც (ფაყუ-**ურ** „უქუდოდ“, ბეფშუ-**ურ** „უბავშვოდ“) აუსლაუტში ვითარებითი ბრუნვის ნიშანი დაკარგულიყო და ამას გამოეწვია ომონიმია: ფაყუ-**ურ** → ფაყუ-ურ-**დ**.

სვანურში -**ურ** სუფიქსიანი სახელები ძირითადად მატერიალურ უქონლობას გამოხატავენ: ჭიშხ-**ურ** მარე „უფეხო კაცი“, ხოლო გადატანითი მნიშვნელობის გამოსახატავად, როგორც ჩანს, სვანურმა გამოიყენა უარყოფით მიმღეობათა მაწარმოებელი უ- – -ა (/უ- – -უ, უ- – - Ø) კონფიქსი ომონიმიის თავიდან ასაცილებლად: უ-თხუმ-ა „უთავო“ = „უწინამძღვრო / თავმოუბმელი (საქმე)“.

ამრიგად, საანალიზო სახელთა ორი ტიპი (პრეფიქ-სუფიქსიანი და ოდენსუფიქსიანი) სვანურ ენაში არა მხოლოდ წარმოებითა და გამოყენების სიხშირით განსხვავდება ერთმანეთისაგან, არამედ ფუნქციურად და სემანტიკური ნიუანსებითაც.

შ ე ჯ ა მ ე ბ ა

ქართველურ ენებში სინქრონიულ დონეზე უარყოფა-უქონლობა გადმოიცემა პრეფიქსული, სუფიქსური და კონფიქსური მოდელებით; განსაკუთრებით მრავალფეროვანია კონფიქსური წარმოება. ისტორიულად სემანტიკური ჯგუფისთვის კონფიქსის ელემენტებს შორის უპირატესობა ენიჭება პრეფიქსს. უარყოფა-უქონლობის სახელებისთვის ასეთია **უ-** თავსართი. ვრცელი ემპირიული მასალის ანალიზის შედეგად იკვეთება, რომ საწყის ეტაპზე ოდენ **უ-** პრეფიქსმა სახელური და ზმნური ფუძეებისგან შექმნა **ანტონიმური ლექსემები** (*შიში – უ-შიში; წერა – უ-წერი*); ასეთივე შინაარსი იკითხება **უ-** პრეფიქსიან ცალად წარმოდგენილ სიტყვა-ფორმებშიც *(*ბირ-ი – უ-ბირ-ი)*, რომელთა სეგმენტებად დაშლა და სტრუქტურული ანალიზი **კვადრატის მეთოდით** არის შესაძლებელი. ოდენ **უ-** პრეფიქსიან სახელებში უარყოფის გამოხატვის ნიუანსს აძლიერებს **უარყოფის მარკერის თავკიდურა პოზიცია**. ოდენ პრეფიქსით ნაწარმოები ფორმები ადასტურებს პრეფიქსული წარმოების უწინარესობას და უარყოფის შინაარსის გამოსახატავად **უ-** პრეფიქსის არქაულობას.

შემდგომ ეტაპზე, **უ-** პრეფიქსიან ლექსემებზე სხვადასხვა შინაარსის გამომხატველი სუფიქსების დართვით ჩამოყალიბდა კონფიქსური წარმოება, რამაც **შეასუსტა უარყოფის გამოხატვის სემანტიკური ნიუანსი** თვისობრივი უქონლობისა (*უგემური*) და მატერიალური უქონლობა-უყოლობის (*უტყეო, უდედო*)

მნიშვნელობათა შემოტანის ხარჯზე. ფორმალურ-შინაარსობრივი ცვლილება განსაკუთრებით **სახელურ ფუძეებს** შეეხო და წარმოიქმნა **უქონლობის სახელთა** სემანტიკური ჯგუფი. სემანტიკური დიფერენციაცია მაწარმოებელი კონფიქსების მიხედვით თვალსაჩინოდ გამოჩნდა ერთი ფუძისაგან წარმოქმნილ სახელებშიც (*უწიგნო – უწიგნური*), თუმცა ამგვარი სხვაობა სისტემურად ვერ ჩამოყალიბდა სალიტერატურო ენაშიც კი. რაც შეეხება ზმნური ფუძეებით წარმოქმნილ **უ-** პრეფიქსიან მიმღეობებს, დროთა განმავლობაში მათაც შეიცვალეს საყრდენი ფუძე **-ელ, -არ** სუფიქსების საშუალებით და **ზმნისწინის** დართვით; მართალია, **ახალ ფორმებს იგივე მნიშვნელობა შერჩათ** (არნ. ჩიქობავა), მაგრამ **უარყოფის სემანტიკა გარკვეულწილად შეასუსტა უ- პრეფიქსის თავკიდურა პოზიციის შეცვლამ** და **მის ადგილას ზმნისწინის გაჩენამ**: წერა – *უ-წერ-ი – და-უ-წერ-ელ-ი.*

აღსანიშნავია, რომ **უ- – -ო** კონფიქსი ადრეულ ნასესხებ ფუძეებთანაც დასტურდება ძველ ქართულში; ესენია: **უაზნო, უბელო, უოხჭნო** და სხვ. რუსთაველი ოკაზიური ზმნური ფორმების საწარმოებლად იყენებს **უ- – -ო** კონფიქსიან სახელურ ფუძეებს; **-დ-** სუფიქსის დართვით წარმოქმნილი ზმნები (*უჩუმოდა, უდიდოდა, უმხნეოდა*) „ვეფხისტყაოსანში“ ქმნიან **მხატვრულ პარალელიზმსა** და **სარითმო ერთეულებს**, რითიც პოეტურ ტექსტში მიღწეულია **შინაარსობრივი გამოხატვის ექსპრესიულობა.**

მეგრულში კონტრადიქტორული პრინციპით არის წარმოქმნილი ბაზისური ფერის აღმნიშვნელი ძირეული ლექსიკური ერთეული უ-ჩა „შავი“, რომელიც გაფორმებულია უძველესი **უ-** ფორმანტით; საყრდენმა ფუძემ (-ჩა) იცვალა მნიშვნელობა ზოგადიდან კონკრეტულისკენ (ნათელი → თეთრი), რაც აისახა საპირისპირო ფორმის მნიშვნელობაზეც (არა-თეთრი/*უ-თეთრი = შავი).

მეგრულში უქონლობა გამოხატულია რამდენიმე აფიქსით, მათ შორისაა საერთოქართველური **უ- – -ო**, **უ- – -ურ**. საერთოქართველურია ასევე **უ- – -ენჯ/-ინჯ** კონფიქსით წარმოქმნილი **ნაზმნარი სახელები (მიმღეობები)**. **ლაზურში** უქონლობის სახელები ძირითადად **უ- – -ე** და **უ- – -ელ** კონფიქსებით იწარმოება, რომლებიც ქართულ **უ- – -ო** და **უ- – -ურ** აფიქსების ფარდია; **უ- – -უ** კონფიქსიანი უარყოფითი შინაარსის **მიმღეობური ფორმები** კანონზომიერად შეესატყვისება ქართულ **უ- – -ელ** ცირკუმფიქსიანებს *(უდოჯოხინუ „დაუძახებელი“)*. **ლაზურში** დასტურდება თურქულიდან ნასესხები **-სუზ** დაბოლოებიანი უქონლობის სემანტიკის სახელური ლექსემები (*ნამუს**სუზ**-ი „უნამუსო“, იგბალ**სუზ**-ი „უიღბლო“, ვაკთი**სუზ**-ი „უდროო“*); მათ შორის განსაკუთრებით მრავალფეროვანია *ვაკთი- „დრო“* ფუძის პარალელური ფორმები: *ვაქთი, ვახთი, ვახტი, ვაკიტი, ვაქითი*, რომელთა წარმოქმნა, ერთი მხრივ, ლაზური გრამატიკის მონაცემებით აიხსნება, ხოლო, მეორე მხრივ, არ გამოირიცხება წყაროს – არაბულის ან სპარსულის – ფონოტაქტიკის გავლენაც.

ქართულში, მეგრულსა და სვანურში **უქონლობის სახელები** გარდაქცევითი (ვითარებითი) ბრუნვის ფორმით **ზმნიზედურ მნიშვნელობას** იძენენ: ქართ. **უდედო-დ** – მეგრ. **უდიდე-თ** – სვან. **დი-ურ-დ**, თუმცა სვანურში (განსაკუთრებით ბალსქვემოური დიალექტში) ზმნიზედის მნიშვნელობით გვაქვს უდონო ფორმებიც და მხოლოდ კონტექსტითაა შესაძლებელი მისი ამოცნობა. პარალელურ ფორმად ბრუნვისნიშნიანი ლექსემის აღდგენა ყოველთვის შესაძლებელია. **ლაზური** ბრუნვათა სისტემა არ იცნობს ვითარებით (გარდაქცევით) ბრუნვას, ამიტომ **ზმნიზედური მნიშვნელობისაა** სახელობით ბრუნვაში მდგარი **უ- – -უ** კონფიქსიანი უარყოფითი შინაარსის მიმღეობა, რომელიც ახლავს **ზმნას**: **უკორეცხუ** დოლობდამტუ „უთვლელად ყრიდა“.

თანამედროვე ქართულში, განსაკუთრებით მხატვრულ ტექსტებში, დასტურდება **უ- – -ო** კონფიქსით წარმოქმნილი რთულფუძიანი უარყოფითი ზედსართავი სახელებისა და ზმნისართების **სინთეზური წარმოება** *(უმიწაწყლო, უამწიგნოდ, უამქალოდ)*, რითიც ჩანაცვლებულია ძველი ქართულისთვის დამახასიათებელი უარყოფითი სემანტიკის თანდებულიანი **ანალიზური ფორმები**.

მეგრულში ფრაგმენტულად დასტურდება უარყოფითი სემანტიკის ლექსიკური ერთეულები (ტვინგა „უტვინო“, ხანგა „გიჟი“ ტიპისა), რაც ადასტურებს მეცნიერთა თვალსაზრისს მათი ნასესხობის შესახებ. **მეგრულში** ასევე ნაშთის სახით შემორჩენილია -ურ მარცვლის შემცველი ლექსიკური ერთეულები (ჩხურუ „სიცივე“ ტიპისა). მეგრულის მონაცემებისა და **სვანურში** სინქრონიულ დონეზე **-ურ** სუფიქსიანი უქონლობის სახელთა მიხედვით, ვ. თოფურია -ურ ბოლოსართს საერთოქართველურ დონეზე უქონლობის მაწარმოებლად განიხილავდა. როგორც საკითხის სისტემურმა ანალიზმა აჩვენა, **-ურ** ბოლოსართი გენეზისითა და ამოსავალი მნიშვნელობა-ფუნქციით არ უკავშირდება უარყოფა-უქონლობის გამოხატვას. სვანურში თანამედროვე ეტაპზე უქონლობის სახელების წარმომქმნელ აფიქსად, **-ურ** სუფიქსის პარალელურად, გამოიყოფა **უ- – -ა** კონფიქსიც. **უ-** სეგმენტის არსებობა, სხვა ქართველური ენების მსგავსად, სვანურშიც ადასტურებს უარყოფით ფორმათა პრეფიქსული წარმოების უწინარესობას.

2. რთული უარყოფითი სახელები ქართველურ ენებში: სტრუქტურა და სემანტიკა

რთული უარყოფითი სახელი ყველა ქართველურ ენაში დასტურდება და ორი კომპონენტისაგან შედგება: უარყოფით ნაწილაკი + სახელი. ამ შემთხვევაში „სახელი“ გამოიყენება ფართო გაგებით და აერთიანებს არსებით სახელსა და ნაზმნარ სახელს. აღნიშნული მოდელის ჩამოყალიბების დინამიკა ქართველურ ენებში ერთნაირია, თუმცა სისტემური განვითარების თვალსაზრისით სხვაობაა სალიტერატურო და არასალიტერატურო ენებს შორის. სრული ენობრივი სურათის წარმოსადგენად აღნიშნულ ენობრივ მოვლენას განვიხილავთ ცალ-ცალკე, თითოეული ქართველური ენის მიხედვით.

2.1. არა-/არ- უარყოფითნაწილაკიანი არსებითი და ნაზმნარი სახელები ქართულ ენაში

უარყოფითი ნაწილაკისა (არა-/არ-) და სახელური ფუძისაგან (არსებითი და ნაზმნარი სახელები: საწყისი და მიმღეობა) შემდგარი რთული სახელები დასტურდება ქართულ სალიტერატურო ენაში, ქართული ენის დიალექტებსა და ქართულ ზეპირმეტყველებაში.

ქართული სალიტერატურო ენის განვითარების ადრეულ საფეხურზე ჩნდება უარყოფითი შინაარსის რთული სახელური ლექსემები, რომელთა სტრუქტურა, როგორც ცნობილია, ორ-

კომპონენტიანია[1]: **არა**-ძალი, **არა**-ჟამი, **არა**-ღირსი, **არა**-სამართლიანი, **არ**-გაგონილი, **არ**-ნახული და სხვ. სიტყვაწარმოებითი მორფემის დანიშნულებით გამოყენებულ არა-/არ- ნაწილაკებს სამეცნიერო ლიტერატურაში ***მორფემოიდი*** ეწოდება (ჯორბენაძე და სხვები 1988:43-44). მაშასადამე, ზემოთ წარმოდგენილი რთული უარყოფითი სახელური ლექსემების ენობრივი სტრუქტურის ჩანაწერი ასეთი შეიძლება იყოს: ***მორფემოიდი + სახელი.***

აღსანიშნავია, რომ ლ. გელენიძე თავის სტატიაში ძველი ქართულის მაგალითებს იმოწმებს ი. აბულაძის ლექსიკონიდან (აბულაძე 1973)[2]; წინამდებარე მონოგრაფიაში გამოყენებული აღნიშნული მასალა შევსებულია ზ. სარჯველაძის ლექსიკონიდანაც (სარჯველაძე 1995).

არა + სახელი

(1) **არა**-განსწავლული, (2) **არა**-დამმალველი, (3) **არა**-დამცველი, (4) **არა**-დიმდართაგანი, (5) **არა**-მქონებელი, (6) **არა**-მქკშროვანი, (7) **არა**-საეჭუელი, (8) **არა**-ქონებაჲ, (9) **არა**-ქონებული, (10) **არა**-შემნანებელი, (11) **არა**-შეყვანებაჲ, (12) **არა**-შეძრულად, (13) **არა**-ძებნაჲ,(14) **არა**-ძიებაჲ, (15) **არა**-ძლებულობაჲ, (16) **არა**-წმიდათაგანი, (17) **არა**-წმინდაჲ, (18) **არა**-წმინდებაჲ, (19) **არა**-ჯეროვნებაჲ (სარჯველაძე 1995:3-4).

---

[1]თვალსაჩინოებისთვის, აქ და სხვაგანაც უარყოფითნაწილაკიან ყველა დამოწმებულ ლექსემას წარმოვადგენთ დეფისით.

[2]ესენია: **არა**-არსი, **არა**-არსება, **არა**-განრყუნილი, **არა**-გარდამაქცეველი, **არა**-ვინაჲ, **არა**-ვინაჲთ, **არა**-ვისი, **არა**-კეთილი, **არა**-მართალ, **არა**-მართლად, **არა**-მოფასეობა, **არა**-მოჴსენება, **არა**-მყოფი, **არა**-ნებითა, **არა**-ნეფსით, **არა**-პატიოსანი, **არა**-რა, **არა**-სადა, **არა**-სადაჲთ, **არა**-სარწმუნოება, **არა**-საკმარი, **არა**-ღირსი, **არა**-ყოფა, **არა**-ყოფილი, **არა**-შეწყალებული, **არა**-ძლება, **არა**-მწიდა, **არა**-წრფელი, **არა**-ერი = სხვა ხალხი, **არა**-ჟამი = უჟამო, უდროო, **არ**-მეცნიერი (გელენიძე 1984:169).

არ ნაწილაკი არა-ს გაცვეთის შედეგადაა მიღებული, თუმცა ეს პროცესი ქრონოლოგიურად ერთსა და იმავე დროში ხდება და არ- ნაწილაკი რთული უარყოფითი სახელების შემადგენლობაში ძველ ქართულშივე დასტურდება:

არ + სახელი

(20) **არ**-დამლტვარი, (21) **არ**-თანამქცევი, (22) **არ**-მინდობაჲ, (23) **არ**-მნებებლობაჲ, (24) **არ**-მოჴსენებული, (25) **არ**-მყოფობაჲ, (26) **არ**-მჴუმეველი, (27) **არ**-შეგინებული, (28) **არ**-შეყვანებაჲ, (29) **არ**-ცოდნაჲ, (30) **არ**-ძლებულობაჲ (სარჯველაძე 1995:4).

უნდა აღინიშნოს, რომ ძველ ქართულში არა- ნაწილაკიანი სახელური ფორმები რაოდენობით სჭარბობს არ- ნაწილაკიანს. ეს მოვლენა შენიშნული აქვს ლ. გელენიძესაც: *„ილია აბულაძის ლექსიკონში უფრო მეტია არა- ნაწილაკიანი სიტყვები“* (გელენიძე 1984:169). არა- და არ- ნაწილაკები ერთსა და იმავე ფუძეს ჩვეულებრივ არ ეხამებიან, თუმცა იშვიათად ესეც შესაძლებელია:

არა + სახელი : არ + სახელი

(31) **არა**-ძლებულობაჲ : **არ**-ძლებულობაჲ, (32) **არა**-ოდეს : **არ**-ოდეს (სარჯველაძე 1995:3-4).

მიუხედავად იმისა, რომ არ- ნაწილაკი არა- ს გამარტივების შედეგად მიიღება და მათ ერთნაირი წარმომავლობა და მნიშვნელობა აქვთ, ყოველთვის არ გვიჩვენებენ სახელებთან შეხამების ერთგვაროვან ენობრივ სურათს. ახალი ქართულის რთულ სახელებში არ- და არა- ნაწილაკების განაწილების პრინციპები სრულად მიმოხილულია ლ. გელენიძის სტატიაში ქარ-

თული ენის განმარტებითი ლექსიკონის ემპირიული მასალის მიხედვით (გელენიძე 1984:167-174)[1].

თანამედროვე სალიტერატურო ქართულში არა-/არ- ნაწილაკიანი სახელების რაოდენობის ზრდას[2] ხელი შეუწყო რამდენიმე ფაქტორმა; კერძოდ, *არა/არ* ნაწილაკების მონაწილეობამ

• **ანტონიმური ლექსემების წარმოქმნაში:**

(33) ზუსტი – **არა**-ზუსტი, (34) სტაბილური – **არა**-სტაბილური, (35) გამტანი – **არ**-გამტანი, (36) ქონა – **არ**-ქონა და სხვ. *„თუკი უარყოფის გამომხატველი ანტონიმი ნაწარმოებია უშუალოდ დადებითი ფორმისგან, გამოიყენება* ***არ / არა*** *ნაწილაკი“* (ჯორბენაძე 1984:146).

• **სამეცნიერო ტერმინოლოგიის ჩამოყალიბებაში:**

სამეცნიერო ტერმინოლოგია ჩამოყალიბებულია ძირითადად **არა**- ნაწილაკიანი ანტონიმური ლექსემებით. ტერმინოლოგიური სისტემის შექმნა ამ ტიპის ფორმათა გააქტიურების ერთ-ერთ მიზეზადაა დასახელებული სამეცნიერო ლიტერატურაში (ჯორბენაძე 1984; გელენიძე 1984; Tchumburidze et al 2018):

(37) დრეკადი – **არა**-დრეკადი, (38) მდგრადი – **არა**-მდგრადი, (39) თავსებადი – **არა**-თავსებადი, (40) არსებითი – **არა**-არსებითი, (41) გამტარი – **არა**-გამტარი, (42) ეკონომიური – **არა**-ეკონომიური, (43) ლეგალური – **არა**-ლეგალური და სხვ.

უარყოფითნაწილაკიანი წარმოება პროდუქტიულია ქართული ენის დიალექტებში, ქართულ ცოცხალ მეტყველებაში;

[1] ლ. გელენიძის სტატიაში განხილული ემპირიული მასალა სრულად იხ. დანართი № 4-ში.

[2] ქართულ სალიტერატურო ენაში დადასტურებული არა- ნაწილაკიანი რთული სახელები სრულად იხ. დანართი № 5-ში.

მაგალითები ქართული ენის დიალექტებიდან:

(44) **არა**-წესი იყო, ექვსი წელწადი... ხმა არ გამიცია (უმძრახობა, სამცხურ-ჯავახური; ჩაწერის ადგილი: სარო, ასპინძა, საქართველო; 1991; მთქმელი: მარუსა თოთაძე-ბერიძე, ტექსტის ჩამწერი: მარინა ბერიძე, გამოცემის ავტორი: მარინა ბერიძე „პირდაპირი რეპორტაჟები წარსულიდან“)[1].

(45) ნინა **არ**-თვალი[2] ქალია (ს. ზედა საქარა); ცოტა **არ**-თვალი ჯობია ქალი (ს. ბორითი) (ძოწენიძე 1974, 30).

(46) **არ**-თვალი[3] კაცი მიდიოდა მისკენ (ღლონტი 1974, 39).

(47) ლოყმან ჰაქიმმა... **არ**-მააკდმელ წამალ იცოდნინა // იცოდინა (ლოყმან ჰაქიმ, კაკური, ინგილოური; ჩაწერის ადგილი: მოსული, საინგილო, აზერბაიჯანი; 1945; მთქმელი: ნასიბ ბურჯალიოფ როსტომ ოღლი; ტექსტის ჩამწერი: გრიგოლ იმნაიშვილი; გამოცემა: გრიგოლ იმნაიშვილი, ქართული ენის ინგილოური დიალექტის თავისებურებანი; კორპუსული გამოცემის ავტორები: მარინა ბერიძე, მაია ბარიხაშვილი).

(48) **არ**-დანამუშავ მიწას გუთნით ჴნებ... (ქდკ – ინგილოური ლექსიკონი, შემდგენლები: მარინა ბერიძე, მაია ბარიხაშვილი, ელენე ნაპირელი, დიანა ამფიმიადი; წყარო: ქართული ენის ინგილოური კილოს ლექსიკონი, შემდგენელი როგნედა ღამბაშიძე).

ქართული ცოცხალი მეტყველების ნიმუშები[4]

ქართულ ცოცხალ მეტყველებაში **არა-** / **არ-** ნაწილაკები ძი-

[1] დიალექტური მაგალითები, 45-ე და 46-ეს გარდა, აღებულია ქართული ენის დიალექტური კორპუსიდან: http://www.corpora,co/№/ .

[2] ართვალი (იმერ.) – ულამაზო, შეუხედავი.

[3] ართვალი (იმერ., ლეჩხ.) – შესახედავად უშნო, არმოსაწონი, უთვალადო ადამიანი.

[4] მაგალითები აღებულია ყოველდღიური მეტყველებიდან, სოციალური ქსელიდან, მოსწავლეთა საცდელი ნაწერებიდან. სრულად იხ. დანართი № 6-ში.

რითადად დაერთვიან ზედსართავ სახელებსა და ნაზმნარ სახელებს – საწყისსა და მიმღეობას და მათთან ერთად ქმნიან ანტონიმური მნიშვნელობის კომპოზიტებს; ამგვარად წარმოქმნილი რთული სახელები სხვადასხვა ბრუნვის ფორმით გვხვდება: უფრო ხშირად, სახელობითითა და ვითარებითით, იშვიათად, მოთხრობითით, მოქმედებითით და სხვ.

მაგალითები:

(49) **არა**-დადებითი

„არა-დადებითი მუხტი მოდის მისგან“.

(50) **არა**-კომუნიკაცია

„ეს მოიტანა **არა**-კომუნიკაციამ“.

(51) **არა**-პატიოსანი

„ამის ფონზე განაგრძო **არა**-პატიოსანი საქმე“.

(52) **არ**-გაკეთება

(53) **არ**-დაცვა

„ინტერესების **არ**-დაცვა არ ეპატიება“.

ზეპირმეტყველებაში დასტურდება ასევე აზრობრივად ერთიანი, მაგრამ ერთმანეთთან მექანიკურად დაკავშირებული კომპონენტები, რაც ფორმალურად მათ ცალ-ცალკე დაწერილობაში აისახება. ასეთ შემთხვევაში მეორე კომპონენტი ძირითადად **არსებითი სახელია**, იშვიათად **საწყისი**. მოსწავლეთა ნაწერებში ან სოციალურ ქსელში წერილობითი კომუნიკაციისას წერია ისე, როგორც არის აღქმული ამ ორი კომპონენტის დაკავშირება.

(54) **არ** გამარჯობა

„ხანდახან მინდა ვთქვა, მთელ ქვეყანას არ გამარჯობა“.

(55) **არ** კონტაქტი

„ჩაკეტილობამ და **არ** კონტაქტმა აქამდე მიგვიყვანა“.

(56) **არ** სალამი

„არ სალამი რამე ახალია და მე არ ვიცი?!“

(57) **არ** ჩხუბი

„**არ** ჩხუბი იყო მისი გადაწყვეტილება, მორჩა და დამთავრდა“.

(58) **არ** გაკეთება

„ამ საქმის **არ** გაკეთების შემთხვევაში კაი დღე არ დაადგებოდა“.

(59) **არ** მოხდა (სასჯელის)

„სასჯელის **არ** მოხდის შემთხვევაში ოჯახს მოთხოვდნენ პასუხს“.

(60) **არ** შეკავება

„თავის **არ** შეკავება არ ეპატიება“.

ემპირიული მასალის განხილვის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ **არა-/არ-** მაწარმოებლებს აქვთ მიდრეკილება და შესაძლებლობა ძირითადი დანიშნულების გვერდით განივითარონ დამატებითი, ფაკულტატური მნიშვნელობაც, რაც გამოიხატება ერთდროულად უარყოფითი სახელური ფორმების **წარმოებასა** *(ძირითადი დანიშნულება)* და მათ **აქტუალიზებაში** *(ფაკულტატური მნიშვნელობა)*.

არა-/არ- ნაწილაკებისთვის ორივე ფუნქციის ერთდროულად შეთავსების შესაძლებლობა განპირობებულია ორი გარემოებით: *1. პოზიციით* (იგი ყოველთვის **სიტყვის თავშია** (ომიაძე 2016), ინფორმაციის სტრუქტურირებისას კი დიდი მნიშვნელობა ენიჭება ფოკუსირებული წევრის თავკიდურა პოზიციას); 2. *სემანტიკით* (სახელურ ლექსემებში **არა-/არ-** ნაწილაკი ყოველთვის კატეგორიული უარყოფის გამომხატველია. არა-/არ- მორფემოიდით წარმოქმნილი უარყოფითი სახელი (resp. ანტონიმური ლექსემა) უმოკლესი გზაა მოქნილი და ტევადი ინფორმაციის გადასაცემად.

შენიშვნა: *ქართულში შესაძლებლობის ვერ- ნაწილაკი დასტურდება ნაზმნარ სახელებთან: ვერ-გაგონილი, ვერ-გადარჩენილი, ვერ-დაბრუნებული.*

2.2. *ვაი-, ცრუ-, ანტი-* კომპონენტებიანი უარყოფითი სემანტიკის სახელები ქართულ ენაში

ქართულ სალიტერატურო ენაში სტრუქტურისა და სემანტიკის მიხედვით არა-/არ- ნაწილაკიან სახელთა შინაარსობრივ ველში შეიძლება გაერთიანდნენ *ვაი-, ცრუ-, ანტი-* კომპონენტებიანი სახელებიც; თუმცა ესენი ცალკეულ სახელურ ფუძეებს დაერთვიან, ამიტომ სტატისტიკურად ცოტანი არიან. ამის გათვალისწინებით, აღნიშნულ მაწარმოებლებს, *არა-/არ-* ნაწილაკისგან განსხვავებით, მორფემოიდი მხოლოდ პირობითად შეიძლება ეწოდოთ. *ვაი-, ცრუ-, ანტი-* კომპონენტებიანი სახელების წარმოქმნის გზებიც სხვადასხვანაირია; კერძოდ,

(1) **ვაი**კრიტიკოსი, **ვაი**მეომარი, **ვაი**ხელმძღვანელი რუსულიდანაა მიღებული პირდაპირი თარგმანის გზით: горе-критик, горе-вояка, горе-руководитель (ქეგლ-ი).

„*ცრუ*“ ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში რამდენიმე, ძირითადად ზედსართავის, მნიშვნელობით დასტურდება და შემდეგნაირად განიმარტება: *ამაო, ფუჭი, არანამდვილი, მოჩვენებითი.* სწორედ ეს მნიშვნელობები ანიჭებს *ცრუ-ს* მონაწილეობით შექმნილ რთულ სახელებს სემანტიკურად უარყოფით ნიუანსს; მაგალითები:

(2) **ცრუ**მეცნიერი, (3) **ცრუ**მოწმე, (4) **ცრუ**მორწმუნე, (5) **ცრუ**მოძღვრება, (6) **ცრუ**პატრიოტი (ქეგლ-ი).

„*ანტი*“ ბერძნულიდან მომდინარეობს, ქართულად ნიშნავს „წინააღმდეგ“. უარყოფითი ნიუანსი გამოკვეთილია ცალკეულ სახელურ ფუძეებთან:

(7) **ანტიგმირი** (ქეგლ-ი), (8) **ანტიანდაზა** ახალი წარმოქმნილია და ქეგლ-ში არ არის შეტანილი.

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულმა კომპონენტებმა რთული სახელები შექმნეს სპორადულად (და არა სისტემურად), ენაში ზოგჯერ მათი საშუალებითაც წარმოჩენილია **ფორმობრივი და შინაარსობრივი მრავალფეროვნება**; კერძოდ, მხედველობაში გვაქვს ლექსემა *„მეცნიერი“*, რომელიც, მნიშვნელობის ცვლის შესაბამისად, დაირთავს სხვადასხვა მაწარმოებელს.

ა. ძველი ქართული: ***მეცნიერი*** = მცოდნე – ***არა-მეცნიერი / არ-მეცნიერი*** = უვიცი, უცოდინარი (აბულაძე 1973).

ბ. ახალი ქართული: ***მეცნიერი*** = მეცნიერების ამა თუ იმ დარგის სპეციალისტი, მკვლევარი (ქეგლ-ი) – ***ვაი-მეცნიერი*** = არშემდგარი სპეციალისტი / მკვლევარი; **ცრუ**-მეცნიერი = არა ნამდვილად მეცნიერი, ვითომ მეცნიერი (ქეგლ-ი).

როგორც განმარტებებიდან ჩანს, ძველ ქართულში *„მეცნიერს“* უფრო ფართო, ზოგადი მნიშვნელობა ჰქონდა, ახალ ქართულში მისი მნიშვნელობა დავიწროვდა; კონკრეტულ დარგში მოღვაწე ადამიანს დაერქვა; არშემდგარი სპეციალისტის გადმოსაცემად კი ენამ ახალი საშუალებები (ვაი-, ცრუ-) გამოიყენა და სხვა ლექსიკური ერთეულები შექმნა: ***ვაი-მეცნიერი, ცრუ-მეცნიერი. არა-მეცნიერი / არ-მეცნიერი*** კი ახალ ქართულში არ დასტურდება, მხოლოდ ***არამეცნიერული*** შეიძლება შეგვხვდეს (ქეგლ-ი).

2.3. ქართულ სალიტერატურო ენაში უარყოფა-უქონლობის სახელური მოდელების გააქტიურების ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური ფაქტორები

ქართულ სალიტერატურო ენაში უარყოფა-უქონლობის სახელთა სხვადასხვა მაწარმოებელი დასტურდება, რომელთა შესახებ უკვე იყო მსჯელობა წინა პარაგრაფებში. საერთოქართველურიდან მომდინარე **უ-** აფიქსიან ფორმებს შორის სიხშირით გამოირჩევა **უ- – -ო** კონფიქსი. ძველ ქართულშივე დადასტურებული **არა-/არ-** ნაწილაკის გააქტიურება, შესაძლოა, ბევრი შინაგანი და გარეგანი ფაქტორით იყოს გამოწვეული; მათ შორისაა ენობრივი კონტაქტები.

არა-/არ- ნაწილაკიანი სახელური მოდელი, როგორც აღვნიშნეთ, ძველ ქართულშივე დასტურდება და შემდგომ თანდათან პროდუქტიული ხდება; უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ქართულ სალიტერატურო ენაში სინქრონიულ დონეზე სისტემურად ყალიბდება, რომლის ერთ-ერთი მიზეზია ***ლექსიკური ანტონიმიის*** პრინციპით სამეცნიერო ტერმინოლოგიის შექმნა. როგორც აღნიშნულია სპეციალურ ლიტერატურაში, ცნებათა და მათ გამომხატველ ტერმინთა სისტემატიზაცია რთული პროცესია. სისტემაში ყოველ ცნებას თავისი ადგილი უნდა ჰქონდეს მიჩენილი და ამ ცნებათა (შესაბამისად, მათ გამომხატველ ტერმინთა) შორის არსებულ კანონზომიერებებს უნდა ასახავდეს (ღამბაშიძე 1986:46; მელიქიშვილი 1999:38-39). XI – XII საუკუნეებში „საქართველო ერთი პირველთაგანი იყო, რომელსაც უშუალო და მჭიდრო პოლიტიკური და კულტურულ-ლიტერატურული კონტაქტები ჰქონდა ისეთ მაღალგანვითარებულ კულტურულ სამყაროსთან, როგორიც იმ ეპოქაში ბიზანტია იყო“ (მელიქიშვილი 1999:8). ქართული ფილოსოფიური და, საერთოდ, მეცნიერული ენის განვითარებაში უდიდესი დამსა-

ხურება მიუძღვით XI – XII საუკუნეების ცნობილ მოღვაწეებს: გიორგი მთაწმიდელს, ეფრემ მცირეს, იოანე პეტრიწსა და სხვებს. ისინი ბერძნულიდან თარგმნისას ქმნიდნენ ფილოსოფიურ-თეოლოგიურ ცნებათა გამომხატველ ტერმინებს და ამისათვის იყენებდნენ ქართული სიტყვაწარმოების ფართო შესაძლებლობებს; ამავე დროს, მიჰყვებოდნენ და ითვალისწინებდნენ ბერძნული ტერმინის სტრუქტურასა და სემანტიკას, რათა მათი გადმოტანისას სიზუსტე შეენარჩუნებინათ. ამ პროცესში ქართველი მოღვაწეები ააქტიურებდნენ სიტყვაწარმოქმნის სხვადასხვა მოდელს, ბრუნვის ფორმანტებიან თუ თანდებულიან დერივაციას, წინდებულიან თუ ზმნისართიან კომპოზიციას და სხვ.

ჩვენ შეგვიძლია თვალი გავადევნოთ ჩვენთვის საინტერესო უარყოფა-უქონლობის გამომხატველი ტერმინების თარგმნის პროცესს და ამის მიხედვით განვსაზღვროთ ქართულ სალიტერატურო ენაში არსებული დერივაციული მოდელის გააქტიურების საფუძველი.

ცნებითი ანტონიმების გამოსახატავად, დადებითის საპირისპიროდ, არაერთი უარყოფითი მნიშვნელობის ტერმინი შეიქმნა, რომლებიც მარკირებულია **უ- – -ო** კონფიქსით ან **არა-/არ-** ნაწილაკით. მაწარმოებელთა განაწილებას გარკვეული კანონზომიერება ახასიათებს, კერძოდ:

• არსებითი სახელის (იშვიათად – მეტყველების სხვა ნაწილთა) ფუძეზე **უ- – -ო** კონფიქსის დართვით მიიღება ზედსართავი სახელი, რომელიც არის არა ძირეული სახელის ანტონიმი, არამედ მისი ნიშან-თვისების უქონლობის გამომხატველი[1]. ამის მიხედვით, *„უ-საზღვრ-ო“ არის არა ის, რაც არ არის საზღვა-*

[1] ცნობილია, რომ **უ- – -ო** კონფიქსი, საგნის ფიზიკური უქონლობის გარდა, ნიშან-თვისების უქონლობასაც გამოხატავს (მსჯელობა იხ. თ. I: § 1.4).

რი, არამედ ის, რასაც არა აქვს საზღვარი (მელიქიშვილი 1999:72-73). ამგვარი სემანტიკის ტერმინები **უ- – -ო** სახელური მოდელით არის წარმოქმნილი:

(1) **უ-სხეულ-ო**, (2) **უ-მიზეზ-ო**, (3) **უ-ძალ-ო**, (4) **უ-ღონ-ო**, (5) **უ-გონებ-ო**, (6) **უ-რომელ-ო** და სხვ.

უ- – -ო კონფიქსი (იშვიათად, ოდენ **უ-** პრეფიქსი) ტერმინების წარმოებისას შეიძლება დაერთოს ზედსართავი სახელის ან მიმღეობის ფუძეს, რომლის შედეგად მიიღება ისევ ზედსართავი სახელი, რომელიც ბერძნული უარყოფითი შინაარსის მქონე **a-** პრეფიქსიანი სახელების ზუსტი შესატყვისია. ამ მოდელით არის წარმოქმნილი ქართული ფილოსოფიური ტერმინები:

(7) **უ-ა-ო** (=უარსო), (8) **უ-გუამოვნ-ო**, (9) **უ-გუარ-ო**, (10) **უ-ზად-ო**, (11) **უ-მიზეზ-ო**, (12) **უ-ნივთ-ო** და სხვ. (დაწვრილებით იხ. მელიქიშვილი 1975:90). ამ ჩამონათვალს შეიძლება დაემატოს:

(13) **უ-დიდ-ო**, (14) **უ-ვნებ-ი**, (15) **უ-მრავლ-ო**, (16) **უ-მტკიც-ო**, (17) **უ-სრულ-ი**, (18) **უ-ქმნელ-ი**, (19) **მი-უ-დრეკელ-ი** და სხვ.

• **არ-** ნაწილაკიანი სახელები, **უ- – -ო** კონფიქსიან სახელთა მსგავსად, ასევე ზუსტი შესატყვისია ბერძნული უკუთქმითი სახელებისა. ამ მოდელით გამოიხატება ძირეული სახელით გადმოცემული შინაარსის უარყოფა:

(20) ესეობა – **არა**ესეობა, (21) სწორი – **არა**სწორი, (22) მსგავსება – **არა**მსგავსება, (23) იგივეობა – **არა**იგივეობა, (24) სამარადისოობა – **არა**სამარადისოობა და სხვ. (მელიქიშვილი 1999:73).

XI – XII საუკუნეების ქართველ მოღვაწეთა – ეფრემ მცირის, არსენ იყალთოელის, იოანე პეტრიწისა და სხვათა მიერ შექმნილი ტერმინების ნაწილი გადავიდა საერთო სახალხო ენის ლექსიკურ ფონდში, ნაწილი კი არ დამკვიდრებულა სხვადასხვა ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური ფაქტორების გამო.

თანამედროვე ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის შექმნაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა რუსულ ენასთან კონტაქტმაც. მე-20 საუკუნეში, 90-იან წლებამდე, სამეცნიერო ლიტერატურა, მათ შორის ტერმინოლოგიური ერთეულები, ქართულ ენაზე ძირითადად რუსულიდან ითარგმნებოდა. ამდენად, სამეცნიერო ტერმინთა შექმნისას ზოგი სახელური მოდელის, კერძოდ, **არა-/არ-** ნაწილაკიანი წარმოების, გააქტიურებას სწორედ რუსულთან მჭიდრო კავშირმა და სიახლოვემაც შეუწყო ხელი. უარყოფითი ნაწილაკით სახელების წარმოქმნა ტიპოლოგიურად დიდ მსგავსებას გვიჩვენებს რუსულთან, რომელშიც **არა- / არ-** ნაწილაკის სემანტიკური ფარდია **не-** არ /არა; მაგალითად:

(25) **არა**-ამხანაგ-**ურ**-ი – **не**-товарищеский, (26) **არა**-ბუნებრივ-ი – **не**-естественный, (27) **არა**-გონივრ-ულ-ი – **не**-разумный, (28) **არა**-გულწრფ-ელ-ი – **не**-искренный, (29) **არა**-დამაკმაყოფილებ-ელ-ი – **не**-удовлетворительный, (30) **არ**-ნახ-ულ-ი – **не**-виданный და სხვ. (ქართულ-რუსული ლექსიკონი 2013).

ამ პერიოდში მრავლად შეიქმნა დადებითი და უარყოფითი სახელური მოდელებით გადმოცემული ტერმინები, რომელთაგან **არა-/არ-** ნაწილაკით მარკირებულია ანტონიმური წყვილის მეორე წევრი: (31) დრეკადი – **არა**-დრეკადი, (32) მდგრადი – **არა**-მდგრადი, (33) თავსებადი – **არა**-თავსებადი, (34) არსებითი – **არა**-არსებითი, (35) გამტარი – **არა**-გამტარი, (36) ეკონომიური – **არა**-ეკონომიური, (37) ლეგალური – **არა**-ლეგალური, (38) შემდგარი – **არ**-შემდგარი და სხვ.

ქართულმა სალიტერატურო ენამ უარყოფა-უქონლობის მრავალფეროვანი სახელური მოდელებიდან ტერმინოლოგიური სისტემის შესაქმნელად აქტიურად გამოიყენა **არა-/არ- უარყოფითნაწილაკიანი** სახელები, რაც შეიძლება აიხსნას როგორც შინაგანი, ასევე გარეგანი ფაქტორებით:

1. უარყოფითნაწილაკიანი სახელური მოდელი ტერმინოლოგიურ მნიშვნელობას სტაბილურად გამოხატავს; ეს კარგად ჩანს პარალელური წარმოებიდან; მაგალითად, *უდრეკი* შეიძლება იყოს საგანიც და ხასიათიც (თვისება), ხოლო *არადრეკადი* მხოლოდ საგანია.

2. ქართული ენის შინაგანი პოტენციის რეალიზაციას, როგორც ჩანს, რუსულ ენასთან მჭიდრო კავშირმაც შეუწყო ხელი, რაც ამ ორ ენაში არსებული ტიპოლოგიურად მსგავსი მოდელების გააქტიურებაში გამოიხატა.

2.4. ქართველურ ენებში უარყოფის გამომხატველ დერივაციულ სახელთა ჩამოყალიბება-განვითარების დინამიკა (შედარებითი ანალიზი)

ქართველური ენები მორფოლოგიურად მდიდარ ენათა ჯგუფს მიეკუთვნება. ცნობილია, რომ ენობრივი ფაქტებისა და მოვლენების სისტემატიზაცია-კლასიფიკაცია შესაძლებელია არა მხოლოდ სტრუქტურულ ნიშანთა რაოდენობის მიხედვით, არამედ მორფემათა სემანტიკის გათვალისწინებითაც. მორფოლოგიური სეგმენტის სემანტიკა მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ცალკეული ენობრივი მოდელის პროდუქტიულობის ხარისხს, თუმცა გასათვალისწინებელია ენის სოციო-ლინგვისტური ფუნქციაც და სამწერლო-ლიტერატურული ტრადიციებიც. ამ თვალსაზრისით, პირველ რიგში, მნიშვნელოვანია **ქართულ სალიტერატურო ენაში უარყოფის გამომხატველ დერივაციულ მოდელთა** ჩამოყალიბება-განვითარების ტენდენციების განსაზღვრა დიაქრონიული მონაცემების მიხედვით, შემდგომ – ამ პროცესებზე დაკვირვება **დიალექტებში, სპონტანურ მეტყვე-**

ლებაში, მონათესავე არასალიტერატურო ქართველურ ენებში – **მეგრულში, ლაზურში, სვანურში.**

➢ *ქართული სალიტერატურო ენა*

მრავალფეროვან ფორმათა ჩამოყალიბება-განვითარების დინამიკაზე დაკვირვებით შეიძლება ითქვას, რომ **ქართულ სალიტერატურო ენაში უარყოფის გამოსახატავად უ-** პრეფიქსისა და **არა-/არ-** ნაწილაკის სემანტიკა თავიდან **ერთნაირად კატეგორიული იყო**, რასაც განსაზღვრავდა სიტყვა-ფორმაში მათი **თავკიდურა** პოზიცია. ცნობილია, რომ ენა აბალანსებს სემანტიკურ მრავალფეროვნებას; გადააზრიანების საფუძველზე ყალიბდება ნიუანსური განსხვავებები, რაც დერივაციულ სახელებში აისახება **მარკერის პოზიციაზეც**. ამ მიმართულებით ქართული სალიტერატურო ენის მონაცემების შესწავლამ ცხადყო, რომ **უ-** პრეფიქსი ამოსავალში ორივე პირობას (კატეგორიულობა და თავკიდურა პოზიცია) აკმაყოფილებდა

1. სახელური და ზმნური ფუძეებით წარმოქმნილ ოდენ **უ-**პრეფიქსიან ანტონიმურ ლექსემებში: **უ-**შიში – შიში; **უ-**ზომი – ზომა; **უ-**ხუავი – ხვავი (ძვ. ქართ.); **უ-**წერი – წერა და სხვ.

2. ოდენ **უ-** პრეფიქსიან ცალეულ ლექსემებში: **უ-**ბირი, **უ-**კმეხი და სხვ.

უნდა აღინიშნოს, რომ ზემოდასახელებულ ორ ჯგუფში გაერთიანებული უ- პრეფიქსიან ლექსემათა რაოდენობა სინქრონიულ დონეზე შემცირებულია, რასაც ხელი შეუწყო შემდეგმა ენობრივმა პროცესებმა:

I. საყრდენი ფუძის ცვლილებამ.

II. უ- პრეფიქსიანი ანტონიმების წარმოების შეზღუდვამ.

განვიხილავთ თითოეულ პროცესს ცალ-ცალკე:

I. საყრდენი ფუძის ცვლილება შეეხო როგორც სახელური, ასევე ზმნური ფუძეებით გადმოცემულ უ-პრეფიქსიან უარყოფით ფორმებს:

- სახელურ ფუძეთა ბოლოკიდური ნაწილი გართულდა **აფიქსებით**: შიში – **უ-**შიში, შდრ.: **უ-**შიშ-**არ-**ი; გემო – **უ-**გემ-**ურ-**ი (თვისობრივი უქონლობა), ტყე – **უ-**ტყე-**ო**, დედა – **უ-**დედ-**ო** (მატერიალური უქონლობა-უყოლობა).
- ზმნურ ფუძეთა თავკიდური ნაწილი გართულდა ზმნისწინით, ბოლოკიდური კი – აფიქსებით (წერა – **უ-**წერი – და-**უ-**წერ-ელ-ი).

ცნობილია, რომ ბოლოსართების (-არ, -ურ, -ელ, -ო) თავდაპირველი (ამოსავალი) მნიშვნელობა სხვადასხვა შინაარსის იყო და არ უკავშირდებოდა უარყოფას; **უ-** პრეფიქსთან მათმა დაწყვილებამ შეაპირობა მთლიანად ფორმის სემანტიკური გადაწევა და კატეგორიულობის შესუსტება, რაც გაამყარა **უ-** თავსართისა და ზმნისწინის პოზიციურმა მონაცვლეობამაც; კერძოდ, **უ-** პრეფიქსმა მეორე ადგილზე გადაინაცვლა და ზმნისწინი დაწინაურდა.

II. უ-პრეფიქსიანი ანტონიმების წარმოების შეზღუდვამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ამ მოდელის პროდუქტიულობის ხარისხზე. შეზღუდვის საფუძველი გახდა ის, რომ **უ-** პრეფიქსიანი ანტონიმური წყვილის ორივე კომპონენტი (დადებითიც და უარყოფითიც) **წარმოქმნილია** და საწარმოებლად **ერთსა და იმავე ფუძეს იყენებს** (ძირითადად არსებითი სახელისას): წიგნ-**იან-**ი – **უ-**წიგნ-**ო**; წიგნ-**იერ-**ი – **უ-**წიგნ-**ურ-**ი. ამგვარმა დაჯგუფებამ საინტერესო ენობრივი სურათი შექმნა – ერთმანეთს დაუპირისპირა მატერიალური და სულიერი ქონება-უქონლობის გამომხატველი ანტონიმური წყვილები; თუმცა, **რამდენადაც წყვილთა ურთიერთმიმართება დაეფუძნა რთულ პრინციპს – ორივეს უნდა ჰქონოდა ერთი ფუძისგან ახალი ფო-**

რმის წარმოქმნის უნარი, იმდენად ეს მოდელი არ აღმოჩნდა პროდუქტიული და მხოლოდ ფრაგმენტულად აისახა სალიტერატურო ენაში.

თავისებურად ნაწარმოები რთულფუძიანი უარყოფითი ზმნისართებიც (უამწიგნოდ, უჩემთვალებოდ და სხვ.), რომლებმაც ფაქტობრივად ჩაანაცვლეს ძველი ქართულის *თჳნიერ, გარეშე, გარნა*... თანდებულიანი ანალიზური წარმოება, ასევე ფრაგმენტულია და მხატვრული მეტყველების კუთვნილებად რჩება (ამ საკითხზე უფრო ვრცლად იხ. თ. I: § 1.4).

უ- – -ო კონფიქსს რამდენად აქვს ანტონიმური ლექსემების წარმოქმნის ძალა, ჩანს იოანე პეტრიწის ენაზე დაკვირვებისასაც. „არსებითთაგან **უ- – -ო** კონფიქსის დართვით მიიღება ზედსართავი სახელი და **იგი არის არა ძირეულის ანტონიმი,** არამედ **აღნიშნავს იმ თვისების უქონლობას,** რომელსაც გამოხატავს ძირეული სახელი: *სხეული – **უსხეულო**, მიზეზი – **უმიზეზო**,... საზღვარი – **უსაზღვრო*** (უსაზღვრო არის არა ის, რაც არ არის საზღვარი, არამედ ის, რასაც არა აქვს საზღვარი). ასეთ შემთხვევაში ანტონიმების წარმოებას კისრულობს **არ** ნაწილაკი, რომელსაც დერივაციული აფიქსის ფუნქცია ენიჭება: *სამარადისობა – **არასამარადისობა**, სწორი – **არასწორი**, მსგავსება – **არამსგავსება**...*“ (მელიქიშვილი 1999:73). ასეთ მოვლენას „ვეფხისტყაოსანში“ **თქმა – არა-თქმა**-ს მაგალითზე განიხილავს თ. ბოლქვაძე და არა-/არ- ნაწილაკის სემანტიკურ შესაძლებლობასთან დაკავშირებით აკეთებს მსგავს დასკვნებს (ბოლქვაძე 1997:69).

საყურადღებოა, რომ **არა-/არ-** ნაწილაკი, განსხვავებით უ- პრეფიქსისაგან, პროდუქტიული აღმოჩნდა **სწორედ ანტონიმური წყვილების წარმოების თვალსაზრისით,** რადგან იგი „უარყოფის გამომხატველ ანტონიმს **უშუალოდ დადებითი ფორმისაგან** აწარმოებს“ (ჯორბენაძე 1984:146). სალიტერატურო ენის

შინაგანი პოტენციის რეალიზებამ, სხვა, ლინგვისტურ და ექსტრალინგვისტურ, ფაქტორებთან ერთად, ხელი შეუწყო ამ მოდელის გააქტიურებას აკადემიურ სივრცესა და სამეცნიერო მიმოქცევაში (**სამეცნიერო ტერმინოლოგიის შექმნა**)[1], ასევე, პოეტურ მეტყველებაში (მაგალითისთვის შეიძლება დავასახელოთ „ვეფხისტყაოსანში“ **კონტრასტული პარალელიზმი**) (დაწვრილებით მსჯელობა ამ საკითხებზე იხ. თ. I: §1.1;1.4;1.5; 2.1; 2.3. და ბოლქვაძე 1997:66-73); შესაბამისად, არა-/არ- ნაწილაკიანმა სახელურმა მოდელმა სიტყვაწარმოების არეალი გაიფართოვა **მრავალფეროვანი საყრდენი ფუძეებით** და ანტონიმური წყვილები აწარმოა:

ა. **არსებითი სახელისაგან**: *კაცი – არა-კაცი*

ბ. **მასდარისაგან**: *ქონა – არ-ქონა*

გ. **ნაცვალსახელისაგან**: *ვინ – არა-ვინ*

დ. **მსაზღვრელი სახელისაგან (ზედსართავისაგან)**: *ადამიანური – არა-ადამიანური, დრეკადი – არა-დრეკადი, გაგონილი – არ-გაგონილი, თანასწორი – არა-თანასწორი.*

(ჯგუფები და მაგალითები დამოწმებულია ბ. ჯორბენაძის ნაშრომის მიხედვით: ჯორბენაძე 1984:146).

ცნობილია, რომ ენაში არსებობს ლექსიკური ანტონიმური ერთეულებიც. ამის გათვალისწინებით შეიძლება არსებული სემანტიკური დაპირისპირებების სრული სურათი შემდეგნაირად წარმოჩნდეს:

I. მართებული – მცდარი (ლექსიკური)

II. მართებული – **უ**-მართებული (უ- პრეფიქსიანი)

III. მართებული – **არა**-მართებული (არა- ნაწილაკიანი)

[1] „ამგვარად მიღებული დერივატი სუბსტანტივია და **ტერმინოლოგიზაციას ადვილად ექვემდებარება**“ (მელიქიშვილი 1999).

დადებითი და უარყოფითი დერივაციული ფორმები შეიძლება წარმოვადგინოთ სამწევროვანი რიგით იმის საჩვენებლად, თუ რამდენად სტაბილურია ამგვარი მიმართებები.

მაგალითად,

მართებული – უ-მართებულო – არა-მართებული,

მაგრამ

ჭეშმარიტი – *უ-ჭეშმარიტო – არა-ჭეშმარიტი.

მაშასადამე, სამწევროვან ურთიერთმიმართებათა რიგი არ აღმოჩნდა სტაბილური, რაც სწორედ **უ-** პრეფიქსიანი წარმოების ჩავარდნამ განაპირობა. აღსანიშნავია, რომ ზოგჯერ უ-პრეფიქსიან და არა-/არ- ნაწილაკიან ფორმებს აქვთ **სინონიმიზაციის უნარი** და ეს კარგად ჩანს ჩვენ მიერ დამოწმებული მაგალითებიდანაც, შდრ.: *უ-მართებულო || არა-მართებული*[1] (ესეც არის ასახვა ამოსავალში მათი ერთგვარობისა), თუმცა, როგორც ჩანს, მათ შორის დაწყებულმა **სემანტიკური დიფერენციაციის გარდაუვალმა პროცესმა,** ერთი მხრივ, განაპირობა ორივე მოდელის შენარჩუნება ენაში, ხოლო, მეორე მხრივ, განსაზღვრა პარალელურ ფორმათა შექმნის ფრაგმენტული ხასიათი.

***შენიშვნა 1**: უარყოფის **უ-** და **არა-** მაწარმოებლების სინონიმიზაცია ჩანს არა მხოლოდ ერთი ფუძისგან წარმოქმნილ პარალელურ ფორმებში, არამედ ერთ სიტყვა-ფორმაშიც; ასეთია მეგრული უ-ჩა „შავი“, რომელიც ანტონიმური პრინციპითაა წარმოქმნილი; მისი ქართული შესატყვისებია: არა-თეთრი || 2. *უ-თეთრო.*

[1] ამ ტიპის მაგალითია აგრეთვე: უქონლობა – **არ**ქონა (ჯორბენაძე 1984:147), „ვეფხისტყაოსნის“ „უყოლობაც“ სემანტიკურად იმავე ფუძის **არ** ნაწილაკიანი სახელის (**არ**-ყოლა) ფარდად არის მიჩნეული (ბოლქვაძე 1997:69).

შენიშნვა 2: „ უარყოფის გამომხატველ ფორმათა პარალელური წარმოება ყოველთვის არ ქმნის სინონიმებს: ... უ-თანასწორ-ო – არა-თანასწორი" (ჯორბენაძე 1984:148-149). ამ ტიპის მაგალითებია: უ-კაც-ო – არა-კაცი, უ-მსგავსი/უ-მსგავს-ო – არა-მსგავსი, უ-ღირსი – არა – ღირსი (ქეგლ-ი, I, 1950; ქეგლ-ი, VI, 1960) და სხვ.

არა-/არ- ნაწილაკიან სახელურ მოდელებს არ განუცდიათ რყევა; მეტიც, მათ შეინარჩუნეს თავკიდურა პოზიცია და ამოსავალი მნიშვნელობა, რადგან „ანტონიმური მნიშვნელობის ხაზგასმით წარმოჩენა ერთი და იმავე საყრდენი ფუძის გამოყენებით უკეთ მიიღწევა" (ჯორბენაძე 1984:147); **უ-** თავსართიანებისგან განსხვავებით, **არა-/არ-** ნაწილაკიანი მოდელების **საყრდენი ფუძე მარტივია,** რის შედეგადაც საპირისპირო მნიშვნელობის ფორმას აწარმოებს ყველა ტიპის სახელისაგან; ამასთან ერთად, **არა-/არ-** ნაწილაკს შესწევს ძალა ხაზი გაუსვას **დაპირისპირებას დადებით** და **უარყოფით ფორმებს შორის,** რადგან **არა-/არ-** ნაწილაკიანი ანტონიმური წყვილი მიღებულია ერთი ცნების გაყოფის შედეგად. ისინი ერთმანეთს გამორიცხავენ ერთი თვისების ან ნიშნის ქონა-არქონის მიხედვით (ბაქრაძე 1954:115). ყოველივე ეს მნიშვნელოვანი ფაქტორია სემანტიკისთვის და განსაზღვრავს შესაბამისი წესით წარმოქმნილი ლექსემების პროდუქტიულობას. ამით ფაქტობრივად იქმნება ტევადი შინაარსის კონდენსირებული ფრაზა. **არა-/არ-** ნაწილაკის ამგვარი უნარი და შესაძლებლობა გახდა შესაბამისი ანტონიმური მოდელის დაწინაურების მიზეზი, რის შედეგადაც მან მოიცვა ყველა ტიპის საკომუნიკაციო სფერო.

➢ ***ქართული ენის დიალექტები. ქართული ზეპირმეტყველება. სხვა ქართველური ენები***

როგორც აღვნიშნეთ, **უ-** და **არა-/არ-** თავსართიანი ანტონიმური ლექსემების პროდუქტიულობა ორი ფაქტორით განისაზღვრა: **მნიშვნელობა** და **პოზიცია**, რომელთა მიხედვით ასევე ორი პარამეტრით შეიძლება შეფასდეს აღნიშნული აფიქსების ფუნქციური დატვირთვა ინფორმაციის ჩამოყალიბება-გადაცემისას; ესენია: **ძირითადი** და **ფაკულტატური**. ძირითადი დანიშნულებაა **უარყოფითი სახელური ფორმების წარმოება**, ხოლო ფაკულტატური – მისი **აქტუალიზება**, რაც ნიშნავს ანტონიმური მნიშვნელობის ხაზგასმას, მკვეთრად წარმოჩენას. ამ ორი პარამეტრის ერთდროულად რეალიზება განსაზღვრავს ფორმათა პროდუქტიულობას.

ცნობილია, რომ ძირითად ენობრივ ტენდენციებს აყალიბებს დოკუმენტირებული ენა, თუმცა სალიტერატურო ენაში მიმდინარე პროცესები შეუზღუდავად, უფრო ბუნებრივად აისახება ნორმისაგან თავისუფალ სალიტერატურო ენის დიალექტებში, სპონტანურ (წინასწარმოუმზადებელ) მეტყველებაში (ზეპირმეტყველებაში). საგულისხმოა, რაც იცვლება და იზღუდება ნორმირებულ ენაში, იმას ინახავს და ინარჩუნებს ნორმისაგან თავისუფალი ენობრივი ქვესისტემა. ამ მსჯელობის სისწორეს ადასტურებს *დიალექტური ფორმები*, რომლებიც თავკიდურა პოზიციაში წარმოდგენილია

- *უ-* პრეფიქსით:

(1) უ-გაწყვეტილი, შდრ.: გა-უ-წყვეტელი

...უ-გაწყვეტილი ვიარ (მუჰაჯირის ნაამბობი, მუჰაჯირული-ზემოაჭარული; ჩაწერის ადგილი: თუფექჩი ქონაქი, ინეგოლის რაიონი, თურქეთი; 1989; მთქმელი: მუნთაჰა ბაიკოზოლლი-თავდგირიძისა; ტექსტის ჩამწერი: შუშანა ფუტკარაძე; გა-

მოცემა: შუშანა ფუტკარაძე, ჩვენებურების ქართული; კორპუსული გამოცემის ავტორი: ნარგიზა სურმავა).

(2) უ-გაკეთებული, შდრ.: გა-უ-კეთებელი

უ-გაკეთებული ის არი, რომე არ გიმიკეთებია... (სოფლის ცხოვრება, მუჰაჯირული-ზემოაჭარული; ჩაწერის ადგილი: ინეგოლი, თურქეთი; 1989; მთქმელი: მეჰმედ ოზბეგი (თავდგირიძე); ტექსტის ჩამწერი: შუშანა ფუტკარაძე; გამოცემა: შუშანა ფუტკარაძე, ჩვენებურების ქართული; კორპუსული გამოცემის ავტორი: ნარგიზა სურმავა).

(3) უ-გაქანებული, შდრ.: გა-უ-ქანებელი || გა-უ-ქანებლად

გზიები კაია, უ-გაქანებული მივალ ჩემ სოფელში (საუბარი, მუჰაჯირული-ზემოაჭარული; ჩაწერის ადგილი: ინეგოლი, თურქეთი; 1989; მთქმელი: ემინე ჩიბუკი (გოგიტიძე); ტექსტის ჩამწერი: შუშანა ფუტკარაძე; გამოცემა: შუშანა ფუტკარაძე, ჩვენებურების ქართული; კორპუსული გამოცემის ავტორი: ნარგიზა სურმავა).

- „ორმაგი“ უ- პრეფიქსით:

„ორმაგი“ პრეფიქსი, როგორც ორი ერთნაირი დატვირთვის მქონე მონაცემი რანგობრივი სტრუქტურის ერთ სლოტში, პირობითი ცნებაა; ეს ნიშნავს, რომ ზმნისწინის მომდევნოდ მოცემული -უ- დესემანტიზებულია; ოდინდელი ფუნქცია და პოზიცია სწორედ თავში მოცემულმა უ- პრეფიქსმა დაიბრუნა.

მაგალითები:

(4) უ-მო+û[1]+კითხელა , შდრ.: და-უ-კითხავად

... უმოûკითხელა მისმეს რამეს ნუ მისცემ! (ბაჰლული და საწყალ კაცი, ალიაბათური, ინგილოური; ჩაწერის ადგილი: მოსუ-

[1] û < უ

ლი, საინგილო, აზერბაიჯანი; 1945; მთქმელი: ისმაილ ისმაილოვი ასადულალა ოღლი; ტექსტის ჩამწერი: გრიგოლ იმნაიშვილი; გამოცემა: გრიგოლ იმნაიშვილი, ქართული ენის ინგილოური დიალექტის თავისებურებანი; კორპუსული გამოცემის ავტორები: მარინა ბერიძე, მაია ბარიხაშვილი).

(5) უ-მო+უ+ფიქრეველა, შდრ.: და-უ-ფიქრებლად

...უმოუფიქრეველა ისხნის დანას... (არსენაი და ვასილი ნადიროვან წასულაი, კაკური, ინგილოური; ჩაწერის ადგილი: კახი, საინგილო, აზერბაიჯანი; 1946; მთქმელი: არჩილ ჭირიტაშვილი; ტექსტის ჩამწერი: როგნედა ღამბაშიძე; გამოცემა: როგნედა ღამბაშიძე, ინგილოური ტექსტები; კორპუსული გამოცემის ავტორები: მარინა ბერიძე, მაია ბარიხაშვილი).

(6) უ-და+უ+ლეველა, შდრ.: და-უ-ლეველად || გამო-უ-ლეველად

...უდაულეველა... ფლავ-ხორაგ შეჰჭამნენ? (ძველი დრო, კაკური, ინგილოური; ჩაწერის ადგილი: ალათემური, კახი, საინგილო, აზერბაიჯანი; 1982; მთქმელი: ბესარიონ ოქროჯანაშვილი; ტექსტის ჩამწერი: ვასილ აბაშვილი (კუზიბაბაშვილი); გამოცემა: ვასილ აბაშვილი (კუზიბაბაშვილი), ქართული ენის ინგილოური დიალექტი; კორპუსული გამოცემის ავტორები: მარინა ბერიძე, მაია ბარიხაშვილი).

(7) უ-და+უ+ნახელა, შდრ.: და-უ-ნახავად

მე ფაჰჩაი პირ უდაუნახელა არ წავალ! (ერ სალდათ, კაკური, ინგილოური; ჩაწერის ადგილი: სამთაწყარო, დედოფლისწყარო, კახეთი, საქართველო; 1945; მთქმელი: მოსე პაპიაშვილი; ტექსტის ჩამწერი: გრიგოლ იმნაიშვილი; გამოცემა: გრიგოლ იმნაიშვილი, ქართული ენის ინგილოური დიალექტის თავისებურებანი; კორპუსული გამოცემის ავტორები: მარინა ბერიძე, მაია ბარიხაშვილი).

თავკიდურა პოზიციის უპირატესობაზე და, ამასთან ერთად, **უ-** და **არა-/არ-** თავსართების ერთნაირ შესაძლებლობაზე მიუთითებს **ავტორთა მიერ** სპეციალურად შექმნილი ისეთი ფორმები, რომლებშიც მონაცვლეობენ

- **უ-** და **არა-/არ-** პრეფიქსები

ამგვარი შემთხვევები დასტურდება

ძველი ქართული ენის ძეგლებში:

(8) **უ**-სიბრძნისმოყვარე, შდრ.: **არა**-სიბრძნისმოყვარე

„ვინაჲცა შეპყრობილ იქმნა **უ**სიბრძნისმოყვარეთა მათგან **არა**ფილოსოფოსთა“

(ეფრემ მცირის კოლოფონები, 218:4) (დამოწმებულია ი. გრიგალაშვილის სამაგისტრო ნაშრომის დანართის მიხედვით: გრიგალაშვილი 2018); „ფორმაში *უსიბრძნისმოყვარე* უარყოფითობის მაწარმოებელი **უ-** პრეფიქსი დართულია კომპოზიტის სახელურ ნაწილზე და არა ზმნურზე. „წარმოება“ რომ ეფრემის მიერაა შემუშავებული, ჩანს იქიდანაც, რომ კოლოფონების ავტორი აღნიშნულ ფორმას იყენებს სინონიმურ წყვილში“ (იქვე: 51). დ. მელიქიშვილს შენიშნული აქვს, რომ მსგავსი ჰენდიადისური წყვილების გამოყენება ახასიათებს იოანე პეტრიწსაც (მელიქიშვილი 1975:152-155).

მხატვრულ ტექსტებში:

(9) **უ**-მზაკვრო, შდრ.: **არა**-მზაკვრული

„**უ**მზაკვრო და ნათელი თვალები ჰქონდა“ (კ. გამსახ.)

(10) **არ**-საფერისად, შდრ.: შე-**უ**-ფერებლად

„[ფუფალას] **არ**საფერისად ეცვა“ (გ. ლეონ.)

არა-/არ- ნაწილაკის ადგილი **უ-** პრეფიქსმა შეიძლება დაიკავოს **ქართულ ზეპირ მეტყველებაშიც**:

(11) **უ**-კომფორტოდ, შდრ.: **არა**-კომფორტულად

„უკომფორტოდ გრძნობს თავს და რა ქნას!“

(12) **უ**-კანონმორჩილო, შდრ.: **არა**-კანონმორჩილი

„ამასობაში მივიღეთ **უკანონმორჩილო** საზოგადოება“.

(13) **უ**-ნაკითხობით, შდრ.: **არა**-ნაკითხობით

(14) **უ**-მუყაითობით, შდრ.: **არა**-მუყაითობით

„იგი [ლუარსაბი] თავისი **უნაკითხობით** და **უმუყაითობით** საფრთხეს უქმნის საზოგადოებას“.

ქართულ ზეპირმეტყველებაში დასტურდება ისეთი ფორმებიც, სადაც ორივე თავსართი (უ- და არა-/არ-) ერთ ლექსემაშია მოცემული, ზოგჯერ გვერდიგვერდაც; ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ ასეთ შემთხვევაში პირველ ადგილზე ყოველთვის **არა-** ნაწილაკია და არასოდეს არ არის პირიქით:

(15) **არა**-აღმო-**უ**-ფხვრელი

„გლობალური პრობლემაა, თუმცა **არა**აღმო**უ**ფხვრელი“.

(16) **არა**-**უ**-მიზეზო

„მაპატიე, **არაუ**მიზეზო ვერმოსვლა!“

მეგრულსა და ლაზურში ვარ / ვა, ხოლო **სვანურში მ̃ად / მად(ე)** ნაწილაკები ქართული არა/არ ნაწილაკების სემანტიკური ფარდია და დაერთვიან არა არსებით სახელებს, არამედ მიმღეობებს. ამ გზით მიღებული ზედსართავი სახელები წარმოდგენილია: **ა.** წყევლის ფორმულებში, **ბ.** უარყოფითი კონოტაციის მეტსახელებში (რომლებიც თვისების არქონის გამოა შერქმეული), ამიტომ რაოდენობრივად ცოტაა სალიტერატურო ენის მონაცემებთან შედარებით:

ა. მეგრ. (17) **ვა**-რდილი – „**არ**-გასაზრდელი“, სვან. (18) **მ̃ად**-ლეჯდე / ბქ. **მად(ე)**-ლეჯდ-იაქ / **მად(ე)-ლეჯდ-იაქ-გლ** – „**არ**-მოსასვლელი“.

ბ. მეგრ.(19) **ვა**-ხაჩქელა – „**არ**-მთოხნელა“, (20) **ვა**-სქილია – „კვერცხის **არ**-მდებელა“, ლაზ. (21) **ვა** მთინი – „**არა**-მართალი“.

ამრიგად, ქართულში ***ნაწილაკი*** + ***არსებითი სახელი*** მოდელის გააქტიურებას ხელი შეუწყო სამწერლობო-სამეცნიერო ტრადიციებმა, რაც იმავდროულად ცოცხალ მეტყველებაზეც აისახა (იგულისხმება: ქართული სპონტანური მეტყველება და ქართული ენის დიალექტები). ქართულისაგან განსხვავებით, დანარჩენ ქართველურ ენებში – მეგრულში, ლაზურსა და სვანურში უარყოფითნაწილაკიანი დერივაციული სახელების მოდელი ***ნაწილაკი*** + ***მიმღეობით*** დამკვიდრდა და ამგვარ სიტყვაფორმათა მოხმარების არეალი შეიზღუდა: წყევლის ფორმულებსა და უარყოფითი შინაარსის მეტსახელებში დასტურდება მხოლოდ. ამის გამო უარყოფითნაწილაკიანი დერივაციული სახელები მეგრულში, სვანურსა და ლაზურში სისტემურად ვერ განვითარდა.

თავი II

უარყოფით ნაცვალსახელთა, უარყოფით ზმნიზედათა სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი და ორმაგი უარყოფის საკითხი ქართველურ ენებში

1. უარყოფითი ნაცვალსახელები და უარყოფითი ზმნიზედები ქართველურ ენებში

უარყოფითი ნაცვალსახელები და უარყოფითი ზმნიზედები უარყოფის გამოხატვის მორფოლოგიურ საშუალებებს მიეკუთვნება და ყველა ქართველურ ენაში დასტურდება. რამდენადაც ქართველური ენები აერთიანებს სოციოლინგვისტური სტატუსით განსხვავებულ (სალიტერატურო და არასალიტერატურო) ენებს, ცალ-ცალკე განვიხილავთ მათ მონაცემებს და წარმოვაჩენთ მათ შორის მსგავსება-განსხვავებას სტრუქტურისა და სემანტიკის მიხედვით.

1.1. უარყოფითი ნაცვალსახელები და უარყოფითი ზმნიზედები ქართულ სალიტერატურო ენაში: სტრუქტურა და სემანტიკა

- *უარყოფითი ნაცვალსახელები*

ძველი და **ახალი ქართული ენის** გრამატიკების მიხედვით ცნობილია **უარყოფითი ნაცვალსახელების** მორფოლოგიური მოდელი, რომელიც რთული შედგენილობისაა: წარმოქმნილია უარყოფითი ნაწილაკისა და კითხვითი ნაცვალსახელების (ვინ, რა; ძველ ქართულში: რაჲ) შეერთებით. სამწევროვანი სისტემის სამივე უკუთქმითი ნაწილაკი (არა / არ, ვერა / ვერ, ნურა / ნუ) მონაწილეობს უარყოფითი ნაცვალსახელების წარმოქმნაში და საკუთრივ ნაწილაკებისთვის დამახასიათებელ სემანტიკურ ელფერს სძენს მათ. დამატებით ნიუანსურ სხვაობებს ქმნიან

-ღა, -ცაღა, -ღაცა ნაწილაკებით გართულებული უკუთქმითი ნაწილაკები; შესაბამისად, ძველ ქართულში უარყოფითი ნაცვალსახელები მრავალფეროვნებითა და მრავალრიცხოვნობით გამოირჩევა: *არავინ, ვერვინ, ნუვინ, არღარავინ, ვერღარავინ, არარაჲ, ვერარაჲ, ნურაჲ, არღარაჲ, ნურარაჲ* (სარჯველაძე 1997:73). ძველ ქართულში არსებული ყველა უარყოფითი ნაცვალსახელი დღემდე არ შემორჩენია ენას: ზოგი გამარტივდა, ზოგიც დაიკარგა (შდრ.: *არარაჲ, ვერარაჲ, ვერვინ, ნუვინ, არღარაჲ, არცარაჲ, ვერცარაჲ, არცარავინ* და მისთ.). აღსანიშნავია, რომ დაკარგვის პარალელურად ახალი ვარიაციებიც გაჩნდა ტექსტებში საშუალი ქართულის პერიოდიდან (მაგ., *ნურავინ, ნურცავინ, არაფერი, ვერაფერი*); მხოლოდ ახალ ქართულში დასტურდება *ნურაფერი*.

ძველ ქართულში დადასტურებული ყველა უარყოფითი ნაცვალსახელი ერთნაირი პროდუქტიულობით არ გამოირჩეოდა. **უარყოფის ნაცვალსახელთა** სტრუქტურულ-სტატისტიკურმა ანალიზმა **სინური მრავალთავის, სახარების ადონური** და **პრეათონური რედაქციებისა** და **გელათის ბიბლიის** მიხედვით წარმოაჩინა, რომ სიხშირით პირველ ადგილზეა **არავინ**:

ა. სინ. მრ. – 30 შემთხვევა; **ბ.** სახ. პრეათ. რედ. – 43 შემთხვევა; **გ.** სახ. ათ. რედ. – 34 შემთხვევა; **დ.** გელ. ბიბლ. – 11 შემთხვევა (კვლევის შედეგები ვრცლად იხ. ქურდაძე და სხვები 2016ა:71-115. სტატისტიკური ანალიზის ამსახველი ემპირიული მასალა სრულად მოცემულია დანართი № 7-ში).

ახალ ქართულშიც არ შეცვლილა **უარყოფითი ნაცვალსახელების სტრუქტურა**, რთულია ძველი ქართულის მსგავსად (*არავინ, ვერავინ, ნურავინ, არაფერი, ვერაფერი, ნურაფერი*), თუმცა კითხვითი სიტყვები ზოგჯერ ჩანაცვლებულია *-ნაირი* და *-ვითარი* ლექსემებით: *არანაირი, ვერანაირი, ნურანაირი, არავითარი, ვერავითარი, ნურავითარი* (შანიძე 1980:44).

უარყოფითი ნაცვალსახელების სემანტიკას რაც შეეხება, ერთნაირად არის გადმოცემული ძველსა და ახალ ქართულში; კერძოდ, „ვინ“ კითხვით ნაცვალსახელთან დაწყვილებული უკუთქმითი ნაწილაკები (არა, ვერა, ნურა / ნუ) მიემართება **ადამიანის აღმნიშვნელ არსებით სახელს** და **უარყოფს მას**, შდრ.:

ა. *არავინ* – უარყ. ნაცვალსახ. არც ერთი ადამიანი (ქეგლ-ი).

ბ. *ვერავინ* – უარყ. ნაცვალსახ. ვერც ერთი ვინმე, ვერც ერთი ადამიანი, შდრ.: არავინ (ქეგლ-ი).

გ. *ნურავინ* – უარყ. ნაცვალსახ. ნურც ერთი ვინმე, ნურც ერთი ადამიანი (ქეგლ-ი).

როგორც ზემოთ არის აღნიშნული, ნაწილაკები ინარჩუნებენ სემანტიკას; შესაბამისად,

ა. *არა-ვინ* ფორმა გამოხატავს, რომ *ვინ-ის* არსებობა **გამორიცხულია კატეგორიულად**:

(1) არა-ვინ მოვიდა; (2) არა-ვინ თქვა და მისთ.

ბ. *ვერა-ვინ* ფორმა გამოხატავს, რომ *ვინ-ის* არსებობის **შესაძლებლობა გამოირიცხა**:

(3) ვერა-ვინ ვნახე; (4) ვერა-ვინ გაბედა შეპასუხება და მისთ.

გ. *ნურა-ვინ / ნუ-ვინ* ფორმა გამოხატავს, რომ *ვინ-ის* არსებობა **აკრძალულია**:

(5) ნურა-ვინ შემოვა; (6) „ნუ-ვინ იტყვის ობლობისა ვაებას“ (ნ. ბარათ.).

„რა“ კითხვითი ნაცვალსახელისა და უკუთქმითი ნაწილაკების (არა, ვერა, ნუ / ნურა) კომპოზიცია მიემართება **უსულო არსებით სახელს** და **უარყოფს მას**, შდრ.:

ა. არარა – უარყ. ნაცვალსახ. არც ერთი რამ: „არარა არღვევს მყუდროებას“ (ტ. ტაბ.) (ქეგლ-ი).

ბ. ვერარა – უარყ. ნაცვალსახ. ვერც ერთი, ვერც რამე (ქეგლ-ი).

გ. *ნურა (← ნურარა)* – იგივეა, რაც *ნურაფერი* – უარყ. ნაცვალსახ. ნურც ერთი რამ (ქეგლ-ი).

აღნიშნული კომპოზიციები ივარაუდება უსულო საგნის მსაზღვრელადაც, თუმცა საზღვრული ყოველთვის ჩავარდნილია, ხოლო უარყოფითი ნაცვალსახელი გაყოფილია ზმნით:

(7) **არა** დაუშავებია **რა**; (8) **ვერა** გაუკეთებია **რა**; (9) **ნურა** უჭამია **რა** და მისთ.

არარა იჩენს ზმნისართად ქცევის ტენდენციასაც: „არარად იქცა“ (ნ. შატ.) (ქეგლ-ი).

უკუთქმით ნაწილაკებთან *(არა, ვერა, ნუ / ნურა)* დაწყვილებული *-ფერი, -ნაირი* ლექსემებიც ძირითადად უსულო არსებითი სახელების მსაზღვრელად მოიაზრება[1] და მის ნიშან-თვისებას უარყოფს კატეგორიულობის, შესაძლებლობისა და აკრძალვის მიხედვით; საზღვრული ხშირ შემთხვევაში ჩავარდნილია და დასტურდება პარალელური კონტექსტები:

(10) **არაფერი ამბავი** არ ვიცი || **არაფერი** არ ვიცი; (11) **ვერაფერი ამბავი** ვერ გავიგე || **ვერაფერი** ვერ გავიგე და მისთ.

ამ თვალსაზრისით ***ნურაფერს*** მეტი „დამოუკიდებლობა“ აქვს მოპოვებული: მასთან საზღვრული ძირითადად ჩავარდნილია; თუ დასტურდება, მხოლოდ გამონაკლისის სახით, ისიც პოსტპოზიციურად:

(12) «გაუშვით, **ნურაფერს** აწყენინებთ ჩემს დათუნას!» (აკაკი); (13) ესეც უთხარი... **ნურაფერს** დაუმალავ! (მ. ჯავახ.), შდრ.: **ცუდს ნურაფერს** აკადრებ (მაგალითები დამოწმებულია ქეგლი-დან).

-ვითარი-ს მონაწილეობით შედგენილი რთულფუძიანი უარყოფითი ნაცვალსახელი „იხმარება უარყოფით წინადადებაში

[1] გამონაკლისის სახით ზეპირმეტყველებაში შეიძლება შეგვხვდეს *-ფერ* კომპონენტიანი ნაცვალსახელი ვინ ჯგუფის სახელებთანაც: **არაფერი** გოგოა, **ვერაფერი** გოგოა, დიდი **ვერაფერი** შვილია და მისთ.

სრული უარყოფის[1] გამოსახატავად! არც ერთი“ (ქეგლ-ი) და მხოლოდ მყარ შესიტყვებას ქმნის:

(14) **არავითარ შემთხვევაში**; (15) **არავითარი დათმობა** და მისთ.

• *უარყოფითი ზმნიზედები*

ძველი ქართული ენის გრამატიკაში ცალკე არ არის გამოყოფილი **უარყოფითი ზმნიზედების** ჯგუფი. ამის მიზეზია ის, რომ ერთი ჯგუფის რთულ ზმნიზედათა *(უკუთქმითი ნაწილაკი + ადგილის / დროის... ზმნისართი)* სემანტიკას ძირითადად მეორე კომპონენტი განსაზღვრავდა; შესაბამისად, ამგვარ ზმნიზედათა კვალიფიკაციაც ამ ვითარების გათვალისწინებით ხდებოდა; მაგალითად, ძველი ქართულის *არასადა-ს* (< *არა-სადა*), რომელიც ახალი ქართულის *არასოდეს; არსად; არანაირად* ფორმების ფარდია, ა. შანიძე დროის ზმნიზედას უწოდებდა (შანიძე 1976:141), დ. იმნაიშვილი – ადგილის ზმნისართს (იმნაიშვილი 1953:64), ი. აბულაძე ამ ერთ ფორმაში ორივე მნიშვნელობას ხედავდა: დროის / ადგილის ზმნისართი (აბულაძე 1973). ძველი ქართულის გავლენით, ამგვარ ზმნიზედათა სახელდება არც **ახალი ქართული ენის გრამატიკაში** დაზუსტებულა (შდრ.: შანიძე 1980) და, განმარტებების სიცხადის მიუხედავად, ასევე (დაკონკრეტების გარეშე) აისახა **ქართული ენის განმარტებით ლექსიკონშიც:**

ა. *არსად* – ზმნს. არც ერთ ადგილას (ქეგლ-ი).

ბ. *არასოდეს* – ზმნს. არც როდის, არასდროს (საპირისპ. ყოველთვის)(ქეგლ-ი).

გ. *ვერსად* – ზმნს. ვერც ერთ ადგილას, მხარეს, ვერავითარ ადგილას, ვერც ერთგან (ქეგლ-ი).

[1] *სრულ უარყოფაში*, ჩვენი აზრით, იგულისხმება *კატეგორიული უარყოფა*.

დ. *ვერასოდეს* – ზმნს. ვერავითარ დროს, ვერც ერთ დროს (ქეგლ-ი).

ე. *ნურსად* – ზმნს. ნურც ერთ ადგილას (ქეგლ-ი).

ვ. *ნურასოდეს* – ზმნს. არც როდის, არასოდეს, არასდროს (იხმარება აკრძალვისას) (ქეგლ-ი).

ზ. *არანაირად* – ზმნს. სრულიად არ, არაფრის დიდებით, არაფრით (ქეგლ-ი).

თ. *არასგზით* – ზმნს. არავითარ შემთხვევაში, არამც და არამც.

ი. *ვერასგზით* – ზმნს. ვერავითარი საშუალებით, ვერავითარი ხერხით.

მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი:

(16) „აქ ვარ ბატონო, **არსად** ვმუშაობ და თუ რამეზე ფიქრობთ, დროზე დამელაპარაკეთ...“:
(id=240075206005831&cpos=28636125&corpus=grc)

(17) „აქეთ ვეცი, იქით ვეცი და რომ **ვერსად** ველარ ვიპოვე, დავიღრიალე...“:
(id=240075206005831&cpos=10773036&corpus=grc)

(18) „თუ ვინმეს სიტყვა ლობირება ეხამუშება, **ნურსად** იტყვის, საკუთარი სახლის ჩათვლით“:
(id=240075206005831&cpos=55302476&corpus=grc)

(19) „**არასდროს** არც მომსალმებია, არც დამლაპარაკებია“:
(id=240075157464347&cpos =140328098&corpus=grc)

(20) „გუჯა ბურდული კი **ვერასდროს** იქნებოდა ინტრიგების ეპიცენტრში“:
(id=240075206005831&cpos = 45943848&corpus=grc)

(21) „ვურჩევდი, ბესიკის ტომს **ნურასდროს** შეებმება...“:
(id=240075157464347&cpos =107601068&corpus=grc)

(22) „**არანაირად** არც ფალსიფიკაციასთან და არც ხარისხთან არ გვაქვს საქმე...“:

(id=240075206005831&cpos = 2062884&corpus=grc)
(23) „ის წუთისოფლის დაშიფრულ წერას **ვერანაირად** ვეღარ უგებდა“:
(id=240075206005831&cpos = 140371533&corpus=grc)
(24) „**არასგზით** არ უნდა ვაწყენინოთ მოსეს და დავითის ხალხს“:
(id=240075206005831&cpos =31613055&corpus=grc)
(25) „საქმე ისაა, რომ ბულბულის გალობის მოსმენის მსურველი ყვავის ყრანტალით **ვერასგზის** დაკმაყოფილდება“:
(id=240075206005831&cpos = 52764652&corpus=grc)
(ბოლო ნახვა 10.04.2021 წელი)

ამრიგად, სინქრონიულ დონეზე ***არა-*** ***ვერა-***, ***ნურა-*** ნაწილაკებისა და ***ადგილის, დროის, ვითარების*** ზმნიზედათა შეერთებით მიღებული რთული ზმნიზედური ფორმები უნდა შეფასდეს, როგორც **უარყოფითი ზმნიზედები** (ამის შესახებ იხ. ქურდაძე და სხვები 2016ა:75-78).

1.2. უარყოფითი ნაცვალსახელები და უარყოფითი ზმნიზედები მეგრულსა და ლაზურში: სტრუქტურა და სემანტიკა

- ***უარყოფითი ნაცვალსახელები***

მეგრული მასალის ანალიზი

მეგრულში ი. ყიფშიძე ორ უარყოფით ნაცვალსახელს გამოყოფს; ესენია: **მითა** „არავინ“ და **მუთა** „არაფერი“. ამ ნაცვალსახელებთან დაკავშირებით მანვე პირველმა აღნიშნა, რომ მეგრულისთვის დამახასიათებელია ერთმაგი (ცალმაგი) უარყოფა, რაც განსაზღვრულია უარყოფით ნაცვალსახელთან შეწყობილი

ზმნის დადებითი ფორმით: მუთა ცოფე „არაფერი ყოფილა“, მითა რე „არავინ არის“ (Кипшидзе 1914:050, 0145). ი. ყიფშიძის მიერ შენიშნული თავისებურების ახსნა შესაძლებელია უარყოფითი ნაცვალსახელების ამოსავალი ფორმების აღდგენითა და სეგმენტაციით. დიაქრონიული მონაცემების გათვალისწინებით, უარყოფითი ნაცვალსახელები რთული შედგენილობისაა; კერძოდ, სამკომპონენტიანია:

ა. **კითხვითი ნაცვალსახელი: მინ → მი** „ვინ“ / **მუ → მუ** „რა“

ბ. **მიმართებითი ნაწილაკი: -თი → -თ** „-ც(ა)“

გ. **უარყოფითი ნაწილაკის ნაშთი: ვარ → -ა** „არა“

მაშასადამე, მოცემული ეტიმოლოგიის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, სინქრონიულ დონეზე დადასტურებული **მითა** და **მუთა** ფორმები გამარტივებულია ფონეტიკური ტრანსფორმაციის შედეგად, თუმცა ამოსავალი ვითარების შინაარსი შენარჩუნებული აქვთ:

1. **მი-თ-ა** ←*მინ-თი-ვარ „ვინც არა“; 2. **მუ-თ-ა**←*მუ-თი-ვარ „რაც არა“.

მეგრულის სიტყვასიტყვითი მონაცემებია: „ვინც-არა“, „რაც-არა“, შდრ.: ქართ. არა-ვინ, არა-ფერი / არა-რა ფორმებს (მსჯელობა წარმოდგენილია ა. მარტიროსოვის მონოგრაფიის მიხედვით: მარტიროსოვი 1964:256).

აღსანიშნავია, რომ მეგრული *მითა* და *მუთა* ფორმების „შედარებით ახალ წარმოშობაზე“ უფრო ადრე წერდა დ. იმნაიშვილი (იმნაიშვილი 1953); ივარაუდება, რომ „ახალ წარმოშობაში“ ავტორი სწორედ ფორმათა ფონეტიკურ ტრანსფორმაციას გულისხმობდა. როგორც ჩანს, ნაცვალსახელთა შემადგენლობაში უარყოფითი ნაწილაკის თუნდაც ნაშთის სახით არსებობა განაპირობებს მათთან ზმნის დადებითი ფორმით შეხამებას:

(1) სქანი მეტი **მითა პუნანია** დო სი ხოლო მიდინგთია! „შენს მეტი *არავინ გვყავსო* და შენც გვეკარგებიო“ Megrelian Texts ed. Qipshidze: IQ, ZS, XIII, 5 (31, 20).

(2) სქანი დუდი სი ოკო ინგარე, ელმაძაძე **მითა გაშიი** „შენი თავი შენ უნდა იტირო, ძაძის გამზიარებელს *ვერავის იშოვი*“ Megrelian-Georgian Dictionary Kajaia: Megr.Dict., e, elmadzandze, 7475.

(3) მუნეფიშ ოკეთებელს მინწყუნა უკული, სი **მითა მოიგორუანსია** (ექსპ. მასალები) „თავიანთ გასაკეთებელს რომ მოილევენ მერე, შენ *არავინ მოგისაკლისებსო* “.

(4) ბარგი ოკო ქჳმკიქუნე, **მუთა გოხვარ** მეტია „ტანსაცმელი უნდა ჩაიცვა, *არაფერი გიშველის* მეტიო“ Megrelian-Georgian Dictionary Kajaia: Megr.Dict., b, barg-i, 1206.

(5) დუდიშ ჭუაშე **მუთა უჭირს** დო ჭუმე მიდურს პენსიაშავა (ექსპ. მასალები) „თავის ტკივილის გამო *არაფერი უჭირს* და ხვალ წავა პენსიაზეო [=პენსიის ასაღებადო]“.

ამრიგად, მეგრულში უარყოფითი ნაცვალსახელების სტრუქტურაში მოცემული **კითხვითი ნაცვალსახელი**[1] განსაზღვრულია მიმართებითი ნაწილაკით და ემატება **უკუთქმითი ნაწილაკი**, ქართული არა / არ-ის ფარდი. პოზიციური განლაგებაც ამავე თანმიმდევრობითაა წარმოდგენილი.

***შენიშვნა 1**: მეგრულს არ მოეპოვება ქართული „ვერ“ ნაწილაკის ფარდი სეგმენტი სახელებთან, რადგან ვა(რ) ნაწილაკს შესაძლებლობის სემანტიკის გამოხატვა მხოლოდ პოტენციალისის ზმნურ ფორმებთან შეუძლია. მეგრულში არც „ნუ“ ნაწილაკი მონაწილეობს ნაცვალსახელთა შემადგენლობაში.*

[1] მხოლოდ ორი კითხვითი ნაცვალსახელი მონაწილეობს: მი(ნ) „ვინ“ და მუ „რა“.

• *ფუნქციური მონაცვლეობის კანონზომიერება*

ი. ყიფშიძემ მეგრულისთვის დამახასიათებელ კიდევ ერთ თავისებურებას მიაქცია ყურადღება: თუ ზმნა მოცემულია უარყოფითი ფორმით, მაშინ **უარყოფით ნაცვალსახელს ენაცვლება განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი:** *მუთუნი ვა ყოფე* „სიტყვასიტყვით: *რაიმე არ ყოფილა*"; *მითინი ვა რე* „სიტყვასიტყვით: *ვინმე არ არის*" (Кипшидзе 1914:0145).

ი. ყიფშიძემ მეგრულში განუსაზღვრელობით ნაცვალსახელთა სამი ჯგუფი გამოყო და მათ რთულ აგებულებაზე თავიდანვე გაამახვილა ყურადღება; ისიც შენიშნა, რომ ნაცვალსახელთა ნაწილს შენარჩუნებული ჰქონდა თავდაპირველი სახე, ხოლო დანარჩენი გამარტივებული იყო; თუმცა, არ უმსჯელია იმასთან დაკავშირებით, სამივე რიგს ერთნაირი სტრუქტურული საფუძველი ჰქონდა თუ არა (Кипшидзе 1914:049). მოგვიანებით, ეს დეტალი გ. როგავამ დააზუსტა და ამ კითხვას დადებითი პასუხი გასცა (როგავა 1988:224).

ი. ყიფშიძე არ ასახელებს, რომელი ჯგუფის განუსაზღვრელობით ნაცვალსახელებს შეუძლიათ უარყოფითი ნაცვალსახელების ჩანაცვლება, თუმცა დამოწმებული მაგალითებიდან ჩანს, რომ ჩანაცვლების უნარი აქვთ I ჯგუფის (ი. ყიფშიძის კლასიფიკაციით) განუსაზღვრელობით ნაცვალსახელებს – *მითინი „ვინმე", მუთუნი „რამე", ნამუთინი „რომელიმე"* :

*(6) მითინი ← *მით-იყი-ნი „ვინც იქნება რომ" = ქართ. ვინმე.*

*(7) მუთუნი ← *მუთ-იყი-ნი „რაც იქნება რომ" = ქართ. რამე.*

*(8) ნამუთინი ← *ნამუთ-იყი-ნი „რომელიც იქნება რომ" = ქართ. რომელიმე.*

*შენიშვნა 2: მუთუნი (იხ. (2)), რომლის ამოსავალი ფორმაა *მუთ იცი ნი, მიღებულია პროგრესული დისტანციური სრული ასიმილაციის შედეგად, თ-ს მომდევნო ი → უ:* (Кипшидзе 1914: 048-049).

ამრიგად, მეგრულში სამი ჯგუფის განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელებიდან უარყოფითი ნაცვალსახელების ფუნქციას ასრულებენ მხოლოდ ისინი, რომლებიც ეფარდებიან ქართულ **-მე** ნაწილაკიანებს (ვინმე / რამე / რომელიმე-ს) (დაწვრილებით ამ შეფარდების შესახებ იხ. ჯღარკავა 2015:49-54). აღსანიშნავია, რომ მეგრულში უარყოფით და განუსაზღვრელობით ნაცვალსახელებს შორის ფუნქციური მონაცვლეობა არ არის შემთხვევითი და იგი შეპირობებულია გრამატიკული მონაცემებითა და სემანტიკური ნიუანსებით.

მეგრული განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელები, რომლებიც ქართულ **-მე** ნაწილაკიანებს (*ვინმე* და მისთ.) ეფარდებიან, ერთ-ერთ კომპონენტად შეიცავენ „ყოფნა“ ზმნის მომავალი (ირეალური) დროის ფორმას: *იცი „იქნება“; იხ. ზევით ნაცვალსახელთა სეგმენტაცია: (6).(7).(8).* დანარჩენი ორი ჯგუფის განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელები მეგრულში ქართულ **-ღაცა** ნაწილაკიან განუსაზღვრელობით ნაცვალსახელებს უტოლდება:

(9) მი-გი-და-რე-ნი „ვი-ღა-ცა-არის-რომ“.

(10) მი-გ-დ-ე-ნი „ვი-ღა-ცა-არის-რომ“ .

(აღნიშნული ნაცვალსახელების სტრუქტურის შესახებ იხ. Кипшидзе 1914:049; როგავა 1988:224).

მოხმობილი მონაცემების გათვალისწინებით, მეგრულში სამ ჯგუფად წარმოდგენილი განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელები ორ რიგად შეიძლება დაიყოს; განსხვავებას ქმნის ზმნური კომპონენტების დრო: მომავალი *(იცი „იქნება“)* და ახლანდელი *(რე / ე „არის“)*. მათ შორის ისეთივე განსხვავებული მიმართება

შეიძლება ვივარაუდოთ დროული და, შესაბამისად, სემანტიკური თვალსაზრისით, როგორიც ქართულში *-მე* და *-ღაცა* ნაწილაკიან განუსაზღვრელობით ნაცვალსახელებს შორის არის ზმნური დროის ფორმებთან შეხამებისა და მოდალობის თვალსაზრისით: „-ღაცა ნაწილაკიანი ნაცვალსახელი ეხამება წარსული ან ახლანდელი დროითი შინაარსის შეცველ ზმნურ ფორმებს, ხოლო *-მე* ნაწილაკიანი ნაცვალსახელები – მომავალი დროის ფორმებს (დაწვრილებით იხ. აფრიდონიძე 1972:137-145; 2001:14).

ამრიგად, მეგრულში **უარყოფითი ნაცვალსახელების ჩანაცვლება** შეუძლიათ I ჯგუფის (ი. ყიფშიძის კლასიფიკაციით) **განუსაზღვრელობით ნაცვალსახელებს**, თუმცა არა დამოუკიდებლად, არამედ **მხოლოდ უარყოფით ნაწილაკთან ერთად**. ამას ადასტურებს სალექსიკონო მონაცემებიც:

*მეგრ. **მითინ(ი) ვარი** – ქართ. **არავინ** (ქაჯაია, ტ. II, 2002, 265; ქობალია 2010, 418).*

*ქართ. **არავინ** – მეგრ. **მითინ ვარ** (ქართ.-მეგრ.-ლაზ.-სვან.-ინგ. ლექსიკონი 2015,16).*

ცნობილია, რომ ნაცვალსახელი, როგორც მორფოლოგიური ოდენობა, გამოიყენება ცალკე; თუ იგი სინტაქსური ფუნქციითაა დატვირთული, მაშინ წინადადების წევრია.

განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი თუკი ენაცვლება უარყოფით ნაცვალსახელს, მაშინ მას, როგორც მორფოლოგიურ ოდენობას, აუცილებლად უნდა ახლდეს უკუთქმითი ნაწილაკი (იხ. ზევით სალექსიკონო მონაცემები); თუ განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი უარყოფითი ნაცვალსახელის მაგივრობას ეწევა წინადადებაში, მაშინ არათუ უკუთქმითი ნაწილაკის დართვის აუცილებლობა არ არის, არამედ ამ უკანასკნელისთვის ადგილი არ რჩება, რასაც თავისი ახსნა აქვს (მსჯელობა იხ. ქვემოთ).

მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი:

(11) ჩქიმი ჯიმალეფი ჩქიმდე უმოსი ძალიერი რდეს. ინენს **მითინი ვამერიებუდგ** „ჩემი ძმები ჩემზე უფრო ძლიერები იყვნენ. იმათ *ვერავინ ვერ მოერეოდა*“ Megrelian Texts ed. Qipshidze: IQ, ZS, IX, 15 (22, 16)

(12) **მითინი ვამურს**, ტყურაე იჯინექ (ექსპ. მასალები) „*არავინ არ მოვა*, ტყუილად იცდი“.

(13) ჩქე ვაფთქვითო, ართი კაპეკიში ღირებული **მუთუნი ვადვარკათ** შხვასიე! „ჩვენ არ ვთქვითო, ერთი თეთრის ღირებული *არაფერი არ დავაკლოთ* სხვასო!“ Megrelian Texts ed. Xubua: MX, 21, 86, 6.

***შენიშვნა 3**: ნაცვალსახელის მორფოლოგიური აგებულება მეგრულ მასალაში და შესაბამისი ქართული ვერსიის მონაცემები არ ემთხვევა ერთმანეთს.*

მეგრულში უარყოფით და განუსაზღვრელობით ნაცვალსახელთა ფუნქციურ მონაცვლეობას სისტემური ხასიათი აქვს. როგორც ამ თვალსაზრისით ჩატარებულმა სპეციალურმა კვლევამ ცხადყო, **I ჯგუფის განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელებისთვის უარყოფით ნაცვალსახელთა სემანტიკის გადმოცემა ძირითადი ფუნქციაა**: „TITUS“-ის მონაცემთა ბაზებში გადამოწმდა *მითინი „ვინმე“*-ს ფუნქციური დატვირთვა. 94 კონტექსტიდან 78 შემთხვევაში დადასტურდა უარყოფითი ნაცვალსახელის სემანტიკა (კორპუსული გადამოწმების შედეგები იხ. ჯღარკავა 2015:53). ამ მიმართულებით **განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელების დაწინაურება** თავისთავად მიუთითებს **საკუთრივ უარყოფითი ნაცვალსახელების ფუნქციონირების შეზღუდვაზე**.

უნდა აღინიშნოს, რომ ფუნქციური მონაცვლეობაც და შეზღუდვა-უპირატესობაც **განსაზღვრულია კანონზომიერი ფაქტორებით:**

➢ უარყოფითი ნაცვალსახელები და განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელები **ერთმანეთის მსგავსია** რთული სტრუქტურით, შემადგენელი კომპონენტებით და უკუთქმითი ნაწილაკის პოსტპოზიციით; თუმცა ერთნაირად **ვ ე რ** გამოხატავენ **სემანტიკურ დატვირთვას.**

➢ **განსხვავებას** ქმნის **უარყოფითი ნაწილაკი,** რომელსაც ორივე ტიპის ნაცვალსახელთა მორფოლოგიურ მოდელში შემოაქვს უარყოფის სემანტიკა:

➢ *უარყოფით ნაცვალსახელებში იგი ე ნ კ ლ ი ტ ი კ ა ა:*

ა. მით-ა = არა-ვინ; მით-ა ცუნს = არა-ვინ ჰყავს; ბ. *მუთ-ა = არა-ფერი; მუთ-ა უჩქუ = არა-ფერი იცის (ქობალია 2010).*

კლიტიკად ქცეული უარყოფითი ნაწილაკი ეკუთვნის ვინ / რა ჯგუფის სახელს და მხოლოდ მისი უარყოფა შეუძლია ცალკეც და წინადადებაშიც, ისიც „სუსტად“.

➢ *განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელის* თანმხლები უკუთქმითი ნაწილაკი **დამოუკიდებელი კომპონენტია, ცალკე დგას** და **მოსდევს** ნაცვალსახელს.

➢ **პოსტპოზიცია** მას სახელთან და ზმნასთან **სხვადასხვაგვარად ფუნქციონირების** საშუალებას აძლევს; კერძოდ:

ა. ცალკე აღებული უარყოფს ვინ / რა ჯგუფის სახელს: *მითინ ვარ = არა-ვინ.*

ბ. წინადადებაში სახელსა და ზმნას შორის უჭირავს *შუალედური პოზიცია,* რომლითაც კოგნიციის დონეზე ინარჩუნებს სახელის უარყოფის ფუნქციას; რეალურად კი ახლავს ზმნას და უარყოფს ზმნით გადმოცემულ მოქმედებას.

მითინ ვა მურს = სიტყვასიტყვით: ვინმე **არ მოდის** = კოგნიციის დონეზე: **არავინ არ** მოდის.

***შენიშვნა 4**: უკუთქმითი ნაწილაკი რომ პრევერბალურია (ზმნას ეკუთვნის), ამაზე მისი გაცვეთილი ფორმაც (ვა- „არ“) მიუთითებს:*

***შენიშვნა 5**: საინტერესოა ა. ქობალიას ლექსიკონში მოცემული განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელის განმარტებები, რომლებიც ენის მატარებელთა მიერ კონტექსტის აღქმის უტყუარი დასტურია: **მითინი** – ა. **ვინმე** (დადებით ზმნასთან), ბ. **არავინ** (უარყოფით ზმნასთან) (ქობალია 2010).*

ლაზური მასალის ანალიზი

ლაზურში საკუთრივ უარყოფითი ნაცვალსახელები არ დასტურდება. ამ ფუნქციით გამოიყენება განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელების გამარტივებული ფორმები: **მითი** „ვინმე“ და **მუთუ** „რაიმე“. ამ ფორმებისთვისაც საყრდენი მი „ვინ“ და მუ „რა“ კითხვითი ნაცვალსახელებია. უარყოფითობის გადმოსაცემად **მითი** და **მუთუ** ფორმებს ლაზურშიც, მეგრულის მსგავსად, ემატებათ უკუთქმითი **ვარ** „არა“ ნაწილაკი: **მითი ვარ = არა-ვინ; მუთუ ვარ = არა-ფერი** (თანდილავა 2015); შდრ.: მეგრულში დადასტურებული მორფოლოგიური მოდელის სტრუქტურა და სემანტიკა.

მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი:

(14) კოჩეფექ ფადიშაჰის ნა მუღეს ამბაᲐის, ჩქარ **მით ვარ-დოსქიდუ-დორენ** „კაცებმა ფადიშაჰს რომ მიუტანეს ამბავი, საერთოდ *არავინ არ დარჩენილიყო*“ დიუმეზ. 72; 243; 28.

(15) მა სქან საღლუღიშენ ბაშქა **მუთ ვარ მინონ** „მე შენი ჯანმრთელობის გარდა *არაფერი არ მინდა*“ დიუმეზ. 72; 254. 40.

(16) სიჯაქ ჩქარ **მუთუ ვარ იფხორს** „სიძე საერთოდ არაფერს არ ჭამს“ დიუმეზ. 84; 29.

• *უარყოფითი ზმნიზედები*

მეგრული მასალის ანალიზი

მეგრულში დასტურდება საკუთრივ **უარყოფითი ზმნისართი სოთა** „არსად“, რომელიც აგებულების მხრივ ზემოგანხილული **მითა** და **მუთა** ფორმების მსგავსია და იშლება შემდეგნაირად:

სო-თ-ა (← სო-თი ვარ „სადა-ც არა“); შემადგენელი კომპონენტებია: *ადგილის ზმნიზედა* (სო- „სად“), *მიმართებითი ნაწილაკი* (-თი /-თ „ცა“) და *კლიტიკად ქცეული უარყოფითი ნაწილაკი* (-ა ← ვარ „არა“). ზმნა მასთანაც დადებითი ფორმითაა მოცემული.

(17) **სოთა** ვორექ მანტებელი „*არსადა* ვარ გამქცევი“ http://titus.fkidg1.uni-frankfurt.de/texte/etca/cauc/megr/kajaia/kaj11579.htm Megrelian-Georgian Dictionary Kajaia: Megr.Dict., m, mant'ebel-i, 11579

უარყოფის სემანტიკის გადმოსაცემად გამოიყენება აგრეთვე **სოთინი** „სადმე“ განუსაზღვრელობითი ზმნისართი, რომელსაც ემატება უარყოფითი ნაწილაკი **ვარ** (შდრ.: I ჯგუფის განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელები უარყოფითების მონაცვლედ):

(18) ჩქიმი დიდა თე ამბეშ გურიშენი **სოთინი ვემეურს** (ექსპ. მასალები) „დედაჩემი ამ ამბის გამო *არსად არ მიდის* “.

(19) ირიართო ქოგორუნა და **სოთინი ვეპალუ** (ექსპ. მასალები) „სულ ეძებენ და *არსად არ იპოვება* “.

მეგრულში სხვა უარყოფითი ზმნიზედებიც რთული აგებულებისაა; კერძოდ, ორკომპონენტიანია:

ა. დროის აღმნიშვნელი ზმნიზედა „დღას“ და ცალკე მდგომი უარყოფითი ნაწილაკი ვარ „არა“:

დღას ვარ

ამ შემთხვევაში **დღას ვარ** უტოლდება „არადღეს“, სადაც „დღე“ აღნიშნავს ზოგად დროს და მთლიანად უარყოფითი ზმნიზედის მნიშვნელობაა „არასდროს“ [1]:

(20) ეჯგურა **დღას ვააფუ** ე ბოშის ნაძირეფი „ასეთი *არასოდეს არ აქვს* ამ ბიჭს ნანახი“: http://gnc.gov.ge/gnc/document-element?session-id=239320844747656&cpos= 6766

(21) **დღას ვამურქია** დიჩინგ, გინილგ დო მიდართგ (ექსპ. მასალები) „*არასოდეს არ მოვალო* დაიბარა, გავიდა და წავიდა“.

*ბ. განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი მუთუნი და ლექსიკური ერთეულები ვითარებით ბრუნვაში: **მუთუნ შარათ** „არავითარ შემთხვევაში“, „არასგზით“; **მუთუნ ქესათ** „არაფრის დიდებით“, „არარა ფასად“; **მუთუნ სახეთ** „არანაირად“.*

(22) **მუთუნ შარათ ვედუ** დო მა მუ ვქიმინა?! (ექსპ. მასალები) „*არავითარ შემთხვევაში არ წავიდა* და მე რა ვქნა?!“

(23) **მუთუნ ქესათ ვადანებუ** ეზო-კარი და ქიგიოსკიდუ მუს (ექსპ. მასალები) „*არაფრის დიდებით არ დაუთმო* სახლ-კარი და შერჩა მას“.

მეგრულში უარყოფით ზმნისართებსა და განუსაზღვრელობით ზმნისართებს შორის ფუნქციური განაწილების წესები და კანონზომიერებები ისევე მოქმედებს, როგორც ნაცვალსახელებში.

[1] შდრ.: ისეთი კონსტრუქცია, რომელშიც „დღას“ არსებითი სახელია: **დღას** ვასერუანს ტყურაე „**დღეს** არ აღამებს ტყუილუბრალოდ“; იხ. ლომია 2013 : 221-231.

ლაზური მასალის ანალიზი

ლაზურში უარყოფითი ზმნიზედის ფუნქციით პროდუქტიულია **განუსაზღვრელობითი ზმნიზედა სოთი** (← სოთინი) „სადმე“ **უკუთქმით ნაწილაკთან** ერთად: **სოთი ვარ** =„სადმე არა“ = არსად; შდრ.: მეგრულის მორფოლოგიური მოდელი.

(24) ლაზუტი **სოთი ვარ ორტუ** „სიმინდი *არსად არ იყო*“ (კარტოზია 1970; 219;10;6) (თანდილავა 2013).

ამავე მნიშვნელობას გამოხატავს ლაზურში სხვა განუსაზღვრელობითი ზმნიზედა **სოთიქსანი || სოთსქანი** „არსად“ და თურქულ-სპარსული hiç „**ჰიჩ**“, რომლის ერთ-ერთი მნიშვნელობაა „**არასდროს**“ (თანდილავა 2013).

(25) ჩქვა **სოთქსანი ვარ ულუნ** „მეტი *არსად არ მიდის*“ (ჭან. გრამ. ანალ. გვ. 82) (თანდილავა 2013).

(26) **სოთიქსანი ვარ ოშქუმეს** „ *არსად არ უშვებს*“ (კარტოზია 162,3) (თანდილავა 2013).

(27) დაჰა **ჰიჩ** ჰამდორაშქულე **ვა ბიდი** ჰიმ ჩიოიშა „ამის შემდეგ *არასოდეს არ წავსულვარ* იმ სოფელში“ (კარტოზია 1970, 220,25,13) (თანდილავა 2013).

1.3. უარყოფითი ნაცვალსახელები და უარყოფითი ზმნიზედები სვანურში: სტრუქტურა და სემანტიკა

- *უარყოფითი ნაცვალსახელები*

სვანურ ენაში უარყოფით ნაცვალსახელთა სტრუქტურა ძირითადად ისეთივეა, როგორიც ქართულში და წარმოადგენს უარყოფითი ნაწილაკისა და კითხვითი ნაცვალსახელის კომბინაციას. მთავარი განსხვავება დანარჩენი ქართველური ენებისაგან მათი სიმრავლეა. უარყოფით ნაცვალსახელთა სიმრავლე

კი გამოწვეულია იმ ცნობილი ფაქტით, რომ უარყოფითი ნაწილაკები ამ ენაში გაცილებით მეტია, ვიდრე მონათესავე ენებში; ეს ნაწილაკები სათითაოდ იღებენ მონაწილეობას უარყოფითი ნაცვალსახელების აგებაში, მეტ-ნაკლები ნიუანსური სხვაობით; გარდა ამისა, ფონეტიკური თვალსაზრისით განსხვავებულია დიალექტური მონაცემებიც, რაც ასევე განაპირობებს საანალიზო ნაცვალსახელთა სიჭარბეს.

ნეიტრალური უარყოფის გამომხატველი ნაცვალსახელებია:

დარ (< დე – „არ“ + ჲარ/იარ „ვინ“) (ბზ.), **დარ** (ბქ.), **დარ** (ლშხ.), **დარ** (ლნტ.) „არავინ“.

დესამა / დესმა (< დესა „არ“ + მა „რა“), **მამგუშ / მამაგუშ, მადმაგუშ** „არარა, არაფერი“ (ამ უკანასკნელში, ქართულის შეაბამისი მონაცემისგან განსხვავებით, მონაწილეობს არა სიტყვა „ფერი“, არამედ **გუშ** „საქმე“: **მამგუშ** ზედმიწ. „არასაქმე“).

შესაძლებლობის უარყოფის გამომხატველი ნაცვალსახელებია: **დეშჲარ** (ზსვ.), **დეშერ** (ქსვ.) – (< დეშ „ვერ“ + ჲარ „ვინ“) „ვერავინ“. როგორც ვხედავთ, სტრუქტურულად ამ შემთხვევაშიც სრული შესაბამისობაა ქართულთან, თუმცა სვანურს ამ ტიპის უარყოფისთვის პარალელურად სხვა სტრუქტურაც მოეპოვება: **ნეიტრალური უარყოფითი ნაცვალსახელი + შესაძლებლობის ნაწილაკი „მოშ“**, რომელიც არანაკლებ ბუნებრივია სვანურში: **დარმოშ / დარმოშ** (დარ/არ „არავინ“ + „მოშ“) „ვერავინ“; **დესამამოშ / დესმამოშ** (დესა + მა + მოშ/ „არა“ + „რა“ + „მოშ“) „ვერაფერი“, **მამგუშმოშ / მამაგუშმოშ, მადმაგუშმოშ** (მამ/ამა / მადმა + გუშ + მოშ /„არრა“ + „საქმე“ + „მოშ“) „ვერაფერი“.

აკრძალვის გამომხატველი ნაცვალსახელებია: **ნარ / ნრარ** „ნურავინ“, **ნრსამა / ნრსმა** „ნურარა, ნურაფერი“, **ნომაგუშ** „ნურაფერი“ (ზედმიწ. „ნურა საქმე“).

როგორც აღინიშნა, სტრუქტურულად სვანური უარყოფითი ნაცვალსახელები ძირითადად ქართული სალიტერატურო ენის მოდელს იმეორებენ (*მოშ* ნაწილაკიანი ფორმების გამოკლებით); სვანურშიც ისევე, როგორც ქართულში, თავად უარყოფითი ნაწილაკებია რთული შედგენილობისა (არა < არ + რა, ვერა < ვერ + რა...), რთული ნაწილაკების მეორე კომპონენტს კი თავად ნაცვალსახელი წარმოადგენს. ეს კომპონენტი უმეტეს შემთხვევაში არის **-მა**, რომელიც ამ ეტაპზე სემანტიკურად ქართულ „რას“ შეესატყვისება, თუმცა, თ. შარაძენიძის აზრით, მჳმა, დჳ-მა, დრ̃-მა, ნრ̃-მა შედგენილი ნაწილაკების მეორე კომპონენტად შესაძლოა გვქონდეს მესამე პირის ჩვენებითი ნაცვალსახელი, რომელსაც მხოლობით რიცხვში სახელობითი ბრუნვა არა აქვს, მაგრამ იხმარება სხვა ბრუნვებში და შედგენილ ნაცვალსახელებში: ამის „ამას“, ამნჳმ „ამან“...; მკვლევრის ვარაუდით, *მა*-ს წინ ხმოვანი უნდა ჰქონოდა, რადგან *დჳმა, დრ̃მა, ნრ̃მა*-ში ხმოვნები გრძელია, ხოლო, თუ გავიზიარებთ მოსაზრებას, რომ რთული ნაწილაკების მეორე კომპონენტი *მა* წარმოშობით ჩვენებითი ნაცვალსახელია, მაშინ ბუნებრივი იქნებოდა, იგი „ეს“ ჩვენებითი ნაცვალსახელის მეორე ფუძედ მიგვეჩნია (შარაძენიძე 1946:309).

რაც შეეხება *დჳსა* „არა“ ნაწილაკის მეორე კომპონენტს, თ. შარაძენიძის აზრით, აქაც ნაცვალსახელურ **ს** ძირთან უნდა გვქონდეს საქმე (შდრ.: ე-**ს**-ე, ი-**ს**-ი), რომელიც დღეს მხოლოდ ქართულს აქვს შემონახული, მაგრამ არც სხვა ქართველური ენებისთვის არ უნდა ყოფილიყო უცხო, რამდენადაც ზმნის სუბიექტური მესამე პირის ნიშანი ამ ნაცვალსახელიდან მომდინარედ ითვლება. სწორედ ნაწილაკების სტრუქტურული ანალიზის საფუძველზე ხსნის მკვლევარი იმ ფაქტს, რომ ეს ნაწილაკები ნაცვალსახელის როლში ხშირად დამოუკიდებლადაც გვევ-

ლინებიან; მაგალითად, *მაშა* ზოგჯერ არის „არაფერი“, *დეშმა* „ვერაფერი“... (შარაძენიძე 1946:310-311).

ამრიგად, **სვანური ენა უარყოფით ნაცვალსახელთა** გადმოსაცემად იყენებს შემდეგ გრამატიკულ მოდელებს:

I. **უარყოფითი ნაწილაკი + კითხვითი ნაცვალსახელი:**

დარ „არავინ“ = **დე** + **დარ** / არ + ვინ

დეშდარ „ვერავინ“ = **დეშ** + **დარ** / ვერ + ვინ

ნრ/ნარ „ნურავინ“ = **ნო(მა)** + **დარ** / ნუ + ვინ

დე /ესამა „არაფერი“, „არარა“ = **დესა** + **მა**(ა)/ არა + რა/რამე

დეშმა „ვერაფერი“ = **დეშ** + **მა**(ა) / ვერ + რა

დეხ(ე)და „არცერთი“ = **დე** + **ხედა** /არა + რომელი

დეშმა /დოშმა „ვერაფერი“ = **დეშ/ დოშ** + **მა** / ვერ + რა

ნრსამა „ნურარა“ = **ნრსა** + **მა**(ა) / ნუ + რა

ნომაგუშ „ნურაფერი“ = **ნო+მა+გუშ** /ნუ + რა + საქმე და სხვ.

მაგალითები:

(1) მი მაშედ მარე **დარ** *მეყად „მე მშველელი (კაცი)* **არავინ** *მყავდა“ (სვ. პროზ. ტექსტ. I, 1939, 23).*

ცეკემად **დეშდარდ** *ანბუცეხ „მშვილდი* **ვერავინ** *მოზიდა („მოზიდეს“)“ (სვ. პროზ. ტექსტ. I, 1939, 254).*

(2) ალ ჯუეგ იმთე დო აჩად, **დეშმა** *ანმეკრე მგლდელდ „ეს ჯოგი საით წავიდა,* **ვერაფერი** *გაიგო მწყემსმა“ (სვ. პროზ. ტექსტ. I, 1939, 170).*

(3) გუდრ'ესერ ხრგ ითქშუ გუეში, ეჯას **ნრსამუ** *ათყარ „გუდურა მიდგას მარცვლით სავსე, იმას ნურაფერი („ნურარა“) დაემართებაო“ (სვ. პროზ. ტექსტ. I, 1939, 432).*

(4) ჟი **დეხედა** *ჭიქს ლგმაგოშილლი „თურმე* **არცერთ** *ჭიქას (არ) ავსებდა“ (სვ. პროზ. ტექსტ. III, 1967, 116).*

(5) მიჩა ძეხჳს **დეშმა** *ახმეკრაკჳნე, დე იშგენს ჳს „თავის ცოლს* **ვერაფერი** *გააგებინა, ვერც სხვა ვინმეს“(სვ. პროზ. ტექსტ. IV, 1979, 123).*

II. **უარყოფითი ნაწილაკი+არსებითი სახელი გუშე** „საქმე“ :

მაგუშე/ მამაგუშე/ მადმაგუშე = მამ(ა) / მადმა + გუშე „არა + საქმე“, შდრ.: ქართ. არა + ფერი

მაგალითები:

(6) ალ ლახჳბად ქა ლახჳმხ მინე ჩაჟარ ი სერ ჩუ **მამგუშე** *ესსაძხ „ამ ძმებმა მისცეს თავიანთი ცხენები და* **აღარაფერი** *დარჩათ“ (სვ. პროზ. ტექსტ. I, 1939, 215).*

(7) ლაჲიდ ჩუ ნომოღუ ადგაჲრ ი ლერშუნიდ ესერ დემ ხორშუნი **დემგუაშუ** *„მთლად ნუ მომკლავო და ხსენებითაც არ გიხსენებო* **არაფერს**“ *(სვ. პროზ. ტექსტ. II, 1957, 316).*

(8) ბეფშუს ესერ ლაჲდი **მადმაგუშე** *ხოშკენა „ბავშვს დღეს* **არაფერი** *უჭამიაო“ (ექსპ. მასალები).*

(9) ბაპ ი მიჩა დრკუნე მაჲდშუ იდგარრლხ, მარე ეშრ **დეშმაგუშე** *ხაჭქუხ ბაპაჲ ხეხუს „მღვდელი და მისი დიაკვანი შიმშილით კვდებოდნენ, მაგრამ მაინც* **ვერაფერი** *უთხრეს მღვდლის ცოლს“ (სვ. პროზ. ტექსტ. I, 1939, 356).*

III. **უარყოფითი ნაცვალსახელი + შესაძლებლობის ნაწილაკი** ***მოშ***:

დაჲრმოშ / ვერავინ, შდრ.: **დეშაჲრ** (მოდელი I).

როგორც აღვნიშნეთ, სვანურში უარყოფით ნაცვალსახელთა (resp. ზმნიზედათა), სიმრავლე, დანარჩენ ქართველურ ენებთან შედარებით, უარყოფითი ნაწილაკების სიჭრელით არის გამოწვეული, რომლებიც ხშირად მხოლოდ მცირე ნიუანსობრივ სხვაობას ავლენენ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, კონტექსტში მათი ურთიერთჩანაცვლება ხშირად უმართებულოა; შესაბამი-

სად, მათი შემცველი ნაცვალსახელებიც სემანტიკურად მსგავს ვითარებას აჩვენებენ. მაგალითად, **მ̃ამ(ა) / მამა** ნაწილაკის შემცველი უარყოფითი ნაცვალსახელები, **მადმა** ნაწილაკიანებთან შედარებით, ნაკლებკატეგორიულია და უფრო ნეიტრალური ნეგაციის დროს გამოიყენება, ხოლო **მადმა**'ს შემცველი ნაცვალსახელები უფრო კატეგორიულ (კონკრეტული ფაქტის საწინააღმდეგო) უარყოფას გამოხატავენ. ჩვენი აზრით, ამ სემანტიკური განსხვავების საფუძველი თავად ნაწილაკების სტრუქტურაშია: *კატეგორიულობას სწორედ ის ერთეულები გახაზავენ, რომელთა შემადგენლობაში უარყოფითობის ორი სხვადასხვა ელემენტი (მ, დ) ერთდროულად მონაწილეობს* (**მამაგუ̃შ** „არაფერი", შდრ.: **მადმაგუ̃შ** „არც არაფერი", „საერთოდ არაფერი"). **მ̃ამ მაკუ** „არ მინდა", **მ̃ად მაკუ** – „კატეგორიულად არ მინდა". ხშირად მსგავს ფორმათა ზედმიწევნითი სიზუსტით გადმოცემა ქართულად თითქმის შეუძლებელია.

- *უარყოფითი ზმნიზედები*

სვანურში უარყოფითი ზმნიზედების სტრუქტურული მოდელიც, უარყოფითი ნაცვალსახელების მსგავსად, ძირითადად, ქართულისებურია (ამ შემთხვევაშიც გამონაკლისად შეიძლება ჩაითვალოს *მოშ* ნაწილაკიანი სტრუქტურა, რომელიც მხოლოდ პარალელური საშუალებაა შესაძლებლობის უარყოფის გამოხატვისთვის: ნეიტრალური უარყოფითი ზმნიზედა + შესაძლებლობის ნაწილაკი „მოშ").

IV. **უარყოფითი ნაწილაკი + კითხვითი ზმნიზედა:**
დე̃მე „არსად" = **დე** + **იმე** / არ+სად
დემეგ-იმეგ „არსად" = **დემეგ** + **იმეგ** / არა +სად
დეშომა „არასოდეს" = **დე** + **შომა** / არა + როდის

ნოიმეგ „ნურსად“ = **ნომ** + **იმეგ** / ნუ + სად
მაგალითები:
*(10) მაჰურენე მუხუბემი ცხუი **დემე** თერა „უმცროსი ძმის ისარი **არსად** ჩანს“ (სვ. ენის ქრესტ. 1978,158).*
*(11) აშხვ სოფელს ნენჩა ღალ ისგაბი **დემეგიმეგ** ხარ „ერთ სოფელს ტყე ახლოს **არსად** აქვს“ (სვ. პროზ. ტექსტ. II, 1957, 250).*
*(12) დაუ **დეშომა** ღერდა ეჩხენჩუ, დემეგ ხოშიდდა „დევი **არასოდეს** მიდოდა იქით („იქით მხარეს“), არ ჰქონდა ნება (დართული)“ (სვ. ენის ქრესტ. 1978, 225).*

V. უარყოფითი ნაწილაკი + თანდებულიანი კითხვითი ზმნიზედა:
დემთე/დემთე „არსაით“ = **დე/ე** + **იმთე/არ** + საითკენ (< რას + კენ);
დეშიმთე „ვერსაით“ = **დეშ** + **იმთე/ვერ** + საითკენ (< რას + კენ);
ნომიმთე „ნურსაით“/„ნურსად“ = **ნომ(ა)** + **იმთე/ნუ(რა)** + საითკენ (< რას + კენ) და სხვ.
მაგალითები:
*(13) ღვაშარს ლაზ **დემთე** ხარახ „ჯიხვებს წასასვლელი **არსაით** ჰქონიათ“ (სვ. ენის ქრესტ. 1978, 84).*
*(14) ეჯ ლეთ თანაღუი ოსადდ, ნაი გარ ქა **დეშიმთე** ხვაიასგდად (ლედგარს) „იმ ღამეს უღელტეხილზე დავრჩით, ჩვენ მარტო **ვერსად** წავიღებდით (მკვდარს)“ (სვ. პროზ. ტექსტ. I, 1939, 37).*
*(15) ჯუედიათ'ესერ **ნომთეუ** ღერი, ადო დაუდ ესერ დრს'ადერმას „შორს **ნურსად** წახვალ, თორემ დევმა არ დაგიჭიროსო“ (სვ. პროზ. ტექსტ. I, 1939, 379).*

VI. **უარყოფითი ნაწილაკი + არსებითი სახელი *ჩიქ*** [1] „დრო, ჟამი“:

დემჩიქს / დემჩიქქა „არასდროს“ = **დემე** + **ჩიქ-ს / ჩიქ-ქა** / არა + დრო-ს / დროზე:

*(16) ჯჳნინალდ მეთხჳმჳრ ჰჳრიდ **დემჩიქქა** ტეხენდა „ძველად მონადირე ცარიელი („ცარიელად“) არასდროს ბრუნდებოდა“ (სვ. ენის ქრესტ. 1978, 83).*

VII. **უარყოფითი ზმნიზედა + შესაძლებლობის ნაწილაკი *მოშ***:

დემთე-მოშ „ვერსაით“ = **დემ** + **თე** + **მოშ** / არ + კენ + მოშ (შესაძლებლობის ნაწილაკი):

*(17) ჯგგრაგს ესნარ შუკუ ჩუთქარუნ ი ქა **დემთემოშ** ხეხრილი „წმინდა გიორგის თურმე გზა აებნა („დაეკარგა“) და **ვერსაით** აგნებს“ (სვ. ენის ქრესტ. 1978, 132).*

მაშასადამე, უარყოფის გადმოცემის გრამატიკული მოდელები ქართულ ენასა და არასალიტერატურო ქართველურ ენებში ერთმანეთის მსგავსია შედგენილობის მიხედვით; კერძოდ, მათში მონაწილეობენ კითხვითი სიტყვები და ნაწილაკები. უარყოფითი ნაწილაკის პოზიცია განსაზღვრულია და ისევე, როგორც ქართულში, სვანურშიც წინ უსწრებს კითხვით სიტყვას. ამასთან, როგორც ნაცვალსახელებში, ასევე ზმნიზედებში შესაძლებლობის უარყოფისთვის დამატებით დასტურდება განსხვავებული მოდელი: **უარყოფითი ნაცვალსახელი / ზმნიზედა + შესაძლებლობის ნაწილაკი *მოშ***.

[1] *ჩიქ* ლექსემა ენაში დამოუკიდებლად არ გვხვდება, გვაქვს *ჩიქე* (ბზ.), *ჩიქი* (ბქ.) „ჯერ“ ზმნიზედის მნიშვნელობით, ასევე ფუძეგაორკეცებული კომპოზიტი *ჩიქე-ჩიქე, ჩიქი-ჩიქი* = „ჯერჯერობით“; რთულფუძიან ზმნიზედებში კი ის ან ბრუნვის ნიშნითაა გაფორმებული, ან თანდებულით.

უარყოფითი ნაცვალსახელების მსგავსად, ნაწილაკები დამოუკიდებლადაც გვევლინებიან ზმნიზედის როლში.

ამრიგად, უარყოფით ნაცვალსახელთა და ზმნიზედათა სტრუქტურა სვანურში ძირითადად ქართულისებურია, ხოლო მათი სემანტიკური თუ ნიუანსური მრავალფეროვნება განპირობებულია ქართული არ/არა-ს მეტ-ნაკლებად ფარდი ნაწილაკების განსაკუთრებული სიმრავლით ამ ენაში.

1.4. უარყოფითი ნაცვალსახელების სტრუქტურა ტიპოლოგიური თვალსაზრისით

არავინ, ვერავინ, ნურავინ უარყოფით ნაცვალსახელებთან დაკავშირებით საყურადღებოა, რომ ცენტრალური კავკასიის ზოგ ენაში: ძველ ქართულში, სვანურსა და ოსურში დ. ერშლერი ადასტურებს უარყოფითი ნაცვალსახელების სისტემათა მსგავსებას. ავტორის აზრით, ეს ნაცვალსახელები ჩამოყალიბებულია შემდეგი მოდელის მიხედვით: „ზმნურ უარყოფას + კითხვითი სიტყვა“ და ამავე ენებში შეინიშნება ე. წ. უარყოფითი განაწილების ეფექტი. უარყოფითი განაწილების ეფექტად დ. ერშლერი განსაზღვრავს ისეთ შემთხვევას, როდესაც კლაუზაში (ქვემდებარისა და შემასმენლისაგან შემდგარ სინტაქსურ ერთეულში) გვხვდება რამდენიმე უარყოფითი ნაცვალსახელი და არ დასტურდება ზმნური უარყოფა, ამის მაგალითად ოსურთან ერთად სვანურის, ბალსზემოურის, ასეთ ნიმუშსაც ასახელებს:

„**no-s** (***nom**) xačigrawi **nom**-čiks

NEG-кто (NEG) обижай NEG -когда.либо

‘Никогда никого не обижай!’“

წარმოდგენილი სვანური მაგალითის ქართული ვარიანტი ასეთი იქნება:

„ნურავის (*ნუ) ჩაგრავ ნურასდროს“.

უარყოფით ნაცვალსახელთა მორფოლოგიის ამ „მცირე ენობრივ კავშირს“ ემატება თანამედროვე ქართულისა და ბაცბურის მონაცემები. ავტორის დაკვირვებით, სხვა კავკასიურ ენებსა და ირანულ ენებში უარყოფითი ნაცვალსახელები ან არ დასტურდება, ან სხვაგვარი სტრუქტურისაა.

ავტორი გამოთქვამს ვარაუდს, რომ ოსური და ქართველური ენები შეიძლება მიეკუთვნებოდეს გარკვეულ დიდ არეალს, რომელშიც გავრცელებულია უარყოფით ნაცვალსახელთა ასეთი სტრუქტურა; ზემოაღნიშნული მოდელის მსგავსი უარყოფითი ნაცვალსახელები გვხვდება აღმოსავლეთ ევროპაში ყველგან, სლავურ და ბალტიურ ენებში, აგრეთვე ალბანურში, უნგრულსა და ჩრდილორუსულ ბოშურში. ცალკეული უარყოფითი ნაცვალსახელი ასევეა ნაწარმოები რუმინულში, თუმცა აღმოსავლეთ ევროპის არცერთ ენაში არ გვხვდება ე. წ. უარყოფითი განაწილების ეფექტი.

ამრიგად, ავტორის ვარაუდით, უარყოფითი განაწილების ეფექტით ოსური, ძველი ქართული და სვანური განსხვავდებიან სხვა აღმოსავლეთ ევროპის ენებისაგან, რომლებშიც დადასტურებულია უარყოფით ნაცვალსახელთა მსგავსი სტრუქტურა.

ავტორი წერს, რომ აღნიშნული ტიპის წარმოება არ გვხვდება დასავლეთ ევროპის ენებში. მისი აზრით, მსგავსი წარმოება შესაძლებელია იყოს ჩრდილო და ცენტრალური ამერიკისა და ჩრდილო ავსტრალიის ენებში, თუმცა ძნელია იმის თქმა, მათში დადასტურებული ფორმები ერთიანი სიტყვებია თუ არა.

ავტორი აღნიშნავს, რომ ცენტრალური კავკასიის ზემოაღნიშნული უარყოფითი ნაცვალსახელები ტიპოლოგიურად იშვიათ ნიმუშებს წარმოადგენენ (Эршлер 2010:84-105).

2. ორმაგი უარყოფის საკითხი ქართველურ ენებში

უარყოფა, როგორც უნივერსალური კატეგორია, საინტერესოა ტიპოლოგიური თვალსაზრისით, რადგან უარყოფის გამოხატვის გრამატიკული მოდელები და აღნიშნული კატეგორიის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებული სტილურ-პრაგმატიკული პროცესები შესაძლოა ერთმანეთის მსგავსი იყოს ბევრ ენაში, მათ შორის არამონათესავე ენებშიც. ამ თვალსაზრისით რომ შევაფასოთ ლინგვისტურ ატლასზე ასახული მონაცემები, შევნიშნავთ, რომ **ორმაგი უარყოფა** ფართოდ გავრცელებული ენობრივი მოვლენაა (დეტალურად იხ. Dryer 2011:https://wals.-info/chapter/143).

აღსანიშნავია, რომ უარყოფის გამოხატვის რაოდენობრივი მახასიათებელი ყოველთვის პირდაპირპროპორციულად არ აისახება გამოხატვის სემანტიკურ სიძლიერეზე; კონკრეტულ კონტექსტში ამ მოცემულობას განსაზღვრავს კონსტრუქციის აგების სტრატეგია და, შესაბამისად, მარკერისა და სახელური, ზმნური ლექსემების კონფიგურაცია. აქედან გამომდინარე, არაერთი თეორიული ნაშრომი არსებობს *ორმაგი (სამმაგი/ მრავალჯერადი) უარყოფის* ფორმალურ-ფუნქციურ თანხვედრასა თუ სხვაობაზე. მათ შორის გამოირჩევა ტ. ვუდენის კვლევა (Wouden 1994), რომელშიც *ორმაგი და მრავალჯერადი უარყოფის* ოთხი სემანტიკური ნაირსახეობაა გამოყოფილი და განხილული; აქედან, ქართველური ენების ემპირიულ მონაცემებს შეიძლება მივუსადაგოთ ორი:

• *ორი უარყოფა აბათილებს ერთმანეთს, როგორც ლოგიკაში, და შედეგად აღარ გვაქვს უარყოფა.*

• *ორი უარყოფა აძლიერებს ერთმანეთს, შედეგი უფრო უარყოფითია, ვიდრე იმავე კონსტრუქციაში მხოლოდ ერთი უარყოფის შემთხვევაში გვაქვს (Wouden 1994:93).*

(ტ. ვუდენის ნაშრომის მიხედვით ოთხი სემანტიკური ნაირსახეობის შესახებ იხ. შესავალი: §2).

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ტ. ვუდენის მიერ გამოყოფილი *ორმაგი ან მრავალჯერადი უარყოფის* ოთხი სემანტიკური სახე შეიძლება დავიდეს ორზე. სახეობები გაერთიანდებიან იმის მიხედვით, რამდენად წარმოადგენენ ისინი ერთი და იმავე სემანტიკური მექანიზმის შედეგს; ამგვარი ინტერპრეტაციითაც, ზემოდასახელებული ორი ნაირსახეობა ძირითადია და დანარჩენების შემოერთება შეუძლია (საკითხის მიმოხილვა იხ. ადვაძე 2015:71-72).

2.1. ორმაგი უარყოფა ქართულ სალიტერატურო ენაში

ქართულ ენაში ვ. თოფურიას მიერ **ორმაგი უარყოფის** სახელით კვალიფიცირებული და ტრადიციულად ამ დასახელებით დამკვიდრებული ენობრივი მოვლენა გულისხმობს წინადადებაში ერთდროულად უარყოფის გამოხატვის ორი საშუალების არსებობას, რომლებიც აძლიერებენ ერთმანეთს; *ორმაგი უარყოფა* ამ თვალსაზრისით ყველაზე ზუსტად გამოხატავს სახელწოდების არსს, რადგან *ორმაგი* – ორჯერ აღებული, ორკეცი, ორპირი, ორფა (ქეგლ-ი) მიემართება როგორც მარკერთა რაოდენობას, ასევე მნიშვნელობის გამოხატვას. აქედან გამომდინარე, ვ. თოფურიას მიერ სახელდებული ტერმინი, *ორმაგი უარყოფა*, ყოველთვის გულისხმობს უარყოფის მარკერის რაოდე-

ნობის გაორმაგებას და სემანტიკის გაძლიერებას; შესაბამისად, იგი ფაქტის კონსტატაციით, დამოუკიდებლადაა შექმნილი და არ არის საერთაშორისო *"Double Negation"-ის* თარგმანი. ქართული *ორმაგი უარყოფა* და უცხოური *"Double Negation"* ფორმალურად თანხვდებიან ერთმანეთს, რადგან ორივე გულისხმობს ორი მარკერის არსებობას; რაც შეეხება შინაარსს, საერთაშორისო *"Double Negation"* ფართო მნიშვნელობისაა, რომლის მიხედვით ზემოაღწერილი ქართული *ორმაგი უარყოფა* სინამდვილეში მის ერთ-ერთ სახეობად განიხილება.

ვ. თოფურიას მიერ ერთი წინადადების ფარგლებში განხილული ***ორმაგი უარყოფის*** ორი საშუალებიდან ერთი ***უარყოფითი ნაცვალსახელია*** *(ან* ***უარყოფითი ზმნიზედა****)*, მეორე კი, ზმნის წინ მდგარი ***უარყოფითი ნაწილაკი****;* მაგალითად,

(1) **არა**-ვინ **არ** მოდის (ორმაგი უარყოფა),

შდრ. თავდაპირველ ვერსიას:

(2) **არა**-ვინ მოდის (ერთმაგი უარყოფა).

ეს ორი ერთნაირი შინაარსის წინადადება მხოლოდ სტილურად განსხვავდება ერთმანეთისაგან: პირველში უარყოფა ხაზგასმული და აქცენტირებულია, ხოლო მეორეში – არა. როგორც ვ. თოფურია[1] აღნიშნავს, (1) მაგალითის მიხედვით აღწერილი მოდელი არ დასტურდება ძველი ქართული ენის ორიგინალურ თუ ნათარგმნ თხზულებებში X-XI საუკუნეებამდე; ერთადერთი გამონაკლისია **ადიშის ოთხთავი** (897 წელი), რომელშიც ორმაგი უარყოფის მხოლოდ ერთი მაგალითი გვხვდება:

(3) „...და ***არავინ*** *არღა იკადრა კითხვად მისა"... მარკ. 12, 34*

[1] ვ. თოფურიამ *ორმაგი* და *ერთმაგი* უარყოფა განიხილა და სათანადო მაგალითები დაიმოწმა ერთი უარყოფითი ნაცვალსახელის მიხედვით, თუმცა სინქრონიულ დონეზე ეს თანაბრად ეხება სხვა უარყოფით ნაცვალსახელებსა და უარყოფით ზმნიზედებს.

შდრ.: იმავე ადგილის წაკითხვა ჯრუჭის, პარხლის, ტბეთის სახარებებში (სამივე X ს-ისა):

*(4) „...ა**რლარავინ** იკადრა კითხვად მისა“...*

XI საუკუნიდან ენა სხვაგვარ ტენდენციას ამჟღავნებს უარყოფის გამოხატვის სემანტიკური სიძლიერის თვალსაზრისით, რის შემდეგაც „ორმაგი უარყოფა“ ფართოდ იკიდებს ფეხს გარდამავალი პერიოდის ქართულში, ვრცელდება ახალ ქართულსა და ქართული ენის დიალექტებში[1]. მიუხედავად იმისა, რომ ორმაგი უარყოფა „სამწერლო ენამ... გვიან შეითვისა“ (თოფურია 1923-1924)[2002] და „სტილური ფუნქციით“ დატვირთა (არაბული 2004), განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ იგი მომდინარეობს „ცნობიერი სფეროდან“ (ვ. თოფურია); შესაბამისად, ამგვარი „დაკვეთა“ ენობრივი მექანიზმით „ჩავარდნილი“ შედეგის გასწორება-გაუმჯობესების აუცილებლობით არის ნაკარნახევი. კერძოდ, ეს „ხარვეზებია“:

I. **მორფოლოგიური თვალსაზრისით,** უარყოფითი ნაცვალსახელების / ზმნიზედების სტრუქტურა, რომელთა „პირველ შემადგენელ ნაწილს [თითქოს] უარყოფითობის ძალა დაეკარგა“ (თოფურია 1923-1924[2002:314])“.

(5) **არა**-ვინ მოდის.

Prclt:Neg-QPrn V

უარყოფითი ნაცვალსახელის შემადგენლობაში მოცემული უარყოფითი ნაწილაკი **პროკლიტიკაა**; იგი მხოლოდ კითხვითი სიტყვით გადმოცემულ სახელს ეკუთვნის და მას უარყოფს, ისიც „სუსტად“; რის გამოც მისი „უარყოფითობის ძალა“ ვერ გავრცელდება მთლიანად წინადადებაზე; ამიტომ

[1] ვ. თოფურიას თვალსაზრისს ორმაგი უარყოფის ფორმების დიალექტებიდან მომდინარეობის შესახებ, ვფიქრობთ, დამატებითი კვლევა სჭირდება.

II. სინტაქსური თვალსაზრისით, „მთქმელი ცდილობს მსმენელის ცნობიერებაში ნათლად დააფიქსიროს უარყოფითი მიმართება ქვემდებარესა და შემასმენელს შორის“ და „ენა იძულებული გახდა მეორე უარყოფის ნაწილაკის ხმარებისთვის მიემართა“ (თოფურია 1923-1924[2002:314])“.

შდრ.:

(6) **არა**-ვინ **არ** მოდის.

Prclt:Neg-QPrn Neg V

მაშასადამე, წინადადებაში მოცემული **ცალმაგი** [1](თან „სუსტი“) **უარყოფა გააძლიერა პრევერბალურ პოზიციაში გაჩენილმა უარყოფითმა ნაწილაკმა.**

სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმული თვალსაზრისის თანახმად, **წინადადების მნიშვნელობას განსაზღვრავს უარყოფითი ელემენტის ადგილი ზმნის წინ; სუბიექტს / ობიექტს და მის პრედიკატს შორის უკუთქმითი სემანტიკის გამოსახატავად უარყოფითი ელემენტი ჩვეულებრივ უკავშირდება ზმნას** (დაწვრილებით იხ. Jespersen 1917:42-55).

უცხოელ ავტორთა (Dahl 1979; Dryer 1988) კვლევების მიხედვით, **უარყოფის გასაძლიერებლად** NegV პოზიცია დამახასიათებელია SVO და SOV წყობის ენათათვის; ამ ენებში **SNegVO** და **SONegV** რიგები ერთ-ერთი „ყველაზე ხშირი გავრცელებისაა“ (იხ.Type 1. Map 143A:Order of Negative Morpheme and Verb:https://wals.info/chapter/143№143A)[2].

ქართველურ ენებში, განვითარებული მორფოლოგიური სტრუქტურის გამო, სიტყვათა რიგი თავისუფალია, თუმცა სინტაქსური ფუნქციების სტატისტიკური ანალიზი აჩვენებს, რომ **კანონიკური სიტყვათა რიგი განისაზღვრება** SVO ან SOV მიმ-

[1]ტერმინები: *ცალმაგი* და *ერთმაგი* სინონიმური მნიშვნელობისაა.

[2] ამ საკითხზე უფრო ვრცლად უცხოელი ავტორების თვალსაზრისები იხ. შესავალი: §2.

დევრობით (ივანიშვილი 2009:74). წინადადებაში სიტყვათა განსაზღვრული თანმიმდევრობაც ხელს უწყობს ქართველურ ენებში NegV პოზიციის დამკვიდრებას.

2.2. ორმაგი უარყოფა და სხვა ქართველური ენები

ქართულისებური *ორმაგი უარყოფა* არ არის დამახასიათებელი სხვა ქართველური ენებისათვის: არ დასტურდება მეგრულში, ლაზურსა და სვანურში[1], თუმცა, თეორიულად თუ ვიმსჯელებთ, შინაგანი ენობრივი კანონზომიერება – ინფორმაციის გადაცემისას მოვლენათა ხაზგასმა, სათქმელის ნათლად გამოკვეთა მნიშვნელოვანია ზეპირმეტყველების ქარგაზე აგებული არასალიტერატურო ენებისთვისაც. ამას ემატება ემპირიული მასალის მონაცემებიც, რომელთა მიხედვით **მეგრულსა** და **სვანურში** უარყოფითი ნაცვალსახელები ფორმალურ-შინაარსობრივი მახასიათებლებით ემსგავსება ქართულისას[2]; კერძოდ: **მეგრულში** კითხვითი სიტყვით გადმოცემულ სახელს მოსდევს უარყოფითი ნაწილაკი და იგი **ენკლიტიკაა**; **სვანურში** კითხვითი სიტყვით გადმოცემულ სახელს უძღვის უარყოფითი ნაწილაკი და იგი **პროკლიტიკაა**. არა აქვს მნიშვნელობა, სად დგას კლიტიკად ქცეული უარყოფის მორფემა – თავში თუ ბოლოში, იგი მხოლოდ იმ სახელს ეკუთვნის, რომელსაც დაერთვის და მხოლოდ მისი უარყოფა შეუძლია, ისიც „სუსტად“; შდრ.: მსგავსი ვითარება ქართულში ცალმაგი უარყოფის დროს (იხ. თ. II: §1.1); ამავდროულად, ორივე ენაში (მეგრულსა და სვანურში) უარყოფით ნაც-

[1]ამის შესახებ აღნიშნული აქვს ვ. თოფურიას: „ორმაგი უარყოფა ქართული ბუნებისაა“ (თოფურია 1923-1924 [2002:322]).

[2]*ლაზურში* სინქრონიულ დონეზე უარყოფითი ნაცვალსახელები არ დასტურდება.

ვალსახელებთან ზმნა დადებითი ფორმითაა მოცემული და ეს წესი უგამონაკლისოა.

სუსტი ნეგაციის უარყოფითი ნაცვალსახელი სინტაქსურად S-ია (ან პირმიმართი O); კლიტიკად ქცეულ უარყოფით ნაწილაკს სახელის (ნაცვალსახელის) უარსაყოფად ნაკლებგამომსახველობითი ძალა აქვს (შდრ.: ქართულის ვითარება, თ. II: §1.1), ამიტომ, ქართულის მსგავსად, **მეგრულსა და სვანურშიც** არსებობდა საჭიროება, ქვემდებარე-შემასმენელს შორის არსებული უარყოფითი სემანტიკა ყოფილიყო ნათლად გამოხატული[1]; მიუხედავად ამისა, სხვა ქართველურ ენებში არ გაჩენილა *ორმაგი უარყოფა*, თუმცა ქართულისებური *ორმაგი უარყოფის* ეფექტი მიღწეულ იქნა სხვადასხვა ენობრივი საშუალებით.

2.3. უარყოფის გამოხატვის ძირითადი და ალტერნატიული საშუალებები ქართველურ ენებში და ორმაგი უარყოფის საკითხი

უარყოფა გრამატიკულ-სემანტიკური კატეგორიაა; ამის გამო ბუნებრივია მისწრაფება სემანტიკური მრავალფეროვნებისკენ, რაც წინადადებაში ხშირად გრამატიკულ-ლექსიკურ მონაცემთა ურთიერთმიმართების შეცვლითა და გადალაგებით მიიღება; შესაბამისად, **ქართველურ ენებშიც უარყოფის სემანტიკის აქტუალიზებისათვის გაჩნდა ორი შესაძლებლობა:**

I. ერთმაგი უარყოფის გამომხატველი ძირითადი ფორმის შეცვლა უფრო ძლიერი ალტერნატიული ფორმით.

[1] მსგავსი პრობლემა იდგა ლაზურშიც, რამაც გამოიწვია უარყოფითი ნაცვალსახელის ჩანაცვლება; ლაზური მაგალითების სქემა იხ. მომდევნო პარაგრაფში: §2.3.

ან

II. ერთმაგი უარყოფის გაძლიერება.

ქართულმა სალიტერატურო ენამ მეორე გზა აირჩია; ასე ჩამოყალიბდა ქართულში **ორმაგი უარყოფა** *(არავინ არ მიდის)* **ერთმაგი უარყოფის** *(არავინ მიდის)* პარალელურად; მათი **„ურთიერთმონაცვლეობა თავისუფალია და სტილისტიკის სფეროდ არის მიჩნეული“** (არაბული 2004:178) მაშინ, როცა **„უარყოფით ნაცვალსახელსა თუ უარყოფით ზმნიზედას უშუალოდ მოსდევს უარყოფითი ნაწილაკი“** (გეგუჩაძე 2007:37). სტილურ-პრაგმატიკული ფუნქციის *ორმაგ უარყოფას* საერთაშორისო სტანდარტის მიხედვით შეიძლება ეწოდოს *„არჩევითი ორმაგი უარყოფა“ (Optional Double Negation)* [1].

თანამედროვე ქართულში *ერთმაგი* და *ორმაგი უარყოფის* გამოყენების სიხშირე და თავისებურებები გადამოწმდა ქართული ენის ეროვნულ კორპუსში (GEKKO) (კორპუსული კვლევა განხორციელდა ქართული ენის ინსტიტუტის ბაზაზე შესრულებული შიდაგრანტის ფარგლებში: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2015 წელი)[2]: „სულ მოძიებულ იქნა უარყოფის გამომხატველი **121 859** კონტექსტი, მათგან ორმაგი უარყოფის შემცველი **11 233** (დაახლ. **9,21%**). ეს მონაცემები ადასტურებს მეცნიერთა დაკვირვებას, რომ *ერთმაგი* და *ორმაგი* უარყოფა თანამედროვე ქართულში თანაარსებობს, თუმცა *ერთმაგი* მაინც სჭარბობს *ორმაგს*... კორპუსის მონაცემებით დასტურდება ისიც, რომელ ნაცვალსახელთან ან ზმნიზედასთან გვხვდება უფრო ხშირად ერთმაგი უარყოფა (მაგ., „არაფერი“: 36 495 კონტექსტიდან მხოლოდ 3 840-ია ორმაგი) და რომელთან ენიჭება უპირატესობა ორმაგ უარყოფას (მაგ., „არანაირად“:

[1] იხ. Map 143C: Optional Double Negation: https://wals.info/chapter/143№143C

[2] კორპუსული მონაცემები გადამოწმდა მიმდინარე გრანტის (FR17-388) ფარგლებშიც; ტენდენციები უცვლელია.

1 461 მაგალითიდან ორმაგია 1 228)“ (ქურდაძე და სხვები 2016ა:90-91).

ეროვნული კორპუსის მიხედვით უარყოფით ნაცვალსახელთა და უარყოფით ზმნიზედათა გამოყენების სტატისტიკური მონაცემები (ცალკე და ნაწილაკებთან ერთად) სრულად იხ. დანართი №8-ში და დანართი №9-ში.

რამდენადაც საქმე დოკუმენტირებულ ენას ეხება, უარყოფის *ორმაგი* და *ერთმაგი* ფორმების სტილური მონაცვლეობა შეუზღუდავად ვერ შენარჩუნდა; *„არჩევითი ორმაგი უარყოფა“* გადაიქცა *„სავალდებულო ორმაგ უარყოფად“ (“Obligatory Double Negation”)*[1] მაშინ, როცა:

ა. უარყოფითი ნაცვალსახელი (ან ზმნიზედა) გათიშულია ზმნისგან.

ბ. ნაცვალსახელი პრეპოზიციული მსაზღვრელია.

გ. უარყოფითი სიტყვები (ნაცვალსახელი ან ნაწილაკი) -ცა ნაწილაკიანია.

სავალდებულო ორმაგი უარყოფის შესახებ უფრო ვრცლად იხ. არაბული 2004:178; გეგუჩაძე 2007:39; ზექალაშვილი 2004: 124-125; ჟურნალისტიკის... 2002; აგრეთვე მონოგრაფიის შესავალი: §1. შესაბამისი მაგალითები ქართველ მწერალთა შემოქმედებიდან იხ. დანართი №10-ში.

არჩევითი და სავალდებულო ორმაგი უარყოფის შემცველი წინადადებების გვერდიგვერდ არსებობამ, როგორც ჩანს, ხელი შეუწყო ერთმაგი უარყოფის მცდარ ფორმათა გავრცელებას[2], განსაკუთრებით მასმედიის ენაში *(მცდარ ფორმათა მაგალითები იხ. დანართი №11-ში).*

[1] იხ. Map 143B: Obligatory Double Negation: https://wals.info/chapter/143№143C

[2] ამ ტიპის მცდარ ფორმათა გავრცელების სხვა მიზეზებზე იხ. გეგუჩაძე 2007: 36-37.

ამრიგად, **ქართულში** *„არჩევითი ორმაგი უარყოფა“* მომდინარეობს „ცნობიერი სფეროდან“ (ვ. თოფურია) და განსაზღვრულია **სტილით**; სტილის საჭიროება შექმნა **მორფოლოგიური სეგმენტების განლაგებამ** (Neg-ის პროკლიტიკამ სახელის წინ) უარყოფით ნაცვალსახელში; ცალკეულ შემთხვევებში, *„არჩევითი ორმაგი უარყოფის“* (**სტილის**) გარდაქმნა *„სავალდებულო ორმაგ უარყოფად“* (**გრამატიკულ ნორმად**) შეაპირობა ენობრივმა მექანიზმმა, კერძოდ, **წინადადების სინტაქსურმა ორგანიზებამ** (ეს მოვლენა, როგორც ტრადიციული „ორმაგი უარყოფის“ დამკვიდრების ხელშემწყობი ფაქტორი, შენიშნული და აღწერილი აქვს ლ. გეგუჩაძეს (იხ. გეგუჩაძე 2007: 32-40).

მეგრულმა უარყოფის სემანტიკის აქტუალიზებისთვის ზემოაღნიშნული ორი შესაძლებლობიდან გამოიყენა **პირველი** და ერთმაგი უარყოფის გამომხატველი ძირითადი ფორმა – უარყოფითი ნაცვალსახელი (იგივე ითქმის უარყოფით ზმნიზედაზეც) **შეცვალა** უფრო ძლიერი ალტერნატიული ვარიანტით: **განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელისა და უარყოფითი ნაწილაკის კომბინაციით**. ამ მონაცვლეობის კანონოზომიერებებსა და ხელშემწყობ ფაქტორებზე, ალტერნატიული ფორმის უპირატეს სტატისტიკურ მონაცემებზე დაწვრილებით იხ. თ. II: §1.2. დაზუსტებისთვის შეიძლება ითქვას, რომ **მეგრულში** ალტერნატიული ფორმით უარყოფის აქტუალიზება **განსაზღვრულია** ენობრივი მონაცემებით: **მორფოლოგიური სეგმენტების ურთიერთგანლაგებით** (განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელისა და Neg-ის პოსტპოზიციური ურთიერთმიმართება) და **წინადადების სინტაქსური ორგანიზებით**.

მეგრულში უარყოფის გამომხატველი ძირითადი და ალტერნატიული ფორმების სქემა:

მორფოლოგიური სეგმენტების პოზიციური ურთიერთმიმართება

უარყოფითი ნაცვალსახელი (ძირითადი საშუალება, სუსტი უარყოფა)

(1) მით-ა

QPrn-Enclte : Neg

„არავინ“, შდრ.: მსგავსება ქართულთან: არა-ვინ: **Prclte Neg** - QPrn

განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი და უარყოფითი ნაწილაკი (ალტერნატიული საშუალება, აქტუალიზებული უარყოფა)

(2) მითინი **ვარ**

IndfPrn Neg

„ვინმე არა“ = „არავინ“, შდრ.: განსხვავება ქართულთან.

წინადადების სინტაქსური ორგანიზება

S-ისა და O-ის ურთიერთმიმართება (სუსტი უარყოფა)

(3) მით-ა მურს

QPrn-Enclte : Neg V

„არავინ მოდის“ , შდრ.: მსგავსება ქართულის ერთმაგ უარყოფასთან: **Prclte : Neg**-QPrn V

S-ისა და O-ის ურთიერთმიმართება (აქტუალიზებული უარყოფა)

(4) მითინი ვა მურს

IndfPrn Neg V

„ვინმე " = „არავინ" არ მოდის, შდრ.: განსხვავება ქართულთან.

ლაზურში უარყოფის სემანტიკის აქტუალიზების პროცესი დასრულებულია: **ძირითადს სრულად ჩაენაცვლა ალტერნატიული** (უარყოფითი ნაცვალსახელის ადგილი დაიჭირა კომბინირებულმა სეგმენტმა: განუსაზღვრელობითმა ნაცვალსახელმა და უარყოფითმა ნაწილაკმა; იგივე პროცესი წარიმართა უარყოფით ზმნიზედასთანაც). ლაზურში ამ მონაცვლეობის კანონზომიერებებსა და ხელშემწყობ ფაქტორებზე იხ. თ. I: §1.2.; **ლაზურშიც**, მეგრულის მსგავსად, ალტერნატიული ფორმით უარყოფის აქტუალიზება და ერთადერთ ფორმად მისი დამკვიდრება **განსაზღვრა** ენობრივმა მონაცემებმა: **მორფოლოგიური სეგმენტების ურთიერთგანლაგებამ** (განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელისა და Neg-ის პოსტპოზიციურმა ურთიერთმიმართებამ) და **წინადადების სინტაქსურმა ორგანიზებამ**; შდრ.: მსგავსება მეგრულთან.

ლაზურში უარყოფის გამომხატველი ძირითადი და ალტერნატიული ფორმების სქემა:

უარყოფის გამომხატველი ძირითადი საშუალება, სუსტი უარყოფა – **არ დასტურდება**.

შესაბამისად,

S-ისა და O-ის ურთიერთმიმართება (სუსტი უარყოფა) – **არ დასტურდება**.

შდრ.: მეგრულის სქემას, მაგალითები: (1) და (3).

მორფოლოგიური სეგმენტების პოზიციური ურთიერთმიმართება

განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი და უარყოფითი ნაწილაკი (ალტერნატიული საშუალება, აქტუალიზებული უარყოფა)

(5) მითი **ვარ**

IndfPrn Neg

„ვინმე არა“ = „არავინ“, შდრ.: მსგავსება მეგრულთან; იხ. მაგალითი (2).

წინადადების სინტაქსური ორგანიზება

S-ისა და O-ის ურთიერთმიმართება (აქტუალიზებული უარყოფა)

(6) მითი **ვარ** ნულუნ

IndfPrn Neg V

„ვინმე“ = „არავინ“ არ მოდის“, შდრ.: მსგავსება მეგრულთან; იხ. მაგალითი (4).

დასკვნები

როგორც საკითხის ანალიზმა ცხადყო, ქართული და მეგრულ-ლაზური უარყოფის „სუსტად“ გამოხატვის დასაძლევად ერთნაირად ირჩევენ **ნეგაციის პირველადობის პრინციპს** (Horn 2001 [1989][1], თუმცა შედეგი სხვადასხვანაირია, რადგან განსხვავებულად იყენებენ არსებულ შესაძლებლობებს; კერძოდ, აღნიშნული პრინციპის თანახმად, უარყოფის გამოხატვისას ბუნდოვანების თავიდან ასაცილებლად **გადამწყვეტია უარყოფითი ნაწილაკის ადგილი**; ამიტომ **საჭიროა მისი** (უარყოფითი ნაწილაკის) მოთავსება

[1] ლ. ჰორნის მიერ შემოტანილი **ნეგაციის პირველადობის პრინციპი** ეყრდნობა ესპერსენის შენიშნულ კანონზომიერებას **უარყოფითი მარკერისა და უარსაყოფი სიტყვის** პოზიციური ურთიერთმიმართების შესახებ (Jespersen 1917:5) (იხ. შესავალი: §2).

ა. **უარსაყოფი სიტყვის წინ** (NegV პოზიცია), ან

ბ. **უარსაყოფ სიტყვასთან რაც შეიძლება ახლოს.**

(დამოწმებულია ესპერსენის მიხედვით: Jespersen 1917:5)

ქართულმა **გამოიყენა პრინციპის მხოლოდ ერთი ნაწილი: აირჩია Neg V პოზიცია,** რომლის ხარჯზე ზმნური / სინტაქსური მოდელი (S↔V ურთიერთმიმართება) გააქტიურა, ხოლო სახელური მოდელი (უარყოფითი ნაცვალსახელი) გაუაქტიურებელი დარჩა; შესაბამისად, **ნეგაციის პირველადობის პრინციპმაც მხოლოდ ნაწილობრივ** (იხ. ა) **იმუშავა** და წინადადებაში Neg-ის შუალედური პოზიცია სახელსა და ზმნას შორის (Prn/S-Neg-V რიგი) ეფექტური ვერ გახდა. ამის საკომპენსაციოდ სალიტერატურო ქართულმა ძლიერი NegV პოზიციით გაუაქტიურებელი სახელური მოდელი (უარყოფითი ნაცვალსახელი) **გააძლიერა** და ცალკეული შემთხვევისთვის **ორმაგი უარყოფა ნორმად გაა-ფორმა** (იხ. საკითხის ანალიზი სრულად თ. II: § 2.1).

მეგრულმა და ლაზურმა, როგორც ზეპირმეტყველების ენებმა, რომელთათვისაც სტანდარტული ნორმალიზაცია არ არის დამახასიათებელი, **გამოიყენეს ზემოაღნიშნული პრინციპის ორივე ნაწილი** ცალ-ცალკე და მოქნილი სტრატეგიით; კერძოდ:

- **გააქტიურეს სახელი**: სახელურ მოდელში კლიტიკა ჩაანაცვლა უარყოფის ნაწილაკმა: მეგრ. მით-ა – მითინი ვარ (QPrn-**Cltc : Neg → IndfPrn Neg**), შდრ.: **ბ პრინციპი: Neg უარსაყოფ სიტყვასთან რაც შეიძლება ახლოს უნდა იყოს.** ამით ამ ენებმა „ცნობიერში“ შექმნეს სემანტიკურად ქართ. არავინ-ის ფარდი, მაგრამ სტრუქტურულ-სემანტიკური შესაძლებლობით ქართულ არავინ-ზე ძლიერი მორფოლოგიური მოდელი.
- **გააქტიურეს S / O ↔ V**-ს ურთიერთმიმართება **NegV პოზიციით** (შდრ.: **ა. Neg V** რიგი).

წინადადებაში სტაბილურად ჩამოყალიბდა Prn/S-Neg-V მიმდევრობა; Neg-ის შუალედური პოზიცია სახელსა და ზმნას შორის გააქტიურებული მოდელების პირობებში ეფექტური გახდა და **ნეგაციის პირველადობის პრინციპმაც სრულად** (იხ. ა. ბ.) **იმუშავა**. ერთი უარყოფითი ნაწილაკით მიღწეულ იქნა ორმაგი უარყოფის ფარდი სემანტიკური ეფექტი და ორმაგი უარყოფის არსებობის საჭიროება მეგრულსა და ლაზურში არ დამდგარა.

მ ა შ ა ს ა დ ა მ ე, ენაში *ორმაგი უარყოფის* გაჩენა დამოკიდებულია იმაზე, ნეგაციის პირველადობის პრინციპი სრულად არის გამოყენებული თუ ნაწილობრივ; თავის მხრივ, ამ პროცესის განხორციელებასაც სჭირდება შემაპირობებელი ფაქტორები; კერძოდ,

მეგრულ-ლაზური მასალის მიხედვით:

- **პირველადობის პრინციპის სრულად რეალიზებას განსაზღვრავს Neg ნაწილაკის შუალედური პოზიცია სახელსა და ზმნას შორის, ოღონდ გააქტიურებული სახელის შემთხვევაში.** ამით შესაძლებელია აქტიური სახელური მოდელის ეფექტის შენარჩუნებაც და ზმნური მოდელის გააქტიურებაც; როცა ურთიერთგანმაპირობებელი წესების განხორციელება თანმიმდევრულია, მაშინ ძლიერი სემანტიკის გამოსახატავად ერთმაგი უარყოფაც საკმარისია.

ქართული მასალის მიხედვით:

- **პირველადობის პრინციპი ნაწილობრივ მუშაობს, რადგან Neg ნაწილაკს შუალედური პოზიცია უჭირავს გაუაქტიურებელ სახელსა და ზმნას შორის**; ამ შემთხვევაში Neg-ს მხოლოდ ზმნის გააქტიურება და მისი საშუალებით სახელური მოდელის გაძლიერება შეუძლია; ამიტომაც, ძლიერი სემანტიკის გამოსახატავად ერთადერთი გზა მხოლოდ ორმაგი უარყოფაა.

➢ *სვანური მასალის ანალიზი*

სვანურიც უარყოფის აქტუალიზების ალტერნატიულ გზას ირჩევს, მაგრამ ამის მისაღწევად **ლექსიკურ საშუალებას** იყენებს. როგორც ცნობილია, სვანურში ისევე, როგორც ქართულში, რთული ნაწილაკების მეორე კომპონენტს ნაცვალსახელი წარმოადგენს და ეს კომპონენტი უმეტეს შემთხვევაში არის **-მა,** რომელიც სინქრონიულ დონეზე სემანტიკურად ქართულ „რას“ შეესატყვისება; პირველი კომპონენტი კი არის საკუთრივ უარყოფითი ელემენტი. უარყოფის აქტუალიზაციის საკითხი უკავშირდება სწორედ ნაწილაკების პირველ კომპონენტს, რომელიც განსაზღვრავს უარყოფის გამოხატვის ძირითადი და ალტერნატიული საშუალებების არსებობას ამ ენაში; კერძოდ, ნეიტრალური უარყოფის ნაწილაკთა უმრავლესობაში უარყოფითობის სამი თანხმოვნითი ელემენტიდან (**მ, დ, ნ**) უმეტესად გვხვდება მხოლოდ ერთი – **მ** ან **დ**, რამდენიმე ნაწილაკში კი ერთდროულად ორი სხვადასხვა ელემენტია – **მ** და **დ**. **უარყოფის ერთელემენტიანი ნაწილაკით** ყოველთვის **არააქტუალიზებული** უარყოფაა გამოხატული, ხოლო **ორელემენტიანით,** პირიქით, **აქტუალიზებული**: „კატეგორიულობას სწორედ ის ერთეულები გახაზავენ, რომელთა შემადგენლობაში უარყოფითობის ორი სხვადასხვა ელემენტი (**მ** და **დ**) ერთდროულად მონაწილეობს (მარგიანი-სუბარი 1978:27). *მამ(ა)* და *მადმა* ნაწილაკებს შორის არსებული სემანტიკური სხვაობა მათგან ნაწარმოებ უარყოფით ნაცვალსახელებში ჩანს და ასეთ შემთხვევაში არა აქვს მნიშვნელობა, რომელიმე მათგანი უარყოფითი ნაცვალსახელის სეგმენტია თუ ზმნის წინა პოზიცია უჭირავს წინადადებაში; კერძოდ:

(7) **მამაგუეშ** „არაფერი“ (უარყოფა სუსტია):

შიისგა **მამაგუეშ** ხულუა (ექსპ. მასალები) „ხელში არაფერი აქვს/უჭირავს“.

შდრ.: ქართულის ერთმაგ უარყოფას, მეგრულის სქემაზე (1) და (3) მაგალითებს.

(8) **მადმაგუეშ** „საერთოდ არაფერი“ (უარყოფა აქტუალიზებულია):

შიისგა **მადმაგუეშ** ლაბსად (ექსპ. მასალები) „ხელში (სულ) არაფერი შერჩა“.

სვანურში მარტივი და რთული უარყოფითი ნაწილაკები ზმნის წინა პოზიციასაც იკავებენ წინადადებაში და უარყოფის გამოხატვის კატეგორიულობის თვალსაზრისით ისეთ სემანტიკურ სხვაობას ინარჩუნებენ, როგორიც უარყოფითი ნაცვალსახელების შემთხვევაში განვიხილეთ; კერძოდ, ***მა̈შ*** ნაწილაკიანი ზმნური უარყოფა სემანტიკურად ქართული **არ** ნაწილაკიანი ზმნური ფორმებით გამოხატული უარყოფის იდენტურია, ***მა̈დ / მად(ე)*** ნაწილაკით გამოხატული უარყოფა კი უფრო კატეგორიულია.

სვანურ ენაში აღწერილი პროცესები რომ შევაფასოთ **უარყოფის პირველადობის პრინციპის** მიხედვით, აღმოჩნდება, რომ ორი შესაძლებლობიდან (NegPm და NegV) სვანური ხან ერთს ირჩევს, ხან მეორეს; ძლიერი სემანტიკის ნაწილაკის შემთხვევაში ერთ-ერთიც საკმარისია წინადადების უკუთქმითობის გასაძლიერებლად.

მა̈დ / მად(ე) ნაწილაკით უარყოფის გამოხატვისას ყურადღებამისაქცევია ერთი ნიუანსი, რომელიც მხოლოდ სვანურისთვის არის დამახასიათებელი; კერძოდ: ამ ნაწილაკს, კატეგორიულობასთან ერთად, საგნის ან ფაქტის უარყოფის კონკრეტიზაცია და მის მიმართ სუბიექტის (მთქმელის) დამოკიდებულების გამოხატვა შეუძლია:

(9) ლეზუებ **მაშ** მაკუ (ექსპ. მასალები) „საჭმელი არ მინდა“ = „ზოგადად ჭამა არ მინდა“ (ნაკლებადკატეგორიული / არააქტუალიზებული).

(10) ლელუ **მად** მაკუ (ექსპ. მასალები) „ხორცი არ მინდა“ = „კონკრეტულად ხორცი არ მინდა არავითარ შემთხვევაში“ (ამ სიტუაციაში სხვა რამეზე, მაგალითად, რძეზე, არ იტყოდა უარს) (მეტად კატეგორიული / აქტუალიზებული კონკრეტული საგნის მიმართ).

***შენიშვნა**: თავაზიანობის გამომხატველ ფრაზაში – გმადლობთ, არ მინდა! – ქართული **არ** ნაწილაკის შესატყვისად სვანური **მად / მად(ე)**-ს არ გამოიყენებს; იმდენად კატეგორიულია სვანური ნაწილაკის უარყოფითი სემანტიკა, რომ მისი გამოყენება უტაქტობად ჩაითვლება.*

კიდევ უფრო აქტუალიზებულია უარყოფა ***დემის*** ნაწილაკის გამოყენებისას, რომელიც პირდაპირ გამოხატავს კატეგორიულ, პრინციპულ უარს მოქმედების შესრულებაზე: ***დემის ხუშამშე**! არ ვიმუშავებ!*

დ ა ს კ ვ ნ ე ბ ი

ქართველურ ენებში **უარყოფის აქტუალიზება მიიღწევა:**

1. *ერთმაგი უარყოფის გაძლიერებით – ორმაგი უარყოფით* (სალიტერატურო ქართულისთვის), რაც შესაძლებელია **სტილურ-გრამატიკული საშუალებებით.**

2. *უარყოფის გამოხატვის ძირითადი და ალტერნატიული ფორმების მონაცვლეობით* (მეგრულის, ლაზურისა და სვანურისთვის), რაც შესაძლებელია **გრამატიკულ-ლექსიკური საშუალებებით.**

3. **მეგრულში, ლაზურსა და სვანურში** ძირითადი და ალტერნატიული ფორმების მონაცვლეობა განსაზღრავს სემანტიკურად ორმაგი (გაძლიერებული, აქტუალიზებული) უარყოფის ეფექტს.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა

ქართველურ ენებში უარყოფითი ნაცვალსახელებისა და უარყოფითი ზმნიზედების სტრუქტურულ-სემანტიკურმა ანალიზმა წარმოაჩინა შემდეგი ენობრივი სურათი:

უარყოფითი ნაცვალსახელების მორფოლოგიური მოდელი **ერთნაირია** ძველ, ახალ ქართულსა და სვანურში: **უარყოფითი ნაწილაკი + კითხვითი სიტყვა / ლექსიკური ერთეული,** რაც ტიპოლოგიურად ოსური ენის მონაცემების მსგავსია და კვლევის საინტერესო პერსპექტივას სახავს არეალური ლინგვისტიკის თვალსაზრისით. სინქრონიულ დონეზე ქართულში ცალკე გამოიყოფა უარყოფით ზმნიზედათა ჯგუფი. სვანურში შესაძლებლობის უარყოფის გამომხატველი ზმნიზედებისა და ნაცვალსახელებისთვის პარალელურად მოიპოვება სხვა სტრუქტურაც: ნეიტრალური უარყოფითი ნაცვალსახელი / ზმნიზედა + შესაძლებლობის ნაწილაკი *მოშ.*

ლაზურში სინქრონიულ დონეზე უარყოფითი ნაცვალსახელები და უარყოფითი ზმნიზედები არ დასტურდება.

ქართულ-სვანურისგან **განსხვავებულია** მეგრულის მორფოლოგიური მოდელი უარყოფითი ნაცვალსახელებისათვის / ზმნიზედებისათვის; კერძოდ, მათთვის დამახასიათებელია შებრუნებული წყობა: **კითხვითი სიტყვა + უარყოფითი ნაწილაკი,** რომელიც პროკლიტიკაა. **კლიტიკად** ქცეული უარყოფითი ნაწილაკით მეგრული ქართულსა და სვანურს ემსგავსება, რისი შედეგიცაა სამივე ენაში კითხვითი სიტყვით გადმოცემული სახელის „სუსტად“ უარყოფა; ასეთ სახელურ მოდელთან ზმნა

დადებითი ფორმითაა მოცემული; შესაბამისად დაბალია წინადადების უკუთქმითობის ხარისხიც.

უარყოფითი ნაცვალსახელების / ზმნიზედების აგებულებას მჭიდროდ უკავშირდება უარყოფის სემანტიკის აქტუალიზება, რომელსაც ქართველური ენები სხვადასხვა საშუალებით აღწევენ:

ა. ქართული ერთმაგ უარყოფას აძლიერებს; ბ. მეგრული, ლაზური და სვანური „სუსტი" ერთმაგი უარყოფის გამომხატველ ნაცვალსახელებს / ზმნიზედებს ანაცვლებენ ალტერნატიული (უფრო ძლიერი) საშუალებით.

მეგრულსა და ლაზურში ალტერნატიული მორფოლოგიური მოდელი წარმოდგენილია განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელის / ზმნიზედის და უარყოფითი ნაწილაკის კომბინაციით; წინადადებაში **ნაწილაკის შუალედური პოზიცია სახელსა და ზმნას შორის** განსაზღვრავს ალტერნატიული მორფოლოგიური მოდელის პროდუქტიულობას. **სვანური ლექსიკური საშუალებით ქმნის ორმაგი უარყოფის სემანტიკის ეფექტს.**

თავი III

უარყოფის გამოხატვის ზმნური მოდელები ქართველურ ენებში

1. უარყოფით ნაწილაკთა სისტემა ქართველურ ენებში და ზმნასთან შეხამების საკითხები

უარყოფის გამოსახატავად, როგორც აღინიშნა, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საშუალებაა შესაბამისი ჯგუფის ნაწილაკები, რომლებიც დასტურდება სახელურ და ზმნურ მოდელებში, თუმცა განსაკუთრებით მჭიდროდ უკავშირდება ზმნას გრამატიკული კატეგორიების (კილო, პოტენციალისი) და სტილისტური თავისებურებების გადმოსაცემად. ქართველურ ენებში არსებული უარყოფითი ნაწილაკების მრავალფეროვანი სისტემა საინტერესო ენობრივ სურათს ქმნის ზმნასთან შეხამების თვალსაზრისით.

1.1. უარყოფითი ნაწილაკების სისტემა ქართულ ენაში: გრამატიკულ-სტილისტური თავისებურებანი

ქართულში სამი უარყოფითი ნაწილაკია: **არ (არა)**, **ვერ (ვერა)** და **ნუ**. მათ, ჩვეულებრივ, უკუთქმით ნაწილაკებს უწოდებენ. სამივე ნაწილაკი უძველეს ქართულ წერილობით ძეგლებში დასტურდება, ისინი დაერთვიან ზმნას და უარყოფით შინაარსს აძლევენ წინადადებას; თუმცა შინაარსობრივად საკმაოდ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. **არ** მარტივად უარყოფს: *არ ჭამს;* **ვერ** მოქმედების შეძლებას უარყოფს: *ვერ ჭამს;* **ნუ** კი (II კავშირებითთან აგრეთვე **არ**) კრძალავს მოქმედებას: *ნუ ჭამს, არ ჭამოს* (თოფურია 1923-1924:77-78, შანიძე 1980:610).

***შენიშვნა 1**: ძველ ქართულ ნათარგმნ ძეგლებში ნუ ზოგჯერ გამოყენებულია რიტორიკული კითხვის შემცველ წინადადე-*

ბებში: ნუ შენცა გალილეᲐთ ხარა? და სხვ. კ. დანელია აღნიშნავს, რომ ასეთ შემთხვევებში ნუ ნაწილაკი ზედმეტია, ის ბერძნული μή (ზოგჯერ οὐ) ნაწილაკის კალკია. ავტორის ვარაუდით, ასეთ ენობრივ ვითარებაში ორიგინალის გავლენით ზოგი მთარგმნელი და რედაქტორი გაურბოდა ნუ ნაწლაკის გამოყენებას და მის ნაცვლად რთულ კითხვით ნაწილაკებს იყენებდა: ნუუკუე, ნუთუ. ძველ ქართულ ორიგინალურ ძეგლებში არ შეინიშნება ნუ ნაწილაკის შეგუება კითხვით წინადადებებთან (დანელია 1998:109-114).

ზემოაღნიშნული ნაწილაკები *(არ, ნუ, ვერ)* სხვა ნაწილაკებთან ერთადაც შეიძლება შეგვხვდეს, მაგალითად, -ღა ნაწილაკთან ერთად: აღარ (← არღარა), ვეღარ (← ვერღარა), ნუღარ (← ნუღარა) და -ც(ა) ნაწილაკთან ერთად: არც(ა), ვერც(ა), ნურც(ა). როგორც ა. შანიძე შენიშნავს, უნდა ყოფილიყო ნუც(ა), მაგრამ „არც“ და „ვერც“ ნაწილაკების ანალოგიით **რ** ჩაერთო და მივიღეთ: ნურცა (შანიძე 1980:610).

სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ უარყოფა, ჩვეულებრივ, რაიმე მოქმედებას ეხება, რომელიც ზმნით გამოიხატება. ამიტომაცაა, რომ უარყოფითი ნაწილაკები *(არ, ვერ, ნუ)* ზმნასთან არიან დაკავშირებულნი[1]; ქართულში ისინი ყოველთვის წინ უძღვიან ზმნას. ამიტომაც უარყოფითი ნაწილაკების გრამატიკულ-სტილისტური თავისებურებანი სწორედ ზმნასთან მიმართებით განიხილება. ამ თვალსაზრისით საინტე-

[1] არ // არა, ვერ // ვერა ნაწილაკები გვხვდება სახელებშიც სიტყვაწარმოებითი მორფემების დანიშნულებით: *არნახული, არგაგონილი; არაკაცი, არაჩვეულებრივი; ვერნახული, ვერმოძებნილი; ვერავითარი, ვერანაირი* (ჯორბენაძე 1984:145-149; ჯორბენაძე და სხვები 1988:43-43:167; ამ საკითხზე მსჯელობა იხ. თ. I: §2.1); როგორც ბ. ჯორბენაძე აღნიშნავს, ვერ // ვერა ნაწილაკით ნაწარმოები ფორმები გაცილებით ნაკლებია.

რესო სურათს გვაძლევს უარყოფითი ნაწილაკების გამოყენება სხვადასხვა მწკრივის თუ კილოს ფორმასთან და უარყოფითი ნაწილაკების გამოყენება ზოგიერთ ზმნასთან მათი მორფოლოგიური სტრუქტურის თუ ლექსიკური მნიშვნელობების გათვალისწინებით.

ამ მხრივ აღსანიშნავია, რომ *არ* და *ვერ* ნაწილაკები თანაბრად გვხვდება ყველა მწკრივის ფორმასთან, მათგან *არ* მარტივად უარყოფს[1], ხოლო *ვერ* მოქმედების შესაძლებლობას უარყოფს, *ნუ* ნაწილაკი კი მწკრივებთან მიმართებით თავისებურებებს გვიჩვენებს: არ გვხვდება წყვეტილის ფორმასთან, რადგან შეუძლებელია იმისი აკრძალვა, რაც უკვე მოხდა; იშვიათად, განსაკუთრებულ შემთხვევებში, კერძოდ, მომავლის გაგებით გვხვდება I თურმეობითის ფორმებთან: *ნუ უცოცხლია, ნუ უჭამია* და სხვ.; I და II თურმეობითის ფორმებთან შეიძლება გამოიხატოს მუქარა: *აბა, ნუ დაუწერია! აბა, ნუ დაეწერა!* როგორც ბ. ჯორბენაძე შენიშნავს, ამ შემთხვევაში უპირატესობა არ ნაწილაკს ენიჭება: *აბა, არ დაუწერია! აბა არ დაეწერა!* იშვიათად გვხვდება *ნუ* ნაწილაკი ხოლმეობითისა და კავშირებითის მწკრივებთან. მიუხედავად იმისა, რომ ბრძანება, აკრძალვა მომავალში ხდება, *ნუ* ნაწილაკმა შეიძლება გამოხატოს კატეგორიული უარყოფაც აწმყოს მწკრივთან; ეს იმ შემთხვევაში, თუ მოქმედება, რის აღკვეთასაც ითხოვენ, უკვე დაწყებულია: *ნუ აკეთებ!* ჩვეულებრივ, *ნუ* ნაწილაკი ბრძანებით კილოშია დადასტურებული თხოვნითი აკრძალვის გამოსახატავად, მაგრამ ეს სემანტიკური ელფერი შენარჩუნებული აქვს მაშინაც, როცა ბრძანებითის ფუნქცია აღარ გამოიხატება: *თუ არ უნდოდა, ნუ*

[1] არ // არა ზოგჯერ გამოყენებულია მტკიცებით-დადასტურებითი დანიშნულებით, ჩვეულებრივ, ჩაკითხვის დროს: *ახლა არ წავიდა? წავიდა არა?* (ჯორბენაძე და სხვები 1988:43-44). ამ საკითხზე მსჯელობა იხ. თ. IV: §1.4.

დაწერდა! (ჭუმბურიძე 1970:41- 42; ჯორბენაძე 1984:140; ჯორბენაძე და სხვები 1988:323).

ყოველივე ეს ცხრილის სახით ასე გამოისახება:

***შენიშვნა 2**: ფრჩხილებში წარმოდგენილია ნუ ნაწილაკიანი, იშვიათად ხმარებული ფორმები, რომელთაგან ზოგიერთი მწკრივის გამოყენება კიდევ უფრო შეზღუდულია, მხოლოდ ცალკეული ზმნური ფუძის სემანტიკითაა განპირობებული და გარკვეულ კონტექსტში გამოიყენება.*

ცხრილი №1

	არ	ვერ	ნუ
აწმყო	არ წერს	ვერ წერს	ნუ წერს
უწყვეტელი	არ წერდა	ვერ წერდა	ნუ წერდა
აწმყოს კავშირებითი	არ წერდეს	ვერ წერდეს	(ნუ წერდეს)
მყოფადი	არ დაწერს	ვერ დაწერს	ნუ დაწერს
ხოლმეობითი	არ დაწერდა	ვერ დაწერდა	(ნუ დაწერდა)
მყოფადის კავშირებითი	არ დაწერდეს	ვერ დაწერდეს	(ნუ დაწერდეს)
წყვეტილი	არ დაწერა	ვერ დაწერა	(ნუ დაწერა)
II კავშირებითი	არ დაწეროს	ვერ დაწეროს	(ნუ დაწეროს)
I თურმეობითი	არ დაუწერია	ვერ დაუწერია	(ნუ დაუწერია)
II თურმეობითი	არ დაეწერა	ვერ დაეწერა	(ნუ დაეწერა)
III კავშირებითი	არ დაეწეროს	ვერ დაეწეროს	(ნუ დაეწეროს)

ზემოაღნიშნული ნაწილაკების გამოყენება საინტერესო სურათს გვაძლევს სხვადასხვა კილოს ფორმებთან გამოყენების მხრივ; კერძოდ, *ვერ* ნაწილაკი არ დასტურდება ბრძანებით კილოსთან; იგი, ჩვეულებრივ, თხრობითი და კავშირებითი კილოს ფორმებს ეხამება, *ნუ* ნაწილაკი კი უმთავრესად სწორედ ბრძანებითი (და ნატვრითი) კილოს ფორმებთან იხმარება. ეს ამ ნაწილაკების შინაარსობრივი თავისებურებებით აიხსნება: *ნუ* ნაწილაკის ფუნქციაა აკრძალვა და, შესაბამისად, ის უკუთქმით ბრძანებითში ხშირად გვხვდება, *ვერ* ნაწილაკი კი აღიშნავს, რომ მოქმედება, სუბიექტის სურვილისა და ცდის მიუხედავად, არ სრულდება; ამიტომ, როგორც ზ. ჭუმბურიძე აღნიშნავს, „ბრძანება ასეთ შემთხვევაში შეუფერებელი და უადგილოა“ (ჭუმბურიძე 1970:42).

ამავე შინაარსობრივი თავისებურების გამო *ვერ* ნაწილაკი არ გვხვდება ინვერსიულ, მანის რიგის ზმნებთან: **ვერ მწყურია*, **ვერ მიყვარს*, **ვერ მშია* და სხვ. სუბიექტური წყობის ზმნებისაგან ასეთი ერთადერთია: *ვიცი*. როგორც ზ. ჭუმბურიძე მიუთითებს, საყურადღებოა, რომ „ვიცი“ ზმნა მეგრულსა და სვანურში სწორედ ინვერსიული წყობისაა: მეგრ. მ ი ჩ ქ უ, სვან. მ ი ხ ა ლ“. ამასთანავე, მკვლევარი წერს, რომ თანამედროვე ქართულში ზეპირ მეტყველებაში შეიძლება შეგვხვდეს გამოთქმა, როდესაც ვერ ნაწილაკი გამოიყენება „ვიცი“ ზმნასთან: *„დღეს გაკვეთილი კარგად ვერ ვიცი“*, თუმცა მკვლევარი მიუთითებს, რომ *„ვერ ვიცი“* ვითარების გარემოების გარეშე არ იხმარება. ასევე, *ვერ* ნაწილაკი არ იხმარება: *არის, არსებობს, იმყოფება, აქვს* ზმნებთან, თუმცა, თუ ამათგან რომელიმეს ახლავს ვითარების გარემოება, არ ნაწილაკის პარალელურად *ვერ* ნაწილაკის გამოყენებაც დასაშვებია: *კარგად არა აქვს საქმე // კარგად ვერა აქვს საქმე*.

ვერ ნაწილაკი არ გამოიყენება სტატიკურ ზმნათა უმრავლესობასთან, ასეთებია: *ავლია, ასხია, აყრია, აწერია, ახატია, აწყვია, ატყვია, არტყია, აცვია, აჩნია* და სხვ. (ჭუმბურიძე 1970:42).

ვერ ნაწილაკი არ გამოიყენება ზოგიერთ ზმნასთან, რომლებიც მის გარეშე გამოხატავენ შესაძლებლობას. ამ საკითხს გ. მაჭავარიანი ქართველურ ენებთან მიმართებით განიხილავს და აღნიშნავს, რომ ქართველურ ენებში ვნებითი გვარი პოტენციალისის გამოხატვას უკავშირდება. მკვლევარი წერს, რომ *იწერება* ნიშნავს, რომ ახლა იწერება რამე და ასევე ნიშნავს იმასაც, რომ საერთოდ იწერება, შეიძლება დაიწეროს რამე. პოტენციალისი ქართულში სუსტად არის გამოხატული, კარგად ჩანს *იჭმევა, ისმევა* ზმნებში, განსაკუთრებით ამ ზმნათა უარყოფით ფორმებში: *არ იჭმევა, არ ისმევა*. შემდეგ ავტორი წერს: „ქართულში უარყოფითი პოტენციალისის გამოსახატავად სპეციალური *ვერ* ნაწილაკი არსებობს, რომელიც ზემოთ დასახელებულ ზმნებთან იმიტომ არ იხმარება, რომ ეს ზმნები თვით შეიცავენ პოტენციალისის გაგებას“ (მაჭავარიანი 2002:100).

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ იმ ზმნათა უმეტესობას, რომლებიც ვერ იგუებენ *ვერ* ნაწილაკს, პროფ. ზ. ჭუმბურიძის აზრით, ინვერსიული ზმნები შეადგენენ. მათ გარდა ავტორი ასახელებს არის, არსებობს... ტიპის ზმნებს, სტატიკურ ზმნებს და ზოგიერთ ზმნას, რომლებიც შინაარსობრივად ქონების სიმცირეს, ან ხშირად უქონლობას გამოხატავენ: *აბადია, გააჩნია, მოეპოვება, მოეძებება* (ჭუმბურიძე 1970:42-43).

პროფ. ბ. ჯორბენაძე იმ ზმნებში, რომლებიც ვერ ნაწილაკს არ დაირთავენ, აერთიანებს შემდეგ ჯგუფებს: გრძნობა-აღქმის ზმნები, სტატიკური ზმნები, პოტენციალისის გამომხატველი ზმნები (ჯორბენაძე 1984:140).

ზმნებს, რომლებთანაც ვერ ნაწილაკი არ გამოიყენება, დაწვრილებით განიხილავს მარჩელო ჩერჩი. იგი ამ ზმნებს და არანესიერი უღლების ზმნებს ცალკე, D ჯგუფში, აერთიანებს (Cherchi 1997:122, 213). მ. ჩერჩის კვლევას სხვა ავტორთა ნაშრომებთან ერთად განვიხილავთ ცალკე, ამავე თავში: იხ. §1.6.

ამრიგად, უარყოფითი ნაწილაკები შინაარსობრივი ნიუანსებით მკაფიოდ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან და მათი შენაცვლება შინაარსობრივი ცვლილების გარეშე შეუძლებელია. პროფ. ზ. ჭუმბურიძე აღნიშნავს, რომ ამ მხრივ თითქოს ერთგვარ გამონაკლისს უნდა წარმოადგენდეს *ნუ* და *არ* ნაწილაკების შენაცვლება მოქმედების აკრძალვის დროს: *ნუ გააკეთებს / არ გააკეთოს, ნუ ჭამს / არ ჭამოს* და სხვ., მაგრამ მკვლევარი შენიშნავს, რომ ამ ფორმებს შორისაც არის გარკვეული განსხვავება: არ გააკეთოს – კატეგორიულია, ნუ გააკეთებს – თხოვნის შემცველია, თანაც ეს ნაწილაკები უშუალოდ კი არ ენაცვლებიან ერთმანეთს, არამედ სხვადასხვა მწკრივებთან გვხვდება: ნუ – თხრობითი კილოს აწმყოსა და მყოფადის ფორმებთან, ხოლო არ – კავშირებითის ფორმებთან (ჭუმბურიძე 1970:43).

არათუ სხვადასხვა უარყოფით ნაწილაკთა, არამედ ერთი და იმავე უარყოფითი ნაწილაკების გამოყენება სხვადასხვა მწკრივის ფორმასთან განსხვავებულ აზრობრივ ნიუანსს იძლევა. ამის მაგალითად ზ. ჭუმბურიძე ასახელებს *არ* ნაწილაკის გამოყენებას წყვეტილისა და პირველი თურმეობითის ფორმებთან; კერძოდ, ნეიტრალური უარყოფისათვის ეს ნაწილაკი პირველი თურმეობითის ფორმებთან გვხვდება: *არ უჭამია, არ გაუკეთებია*, ხოლო წყვეტილთან არ ნაწილაკი აღნიშნავს, რომ სუბიექტს მოქმედება განგებ არ შეუსრულებია: *არ ჭამა, არ გააკე-*

თა[1]. მკვლევარი ამ ფორმებს უდარებს უარყოფის მეორე სახეს: *ვერ ჭამა, ვერ გააკეთა*, რაც ნიშნავს, რომ სუბიექტმა სურვილის მიუხედავად ვერ შეძლო მოქმედების შესრულება. ამით მკვლევარი მკაფიოდ გამოკვეთს არ ნაწილაკის კატეგორიულობას წყვეტილის ფორმებთან და იქვე უთითებს, რომ ამგვარი დაპირისპირება უფრო მოქმედებითი გვარის ზმნებს ახასიათებს, ხოლო ვნებითი გვარის ზმნებში არ ნაწილაკი შესაძლებელია განურჩევლად იხმარებოდეს: *არ დაიწვა, არ დამწვარა* (ჭუმბურიძე 1970:44; იხ. აგრეთვე Cherchi 1997: 262-263, Boeder 2005:30, Abuladze, Ludden 2008:236).

***შენიშვნა 3**: წყვეტილისა და პირველი თურმეობითის უარყოფით ფორმებს შორის სემანტიკური დიფერენციაციის საფუძველი ქართველური ენების მასალაზე ვრცლად განხილულია ამავე თავში, იხ. §1.5.*

აღსანიშნავია, რომ, წყვეტილის გარდა, არ ნაწილაკი გამოიყენება ბრძანებითი, თხრობითი, კავშირებითი კილოს ფორმებთან პირველ და მეორე სერიაში და ამ შემთხვევაშიც გამოხატავს კატეგორიულ უარყოფას; ხოლო მესამე სერიაში კატეგორიულობის ნეიტრალიზაცია ხდება და აღინიშნება მხოლოდ ფაქტი (ჯორბენაძე 1984:141).

ზმნური ფორმების განაწილება სერიებისა და მწკრივების მიხედვით, სემანტიკის გათვალისწინებით მოცემულია ცხრილში.

[1] კ. ჩხენკელიც აღნიშნავდა, რომ აორისტი უარყოფით ნაწილაკთან ერთად მხოლოდ მაშინ იხმარება, როცა ფაქტი კი არ არის უარყოფილი, როგორც ასეთი, არამედ უარყოფილია უფრო განზრახვა; ე.ი. წინადადებებში ამ ფორმით გამოხატულ უარყოფას სურვილის არქონა, ყოყმანი, წინააღმდეგობა და ა. შ. უდევს საფუძვლად (Tschenkéli 1958).

ცხრილი № 2

	კატეგორიული უარყოფა **არ** ნაწილაკით	ნეიტრალური უარყოფა **არ** ნაწილაკით
აწმყო	არ აკეთებს	
უწყვეტელი	არ აკეთებდა	
აწმყოს კავშირებითი	არ აკეთებდეს	
მყოფადი	არ გააკეთებს	
ხოლმეობითი	არ გააკეთებდა	
მყოფადის კავშირებითი	არ გააკეთებდეს	
წყვეტილი	არ გააკეთა	
მეორე კავშირებითი	არ გააკეთოს	
პირველი თურმეობითი		არ გაუკეთებია
მეორე თურმეობითი		არ გაეკეთებინა
მესამე კავშირებითი		არ გაეკეთებინოს

არ ნაწილაკი კატეგორიულ უარყოფას არ გამოხატავს იმ ზმნებთან, რომლებიც ვერ იგუებენ *ვერ* ნაწილაკს: *არ მწყურია, არ შემიძლია, არ მესმის* და სხვ. (ჯორბენაძე 1984:141).

არ და *ვერ* ნაწილაკების გამოყენება პირველი თურმეობითის ფორმებთან განასხვავებს ნანახ და უნახავ აქტს, კერძოდ: *არ გამიკეთებია* (= არა მაქვს გაკეთებული) – აქტი ნანახია, *ვერ გამიკეთებია* (= თურმე ვერ შევძელი გაკეთება) – აქტი უნახავია (ჯორბენაძე და სხვები 1988:167).

არ, ვერ და მათი პარალელური ვარიანტების, *არა, ვერა-ს,* შედარება ბ. ჯორბენაძეს წარმოდგენილი აქვს ცხრილის სახით:

ცხრილი № 3

– გააკეთე?	– გააკეთე!		– გააკეთე?	– გააკეთე!
– არ / ვერ გავაკეთე	– არ / ვერ გავაკეთებ		არა / ვერა	

ამ შედარების საფუძველზე მკვლევარი წერს, აშკარაა, რომ ა-თი დაბოლოებული ფორმები – *არა* და *ვერა* ცვლიან მთელ შესიტყვებას, ხოლო საპირისპირო შემთხვევაში *არ* და *ვერ* ნაწილაკებს ენიჭება უპირატესობა; თუმცა ეს არ გამორიცხავს *არა* და *ვერა* ნაწილაკების გამოყენებას სინტაგმაში, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ ზმნას არ დაერთვის ზმნისწინი და ხმოვანი პრეფიქსი; მაგალითად: *არა მაქვს, არა მყავს, არა მგონია; ვერა ჩივის, ვერა ტყუის, ვერა წერს* და სხვ.; თუ საპირისპირო შემთხვევასთან გვაქვს საქმე – ზმნისწინით ან ხმოვანპრეფიქსით გვხვდება ზმნა, მაშინ მასთან *არ* და *ვერ* ნაწილაკები დასტურდება: *არ დაწერს, ვერ დაწერს* და სხვ. (ჯორბენაძე 1984: 144; ზურაბიშვილი 1972:53-54).

1.2. უარყოფით ნაწილაკთა სისტემის დახასიათება მეგრულსა და ლაზურში

მ ე გ რ უ ლ შ ი ორი უარყოფითი / უკუთქმითი ნაწილაკი – *ვარ* და *ნუ* უარყოფის ნაწილაკთა სამწევროვან სისტემას ეფარდება ქართულში. ამის მიზეზია ის, რომ ვა(რ)-ს ორგვარი მნიშვნელობა აქვს: *1. არა, არ; 2. ვერ.* უარყოფის ნაწილაკების მიხედვით ამგვარი თანაფარდობა ქართულსა და მეგრულს შორის მიღწეულია არა მხოლოდ სემანტიკის ხარჯზე, არამედ გრამატიკულ-ფორმობრივი მახასიათებლებითაც. მეგრული *ვარ* ქართულ არა ნაწილაკს მხოლოდ მნიშვნელობით კი არა, ფორმის გამარტივების თვისებითაც ემსგავსება: ვარ → ვა, შდრ.: არა → არ. მეგრულშიც *ვარ* და *ვა* პარალელურად თანაარსებობენ, მაგრამ არ მონაცვლეობენ.

➢ *ვარ „არა“ დასტურდება:*

1. დიალოგურ მეტყველებაში მიგებითი პასუხის დროს; ამავე

მნიშვნელობით მას შეიძლება ჩაენაცვლოს გაარსებითებული *ვარი* „უარი“ (ქაჯაია ტ. I; ქირია და სხვები 2015:743)[1].

2. სხვათა სიტყვის ან სხვა ჯგუფის ნაწილაკის დართვისას (ვარ-ია „არა-ო“; ვარ-თი „არც“ და მისთ.).

3. ჩაკითხვის დროს ზმნის მომდევნო პოზიციაში (იხ. მსჯელობა და მაგალითები, თ. IV: §1.4).

4. უარყოფითი ნაცვალსახელის / ზმნიზედის მონაცვლე განუსაზღვრელობით ნაცვალსახელებთან / ზმნიზედებთან (მითინი ვარ „ვინმე არა“ = „არავინ“; სოთინი ვარ „სადმე არა = არსად“) (იხ. მსჯელობა და მაგალითები, თ. I: §1.2).

➢ *ვა- „არ“ გამოიყენება:*

5. ნაზმნარ სახელებთან: ვარდილი „არგაზრდილი“, შდრ.: ქართულს, დაწვრილებით იხ. თ. I: §2.4.

2. ზმნის წინ: ვამურს „არ მოდის“.

ვარ და *ვა*-ს თანდართულ ლექსემებთან მიმართებით **დაწერილობაც** განსხვავებული აქვთ: *ვარ* დამოუკიდებელია და ყოველთვის ცალკე იწერება (შდრ.: განუსაზღვრელობით ნაცვალსახელთან / ზმნიზედასთან); *ვა-* იწერება უარყოფით მიმღეობებში ნაზმნარ სახელურ ფუძეებთან ერთად უგამონაკლისოდ, ხოლო ზმნასთან დაწერილობისას განსხვავებული სურათი იკვეთება მეგრული ტექსტების ბეჭდური გამოცემების მიხედვით; კერძოდ, ა. ცაგარელი და ი. ყიფშიძე მას ცალკე წერდნენ, შემდეგდროინდელ გამოცემებში ზმნასთან ერთადაა (კარტოზია და სხვები 2010: 307; გეგეჭკორი 2017):

***შენიშვნა 1**: მეგრული ტექსტების თავდაპირველი ბეჭდური გამოცემებია: ცაგარელი 1880; ყიფშიძე 1914; შემდეგდროინ-*

[1] – ქომორთუო? „მოვიდა?“
– ვარ/ვარი „არა“.

დელ გამოცემებში იგულისხმება: მაკარ ხუბუა, 1937; ქართული ხალხური სიტყვიერება, ტ. I, მეგრული პოეზია, 1975; ქართული ხალხური სიტყვიერება, ტ. II, ზღაპრები და მცირე ჟანრები, 1990 (სრულად დასახელებისთვის იხ. წყაროები).

„მეგრულში უარყოფითი ნაწილაკისა და ზმნის ერთად დაწერილობას ისიც უწყობს ხელს, რომ ნაწილაკის ხმოვნითი ნაწილი გარკვეულ ფონეტიკურ ცვლილებას განიცდის ხმოვნით დაწყებულ ზმნურ ფუძეებთან შეერთებისას“ (კარტოზია და სხვები 2010:307), ამიტომ მნიშვნელოვანია ზმნურ ფორმებთან *ვა* ნაწილაკის **ფონეტიკური ტრანსფორმაციის** საკითხი, რომელსაც თავის დროზე ი. ყიფშიძემ მიაქცია ყურადღება. მას „მეგრული ენის გრამატიკაში“ ცალ-ცალკე აქვს გამოყოფილი ის შემთხვევები, როცა *ვა-* უცვლელია და როცა აღნიშნული ნაწილაკი ფონეტიკურ პროცესებში მონაწილეობს; კერძოდ,

I. ვა- უცვლელია *თანხმოვნით* დაწყებული ზმნის წინ,

- *თუ ეს თანხმოვანი ძირისეულია:*

(1) **ვა-**ცოფეთ (6, 29) „არ ყოფილხართ“; (2) **ვა-**შვა (35,33) „არ სვა“.

- *თუ ეს თანხმოვანი ზმნისწინისეულია:*

(3) **ვა-დო-**პილა (5,5) „არ მომკლა“; (4) **ვა-და-**მშებუ (97,13)[1] „არ დამიშავებია“.

- *თუ ეს თანხმოვანი I ან II პირის სუბიექტური / ობიექტური პრეფიქსია:*

(5) **ვა-ვ-**ჭარუნქ „არ ვწერ“; (6) **ვა-გ-**იძირუ „არ გინახავს“.

[1] დამოწმებული მაგალითები მოხმობილია მ. ხუბუას „მეგრული ტექსტებიდან“ (ტფ., 1937) ამავე ავტორის სტატიის მიხედვით (ხუბუა 1942ბ: 743-745).

II. ვა- იცვლება რეგრესული ასიმილაციის შედეგად

- *სრულად:*

(7) ვა-აკო (თავკიდურა **ო**-სთან ჯერ სრული რეგრესული ასიმილაციის, ხოლო შემდეგ ერთგვარ ხმოვანთა დისიმილაციური განმსგავსების შედეგად: **აო → ოო → აა**: *ვა-ოკო → *ვოოკო → ვააკო. ეს არის მიზეზი, რომ საბოლოო ჯამში *ვა-* ნაწილაკის **ა** ხმოვანი მაინც უცვლელად გამოიყურება.

(8) **ვე-**მეჩეს (← ვა-მეჩეს) „არ მისცეს“ (პრევერბისეულ **ე** ხმოვანს სრულად ემსგავსება).

- *ნაწილობრივ:*

(9) ვა-უძირუ → ვო-უძირუ (თავკიდურ **უ** ხმოვანს ნაწილობრივ ემსგავსება და იქცევა **ო**-დ);

აღსანიშნავია, რომ ამ პოზიციაში **ვა-** ნაწილაკის ცვლილება არ არის დამახასიათებელი აღმოსავლური არეალისთვის; ამიტომ იქ ჩვეულებრივია *ვაუძირუ, ვაუკეთებუ* და ამ ტიპის ფორმები.

(10) ვე-ეღუ (←*ვა-იღუ) „არ წაიღო“ (სათავისო ქცევის **ი** ხმოვანს ნაწილობრივ ემსგავსება) (Кипшидзе 1914:08; ყიფშიძე 1919-20:1-8). ვე-ეღუ და მისთანა ფორმებში **ეე** მიმდევრობის მისაღებად მხოლოდ ნაწილობივი რეგრესული ასიმილაცია არ არის საკმარისი; ამიტომ შემდგომი პროცესია სრული პროგრესული ასიმილაცია: *ვა-იღუ → *ვე-იღუ → ვე-ეღუ.

მ. ხუბუამ მის მიერ ჩაწერილ მასალებში გამოავლინა *ვა-* ნაწილაკის კიდევ ერთი თვისება – **ინფიქსური ჩართვა** რთული **ზმნისწინის ნაწილებს შორის** და ი. ყიფშიძის მიერ გამოვლენილ შემთხვევათა ჩამონათვალს დაუმატა:

(11) დოთ-**ვა**-დო-ხოდუ (175,5 ← დოთე-ვა-დო-ხოდუნ) „არ ჯდება“ (ხუბუა 1942ბ:744).

შენიშვნა 2: კავშირებითის უარყოფითი ფორმა, გამოყენებული II პირისადმი მიმართვაში, შეიძლება ნიშნავდეს როგორც ბრძანებას, ისე თხოვნა-მუდარასაც: ვაჭარა „არ დაწერო", ვაქიმინა „არ ქნა" (ქობალავა 2001 : 121).

როგორც ველზე მოპოვებულმა მასალებმა დაადასტურა, II პირისადმი მიმართვას ნამდვილად შეუძლია თხოვნის, ხვეწნის სემანტიკის შეთავსება, ოღონდ ამ ნიუანსისთვის ინფორმატორი იყენებს დამატებით ფრაზას, რომელიც მიგვანიშნებს ტონალობის სირბილეზე, ბრძანების მკაცრი ტონისგან განსხვავებით; თხოვნა-მუდარისას მეორე პირი, ანუ მიმართვის ობიექტი, ხშირად ბავშვი ან მოხუცია, თუმცა არ გამოირიცხება სხვაც:

ა. ვადოჯღაბა, ჩქიმი ძღაბი ქორექიდა (ექსპ. მასალები) „არ დაჯღაბნო, ჩემი გოგო თუ ხარ".

ბ. ვაგოტახა, მა ქოგიორქიდა (ექსპ. მასალები) „არ გატეხო, მე თუ გიყვარვარ".

გ. ვაწმანწარა თე დიარა, ჩქიმი დიდა ქორექიდა (ექსპ. მასალები) „არ წამაშხამო ეს ქორწილი. ჩემი დედა თუ ხარ (= ჩვენი დედაშვილობის ხათრით)" და სხვ.

➢ *ვა- პოტენციალისის ფორმებთან შეესატყვისება ქართულ შესაძლებლობის ვერ-ს.*

სამეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია, რომ პოტენციალისის კატეგორია ქართველურ ენათაგან მეგრულშია ჩამოყალიბებული; იგი ეყრდნობა ვნებითის ყალიბს: ერთპირიანი ზმნები გადმოიცემა ი- – -ე, ხოლო ორპირიანები ა- – -ე კონფიქსით (Кипшидзе 1914:070; ჩიქობავა 1936:111-116; 1937:32-37). პოტენციალისის უარყოფითი ფორმის გამოსახატავად ზმნები დაირთავენ ვა- ნაწილაკს, რომელიც ქართული ვერ-ის ფარდია. „მეგრული არ და ვერ ნაწილაკებს ვერ განასხვავებს, რადგანაც

საჭირო განსხვავება ზმნაშია მოცემული“ (ქირია და სხვები 2015:623):

(12) **ვა-ჭარუნს** – არ წერს; (13) ***ვა-იჭარე** →***ვე-იჭარე** → **ვე-ეჭარე** – ვერ დაიწერება;

(14) **ვა-აჭარე** – ვერ დაწერს.

ვა- ნაწილაკი უცვლელია პოტენციალისის **ა- – -ე** კონფიქსიან რელატიურ ზმნებთან (იხ. მაგალითი (14)), ხოლო აბსოლუტურებთან, **ი- – -ე** კონფიქსის თავკიდურა **ი**-სთან მონაწილეობს ჯერ ნაწილობრივი რეგრესული ასიმილაციის, შემდეგ სრული პროგრესული ასიმილაციის ფონეტიკურ პროცესებში: იხ. მაგალითი (13); შდრ.: მაგალითი (10).

➢ *ნუ უარყოფითი ნაწილაკი* საერთოქართველურ დონეზე აღდგება (ფენრიხი, სარჯველაძე 2000:362-363)[1]. *ნ* თანხმოვნის შემცველი უარყოფითი ნაწილაკები ქართველურ და ინდოევროპულ ენათა მასალის მიხედვით განხილული და შეფასებულია ტიპოლოგიური კვლევის პერსპექტივიდან (იხ. თ. III: §1.4). *ნუ* მხოლოდ ზმნურ ფორმებთან გამოიყენება, დგას წინა პოზიციაში და გამოხატავს **აკრძალვას**. მისი ფონეტიკური ვარიაციებია: ნი, ნჷ (კარტოზია და სხვები 2010:307), *ნუმ, ნუმუ, ნჷმ, ნუმჷ* (ქაჯაია ტ. II). *ნუ* ნაწილაკი ძირითადად გამოიყენება აწმყო-მყოფადის ფორმებთან (კარტოზია და სხვები 2010:307; ქირია და სხვები 2015:744).

მაგალითები:

(15) **ნუ** გოშქურუ, მა ქიმგოხვარებუქია (ექსპ. მასალები) „*ნუ* გეშინია, მე მოგეხმარებიო“.

[1] განსხვავებული თვალსაზრისისთვის იხ. ქაჯაია II, 402-403, რომლის თანახმად, *ნუ* ნაწილაკი მეგრულში ქართულიდანაა ნასესხები; თვალსაზრისის გაზიარებისთვის იხ. ქირია და სხვები 2015:744.

(16) **ნგ** დოპილუნქგ დო ირი ჭუაშე დოგოსქილიდუანქია „*ნუ* მომკლავ და ყოველი ავადმყოფობისაგან მოგარჩენო“ (დან., ცან. 222, 39).

(17) ირო სი **ნი**რაგადანქ (ექსპ. მასალები) „სულ შენ *ნუ* ლაპარაკობ“.

(18) **ნი**ჩხუბენთ, მა ქომომირჩქიეთ აშო (ექსპ. მასალები) „*ნუ* ჩხუბობთ, მე მომისმინეთ აქეთ“.

შენიშვნა 3: *ველზე მოპოვებული მასალების მიხედვით, ნუ ნაწილაკის პარალელურად ნი ფონეტიკური ნაირსახეობა დასტურდება აღმოსავლურ არეალში, კერძოდ, მარტვილის რაიონის ბარის სოფლებში.*

ამავე არეალის ინფორმატორებმა ნუ ნაწილაკის აქამდე უცნობი ნა ფორმა დაგვიდასტურეს კონკრეტულად ერთ ფრაზაში: ვააკო-და, ნააკო „არ უნდა-და, ნუ უნდა“. ვფიქრობთ, ნა ფორმა შექმნილია ვა- ნაწილაკის ანალოგიით.

ლ ა ზ უ რ შ ი, მეგრულის მსგავსად, დასტურდება უარყოფითი ნაწილაკის სრული და გამარტივებული პარალელური ფორმები: **ვარ, ვა** – ქართ. **არა, არ**, თუმცა, მეგრულისგან განსხვავებით, ისინი თავისუფლად მონაცვლეობენ როგორც სახელურ, ასევე ზმნურ ფუძეებთან:

➢ *ვა- / ვარ- ნაწილაკით ნაწარმოები სახელური ლექსიკური ერთეულები:*

(19) **ვა**მსქვა „ულამაზო“ (თანდილავა 2013, 274).

(20) **ვა**მთინი „არასწორი“ (ექსპ. მასალები).

(21) **ვარ** ჭკომერი „უსმელ-უჭმელი, უზმო“ (ქართ.-მეგრ.-ლაზ.-სვან.-ინგლ. ლექსიკონი 2015,198).

(22) **ვარ** გიუნახი „უცოდველი“ (ქართ.-მეგრ.-ლაზ.-სვან.-ინგლ. ლექსიკონი 2015,203).

(23) მითი **ვარ** „არავინ“; (24) სოთი **ვარ** „არსად“.

➢ *ვა- / ვარ-* *ნაწილაკი ზმნურ ლექსიკურ ერთეულებთან* ძირითადად ცალკე იწერება, იშვიათად – ზმნასთან ერთად; მაგალითები:

(25) ლაზუტი... **ვარ** ორტუ „სიმინდი არსად არ იყო“ (კარტოზია 1970, 219) (თანდილავა 2013).

(26) ჩქვა სოთქსანი **ვარ** ულუნ „მეტი არსად არ მიდის (ჩიქობავა, ჭანურის გრამატ. ანალიზი, გვ. 82) (თანდილავა 2013).

(27) სოთიქსანი **ვარ** ოშქუმეს „არსად არ უშვებს“ (კარტოზია 1970,162) (თანდილავა 2013).

(28) მა თქვანისთეი ფოთონი **ვა** მიღუნია „მე თქვენნაირი ფეხსაცმელი არა მაქვსო“ (კარტოზია 2008, 68, №23).

(29) მოხთეში, კულანი **ვა** ენ „რომ მოვიდნენ, გოგო არ არის (კარტოზია 2008, 69, №24).

ლაზურში **პოტენციალისის ფორმებს საზიარო ყალიბი აქვთ ვნებითებთან**. როგორც ივარაუდება, ლაზურის დღევანდელი ვითარება იყო ამოსავალი (ჩიქობავა 1937:37); მოგვიანებით გახდა შესაძლებელი ერთ წარმოებაში შეთავსებული ჩვეულებრივი ვნებითისა და პოტენციალისის სემანტიკათა დიფერენციაცია, რაც მეგრულში პოტენციალისის კატეგორიის ჩამოყალიბებით დასრულდა; ამიტომაც, პოტენციალისის ფორმებთან მეგრული *ვა* შეესატყვისება ქართულ *ვერ*-ს (მსჯელობა იხ. ზევით); ლაზურს მხოლოდ კონტექსტის მიხედვით შეუძლია განსაზღვროს ქართულ არ, ვერ ნაწილაკებთან სემანტიკური შესაბამისობა. ლაზურში „იჭვენ და აჭვენ ფორმები ვნებითსაც გამოხატავენ (= „იწვება“, „ეწვება“) და პოტენციალისსაც (=„შეუძლია დაიწვას“, „შეუძლია დაწვას“) (ჩიქობავა 1936:110-114; კარტოზია 2005:140):

(30) ვა იჭვენ „არ იწვება“ – ვა იჭვენ „ვერ იწვება“.

(31) ვა აჭვენ „არ ეწვება“ – ვა აჭვენ „ვერ ეწვება“ .

შენიშვნა 4: ლაზეთში ველზე მოპოვებულმა მასალებმა დაადასტურა სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება, რომ პოტენციალისის ფორმები უფრო მეტად ვნებითის ა – -ე წარმოების ყალიბით გადმოიცემა (იხ. კარტოზია 2005: 140).

ლაზურში დასტურდება ქართული არ და არც მნიშვნელობების მქონე **ნე** (თურქ. ne) და **ნე-თი** (თურქ.-ლაზ. ne-თი) (თანდილავა 2013:570; ქირია და სხვები 2015: 744).

ლაზ. ნე-თი „არც“, შდრ.: მეგრულ ვარ-თი „არც“.

მაგალითები:

(32) **ნე** სუმელური ვორე, **ნეთი** აბური (ყიფშიძე, ჭანური ტექსტები, გვ. 90) „არ(ც) სუმელადან ვარ, არც აბუდან“ (თანდილავა 2013,570).

(33) ჰამ დუნდას ჩქვა მუთუ **ვარ** უღუტუ, **ნეთი** უდონუტუ (უღენტი, ჭანური ტექსტები, გვ. 20) „ამ ქვეყანაზე არაფერი არ ჰქონდა, არც არავინ ჰყავდა“ (თანდილავა 2013, 570).

დასკვნები

I. **მეგრულში** *ვარ* დამოუკიდებელი უარყოფითი ნაწილაკია და ქართული არა-ს ფარდი:

ა. დიალოგური მეტყველების დროს; **ბ**. სხვათა სიტყვის ნაწილაკთან ერთად; **გ**. უარყოფითი ნაცვალსახელის / ზმნიზედის ალტერნატიულ ვარიანტებში (განუსაზღვრელობით ნაცვალსახელთან / ზმნიზედასთან); **დ**. ჩაკითხვის დროს.

ვარ „არა“ თანმხლებ სახელთან ან ზმნასთან ყოველთვის პოსტპოზიციაშია (შდრ.: (გ) და (დ) შემთხვევები.

ვარ „არა“ საპირისპირო – დადასტურების მნიშვნელობით გამოიყენება ჩაკითხვის დროს; მნიშვნელობის ცვლილება გამო-

იხატება სრული ფორმის ნაწილაკით, პოსტპოზიციითა და ინტონაციით (შდრ.: ქართულის „არა“ ამავე ფუნქციით).

ვა ვარ -ის გამარტივებული სახეა, ჩვეულებრივ ეფარდება ქართულ „არ“ ნაწილაკს, პოტენციალისის ზმნურ ფორმებთან გამოხატავს „*ვერ*“-ს.

სახელებთან და ზმნებთან **ვა-** უგამონაკლისოდ **უარყოფის გამომხატველი მარკერია** და მისი ჩამოყალიბების პროცესი დასრულებულია (შდრ.: ქართულს: *არ* სახელთან უარყოფის მაწარმოებელია, ხოლო ზმნასთან უარყოფის სემანტიკის ლექსიკური ერთეულია).

ნუ პრეპოზიციული ნაწილაკია, დასტურდება მხოლოდ ზმნასთან და გამოხატავს აკრძალვას. *ნუ* ნაწილაკი, ფონეტიკური ვარიაციების მიუხედავად, უარყოფის გამომხატველ ლექსიკურ ერთეულად მიიჩნევა (შდრ.: ქართულს).

II. ლაზურში *ვარ, ვა* მნიშვნელობით უტოლდება ქართულ არა, არ ნაწილაკებს. *ვარ* და *ვა* პარალელური ფორმებია და თავისუფლად მონაცვლეობენ როგორც სახელურ, ასევე ზმნურ ფუძეებთან; შესაბამისად, ლაზურში **ვარ || ვა უარყოფის გამომხატველ მარკერად ვერ ჩამოყალიბდა.**

ლაზურში დასტურდება ქართული *არ* და *არც* მნიშვნელობების მქონე **ნე** (თურქ. ne) და **ნე-თი** (თურქ.-ლაზ. ne-თი), შდრ.: მეგრული *ვარ-თი* „არც“.

1.3. უარყოფითი ნაწილაკების სისტემის მიმოხილვა სვანურ ენაში

სვანური ენა ქართველურ ენათა შორის უარყოფითი ნაწილაკებით ყველაზე მდიდარია. უარყოფით ნაწილაკთა და მათგან ნაწარმოებ სიტყვათა (უარყოფით ნაცვალსახელთა, ზმნი-

სართთა და კავშირთა) გავრცელების არე და მნიშვნელობა განსხვავებულია დიალექტების მიხედვით.

სპეციალური ლიტერატურის მიხედვით, უარყოფითი ნაწილაკები სვანურში, ქართულის მსგავსად, სამ ძირითად სემანტიკურ ჯგუფს ქმნიან: მარტივი უარყოფა, შესაძლებლობის უარყოფა და აკრძალვა. ჩვენი კვლევის შედეგად კი, შეიძლება გამოიყოს მეოთხე – ე. წ. კატეგორიული უარყოფის ნაწილაკები, რომლებიც ოპოზიციას ქმნიან ნეიტრალური მნიშვნელობის უარყოფის ნაწილაკებთან (დაწვრილებით იხ. თ.II: §4).

აგებულების მიხედვით სვანურში უარყოფითი ნაწილაკების ორი ჯგუფი გამოიყოფა: მარტივი, ერთმარცვლიანი ნაწილაკები და რთული, ორმარცვლიანი უარყოფითი ნაწილაკები; ნეიტრალური უარყოფის ნაწილაკებია: **დე, დო, დორ, დრშ, მრ, ნე, ნო, მჳმა, მამა, მჳდე, მადმა, მრმა, მრდე, მოდმა, დჳმა, დჳმამ, დჳსა, დრსა, დრმის, დრმა, დემე(გ)**...; შესაძლებლობისა: **დეშ, დოშ, დეშმა, დეშმამ, დეშსა...**, ხოლო **აკრძალვისა ნომ(ა), ნუმა, ნემა, ნრსა**...; ორმარცვლიანებში პირველი კომპონენტი აღნიშნული მარტივი ნაწილაკებიდან ერთ-ერთია, ხოლო მეორე – ნაცვალსახელი (შარაძენიძე 1946). თ. შარაძენიძის კვლევის მიხედვით, საკუთრივ უარყოფით ნაწილაკებს წარმოადგენს **მჳ – მრ, დე – დო, ნე – ნო**, რომლებშიც ხმოვნებს საკუთარი ფუნქცია მოეპოვებათ (იხ. ქვემოთ), შესაბამისად, მარტივი ნაწილაკებიც იშლება და, ამგვარად, უარყოფის აღმნიშვნელია **დ, მა** და **ნ** ელემენტები (შარაძენიძე 1946:315).

შესაძლებლობის უარყოფის ნაწილაკებში (**დეშ, დოშ, მჳდშ**) შესაძლებლობის სემანტიკას მეორე კომპონენტი – **-შ** ელემენტი განაპირობებს, რომელიც პოტენციალისის მაწარმოებლად ითვლება.

რთულ ნაწილაკებში განსხვავებული ხმოვნების მონაწილეობის მიხედვით განსხვავებულია ამ ნაწილაკთა **სინტაქსური**

ფუნქციები: „ა, ე ხმოვნიანები იხმარება მარტივსა, შერწყმულსა, რთულ თანწყობილსა და რთული ქვეწყობილის მთავარ თხრობით წინადადებებში, როდესაც ისინი არ შეიცავენ კავშირებითი კილოს ზმნას. ო ხმოვნიანები გვხვდება დამოკიდებულ წინადადებებში; აგრეთვე მარტივსა, შერწყმულსა, რთულ თანწყობილსა და მთავარ წინადადებებში, როდესაც ისინი თხრობითი არ არიან ან კავშირებითი კილოს ზმნას შეიცავენ“ (იქვე:325).

თუ გავითვალიწინებთ ჩვენ მიერ გამოყოფილ კატეგორიული უარყოფის გამომხატველ ნაწილაკთა ჯგუფს (იხ.თ.II: §4), მაშინ შეიძლება ითქვას, რომ, სხვა ქართველური ენებისგან განსხვავებით, სვანურში უარყოფითი ნაწილაკები არამარტო ფორმობრივად და სინტაქსური ფუნქციით განსხვავდებიან, არამედ სემანტიკური ჯგუფების მრავალფეროვნებითა და დიფერენცირებულობითაც. ამრიგად, უარყოფით ნაწილაკთა სიმრავლე სვანურში მხოლოდ დიალექტურ ვარიაციულობას კი არ უკავშირდება, არამედ მათ შორის განსხვავებაა აგებულების, სინტაქსური და სემანტიკური ფუნქციების, ასევე ზმნის მწკრივებთან მათი განაწილების მიხედვითაც.

1.3.1. უარყოფის ერთი ტიპი სვანურში

სვანურ ენაში უარყოფით ნაწილაკთა სიმრავლე, სპეციალურ ლიტერატურაში ხშირად ახსნილია მხოლოდ დიალექტური ვარიაციების არსებობით, რაც დაზუსტებას მოითხოვს.

თ. შარაძენიძემ თავის გამოკვლევაში, *„უარყოფითი ნაწილაკები სვანურში“*, პირველმა შემოგვთავაზა მათი ფუნქციური დიფერენციაცია: გამოყო ნაწილაკების ორი რიგი, რომელთა შემადგენლობაში სხვადასხვა ხმოვანი მონაწილეობს და დაადგინა გარკვეული კანონზომიერება სხვადასხვახმოვნიანი ნაწილაკების სხვადასხვაგვარ წინადადებებში გამოყენების შესახებ

(იხ.ზემოთ). ეს მეტად მნიშვნელოვანი აღმოჩენა ცხადყოფს, რომ სვანურ ენაში ერთი ტიპის (უარყოფით) ნაწილაკთა სიმრავლე მხოლოდ დიალექტური ვარიაციების არსებობით არ აიხსნება და შესაძლებელია მათი კლასიფიკაცია ფუნქციურადაც. თ. შარაძენიძე ასევე შენიშნავს, რომ ***შესაძლოა შემჩნეული ვერ იქნეს თითოეული ნაწილაკის მნიშვნელობის ყველა ნიუანსი, რომელიც ამა თუ იმ ნაწილაკს შეიძლება ახლდეს ამა თუ იმ კილოში*** (იქვე:289).

თ. შარაძენიძის ამ შენიშვნის რეალურობა დაადასტურა ჩვენმა კვლევამაც; დადგინდა, რომ თუნდაც ერთი და იგივე ხმოვნიანი საანალიზო ნაწილაკების თავისუფალი ჩანაცვლება ენაში არ ხდება; მაგალითად, ***მჳმ მაკუ*** და ***მჳდ მაკუ*** „არ მინდა“ სვანურში სტილურადაც და ფუნქციურადაც განსხვავებული სინტაგმებია. მიუხედავად იმისა, რომ, ერთი შეხედვით, პირველიც და მეორეც ქართული *არ/არა* ნაწილაკიანი კონსტრუქციის მსგავსია, განირჩევა მათი კატეგორიულობის ხარისხი: პირველ შემთხვევაში ის ზედმიწევნით შეესაბამება ქართულ განმარტებას („არ მინდა“), მეორე შემთხვევაში კი გადმოქართულებისას წინაპირობის ან ვრცელი კონტექსტის პირობებშიც კი რთულია ზუსტი შესაბამისობის მიღწევა: ეს არის ისეთი უარყოფა, როდესაც სუბიექტს შეგნებულად, პრინციპულად არ სურს (/არ სურდა) ამა თუ იმ მოქმედების შესრულება, ანუ **ხაზგასმულია სუბიექტის ნების უქონლობა, მისი კატეგორიული უარყოფითი დამოკიდებულება მოქმედების შესრულებისადმი**; მაგალითად:

(1) *[ჯაშავს აყმურზაშდ] თეფ მადე ლოჰოდა*[1] (სვ. ენის ქრესტ. 1978,184,35) „ჯაშავს აყმურზასთვის თოფი **არ მიუცია**“

[1] სვანური ენის მასალა, წყაროს მითითების გარეშე, ამოღებულია TITUS-ის მონაცემთა ელექტრონული ბაზიდან.

გულისხმობს იმას, რომ ჯაშავმა განგებ არ მისცა თოფი, წინააღმდეგობა გაუწია სხვის ნებას; ასევე,

(2) ლათ ექიმთე ***მადე ოდერ*** (ბქ.) (ექსპ. მასალები) – „გუშინ ექიმთან **არ წავედი**“; უბრალოდ არწასვლის ფაქტი კი არ არის აღნიშნული, არამედ იგულისხმება ქვეტექსტი, რომ მთავაზობდნენ, ძალას მატანდნენ, საჭიროება არსებობდა და მე, სუბიექტმა, შეგნებულად, პრინციპულად არ შევასრულე.

(3) *ეჩქა ნაჲ* ***მად ოთგაწნდ*** (სვ. პრ. ტ. I, 1939,38,9) „მაშინ ჩვენ არ გავჩერდით“.

(4) *სორთმანს ეჯჟი ათვაშგდენა, ერე სამ ლეთ-ლადელ ლაყვრახენჟი* ***მად ოლგენელი*** (სვ. პრ. ტ. II, 1957,13,25) „სორთმანს ისე სწყენია („უუკადრისია“), რომ სამ დღე-ღამეს საწოლიდან **არ ამდგარა**“.

მოცემულ კონტექსტებში უარყოფა კატეგორიულია. მათში *მჳმ/დემეგ* ნაწილაკთა ჩანაცვლებით ძირითადი შინაარსი შედეგის თვალსაზრისით არ შეიცვლება, აზრი გასაგები იქნება, მაგრამ დაიკარგება კატეგორიულობის, სუბიექტის ნების ხაზგასმა, დაიჩრდილება ნიუანსი, რომლის მიხედვითაც ვიგებთ, რომ სუბიექტს სხვისი თხოვნის, ნების, ან, უბრალოდ, სათანადო მოქმედების წინააღმდეგ უწევს კატეგორიულობის გამოჩენა.

ნეიტრალური უარყოფის გამოხატვის თვალსაზრისით კიდევ უფრო შეზღუდულია და მკაცრად კატეგორიულია ***დჷემ*** და ***დჷემის*** ნაწილაკები; მათ შორის განსხვავება ის არის, რომ ზმნის აწმყოს ფორმასთან გამოყენებისას ***დჷემ*** ნაწილაკიანი ზმნა ზოგადი აწმყოს მნიშვნელობითაა, ***დჷემის*** ნაწილაკიანი იგივე ზმნა კი მყოფადის მნიშვნელობას იღებს:

(5) *ალ ჭყინტ ლაჲრაწლს* ***დჷმ იჭუდაწნი*** *ი მაჲ დო ხუჩაყრი, მჳმ მიხა! (ბზ.)* *„ეს ბიჭი წიგნებს* ***არ კითხულობს*** *და რა ვუყო, არ ვიცი!“* (ექსპ. მასალები), შდრ.:

(6) *დემ იჭუდჱნი, მარე მიდ დემის ხუაკედ ჰაჯს! (ბზ.) „არ კითხულობს მაგრამ მეც არ მოვეშვები!“*

(7) *ლჲდი დემეგ ხუაშდბა, ლჲდი ხუიშუმინე (ბქ.) „დღეს არ ვმუშაობ, ვისვენებ“*, შდრ.:

(8) *ლჲდი დემის ხუაშდბა, ლიგერგი ლი ი მადე შიდ! „დღეს არ ვიმუშავებ, გიორგობაა და არ შეიძლება!“*

(9) *ბეფშ ლეღუს დემეგ იზბი (ბქ.) „ბავშვი ხორცს არ ჭამს“* (ზოგადად არ ჭამს ხორცს),

შდრ.:

(10) *ბეფშ ლეღუს დემის იზბი, მოლე იშგენ ოლსყად (ბქ.) „ბავშვი ხორცს არ შეჭამს* (კონკრეტულად ამ შემთხვევაში არ შეჭამს), *რამე სხვა გავაკეთოთ“*.

საყურადღებოა, რომ საანალიზო ნაწილაკს, მსგავსად შესაძლებლობის „ვერ“ ნაწილაკისა, ვერ იგუებენ საკუთრივ ინვერსიული ზმნები, რომლებშიც სუბიექტის ნება შესუსტებულია; მაგალითად, ანომალიურია სვანურისთვის სინტაგმა *დემის მალაჭ (შდრ.:* ქართულის ვითარება, რომელშიც, ჩვეულებრივ, არ ითქმის „ვერ მიყვარს“), თუმცა შესაძლებელია *მჳდ მაკუ „არ მინდა“*, რადგან, როგორც აღვნიშნეთ, *მჳდ/მადე* ნაწილაკი, *დჳემის*-თან შედარებით, სიტუაციის მიხედვით ნაკლებკატეგორიულია.

ინფორმაციის სტრუქტურირების თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია ის, რომ *დჳმის / დემის* ნაწილაკით, **სუბიექტის ნების უქონლობასთან ერთად, გამოხატულია ინფორმაციის შესახებ მთქმელის დარწმუნებულობის, ინფერენციის მაღალი ხარისხიც** (როცა მთქმელი და გრამატიკული სუბიექტი სხვადასხვაა), რაც ასევე საფუძველია უარყოფის კატეგორიულობისა.

მაშასადამე, მონათესავე ენებისგან განსხვავებით, *სვანურ ენას აქვს შესაძლებლობა არა კონტექსტუალურად ან მხო-*

ლოდ ინტონაციით, არამედ ფორმობრივადაც განასხვაოს ნეიტრალური უარყოფისგან კატეგორიული უარყოფა.

ამ მოსაზრების სასარგებლოდ გამოვლინდა **ერთი საინტერესო კანონზომიერება**: *მოშ* ნაწილაკი, რომელიც ნეგატიურ კონსტრუქციაში სწორედ ნეიტრალურ უარყოფით ნაწილაკებთან ერთად ქმნის პოტენციალისის გაგებას და განაპირობებს შესაძლებლობის დაშვება-დაუშვებლობის სემანტიკას, არ ეხამება საანალიზო ნაწილაკებს (*მ̌ჳდ/მადე, დ̌ჳემის...*). *მოშ* ნაწილაკის კატეგორიული უარყოფის გამომხატველ ნაწილაკებთან შეუთავსებლობის საფუძველი ნათელია: კატეგორიულობა და შესაძლებლობა ერთმანეთთან არათავსებადი ცნებებია! ეს კი, ვფიქრობთ, საკმაოდ მყარი არგუმენტია იმის დასადასტურებლად, რომ სვანურში ნეიტრალურ უარყოფით ნაწილაკებად წოდებული ჯგუფის დაყოფა სემანტიკური ნიშნით – *კატეგორიულობა : ნეიტრალურობა* და, შესაბამისად, ნეიტრალური, შესაძლებლობის და აკრძალვითი უარყოფის გვერდით, უარყოფის მეოთხე ტიპის – ***კატეგორიული უარყოფის*** გამოყოფა მიზანშეწონილია. უარყოფის ეს სახე, ვრცელი კონტექსტისგან დამოუკიდებლად, ფორმობრივად (ნაწილაკთა მხოლოდ ერთი ჯგუფის გამოყენებით) განირჩევა დანარჩენთაგან.

1.3.2. მოქმედების შესაძლებლობის უარყოფის გამოხატვის საშუალებათა შედარებით-შეპირისპირებითი ანალიზი ქართულ და სვანურ ენებში

მოქმედების შესაძლებლობის შეზღუდულობას ქართულში გამოხატავს უარყოფითი ნაწილაკი „ვერ“, სვანურში კი ამ სემანტიკის მისაღწევად ორი სხვადასხვა ნაწილაკი გამოიყენება: *დეშ (თავისი ფონეტიკური ვარიაციებით სხვადასხვა დიალექტში)* „ვერ“ და *მოშ*, რომელსაც დამოუკიდებლად მნიშვნელობა არ მოეპოვება.

ამათგან ძირითადია *დეშ*, რომლის რამდენიმე ვარიანტი დასტურდება როგორც ერთსა და იმავე დიალექტში, ასევე სხვადასხვა კილოსა თუ კილოკავში; ესენია: *დეშ, დოშ (ბზ.; ქსვ.), მადშ, მაჩ / მაჩ, მადჩ / მათშ, მაჰჩ, მაჩშ (ლნტ.), დეშსა, დეშმა, მეშმამ (ლშხ.)*. აღნიშნული ელემენტები ერთმანეთის ალომორფებია, მათი განაწილება დიალექტების მიხედვით სხვადასხვაგვარია – ზოგი ნაწილაკი მხოლოდ ერთ კილოში გვხვდება, ზოგი კი ორი ან სამი კილოს კუთვნილებაა, მხოლოდ ***დეშ*** დასტურდება ოთხივე დიალექტში.

ნეიტრალური უარყოფის გამომხატველ ნაწილაკთა მსგავსად, ფუნქციურად აქაც გამოიყოფა ნაწილაკების ორი რიგი, რომელთა შედგენილობაში სხვადასხვა ხმოვანი მონაწილეობს (ე̄/ე – ო̄/ო) და მოქმედებს გარკვეული კანონზომიერება სხვადასხვახმოვნიან ნაწილაკთა განაწილების თვალსაზრისით განსხვავებული მოდალობისა და აგებულების წინადადებებში (იხ. ამავე თავში §1.3.1).

მაგალითები[1]:

*(1) **დეშ** ჯიბაჟახ აბჯრიშ ჩიჩხილდ! (ბზ.)* „**ვერ** გაგიგიათ აბჯრის ხმაური!“

*(2) მურზას ალა **დეშ** ხობაჟა (ბზ.)* „მურზას ეს **ვერ** გაუგია“.

*(3) ჭყინტს აჯალ ათყალჳნდა: „იმე როქ ათჳპეჟ ეჯკალიბ აგის, ერე ამნემ ჩუ **დოშ** ემწჳნე?!“ (ბზ.)* „ბიჭს კვლავ შეეშინდა: „სად დავიმალო ისეთ ადგილას, რომ ამან **ვერ** დამინახოსო?!“

*(4) ხოჩა მებურჯალს ი ხოჩა ლუმუჭვ ჯანარს ნადირ **დეშსა** ხობდავი ქალიშგებს (ლშხ.)* „კარგ მებრძოლ და კარგ რქიან ხარებს ნადირი **ვერ** უბედავს შეტაკებას“.

[1] სვანური ენის მასალა, წყაროს მითითების გარეშე, ამოღებულია TITUS-ის მონაცემთა ელექტრონული ბაზიდან.

ზოგიერთი მათგანი, მსგავსად ნეიტრალური უარყოფის გამომხატველი ნაწილაკებისა, სხვადასხვა დიალექტში ნაცვალსახელადაც გვხვდება; მაგალითად,

დეშმა:

ა. უარყოფითი ნაწილაკი „**ვერ**“ (ლშხ.)

(5) დაჳს ***დეშმა*** *ხოყრრა ჟიქანჩუ დოლობშირა (ლშხ.)* „დევს **ვერ** დაურტყამს ზევიდან წისქვილის ქვა“, შდრ.:

ბ. უარყოფითი ნაცვალსახელი „**ვერაფერი**“ (ბზ., ლშხ.):

(6) მიჩა მუს ესერ ***დეშმა*** *ხრქუა (ბზ.)* „მამაჩემს („მამამისს“) **ვერაფერი** უთქვამსო.

ქვემოსვანურ დიალექტებში საანალიზო ნაწილაკების **ა/ჳ**-ხმოვნიანი ფორმებიც გვხვდება, რომლებიც ფუნქციურად **ე** ხმოვნიანებს მისდევენ:

(7) ჳმეჩედ მიხეილ ი ***მჳდშ*** *ათოკარა ყორვჳლ (ლნტ.)* „წასულა მიხეილი და **ვერ** გაუღია კარები“.

(8) ალეს მჳგ მეკედე ასოხვიდა მიჩა ქორჳ მარე ი ეჩოხ ***მჳდჩ (/მჳდშ)*** *ატახ (ლნტ.)* „ამას ყველა მოსული დაუხვდა თავისი ოჯახის წევრები და იქით **ვერ** დაბრუნდა“.

დეშ ნაწილაკისა და მისი ალომორფების ფუნქცია და ადგილი კონსტრუქციაში სრულად შეესაბამება ქართული ენის სათანადო მონაცემებს, რასაც ვერ ვიტყვით *მოშ* ნაწილაკზე.

როგორც აღვნიშნეთ, მოქმედების შესაძლებლობის უარყოფა სვანურ ენაში შესაძლებელია *დეშ* „ვერ“ ნაწილაკის მონაწილეობის გარეშეც, *მოშ* ნაწილაკიანი სტრუქტურით. აღნიშნული ნაწილაკი დამოუკიდებლად სემანტიკისგან დაცლილია და, შესაბამისად, არც ქართული შესატყვისი ეძებნება, თუმცა მისი ფუნქცია სხვადასხვა ენობრივ ერთეულზე, მათ შორის, კატეგორიული უარყოფის გამომხატველ ნაწილაკებზე, ნაცვალსახელებსა თუ ზმნიზედებზე დართვისას სწორედ მოქმედების შესაძლებლობის შეზღუდვის გამოხატვაა;

(9) ვარლამ მარგიანიშცაპლ ნანგუმის ***დარმოშ*** *ლემკიდუნ შუბნისგა მიჩა ცაპლ (ბქ.)* „ვარლამ მარგიანისოდენა სიმძიმეს **ვერავინ** სწევდა /„იღებდა“ თურმე სვანეთში მისი ტოლი“ (ექსპ. მასალები), შდრ.: ***დარ*** ლემკიდუნ **„არავინ** იღებდა“.

(10) ***დედ*** *ლეცქა* ***მოშ*** *ომჩედელიხ ი ჩელტიშ ბოგსი* ***დეშ*** *ათმუნდენახ (ბქ.)* „ვერც წყალზე გადასულან და ჩელტის ხიდსაც **ვერ** ენდნენ თურმე“ /„ვერ ნდობიან“.

(11) ***დედ*** *ჯი ესერ* ***მოშ*** *იქოცინე ი* ***დედ*** *მიჩ ესერ ხექოცინი (ბქ.)* „**ვერც** მე აგიკიდებ და **არც** შენ აგეკიდებიო“.

(12) ლუშნუ ***დემჟიმოშ*** *მეშყდენი! (ლშხ.)* „სვანურს **ვერაფრით** ვიხსენებ“ /„მახსენდება“!

(13) ფაყუ ლი ეჭკაპლი, ერ ჟ'აბგემხი, ქა ***დარმოშ*** *ჯეწედენი (ლნტ.)* ქუდია ისეთი, რომ დაიხურავ, **ვერავინ** დაგინახავს.

აღსანიშნავია, რომ *მოშ* გვხვდება როგორც უარყოფით, ისე დადებით წინადადებებში. დადებით კონტექსტში ის გვხვდება *(ჰ)ე* „თუ“ ნაწილაკთან ერთად და *თუკი*-ს გამოხატავს, ამიტომაც განსაკუთრებით ხშირად გამოიყენება პირობით დამოკიდებულ წინადადებაში:

(14) ალ გუბეშს ჩუ (ჰ)ე-მოშ ოთრიგუბისგ, ღოლაქს ხუბაღსენი! (ბქ.: ექსპედ. მასალები) „ამ საქმეს **თუკი მოვაგვარებ** (იგულისხმება: თუ შევძლებ მოგვარებას), ცხვარს დავკლავ!“

თ. შარაძენიძე ***მოშ*** ნაწილაკის **შ** ელემენტსა და მოქმედების შესაძლებლობის უარყოფის გამომხატველ ნაწილაკთა *(**დეშ**, **დოშ**, **მაჲდშ**...)* შემადგენელ **შ**-ს ერთმანეთთან აიგივებს და აღნიშნავს, რომ ამ ნაწილაკებში მოქმედების შესაძლებლობის სემანტიკა შეაქვს **შ** ელემენტს (შარაძენიძე 1946:314).

ამრიგად, ***მოშ*** შესაძლებლობის ნაწილაკის ფუნქცია ორგვარია:

ა) *მოქმედების შესაძლებლობის გადაჭრით* (/კატეგორიულად) *უარყოფა*: როცა *მოშ* ნეიტრალური უარყოფის გამომხატველ ნაცვალსახელს ან ზმნიზედას ერთვის; ასეთ დროს მას თავისუფლად ჩაენაცვლება *დეშ* („ვერ“) ნაწილაკიანი ფორმები: *დარმოშ || დეშმარ „ვერავინ“, მამგუნეშმოშ || დეშმა(გუნეშ) „ვერაფერი“. დემგუამშმოშ || დეშიმგუნაშ „ვერაფერს“...*;

ბ) *მოქმედების შესაძლებლობის, შესრულებადობის საეჭვოობის გამოხატვა (/ეჭვქვეშ დაყენება)*: როცა საანალიზო ნაწილაკი უარყოფით ნაცვალსახელთან ან ზმნიზედასთან კომბინაციის გარეშეა; ასეთ შემთხვევაში მისი ადგილი კონსტრუქციაში თავისუფალია, თუმცა ყოველთვის ზმნა-შემასმენელს მიემართება: *ხიჩო-მოშ? „გააკეთებ თუ ვერ? / შეძლებ გაკეთებას?“* (შდრ.: *ხიჩომა? „გააკეთებ? გააკეთებ თუ არა?“*)...;

ეს უკანასკნელი მნიშვნელობა განსაკუთრებით გამოკვეთილია ჰე/ე „თუ“ ნაწილაკთან ერთად გამოყენებისას: მათი კომბინაცია იძლევა „თუკი“ საეჭვოობა-სავარაუდოობის ნაწილაკის სემანტიკას და ძირითადად ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში გვხვდება:

*(15) ქორთე დრეუჟი (ჰ)ემოშ[1] ოლტხენიდ, ჩიგუნაშ ქალოჩ-შედ „სახლში დროზე **თუკი** დავბრუნებით (= თუ შევძლებთ დაბრუნებას), ყველაფერს მოვასწრებთ“.*

[1] ვფიქრობთ, ამ ნაწილაკის დაწერილობის საკითხი გადასახედია. ჩვენი აზრით, იმ შემთხვევაში, თუკი *-მოშ* ნაწილაკი უშუალოდ მოსდევს სიტყვას (ძირითადად, ზმნას), რომელსაც იგი მიემართება, ასევე მისი მონაწილეობით მიღებულ პირობითობის ნაწილაკს (*ჰე-მოშ* „თუკი“), ნაცვალსახელებსა და ზმნიზედებს, ის უნდა დაიწეროს შერწყმულად, ხოლო, თუ მისამართ სიტყვასა და საანალიზო ნაწილაკს შორის სხვა ენობრივი ერთეულებია მოქცეული (რაც არც თუ იშვიათია, რადგან მისი ადგილი მყარი არ არის წინადადებაში და ხშირად ტმესის სურათს ქმნის), მაშინ უნდა დაიწეროს ცალკე. **შევნიშნავთ**: გარდა იმისა, რომ ნაწილაკი *მოშ* სემანტიკისგან დაცლილი ენობრივი ერთეულია, იმ

სპეციალურ ლიტერატურაში ვხვდებით მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც *მოშ* ნაწილაკს ორმაგ უარყოფას უკავშირებენ: „სწორედ **მოშ** ნაწილაკი დაერთვის უარყოფით ზმნისართებსა და უარყოფით ნაცვალსახელებს და მხოლოდ და მხოლოდ ამ გზით გამოიხატება ორმაგი უარყოფითი ფორმები, მაგ: **დარდმოშ** ჩუემინ (ბქ.) „ვერავინ ვერ გააკეთა“, **მანგუშმოშ** ენმეკრე (ბქ.) „ვერაფერი ვერ გაიგო“, **დემჟიმოშ** ონჯუედ (ჩოლ.) „ვერაფრით ვერ მოვედი“ (შავრეშიანი 2010:182). ეს მოსაზრება, ჩვენი აზრით, არ შეესაბამება რეალურ ვითარებას, ვინაიდან საანალიზო ფორმათა სტრუქტურაც და შესაძლებლობის სემანტიკის თვალსაზრისით ნეიტრალურ უარყოფით ფორმებთან შედარებაც ცხადყოფს, რომ ეს არის სტრუქტურა *„ნეიტრალურ უარყოფით ნაცვალსახელს ან ზმნისართს + შესაძლებლობის ნაწილაკი“*, რაც წარმოშობს შესაძლებლობის შეზღუდვის სემანტიკას; გადმოქართულებისას მთქმელი ორმაგ უარყოფას გამოიყენებს თუ არა, ეს მხოლოდ სტილის საკითხია და მთქმელის გემოვნებაზეა დამოკიდებული:

*(16) **მანგუშმოშ** ენმეკრე (ბქ.) „ვერაფერი [ვერ] გაიგო“, შდრ.: **მანგუშ** ენმეკრე არაფერი [არ] გაიგო“.*

*(17) **დემჟიმოშ** ონჯუედ (ჩოლ.) „ვერაფრით [ვერ] მოვედი (=ვერ შევძელი მოსვლა)“, შდრ.: **დემჟი** ონჯუედ „არაფრით [არ] მოვედი“.*

*(18) **დარდმოშ** ჩუემინ (ექსპ. მასალები) „ვერავინ [ვერ] გააკეთა“ , შდრ.: **დარდ** ჩუემინ „არავინ [არ] გააკეთა“.*

ამრიგად, ცნობილი დებულება იმის შესახებ, რომ ორმაგი უარყოფა არასალიტერატურო ქართველურ ენებში, მათ შორის

დიალექტებში, სადაც გრძელი ხმოვნები არ არის, იგი ომონიმურია სრულმნიშვნელობიანი ლექსემისა „სხვაგვარი, სხვანაირი“ (*მოშ ფერიშ კაბ* „სხვა(ნაირი) ფერის კაბა“, *მოშ-მოშ* „სხვადასხვანაირი“), რომელიც, ცხადია, ყოველთვის ცალკე იწერება.

სვანურში, არ დასტურდება, მოცემულ შემთხვევაშიც არ არის საეჭვო.

დასკვნები

მოქმედების შესაძლებლობის უარყოფის გამომხატველი ნაწილაკების სემანტიკურ-ფუნქციურმა ანალიზმა და ქართული და სვანური მონაცემების შეპირისპირებამ საინტერესო ენობრივი სურათი წარმოაჩინა.

შეიძლება ითქვას, რომ ეს ენები, მიუხედავად მათი ერთიანი გენეტური წარმომავლობისა, მოქმედების შესაძლებლობის უარყოფის გამომხატველ ნაწილაკებთან დაკავშირებით განსხვავებულ სურათს გვიჩვენებენ:

1. მოქმედების შესაძლებლობის უარყოფას **ქართულში** გამოხატავს უარყოფითი ნაწილაკი **ვერ**, ხოლო სვანურში უარყოფითი ნაწილაკები – ***დეშ*** *(ზსვ.; ქსვ.),* ***დოშ*** *(ბზ.; ქსვ.),* ***მაშდშ, მაჩ / მაჩ, მაშდჩ / მაშთშ, მაშდჩ /მაშიჩ, მაჩჩშ*** *(ლნტ.),* ***დეშსა, დეშმა, მეშმამ*** *(ლშხ.).*

2. სვანურში მოქმედების შესაძლებლობის უარყოფის გამომხატველ ნაწილაკთა მრავალფეროვნების ორი მიზეზი გვაქვს:

ა. ფონეტიკური ვარიაციები;

ბ. ფუძეში ხმოვანმონაცვლეობით (დეშ/დოშ) სინტაქსური ფუნქციის შეთავსება, რაც ასევე დამახასიათებელია ნეიტრალური უარყოფის ნაწილაკთათვის; კერძოდ, ფუძეში *ო* ხმოვნიანი ფორმა *(ჰ)ე, ლახ(ე)* „თუ“ ნაწილაკთან კომბინაციაში ან უმისოდ ასრულებს მაპირისპირებელი კავშირის ფუნქციას და ასე აკავშირებს დამოკიდებული წინადადებას მთავართან, რისი უნარიც დანარჩენებს არა აქვთ. ამითაა განპირობებული თითოეული მათგანის განსაზღვრულ კონტექსტში გამოყენების აუცილებლობა.

3. შესაძლებლობის უარყოფის გამომხატველი ნაწილაკის ადგილი ქართულში მყარია, ის ყოველთვის წინ უძღვის ზმნას, ხოლო სვანურში ამ ნაწილაკის ადგილი არ არის მყარი, ის შეიძლება უსწრებდეს ზმნას ან მოსდევსდეს (*ჯა ა̈ცხრი დეშ ი იშგან ხაბრა̈ლი* „თვითონ **იგებს ვერა** და სხვას აბრალებს“).

4. ქართულისგან განსხვავებით, სვანურს აქვს შესაძლებლობის უარყოფის ალტერნატიული საშუალება *მოშ* ნაწილაკის სახით, რომელიც გამოიყენება ნეიტრალური უარყოფის ნაწილაკებთან (ნაცვალსახელებთან, ზმნიზედებთან...) ერთად და ასე გამოხატავს საანალიზო სემანტიკას. *მოშ* ნაწილაკი ერთ შემთხვევაში, ნეიტრალურ უარყოფით ნაცვალსახელზე ან ზმნიზედაზე დართვისას, იმავე სემანტიკას ანიჭებს კონსტრუქციას, რასაც *დეშ* („ვერ“) ნაწილაკი, ხოლო, ნეიტრალური უარყოფითი ნაწილაკის, ნაცვალსახელის / ზმნიზედის გარეშე, ის **განაპირობებს არა მოქმედების შეუძლებლობის სემატიკას, არამედ ამ მოქმედების შესაძლებლობის, შესრულებადობის საეჭვოობას**.

1.4. „ნ“ თანხმოვნის შემცველი უარყოფითი ნაწილაკების შესახებ ქართველურ და ინდოევროპულ ენებში (ტიპოლოგიური კვლევის პერსპექტივა)

ჰაინც ფენრიხისა და ზურაბ სარჯველაძის ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონის მიხედვით უარყოფითი ნაწილაკი **ნუ** საერთოქართველურ დონეზე აღდგება. ავტორები აღნიშნავენ, რომ ქართულ-სვანური მასალა შეაპირისპირა თ. შარაძენიძემ, მეგრული ეკვივალენტი გამოავლინა კ. ჰ. შმიდტმა, ხოლო საერთოქართველური ფუძე ენისათვის ***ნუ** არქეტიპი აღადგინა გ. კლიმოვმა (ფენრიხი, სარჯველაძე 2000:362-363).

ნუ ნაწილაკის საერთოქართველური ფუძე ენის დონისათვის აღდგენა საინტერესო პერსპექტივას შლის სხვადასხვა ოჯახის ენათა ურთიერთობის კვლევის თვალსაზრისით. კავკასიურ ენებსა თუ ქართველურ ენათა მოსაზღვრე თურქულ[1], აზერბაიჯანულ და სხვა ენებში **ნ** თანხმოვნის შემცველი უარყოფითი ნაწილაკი ჩვენთვის უცნობია.

თუმცა, საგანგებოდ უნდა შევჩერდეთ ჩრდილო კავკასიურ ენებზე. იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის სხვა ჯგუფებში უარყოფის წარმოების სურათი ჭრელია, ზოგ ენაში არის უარყოფითი ნაწილაკები, ზოგი ენა კი ზმნური ფორმით გამოხატავს უარყოფას. **ნ** ფონემა, როგორც უარყოფის მაწარმოებელი აფიქსი ან ამგვარი აფიქსის ნაწილი, ქართველური ჯგუფისაგან განსხვავებით, ამ ენებში ძირითადად არ დასტურდება.

ზოგადად წარმოვადგენთ სურათს:

აფხაზურ-ადიღეური ჯგუფის ენებში უარყოფის მაწარმოებლად ძირის სახით გვაქვს საერთო კავკასიური უარყოფის ელემენტი **მ**, რომელიც ხან ზმნის თავში დაისმის, ხან – ბოლოში, უარყოფითი ნაცვალსახელები და ზმნიზედები კი ამ ენებში საერთოდ არ არსებობს. მათ მნიშვნელობას გადმოსცემენ დადებითი ნაცვალსახელები და ზმნიზედები უარყოფით ფორმაში მდგომ ზმნასთან ერთად (იმნაიშვილი 1953:53-73). **-ნ**-ს შემცველი ერთადერთი სუფიქსი ადიღეურ ენებში არის **-ნჩა**, რომელშიც **ნ** ფონეტიკურად განვითარებულად ითვლება.

ნ ბგერასთან დაკავშირებით მსგავსი ვითარებაა ნახურ ენებშიც; მაგალითად, ბაცბურში (წოვა-თუშურში) უარყოფას კვლავ **მა-** ფორმანტი გამოხატავს როგორც სახელში, ასევე ზმნაში: **მა**-მენა „არავინ“, **მა**-მ „ნურაფერი“, **მა**-დო „ნუ აკეთებ“, **მა**-ღო „ნუ წახვალ“ და სხვ.

[1] თურქული ენების შესახებ მონაცემების გაზიარებისათვის მადლობას მოვახსენებთ ჩვენს კოლეგას მარიკა ჯიქიას.

ჩეჩნურში უარყოფითი ნაწილაკებია **მა, ца**: „არ“: **მა** **ӀӀӧрд**[ӀӀ] „არ მიდის“, **ца лоӀӀъ**[ӀӀ] „არ თამაშობს“...

მსგავსი ვითარებაა **ნ**-ს დადასტურების თვალსაზრისით დაღესტნურ ჯგუფშიც: მაგალითად, ლეზგიურ ენებში უარყოფის სემანტიკას ატარებს **დ** ელემენტი, რომლის ფონეტიკური ვარიანტებია: **რ, ჲ, ჯ, ჩ, თ, თ**ₒ; შდრ. სვან. **დ**; აფხაზ. **დ** (Магомедов 1965); დიდოურ ენებში უარყოფის მორფემა არის **-ჭი** (ნამყოს აბსოლუტივში **-ჭეჲ**: **ნეხ-ენ-ჭეჲ / მეხ-ინ-ჭეჲ** „არ მოსულა რა“); მართალია, ზოგიერთ თქმაში მის წინ ჩნდება **-ნ, -ენ, -ინ** ელემენტები, მაგრამ ჩვენს საანალიზო საკითხთან მიმართებით ვითარება არ იცვლება, ვინაიდან ეს ელემენტები მხოლოდ ზოგიერთი თქმის სპეციფიკას უკავშირდება და არა უარყოფის წარმოებას.

ერთადერთი ენა, რომელშიც სხვა უარყოფით ნაწილაკთა შორის დასტურდება **ნუ- / ნუთ-** ელემენტი, არის უდიური ენა; ამ ენაში უარყოფითი ნაწილაკები (**-თე** (არ), **ნუ** (არ), **მა** (ნუ, არ), **ნა̈** (რომ, არ), **ნუთ** (არ, არა)) უარყოფას გამოხატავენ ზმნაში და გაქვავებული სახით გვხვდებიან სახელშიც. **ნუ** ნაწილაკის გამოყენების არე ვართაშნულ დიალექტში შეზღუდულია, იგი მხოლოდ I კავშირებითთან გამოიყენება და აქვს ქართული „არ“ ნაწილაკის მნიშვნელობა (**ნუ ბან** „არ აკეთო“), ხოლო ქართულ „ნუ“-ს ამ ენაშიც **მა** ნაწილაკი გამოხატავს (**მა ბა** „ნუ აკეთებ“); რაც შეეხება **ნუთ** ნაწილაკს, როგორც სპეციალურ ლიტერატურაშია აღნიშნული, ის „რთული აგებულებისაა და იშლება ასე: **ნუ-თ**, რაც მიღებული უნდა იყოს **ნუ** და **თე** ნაწილაკთა კომბინაციით: **ნუთ** < ***ნუ-თე**. **უ** ხმოვნის გავლენით ეს ნაწილაკი შეიძლება ასეც იცვალოს: **ნუთ** > **მუთ**; მაგალითად, **ნუთ ესუნ** || **მუთ ესუნ** „არ მოსვლა“, „მოუსვლელობა“... ნაწილაკი სახელთანაც გამოიყენება, ოღონდ პოსტპოზიციურ ელემენტად; მაგალითად, **ნანა-ნუთ** „უდედო, უდედოდ“, **კოჯ-მეც-ნუთ** „უსახლკარო, უსახლკაროდ“; როგორც ამ სიტყვათა თარგმანიდანაც

ჩანს, უდიურ **ნუთ** ნაწილაკს სახელთა ფუძეებთან გამოყენების დროს აქვს ქართული **უ – ურ** პრეფიქს-სუფიქსის მნიშვნელობა“ (ჯეირანაშვილი 1971:100).

ვფიქრობთ, უდიურის ეს ერთადერთი მონაცემი საერთო სურათს ვერ ცვლის: **ნ** ელემენტი უარყოფის მაწარმოებლად იბერიულ-კავკასიურ ენათა სამ ჯგუფში (აფხაზურ-ადიღეური, ნახური, დაღესტნური) საერთო მონაცემად, ცხადია, ვერ ჩაითვლება (განსხვავებით მ/მა ელემენტისგან), რომელიც უარყოფის გამომხატველი საერთოკავკასიური (ქართველური ენების ჩათვლით!) ნაწილაკია. უდიურში **ნუ-/ნუთ-** ელემენტის არსებობა შესაძლებელია ქართველურის გავლენა იყოს, თუმცა ამისი მტკიცება ძნელია[1].

სამაგიეროდ, **ნ** თანხმოვნის შემცველი უარყოფითი ნაწილაკები ფართოდაა გავრცელებული ინდოევროპულ ენათა უმრავლესობაში. საილუსტრაციოდ მოვიყვანთ პროტოინდოევროპულ ნაწილაკებს (წარმოდგენილ მასალაში მკვდარი ენების მონაცემებიცაა გათვალისწინებული); კერძოდ, წინადადებაში უარყოფის გამომხატველი ნაწილაკები: ვედურში: **ná**, ლათინურში: **nē/ne-**, ინგლისურში: **ne/no**, გერმანულში: **ne/nein**, ლიეტუვურში: **nè**, ძველ საეკლესიო სლავურში: **ne**, ხეთურში: **natta**, ლუვიურში: **ni**, ლიკიურში: **ni**, ლიდიურში: **ni**, ავესტურში: **na**, სპარსულში: **na**, ძველ ბერძნულში: **ne-**, ოსკურში: **ne**, უმბრულში: **an**, ძველსკანდინავიურში: **né**, გოთურში: **ni**, ირლანდიურში: **ní/ní**, უელსურში: **ni**, სომხურში: **an**, ტოხარულში: **an-/en-**, ლატვიურში: **ne**, ძველ პრუსიულში: **ne**, პოლონურში: **nie**, რუსულში:

[1] კავკასიურ ენათა შესახებ ცნობების მოწოდებისათვის მადლობას მოვახსენებთ ჩვენს კოლეგებს: თეიმურაზ გვანცელაძეს, რევაზ აბაშიას, ნინო რუხაძეს, ნოდარ არდოტელს, ბელა შავხელიშვილს.

ne, net, ალბანურში: nuk (Etymological... 2008(a):608; Etymological... 2008(b):403; Etymological... 2009:286-287; Etymological... 2013:385)[1].

ნ ხშირად გვხვდება უარყოფით პრეფიქსებშიც: ვედურში, ძველ ბერძნულში, ლათინურში, ალბანურში, ინგლისურსა და გერმანულში. ერთ შემთხვევაში, ხეთურში, დასტურდება **მ** თანხმოვნის შემცველი ფორმები; ხოლო აკრძალვით უარყოფით ნაწილაკებში დასტურდება **მ** თანხმოვანი: ვედურში, სპარსულში, ძველ ბერძნულსა და ალბანურში.

ასეთ პირობებში ისმის კითხვა: *რა კავშირი უნდა არსებობდეს ქართველურ ენებში არსებულ უარყოფით* **ნუ** *ნაწილაკსა და ინდოევროპულ ენებში გავრცელებულ* **ნ** *თანხმოვნის შემცველ უარყოფით ნაწილაკებს შორის?*

თუ გავითვალისწინებთ თ. გამყრელიძისა და ვ. ივანოვის ცნობილ მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც ინდოევროპელებს, ქართველებსა და სემიტებს ჩვენს წელთაღრიცხვამდე IV – III ათასწლეულების მანძილზე უნდა ჰქონოდათ ერთმანეთთან კავშირი (Гамкрелидзе, Иванов 1984:870-983), აღნიშნულმა საკითხმაც შესაძლებელია გარკვეული მნიშვნელობა შეიძინოს ენათა არეალური ჯგუფების კვლევის თვალსაზრისით.

1.5. არ და მისი ფარდი ნაწილაკები წყვეტილისა და I თურმეობითის ფორმებთან ქართველურ ენებში: სემანტიკური დიფერენციაციის საფუძველი

ქართული არ და მისი შესატყვისი ნაწილაკები სხვა ქართველურ ენებში პრევერბალური უარყოფის შემადგენელი კომპონენტებია.

[1] გამოყენებულია აგრეთვე სტატია Proto-Indo-European particles საინტერნეტო ენციკლოპედიიდან wikipedia https://en.wikipedia.org/wiki/Proto-Indo-European_particles

ცნობილია, რომ *არ* ნაწილაკის ძირითადი ფუნქცია კატეგორიული უარყოფის გამოხატვაა, რომლის მიხედვითაც არ ნაწილაკიანი ზმნური ფორმები სერიების მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება: I და II სერიაში **კატეგორიულ უარყოფას** გამოხატავენ, ხოლო III სერიაში გარკვეულწილად **კატეგორიულობა შერბილებულია** და „**კატეგორიულობის ნეიტრალიზაცია** ხდება“ (ჯორბენაძე 1984:141; ჯორბენაძე და სხვები 1988:43); ამის გამო III სერიაში ზმნის შინაარსი უფრო **შესაძლებლობის უარყოფას** უახლოვდება. აღნიშნული სემანტიკური სხვაობა კარგად ჩანს *არ* ნაწილაკიანი I და II სერიების თხრობითი კილოს მწკრივებისა და I თურმეობითის მწკრივის ფორმათა ერთმანეთთან შედარებისას; სემანტიკური თვალსაზრისით შდრ.: *არ ვწერ* და *არ დამიწერია*.

ბ. ჯორბენაძეს სამივე კილოს ფორმები აქვს მხედველობაში, როცა ამგვარ დაპირისპირებას განიხილავს (ჯორბენაძე 1984); ჩვენ მხოლოდ თხრობითი კილოს ზმნებს ვიღებთ შედარებისას მაქსიმალური ერთგვაროვნებისთვის: *არ ვწერ, არ ვწერდი, არ დავწერ, არ დავწერე* (I და II სერიები); მეტი თვალსაჩინოებისთვის მოცემულია **წარსული დროის** წყვეტილისა და I თურმეობითის „არ“ ნაწილაკიანი ფორმები:

- ***არ დავწერე*** (II სერია) სემანტიკურად ასე შეიძლება გავიგოთ: „არ მინდოდა და არ დავწერე“, ე. ი. „სურვილი არ მქონდა და ამიტომ არ შევასრულე ეს მოქმედება“ (**კატეგორიული უარყოფა**).
- ***არ დამიწერია*** (III სერია) განსხვავებული სემანტიკისაა: „არ გამომივიდა, ვერ შევძელი შემესრულებინა ეს მოქმედება“. ამ შემთხვევაში კატეგორიული უარყოფა ნეიტრალიზებულია; უფრო ზუსტად, სუბიექტის განაცხადი შერ-

ბილებულია. მის მიერ მოქმედების შეუსრულებლობა **შესაძლებლობის უქონლობაზე** მიანიშნებს.

წყვეტილისა და I თურმეობითის არ ნაწილაკიან ფორმებს შორის არსებულ სემანტიკურ სხვაობაზე არაერთი მეცნიერი ამახვილებდა ყურადღებას[1]; კერძოდ,

ზ. ჭუმბურიძე წყვეტილის **არ** ნაწილაკიანი უკუთქმითი ზმნური ფორმის სემანტიკასთან დაკავშირებით აღნიშნავდა: „**სუბიექტს მოქმედება განგებ არ შეუსრულებია**“ (ჭუმბურიძე 1970:44); კ. ჩხენკელსაც შენიშნული აქვს, რომ **არ** ნაწილაკიანი წყვეტილის ფორმით გამოხატულ უარყოფას „**სურვილის არქონა,.. წინააღმდეგობა** და ა. შ. **უდევს საფუძვლად**“ (Tschenkéli 1958); საინტერესოა დ. ფხაკაძის თვალსაზრისი ამ საკითხთან დაკავშირებით: „უარყოფითნაწილაკიანი I თურმეობითის ფორმათა თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ამ ფორმით გადმოიცემა უარყოფის დელიკატური სახე, რომელიც წყვეტილით გადმოცემულ უარყოფას უპირისპირდება. **წყვეტილით** გადმოიცემა **კატეგორიული უარყოფა, I თურმეობითით** კი **არაკატეგორიული უარყოფა**“ (ფხაკაძე 1980:216). აღნიშნულ ფორმებს შორის საპირისპირო სემანტიკური ურთიერთმიმართება დ. ფხაკაძეს ახსნილი აქვს თურმეობითით გრძლიობისა და წყვეტილით ერთჯერადი მოქმედებების გამოხატვის უნარით (იქვე:221).

მნიშვნელოვანია აგრეთვე ერთი ნიუანსის აღნიშვნაც: „ამგვარი დაპირისპირება უფრო მოქმედებითი გვარის ზმნებს ახასიათებს“ (ჭუმბურიძე 1970:44); მაშასადამე, მწკრივების მიხედვით **არ** ნაწილაკიან ზმნურ ფორმათა სემანტიკურ სხვაობაში იკვეთება **სუბიექტის სტაბილურობა-ლაბილურობის ტენდენცია**; ამ შემთხვევაში სემანტიკური დიფერენციაციის საფუძველი შეიძლება განისაზღვროს პერფექტული მწკრივების ჩამოყალიბების გრამატიკული პროცესების გათვალისწინებით. ცნო-

[1] საკითხის კვლევის ისტორია ვრცლად იხ. ამავე თავში, §1.1.

ბილია, რომ პერფექტული ზმნური ფორმები ქართულ ენაში მიღებულია უძველესი ფორმაციის – სტატიკური ზმნების საობიექტო ქცევის ფორმათა რეინტერპრეტაციით (გადააზრიანებით) და ინვერსიით (მელიქიშვილი 1978); III სერიის ფორმათა სემანტიკური ანალიზის დროს მნიშვნელოვანია საკითხის გააზრება კომპლექსურად, რადგან „აქ ხდება რამდენიმე კატეგორიის გადაკვეთა“ (მახარობლიძე 2015:299), რაც მორფო-სემანტიკური თვალსაზრისით აისახება კიდეც ამ ფორმებზე. ერთ-ერთი ასეთი კომბინირებული საკითხია „ინვერსიის გზით სუბიექტის სახეცვლილება (თურმეობითის შინაარსიდან გამომდინარე)“ (იქვე:299); კერძოდ, სუბიექტის როლი შესუსტებულია, რადგან თურმეობითობა, იგივე „უნახაობა-უნებლიობა“ (მელიქიშვილი 2014:110) სუბიექტს მიაწერს „გაუცნობიერებელ მოქმედებას“ (თ. მახარობლიძე). ამ ტიპის სუბიექტს **ინაქტიურ ქვემდებარეს** უწოდებს ი. მელიქიშვილი, როცა განიხილავს მორფოლოგიაში სემანტიკურ მარკირებასა და აქტიურობა-ინაქტიურობის კატეგორიას ქართველურ ენებში (მელიქიშვილი 2011:325).

არ ნაწილაკიანი ზმნური ფორმების სემანტიკური სხვაობა კატეგორიულობა-შესაძლებლობის მიხედვით კანონზომიერად უკავშირდება **სუბიექტის მარკირების** საკითხსაც; კატეგორიული უარყოფის გამომხატველი სუბიექტი **ვ**-ინის რიგითაა აღნიშნული; როცა კატეგორიული უარყოფა ნეიტრალიზებულია, სუბიექტი **მ**-ანის რიგით გადმოიცემა:

- **არ** *და-ვ-წერ-ე* (წყვეტილი) – **არ** *და-მ-ი-წერ-ი-ა* (I თურმეობითი), *შდრ.: სხვა ისეთ შემთხვევებს, როცა სუბიექტი ინაქტიური პირია და უგამონაკლისოდ მ-ანის რიგის მარკერით აღინიშნება (მელიქიშვილი 2014:95).*

არ ნაწილაკიანი წყვეტილისა და I თურმეობითის ზმნური ფორმები **სინტაქსური ძალითაც** განსხვავდებიან ერთმანეთისაგან: გარდამავალი ზმნების წყვეტილის ფორმები ქმნიან **ერგა-**

ტიულ კონსტრუქციას, ხოლო I თურმეობითის ზმნური ფორმები – **დატიურს**; ერგატიული მეტი გამომსახველობითი ძალის მქონეა, ვიდრე დატიური. I თურმეობითის ზმნური ფორმით გადმოცემული მოქმედება „არ არის სამოქმედო ობიექტის მქონე მოაზროვნე სუბიექტის მიერ შესრულებული პირდაპირი აქტი, როგორც ეს მეორე სერიაში გვაქვს. **ეს „თურმე" ჩადენილი ზმნური აქტი კარგავს აორისტისეულ ერგატიულ კატეგორიულობას** და ამიტომაც **ერგატივი დატივით ფორმდება**. ამასთან, ასეთი „თურმემიდგომა" ქმნის გარკვეულ სემანტიკურ საფუძველს, რომ სუბიექტი ცხადი, თვალხილული მონაწილე არ იყოს ზმნური აქტისა" (მახარობლიძე 2015:299).

ამრიგად, ქართულში **არ** ნაწილაკიანი წყვეტილისა და I თურმეობითის ზმნურ ფორმათა სემანტიკური დიფერენციაციის საფუძველი განსაზღვრულია **მორფოლოგიური** და **სინტაქსური** მახასიათებლებით:

1. სუბიექტის სტაბილურობა-ლაბილურობით (აქტიურობა-ინაქტიურობით).

2. ვ-ინისა და მ-ანის რიგის მორფოლოგიური მარკერებით.

3. კონსტრუქციის აგების სინტაქსური შესაძლებლობებით (ერგატივი – დატივი).

რაც შეეხება **სხვა ქართველურ ენებს**, ცნობილია, რომ ინვერსიული თურმეობითები ყველა ქართველურ ენაში დასტურდება; ჩამოყალიბების დინამიკაც ერთნაირად პერფექტული აქვთ (დაწვრილებით იხ. მარგიანი და სხვები 2019:87-135); შესაბამისად, **მეგრულსა** და **ლაზურში** პრევერბალური *ვა, ვარ/ვა* ნაწილაკების შეხამება წყვეტილისა და I თურმეობითის ზმნურ ფორმებთან ისევე იძლევა სემანტიკურ დაპირისპირებას კატეგორიულობა-ნაკლებკატეგორიულობის მიხედვით, როგორც ქართულში. სემანტიკური დიფერენციაციის საფუძველიც ქართულის მსგავსია; მაგალითები:

- მეგრული: ვავ/პჭარი (წყვეტილი) „არ დავწერე“ – ვამიჭარუ(ნ) „არ დამიწერია“.
  მა, ბაღანა-ქ/ERG, ვავჭარი (ერგატიული) – მა, ბაღანა-ს/DAT, ვამიჭარუ(ნ) (დატიური)
  „მე, ბავშვ-მა. არ დავწერე“ – მე, ბავშვ-ს, არ დამიწერია“.
- ლაზური: ვაბჭაი (წყვეტილი) „არ დავწერე“ – ვამიჭაუნ „არ დამიწერია“.

***შენიშვნა 1**: მეგრულსა და ლაზურში S1-ის „პ“ და „ბ“ მარკერები ფონეტიკური ტრანსფორმაციის შედეგია: ვ → პ; ვ → ბ (დაწვრ. იხ. ყიფშიძე 1919-20:1-8; დანელია 2006).*
***შენიშვნა 2**: ლაზურში გარდამავალ ზმნათა II და III სერიის ფორმებს შორის ერგატიულობა-დატიურობის მიხედვით დაპირისპირების მოშლა მეორეული პროცესია.*

სვანური ენა გამოირჩევა უარყოფით ნაწილაკთა სიმრავლით, რომლებიც ერთმანეთისგან არა მხოლოდ დიალექტურად, არამედ ნიუანსობრივად და ფუნქციურადაც განსხვავდებიან. ქართულად მათი დიდი ნაწილი „არ(ა)“-დ გადმოდის, თუმცა მათი გამოყენების არეალი როგორც კონტექსტუალურად, ასევე მწკრივებთან შეფარდების თვალსაზრისით განსხვავებულია. თუ ქართულში, მეგრულსა და ლაზურში არ და მისი ფარდი ნაწილაკების დისტრიბუცია ზმნასთან მიმართებით ერთგვაროვანია, სვანურში ერთ-ერთი უაროფითი ნაწილაკი *დემის*, რომელიც ქართულად (ისევე, როგორც დანარჩენები) „არა“-დ განიმარტება, ამ მხრივ შეზღუდულია: **ის გამოკვეთილად კატეგორიულობას გამოხატავს და ვერ ეფარდება მეორე და მესამე სერიების მწკრივებს**, ხოლო ნაწილაკი *მად(ე)*, მართალია, მწკრივთა შეფარდების თვალსაზრისით უფრო თავისუფალია და პერ-

ფექტულ ფორმებთანაც გამოიყენება, მაგრამ ის სწორედ სემანტიკური ნიშნით – კატეგორიულობით ქმნის ოპოზიციას ერთსა და იმავე მწკრივში:

მპმ ოთრა „არ დაუწერია, თურმე არა აქვს დაწერილი“ – *მპდ(ე) ოთრა* „პრინციპულად არ დაუწერია“.

თუმცა აქ საინტერესოა ის ფაქტი, რომ *მპდ(ე)* პერფექტული ფორმებიდან მხოლოდ პრევერბიან ზმნებთან გამოიყენება, ანუ შედარებით გვიან ჩამოყალიბებულ ფორმებთან, კერძოდ, მას შემდეგ, რაც უნახაობის სემანტიკა უკვე განვითარებულია ქართველურ ზმნაში და მისი თავდაპირველი ფუნქცია – შედეგობითობა თანდათანობით იჩრდილება. ამის თქმის საფუძველს იძლევა ის ფაქტი, რომ, დანარჩენი ქართველური ენებისგან განსხვავებით, პრევერბიან თურმეობითს სვანურში უნახაობა-შედეგობითობის მიხედვით ლაბილობა არ ახასიათებს, ისინი ერთმნიშვნელოვნად მხოლოდ „თურმეს“ გაგებისაა.

ასე რომ, სვანურის მონაცემების ამგვარი სხვაობა საანალიზო პრობლემასთან მიმართებით შეიძლება ორი ფაქტორით აიხსნას; კერძოდ, სვანურში:

ა. უარყოფით ნაწილაკთა სიმრავლით და *ბ. პერფექტულ ფორმათა მრავალწახნაგოვნებით.*

ამრიგად, საანალიზო საკითხი გვიჩვენებს როგორც საერთოქართველურ ენობრივ პროცესებს, ასევე ცალკეულ თავისებურებებს.

1.6. *არ* და *ვერ* ნაწილაკების განაწილების საკითხი და მათი ჩანაცვლების ტენდენცია სასაუბრო მეტყველებასა და დიალექტებში

არ და **ვერ** ნაწილაკთა შინაარსობრივი თავისებურებანი განსაზღვრავს მათი გამოყენების არეალს და იმ შეზღუდვებს, რომლებიც ახლავს მათ ხმარებას. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ეს ნაწილაკები დაერთვის ზმნათა უმრავლესობას ყველა მწკრივის ფორმასთან თხრობითსა და კავშირებით კილოებში (არ აკეთებს – ვერ აკეთებს, არ აკეთებდა – ვერ აკეთებდა, არ აკეთებდეს – ვერ აკეთებდეს, არ გააკეთა – ვერ გააკეთა, არ გააკეთოს – ვერ გააკეთოს, არ გაუკეთებია – ვერ გაუკეთებია, არ გაეკეთებინა – ვერ გაეკეთებინა, არ გაეკეთებინოს – ვერ გაეკეთებინოს), მაგრამ არის ზმნები, რომლებთანაც მხოლოდ ერთი ან მეორე ნაწილაკი გამოიყენება.

საინტერესოა, რომელია ის ზმნები, რომლებიც არ დაირთავს ორივე ნაწილაკს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ საკითხს განიხილავენ ზ. ჭუმბურიძე, ბ. ჯორბენაძე, მ. ჩერჩი, ლ. აბულაძე და ა. ლუდენი.

ზ. ჭუმბურიძემ სტატიაში „უარყოფითი ნაწილაკები ქართულში და მათი ხმარების სტილური თავისებურებანი“ გამოყო იმ ზმნათა სემანტიკური ჯგუფები, რომლებიც **ვერ** ნაწილაკს ვერ იგუებენ. ესენია:

ინვერსიული წყობის ზმნები: *მშია, მწყურია, მიყვარს, მძულს, მცივა და სუბიექტური წყობის ზმნათაგან – ვიცი;*

არის, არსებობს, იმყოფება, აქვს ზმნები;

სტატიკური, კერძოდ, საზედაო სიტუაციის გამომხატველი ზმნები: *ავლია, ასხია, აყრია, აწერია, ახატია, ახურია, აწყვია, ატყვია, არტყია, აცვია, აჩნია* და სხვ.;

ზმნები, რომლებიც ქონების სიმცირეს ან, უფრო ხშირად, უქონლობას აღნიშნავენ: *აბადია, გააჩნია, მოეპოვება, მოეძებება*;

ზმნები, რომლებიც უმთავრესად უარყოფითი შინაარსით (**არ** ნაწილაკის დართვით) იხმარება: *არ აბოგინებს, არ აჭაჭანებს, არ დაგიდევს, არ დაეყვედრება, არ დაეხედება, არ დაინდობა, არ ედგომება, არ ესაქმება, არ ესწავლება. არ ეჭაშნიკება*... (ჭუმბურიძე 1970:42-43).

ზმნებს, რომლებთანაც **ვერ** ნაწილაკი არ გამოიყენება, გამოყოფს ბ. ჯორბენაძეც თავის წერილში „უარყოფის გამომხატველ ფორმათა ნაირსახეობისათვის ქართულში". მკვლევარი აღნიშნავს: „მოიპოვება გარკვეული სემანტიკის მქონე ზმნები, რომლებთანაც **ვერ** ნაწილაკი, როგორც წესი, არ გამოიყენება; კერძოდ, ასეთებია ზმნები, რომლებიც გრძნობა-აღქმას გამოხატავენ: *სწყურია, სტკივა, უყვარს, იცის, ესმის, უნდა... ედიდება, ეჭმევა, ემღერება*... ასევე მყოფობის, მქონებლობის და ზოგი სხვა ფუნქციის გამომხატველი სტატიკური ზმნები: *არის, აქვს, ჰყავს, სწერია, ასხია, აბადია, გააჩნია*... ამ ზმნებთან, უარყოფის შემთხვევაში, როგორც წესი, **არ** ნაწილაკი გამოიყენება. საქმე ისაა, რომ ხსენებული ზმნები ან საერთოდ ვერ იგუებენ შესაძლებლობის სემანტიკას (*სწყურია, სტკივა*...), ანდა **ვერ** ნაწილაკის გარეშეც გამოხატავენ შესაძლებლობას (ამ რიგისაა, მაგალითად, პოტენციალისის ფუნქციის გამომხატველი *ეჭმევა* ფორმა: *არ ეჭმევა* თავისთავად შეუძლებლობაა, გამოხატული თვით ზმნური ფუძით, არ ნაწილაკი მხოლოდ უარყოფას აღნიშნავს)" (ჯორბენაძე 1984: 140-141).

წერილში „უარყოფის ნაწილაკების შესახებ ქართულში" (გერმანულ ენაზე, 2008 წ.) ლია აბულაძე და ანდრეას ლუდენი, რომლებიც, როგორც ჩანს, არ იცნობენ ზემოთ დასახელებულ სტატიებს, აღნიშნავენ: „უახლოეს წარსულამდე უარყოფის **არ**

და **ვერ** ნაწილაკების დისტრიბუცია ნაკლებად იყო შესწავლილი (გამონაკლისს წარმოადგენს მარჩელო ჩერჩის მონოგრაფია „თანამედროვე ქართული მორფოსინტაქსი“, 1997). არსებობდა შეხედულება (თუ ვარაუდი), რომ ყველა ზმნა ორივე ნაწილაკით შეიძლება გამოხატავდეს უარყოფას. ბევრი ზმნისათვის ეს მართლაც ასეა, მაგრამ არა ყველასათვის“ (Abuladze, Ludden 2008). წერილის ავტორები სვამენ საკითხს – იყოფა თუ არა ზმნები ისეთ ჯგუფებად, რომლებიც მხოლოდ **არ** ნაწილაკით, მხოლოდ **ვერ**-ით ან ორივე ნაწილაკით აწარმოებენ უარყოფას. თუ არსებობს სემანტიკური ნიშნები, რომლებითაც ეს ჯგუფები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. რა თქმა უნდა, არსებობს მრავალი ზმნა, რომლებთანაც ორივე ნაწილაკი გამოიყენება; როგორც ლ. აბულაძე და ა. ლუდენი აღნიშნავენ, ესენია დინამიკური ზმნები (უმეტესად პირველი უღლების, ნაწილობრივ, მეორე და მესამე უღლებისაც):

არ წერს – ვერ წერს
არ აკეთებს – ვერ აკეთებს
არ იმალება – ვერ იმალება
არ ინძრევა – ვერ ინძრევა
არ მღერის – ვერ მღერის
არ თამაშობს – ვერ თამაშობს და სხვ.

მათგან განსხვავებით, ზმნებთან, რომლებიც მდგომარეობას გამოხატავენ, ე. ი. სტატიკურ ზმნებთან, უარყოფის გამოსახატავად უმეტესად **არ** ნაწილაკი გამოიყენება (Abuladze, Ludden 2008:273).

მარჩელო ჩერჩი, რომლის ნაშრომსაც იმოწმებენ ლ. აბულაძე და ა. ლუდენი, ამ ზმნებს (passives of state) და არაწესიერი უღლების ზმნებს აერთიანებს D ჯგუფში და ამ ჯგუფის ერთერთ დამახასიათებელ ნიშნად ასახელებს იმას, რომ მათთან შე-

საძლებლობის უარყოფის **ვერ** ნაწილაკი არ გამოიყენება (Cherchi 1997: 122).

D კლასის ზმნებში მ. ჩერჩი აერთიანებს სხვადასხვა სემანტიკურ ჯგუფებს, კერძოდ, ესაა

ზმნები, რომლებიც გამოხატავს:

ფიქრსა და გრძნობას, მაგ., *ჰგონია, ახსოვს, უხარია.*

შეგრძნებებსა და მდგომარეობას, მაგ., *სტკივა, სძინავს.*

შესაძლებლობას, მაგ., *შეუძლია.*

აღქმას, მაგ., *ესმის.*

მქონებლობას, მაგ., *აბადია, აქვს, ჰყავს.*

სურვილსა და მოთხოვნილებას, მაგ., *ჰსურს* (ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ზმნა არანესიერია).

გარემო პირობებს, მაგ., *ბნელა, გრილა.*

ადგილ-მდებარეობას, პოზიციას: *გდია, ადევს, ახატია.*

ზოგი სხვა შინაარსის ზმნა: *აბარია, ანთია* [1].

მ. ჩერჩის მიერ გამოყოფილი ამ ჯგუფების გარდა, ლ. აბულაძე და ა. ლუდენი კიდევ ასახელებენ ამინდთან დაკავშირებულ ზმნებს: *თოვს, წვიმს, ქუხს, ელავს* და უთითებენ ჰ. ფენრიხის შრომას (Fähnrich 1986:100); ასევე, *იჭმევა* და *ისმევა* ზმნებს, რომლებთან დაკავშირებითაც გ. მაჭავარიანი თავის „ქართველურ ენათა შედარებითი ანალიზის სალექციო კურსში“ მიუთითებდა, რომ ამ ზმნებთან მხოლოდ **არ** ნაწილაკი გამოიყენება, რადგან შესაძლებლობა (პოტენციური კატეგორია) უკვე ზმნაშია გამოხატული (მაჭავარიანი 2002:100).

კითხვაზე, თუ რატომ არ შეიძლება ზემოთ წარმოდგენილი ზმნები ირთავდნენ **ვერ** ნაწილაკს, მ. ჩერჩის პასუხი ასეთია: როცა გამოიყენება უარყოფითი ნაწილაკი **ვერ**, ივარაუდება, რომ სუბიექტს ჰქონდა მოქმედების განზრახვა ან მცდელობა,

[1] D ჯგუფის და ზოგადად ზმნური ჯგუფების დახასიათებისათვის იხ. Cherchi 1997: 69-189.

რომელიც არ შესრულდა; **ვერ** ნაწილაკიანი ზმნა ისეთ მოქმედებას გამოხატავს, რომელიც მოქმედის ნებით უნდა შესრულებულიყო, მოქმედს განზრახული ჰქონდა ეს მოქმედება, ხოლო ზმნები იმ სემანტიკური ჯგუფისა, რომელიც ზემოთ წარმოვადგინეთ, გვიჩვენებს უნებლიე მდგომარეობას (involuntary states of affairs), რომელიც არ იყო განზრახული. ისინი აღნიშნავენ მდგომარეობას, რაც მოცემულია; ეს მოქმედება სუბიექტის მცდელობა, სურვილი ან განზრახვა იყო თუ არა, ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს.

მ. ჩერჩი წერს: მონაცემების გამოკვლევა ცხადყოფს, რომ D კლასში პრაქტიკულად შედის ის ზმნები, რომლებიც არ გადმოგვცემენ ვისიმე ნებით ან განზრახვით შესრულებულ მოქმედებას. სუსტი კავშირი, შეუთავსებლობაც კი, სტატიკურობასა და მოქმედებას ან მოქმედების სურვილს შორის დამახასიათებელია D კლასის ყველა ზმნისთვის თუ არა, უმეტესობისათვის მაინც (Cherchi 1997:136).

როგორც ლ. აბულაძე და ა. ლუდენი აღნიშნავენ, თუ სტატიკური (მდგომარეობის გამომხატველი) ზმნა დინამიკურად გადაკეთდა, მას შეიძლება ორივე ნაწილაკი დაერთოს; მაგ., თუ ინვერსიულ ზმნას *მიყვარს*, რომელიც მხოლოდ **არ** ნაწილაკს დაირთავს, დინამიკურ ფორმად ვაქცევთ (მიყვარდება), ის უკვე ორივე ნაწილაკს დაირთავს (**არ** *მიყვარდება* და **ვერ** *მიყვარდება*).

ლოგიკურია, რომ იმ ზმნებთან, რომლებიც **ვერ** ნაწილაკს არ დაირთავენ, **არ** ნაწილაკი არა კატეგორიული უარყოფის, არამედ ჩვეულებრივი უარყოფის გამომხატველია, უარყოფითი ფაქტის აღმნიშვნელია: *არ ახსოვს, არ სძინავს, არ ესმის, არ ჰყავს...*

საინტერესოა, რომელი ზმნები ვერ იგუებენ **არ** ნაწილაკს.

თავის წერილში „უარყოფის გამომხატველ ფორმათა ნაირსახეობისათვის ქართულში“ ბ. ჯორბენაძე აღნიშნავს: „არის ისეთი ზმნებიც, რომლებიც მარტოოდენ **ვერ** ნაწილაკს იგუებენ უარყოფის შემთხვევაში. ამ რიგისაა, მაგალითად, *წარმოიდგენს* ზმნა: *ვერ წარმოიდგენს, ვერ წარმოედგინა...* **არ** ნაწილაკის გამოყენება ამ შემთხვევაში უმართებულოა“ (ჯორბენაძე 1984:141), მაგრამ დასახელებულ სტატიაში ამგვარ ზმნებზე მკვლევარი აღარ აგრძელებს საუბარს.

ამ საკითხს განიხილავენ ლ. აბულაძე და ა. ლუდენი. ისინი აღნიშნავენ, რომ ზმნები, რომლებიც მხოლოდ **ვერ** ნაწილაკს ირთავენ, სამეცნიერო ლიტერატურაში ცალკე ჯგუფად ჯერ არ არის გამოყოფილი და თავად ასახელებენ მათ:

სწვდება – ვერ სწვდება
ცნობს – ვერ ცნობს
აღწევს – ვერ აღწევს
ბედავს – ვერ ბედავს
პოულობს – ვერ პოულობს
იტანს – ვერ იტანს
ხედავს – ვერ ხედავს
ახერხებს – ვერ ახერხებს
იმარჯვებს – ვერ იმარჯვებს
ამჩნევს – ვერ ამჩნევს და სხვ.

რა განსაზღვრავს ამ ზმნებთან **არ** ნაწილაკის შეუთავსებლობას? ლ. აბულაძისა და ა. ლუდენის აზრით, ზემოთ მოცემულ ყველა ზმნაში აშკარად ჩანს სემანტიკური კონოტაცია, რომ სუბიექტი აქტიურად ცდილობს მოქმედების შესრულებას. ლოგიკურად, ეს ზმნები შეიძლება მხოლოდ **ვერ** ნაწილაკს დაირთავდეს. როგორც ლ. აბულაძე და ა. ლუდენი მიუთითებენ, „საყურადღებოა, რომ ზმნები, რომლებიც მხოლოდ **ვერ** ნაწი-

ლაკს დაირთავენ, ვენდლერის კლასიფიკაციის მიხედვით, უმეტესად **„მილწევითობის ზმნებია“** („achievement verbs“).

მოცემული ზმნების გარდა, შეიძლება დავასახელოთ შემდეგი ზმნებიც: **აგვარებს, მოასწრებს, იგებს, მიხვდება, შეძლებს.** ამ ზმნათა სემანტიკაში მოქმედი პირის მხრივ გარკვეული ძალისხმევა, მონდომება, მცდელობა ჩანს და მოქმედების შესრულების უარყოფისას მათთან ლოგიკურად **ვერ** ნაწილაკია მოსალოდნელი, ხოლო **არ** ნაწილაკი შეუთავსებელია. ამ უკანასკნელის გამოყენება იმ შემთხვევაში, როცა ზმნით გამოხატულია მოქმედის მონდომება და ძალისხმევა, არალოგიკურია.

როგორც ვხედავთ, ქართულ ენაში **არ** და **ვერ** ნაწილაკები ამა თუ იმ ზმნასთან ამ ზმნების შინაარსის მიხედვით ნაწილდება და აზრის ლოგიკურობას ექვემდებარება. ამავე დროს, სასაუბრო მეტყველებაში შეინიშნება **არ** და **ვერ** ნაწილაკების ჩანაცვლების ტენდენცია. ამ მოვლენას განიხილავდნენ ს. ხუნდაძე, თ. სახოკია, ვ. თოფურია, ზ. ჭუმბურიძე (ხუნდაძე 1901; სახოკია 1911; თოფურია 1923-1924 [2002]; ჭუმბურიძე 1970). როდესაც შესაძლებლობის უარყოფის ნაცვლად კატეგორიული უარყოფის გამომხატველი **არ** ნაწილაკია გამოყენებული, გამოდის სტილურად გაუმართავი ტექსტი და ეს თვალსაჩინო უხერხულობას ქმნის (ჭუმბურიძე 1970:44). ასეთი ჩანაცვლება ხდება **არ-** და **ვერ**-ნაწილაკიანი კითხვითი ნაცვალსახელებისა და ზმნიზედების გამოყენების დროსაც. არცთუ იშვიათია სტილისტური დარღვევა, როცა ერთ წინადადებაში სხვადასხვა რიგის უარყოფითი ნაწილაკები, ნაცვალსახელები და ზმნიზედებია გამოყენებული (ჭუმბურიძე 1970:46; არაბული 2004: 177).

მოვიყვანთ სათანადო მაგალითებს თანამედროვე პრესისა და ინტერნეტის ენიდან:

შეძლებენ თუ არა *მასწავლებლობის მსურველები შემოდგომაზე გამოცდაზე გასვლას? https://www.facebook.com› edu.aris.ge› posts.*

შეძლებენ თუ არა... მასწავლებლები ხელმეორედ დასაქმებას? https://www.mes.gov.ge/content.php?id=9111&lang=geo.

პოლიტიკური ოპონენტების გისოსებში გამოკეტვა ***არ მოაგვარებს*** *პრობლემებს. https://netgazeti.ge/news/22111/.*

მოაგვარებს თუ არა *ENKA-სა და ნამოხვანჰესის მოწინააღმდეგეების ურთიერთობას ქართველი მენეჯერი? https://rustavi2.ge/ka/news/194541.*

მიაღწევს თუ არა *მმართველი გუნდი შეთანხმებას? https://www.youtube.com › watch.*

(ამ საკითხზე მსჯელობა) ჰაერში გასროლილი ტყვიაა, რომელიც მიზანს ***არ მისწვდება****... https://netgazeti.ge/news/82790/.*

ოპერაცია წარმატებული გამოდგა, თანაც იმდენად, ვერ ლესს ოცნებაშიც რომ ***არ წარმოედგინა****. https://forbes.ge/gulithadi-thavdamskhmeli/.*

კრისტიანო რონალდომ ის ***შეძლო****, რაც ჯერჯერობით* ***არავინ*** *(https://www.myvideo.ge/v/2240395).*

არც ერთი *კვადრატული სახლი თუ მიწა,* ***არც*** *მარმალოს რაფები და* ***არც*** *ნაყიდი პარფიუმერია, თუ ფრიალა კაბა* ***ვერ*** *შეგივსებს დანაკლისს (https://www.facebook.com/sophio.giorgadze.5).*

ამ და მსგავს შემთხვევებში ირღვევა ლოგიკური კავშირი ნაწილაკის შინაარსობრივ თავისებურებასა და ზმნის სემანტიკას შორის. ***მიაღწევს, შეძლებს, მოაგვარებს*** ზმნები მოქმედების დასრულებაზე მიუთითებს, **არ** ნაწილაკი კი კატეგორიულად უარყოფს მოქმედების შესრულებას. ნაწილაკსა და ზმნის შინაარსს შორის ლოგიკური კავშირი რომ არ იყოს დარღვეული, წარმოდგენილ კითხვით თუ თხრობით წინადადებებში **არ, თუ არა, არავინ, არაფერს, არც** სიტყვების ნაცვლად გამოყენებული უნდა იყოს შესაძლებლობის უარყოფის გამომხატველი სიტყვები: **ვერ, თუ ვერა, ვერავინ, ვერაფერს, ვერც**.

ჩვენი აზრით, დასახელებულ წინადადებებში **არ** ნაწილაკის გამოყენება იმით არის გამოწვეული, რომ მთქმელი ცდილობს სიმძაფრე მიანიჭოს ნათქვამს. *მიაღწევს თუ არა მმართველი გუნდი შეთანხმებას?* – ასე დასმულ კითხვაში თითქოს უნებურად თავს იჩენს მთქმელის დამოკიდებულება დასმული კითხვისადმი, მისი მოსაზრება, რომ მმართველი გუნდი შეთანხმებას **არ** ცდილობს. **ვერ** ნაწილაკით კი სწორედ ის იქნებოდა გადმოცემული, რომ მოქმედი ცდილობს, მაგრამ ვერ ახერხებს მოქმედების შესრულებას. იგივე შეიძლება ითქვას სხვა შემთხვევებზეც.

ენაში შეინიშნება საპირისპირო მოვლენაც: აქტიურდება **ვერ** ნაწილაკი და იგი იმ ზმნებთან გვხვდება, რომლებთანაც **არ** ნაწილაკი უნდა იყოს. ასეთი ტენდენცია შეინიშნება ნაწილობრივ სასაუბრო მეტყველებაში და დამახასიათებელია დიალექტებისათვის: გვხვდება აღმოსავლეთ საქართველოს დიალექტებში, ყველაზე მეტად – მთის კილოებში, ნაკლებად – დასავლეთ საქართველოს დიალექტებში. ჩვენი აზრით, ამ შემთხვევაშიც ნაწილაკის შინაარსობრივი თავისებურება ხდება ცვლილების მიზეზი. **არ** ნაწილაკის ნაცვლად **ვერ**-ის გამოყენება თითქოს ერთგვარად ამცირებს „არცოდნის დანაშაულს“.

მოვიყვანთ სათანადო ნიმუშებს:

*– სი მოკლეს, **ვერ იცი**?*

*– **ველარ ვიცი**, სადღაცა მოკლეს, დამ შირაქის გზაზე (თუშური, ცოცანიძე, 2004,113).*

*მემრემ რაც დროს ჩიცგდეს ჯელად, ეგ კი **ველარა ვიცი** (თუშური, ცოცანიძე, 2004,83).*

*რო სადმე უნდოდეს წასვლა, **ვერ იცოდეს**, ნამდვილად წავა თუ არა... (ფშაური, ქართული დიალექტოლოგია, 1961, 127).*

*მე ჰევსურულად **ვიც** საუბარ. ქართველებსთან **ვერ ვიცი** საუბარი (ხევსურული, ქართული დიალექტოლოგია, 1961, 151).*

*ხემწიფემ უთხრა: მენ **ვერ ვიციო**, თქვენა ბძანეთო (თიანური, ქართული დიალექტოლოგია, 1961,165).*

*სადღობლის გაკეთება აქ ვერავინ **ვერ იცის**, ქსნიდან გადმააქვთ და ვყიდულობთ (მთიულურ-გუდამაყრული, ქართული დიალექტოლოგია, 1961,58).*

*ზღაპრები **ვერ ვიცი** (ჭიათურის რაიონის მცხოვრებთა მეტყველება, ძოწენიძე, 1973, 123).*

*– **იც**, რაჲ არისა? – **ვერ ვიც** (ინგილოური, ქართული დიალექტოლოგია, 1961,231).*

მხატვრულ ლიტერატურაშიც დასტურდება **ვიცი** ზმნასთან **ვერ** ნაწილაკის გამოყენება, როცა მწერალი ქართლურ დიალექტურ ფორმებს იყენებს პერსონაჟთა საუბრის გადმოსაცემად:

– ... რა გვარი უნდა ყოფილიყო თვითონ?

*– სწორედ **ვერ ვიცი**! აქაური გვარისა რო არა ყოფილა, ეგ კი ნაღდია... (ვ. გიგაშვილი, „ერთი ვინმე ყაფლანიშვილი“, „პალიტრა“, 2019, 226).*

– შენ ეგ მითხარი, ეს იორამი სად დაიკარგა?

*– **ვერ ვიცი**, ქალბატონო... სუ დადის... (იქვე,236).*

*უფრო იშვიათია **ვერ** ნაწილაკის გამოყენება სხვა ზმნებთან:*

*წლისა კი **ვერ იყვის** (გ. ცოცანიძე. თუშური ტექსტები).*

***ვერ შამიძლია** (თუშური).*

*ე პური **ვერ მომწონს**... (ჭიათურის რაიონის მცხოვრებთა მეტყველება, ძოწენიძე, 1973,123).*

*ვერსად **ვერ მეეწონა** ქალი (კახური, ქართული დიალექტოლოგია, 1961,194).*

ამ ქალს ამის მეტი ***ვერავინ ვერ მოეწონა*** *(კახური, ქართული დიალექტოლოგია, 1961,206).*

ამ შემთხვევებშიც, ჩანს, ხდება **ვერ** ნაწილაკის, როგორც შესაძლებლობის უარყოფის გამომხატველის, გააქტიურება. ***ვერ*** *მოეწონა* შესიტყვების შინაარსი შეიძლება ასე გადმოიცეს: *ვერ შეძლო მოწონება.* რაც შეეხება *იყო* ზმნას, მასთან და ასევე *არის* ზმნასთან **ვერ** ნაწილაკი სალიტერატურო ენაშიც გვხვდება იმ შემთხვევაში, თუ ზმნასთან ზმნისართიც (ან მისი შესატყვისი) არის გამოყენებული: ***ვერ*** *იყო (/არის) კარგად,* ***ვერ*** *იყო (არის) კარგ გუნებაზე.*

თავი IV

უარყოფის სემანტიკურ-პრაგმატიკული ასპექტები ქართველურ ენებში

1. უარყოფის გამოხატვის პოლარული საშუალებები ქართველურ ენებში

უარყოფა უნივერსალური კატეგორიაა, რომელიც დადასტურებასთან ერთად ქმნის ბინარულ ოპოზიციას, როგორც ამ სისტემის მარკირებული წევრი. „მარკირებულობა“ მჭიდროდ აკავშირებს ერთმანეთთან კოგნიტიურ პროცესებსა და ენობრივი გამოხატულების ლექსიკურ-გრამატიკულ დონეებს, რადგან ფორმალურად მარკირებული ერთეულები ლინგვისტურ სტრუქტურებშია წარმოდგენილი; ცნობილია, რომ „პოლარული“ საწინააღმდეგოს, საპირისპიროს ნიშნავს. უარყოფის გამოხატვის პოლარული საშუალებები ენობრივი შესაძლებლობის მრავალფეროვნებასა და მდიდარ გამომსახველობით უნარზე მიუთითებს.

ქართველურ ენათა მასალის მიხედვით განხილულია:

ა. „უარყოფის უარყოფა“; ბ. აზრობრივი ურთიერთმიმართების საკითხი პირობით-შედეგობით ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში; გ. წინააღმდეგობა ფორმასა და შინაარსს შორის წართქმით და უკუთქმით რიტორიკულ წინადადებებში; დ. უარყოფითი ფორმით გადმოცემული შეკითხვა და ჩაკითხვა კითხვით წინადადებაში და უარყოფითი ნაწილაკის ფუნქციური განაწილების პრინციპები; ე. არა/არ ნაწილაკით გამოხატული სხვადასხვა ემოციურ-გამომსახველობითი ნიუანსები; ვ. უარყოფითი ნაწილაკი საპირისპირო მნიშვნელობით

ფინალურ ზმნურ ფრაზაში; ზ. დადებითი და უარყოფითი კონოტაციით უჩაში „უფროსი" – უჩა „შავი" ლექსემათა მიმართება მეგრულში, -მე ნაწილაკიანი ლექსემებისა კი – მეგრულსა და ქართულში.

დასახელებული საკითხები სემანტიკურ-ფუნქციური დატვირთვისაა და, გრამატიკულ (მორფოლოგიურ-სინტაქსურ) მონაცემებთან ერთად, მნიშვნელოვანი როლი ეკისრება ინტონაციასაც.

1.1. უარყოფის უარყოფა ქართველურ ენებში

ორმაგი უარყოფის სემანტიკური ნაირსახეობაა **„ორი უარყოფა"**, რომლებიც ერთმანეთს აბათილებენ და **შედეგს დადებითად** წარმოგვიდგენენ; სწორედ ეს არის მიზეზი იმისა, რომ ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში ამ ტიპის *ორი უარყოფა* არ იხსენიება „ორმაგი უარყოფის" სახელით[1]. უარყოფის უარყოფა ძირითადად ლოგიკასა და ფილოსოფიაში განიხილება და „წინსვლითი მოძრაობის, მარტივიდან რთულისკენ განვითარების" საფუძვლადაა მიჩნეული (ქეგლ-ი). ამ პრინციპით აგებული ფრაზები **ლიტოტესის** შემთხვევებადაა სახელდებული და შეფასებული. ლიტოტესს ორი მნიშვნელობა აქვს. მეორე მნიშვნელობით იგი პერიფრაზის ისეთი სახეა, რომელიც „საწინააღმდეგოს უარყოფას" ან „უარყოფის უარყოფას" გამოხატავს (ომიაძე 1998:54).

„უარყოფის უარყოფა" ლექსიკურ-გრამატიკულად ყოველთვის უარყოფითი კონოტაციის გამომხატველი დენოტატითა და უკუთქმითნაწილაკიანი ზმნით გადმოიცემა (იქვე:54). უარ-

[1] ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში „ორმაგი უარყოფა" მხოლოდ უარყოფის გაძლიერებას გულისხმობს; დაწვრილებით იხ. თ. II: §2.1.

ყოფითი კონოტაციის დენოტატი (**ერთი უარყოფა**) უარყოფილია/გაბათილებულია უკუთქმითნაწილაკიანი ზმნით (**მეორე უარყოფით**); ამიტომ არის **შედეგი დადებითი.**

„უარყოფის უარყოფა“ სხვადასხვა სემანტიკური ნიუანსის გადმოსაცემად გამოიყენება:

1. ზეპირმეტყველებაში

ა. კრძალვა-აკრძალვა, ტაბუირება

ქართული

(1) მოსავალს *ცუდი პირი არ უჩანს* – მოსავალს *კარგი პირი უჩანს.*

(2) ხვალ *ავდარი არ იქნება* – ხვალ *დარი იქნება*, **იგივე**:

მეგრული

(3) ჭუმან *ხანდარა ვეცუაფუ* – ჭუმან *ტაროსი იცუაფუ (ექსპ. მასალები).*

ლაზური

(4) ჭუმენ *პატი ტაონი ვა იყვენ* – ჭუმან *კაი ტაონი იყვენ (ექსპ. მასალები).*

სვანური

(5) მგხარ ხოლა *დარ მამ რრა* – მგხარ ხოჩა *დარ რრა (ექსპ. მასალებ.).*

ბ. თავმდაბლობა-თავშეკავების იმპლიცირება

ქართული

(6) *ცუდად არ ვსწავლობდი* – *კარგად ვსწავლობდი.*

(7) გოგო *უსწავლელი არა მყავს* – გოგო *ნასწავლი მყავს*, **იგივე**:

სვანური

(8) დიუო *უთურა მამ მირი* – დიუო *ლუთურ მირი (ექსპ. მასალები).*

ქართული

(9) შვილი *ულამაზო არა მყავს* – შვილი *ლამაზი მყავს*, **იგივე**:

მეგრული

(10) სქუა *უსქვამური ვაპუნს* – სქუა *სქვამი პუნს (ექსპ. მასალები).*

ლაზური

(11) ბე(რ)ე *ბეთი ვა მიყონუნ* – ბე(რ)ე *მსკვა მიყონუნ (ექსპ. მასალები).*

2. სამეცნიერო ენაში:

სიფრთხილე / ნაკლებკატეგორიულობა

(12) *ძნელი მისახვედრი არ არის / ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რომ...*

(13) *ეჭვს არ იწვევს / ეჭვს არ უნდა იწვევდეს. რომ...*

ნაცვლად უფრო კატეგორიული გამოთქმებისა: *ადვილი მისახვედრია, უეჭველია* და სხვ.[1]

3. პოეტურ მეტყველებაში:

ექსპრესიულობა

(14) „ვნადიროობდი და *ვიზახდი*, ხმა ჩემი არ უდიდოდა " (რუსთაველი 1974:195, № 609, 4).

„*ვიზახდი* = ხმა... *არ უდიდოდა*" / ვყვიროდი = ხმა დიდად ისმოდა.

(15) „შეიყარნეს, ერთმანეთი მათგან *იქო. არ გაუქდა*" (რუსთაველი 1974:318, № 995, 4).

შეიყარნენ [ავთანდილი და ფრიდონი], ერთმანეთი *აქეს, უქებელი არ დარჩა* ერთმანეთისაგან არც ერთი.

(16) „ვერც სიყვარული დავარქვი, არც *უმისობა არ იყო*" (მ. ჩიტიშვილი)

როგორც დამოწმებული მაგალითებიდან ჩანს, პოეტურ ტაეპში სინონიმიზაცია მიიღწევა უარყოფის გამოხატვის სხვადას-

[1] სემანტიკური ჯგუფების სახელდება და ქართულის ზოგი მაგალითი დამოწმებულია ს. ომიაძის ნაშრომის მიხედვით (ომიაძე 1998:54-56).

ხვა ფორმობრივი საშუალებით („უარყოფის უარყოფა“ პოეტურ მეტყველებაში, იხ. შესავალი: §1; თ. I: §1.5).

შენიშვნა 1: *„საწინააღმდეგოს უარყოფა“, რომელიც ასევე პერიფრაზირებულ ლიტოტესს გადმოსცემს,* ***ყოველთვის დადებითი კონოტაციის ლექსიკური ერთეულითა*** *და* ***უკუთქმითნაწილაკიანი ზმნით*** *გადმოიცემა; ლექსიკურ ერთეულს უარყოფს ზმნა და ამიტომ* ***შედეგი უარყოფითია:*** *„ის კაცი მცოდნე არ არის“, ე.ი. უცოდინარია (ომიაძე 1998:54).*

1.2. უარყოფა და პირობით-შედეგობითი ჰიპოტაქსური კონსტრუქცია ქართველურ ენებში

პირობით-შედეგობით ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში **პირობას** გადმოსცემს დამოკიდებული წინადადება, ხოლო **შედეგს** – მთავარი (შანიძე 1973:209). ქართველურ ენებში ამ ტიპის წინადადება წართქმითიც შეიძლება იყოს და უკუთქმითიც (უარყოფითნაწილაკიანი); იგი ბევრი თავისებურებით ხასიათდება, ერთ-ერთია შემადგენელ კომპონენტთა მჭიდრო სემანტიკური ურთიერთშეხამების საკითხი, რის შედეგადაც მთლიანი წინადადება ერთ აზრობრივ ერთეულად გაიგება. რთული წინადადების ნაწილებს შორის ამგვარი მჭიდრო კავშირის მიუხედავად, საბოლოო შედეგისთვის მნიშვნელოვანია მათი სემანტიკის გააზრება ცალ-ცალკეც, პირობით-შედეგობითი ქვეწყობილი წინადადება, სხვა კონსტრუქციათა მსგავსად, ეყრდნობა დამოკიდებული და მთავარი კომპონენტების პრედიკატებს არა მხოლოდ მათი წართქმითობა-უკუთქმითობის, არამედ დრო-კილოთა კატეგორიების მიხედვითაც; წინადადების საბოლოო სემანტიკას განსაზღვრავს პირობა-შედეგის გამომხატველ ნაწილებს

შორის აზრობრივი მიმართება და გამოიყოფა სხვადასხვა ტიპის კონტექსტი.

ყველა ქართველურ ენაში დასტურდება კილოს სამი ფორმა: თხრობითი, კავშირებითი და ბრძანებითი. ქართულ ლინგვისტურ ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა არა მხოლოდ კილოს სახეების რაოდენობასთან დაკავშირებით, არამედ კილოს ცალკე კატეგორიად გამოყოფასთან დაკავშირებითაც (ამ საკითხზე დაწვრილებით მსჯელობა იხ. შანიძე 1930, 1980; კვაჭაძე 1981; ჩიქობავა 1950, 1952, 1979; კოტინოვი, 1963; პაპიძე 1979, 1984; თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია 2011). ზოგიერთი მკვლევარი პირობითი კილოს ცალკე სახეობად გამოყოფას სათუოდ მიიჩნევს იმ შემთხვევაშიც კი, როცა პირობითის გამომხატველი ორგანული ზმნური ფორმები დასტურდება ენაში. იგი კავშირებითი კილოს მოდალურ ფორმად განიხილება (ამ საკითხთან დაკავშირებით მეგრული მასალის ანალიზი იხ. ქობალავა 2001; დადიანი 2005). ამგვარი მოსაზრების გაჩენის საფუძველი ისიც არის, რომ კავშირებითისა და პირობითის სემანტიკა საზიაროა ირეალურობის თვალსაზრისით.

საკითხის შესწავლის ისტორია

ახალი ქართული ენის მასალაზე პირობით-შედეგობით ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში, კერძოდ, მის დამოკიდებულ კომპონენტში უარყოფითნაწილაკიანი პრედიკატის არსებობა-არარსებობას და ამის მიხედვით სემანტიკათა სხვაობას პირველად ა. შანიძემ მიაქცია ყურადღება და დამოკიდებული წინადადების მიხედვით ფაქტობრივად გამოყო ორი ტიპის კონტექსტი:

დადებითი

(1) მე რომ **არ მივშველებოდი**, სულ ლუკმა-ლუკმად დაგლეჯდა.

„თუ მოქმედება, რომელიც პირობას წარმოადგენს, შ ე ს რ უ ლ ე ბ უ ლ ი ა, ის ზმნის უკუთქმითი ფორმით უნდა იყოს გადმოცემული“ (შანიძე 1973:209).

უარყოფითი

(2) მე რომ **მივშველებოდი**, ლუკმა-ლუკმად არ დაგლეჯდა.

„თუ მოქმედება ა რ ა რ ი ს შ ე ს რ უ ლ ე ბ უ ლ ი, ზმნა წართქმითი ფორმით უნდა იყოს მოცემული (შანიძე 1973:209).

კვლევის პერსპექტივა და სიახლეები

ა. შანიძის მიერ დასმული საკითხი პერსპექტიულია კვლევის შემდგომი გაღრმავებისა და არსებულის საფუძველზე ახალი დასკვნების მისაღებად; კერძოდ, მნიშვნელოვანია:

1. უარყოფითპრედიკატიანი დამოკიდებულისა (resp. პირობა) და დადებითპრედიკატიანი მთავრის (resp. შედეგი) სემანტიკური ურთიერთმიმართების საკითხი.
2. პირობით-შედეგობითი კონსტრუქციის საბოლოო სემანტიკის განსაზღვრა.
3. უარყოფითი ნაწილაკის ფუნქციური ცვლილების შემაპირობებელი ფაქტორების დადგენა.
4. ქართველურ ენათა ტიპოლოგიის ენობრივი სურათის წარმოჩენა.

მაგალითები და ცხრილები

(1)

ქართული: მამაჩემს სახლი რომ **არ აეშენებინა**, მე ავაშენებდი.

მეგრული: მუაჩქიმს ჯუდე **ვეუგაფუდუკონი**, მა გევოგანდი.

ლაზური: ბაბაჩქიმიქ ოხოი **ვა კიდატუნა**, მა პკიდუპტი.

სვანური: მიშგუმუ ლახ **მრმ ადგ̈მნა** ქორს, მი ხუგ̈მდ̈ს.

ცხრილი №1

	პირობა ფორმალურად	პირობა სემანტიკურად	შედეგი ფორმალურად	შედეგი სემანტიკურად
1	არ აეშენებინა	ააშენა	ავაშენებდი	არ ავაშენე

მამაჩემმა ააშენა, მე არ ავაშენე.

(2)

ქართული: მამაჩემს რომ სახლი აეშენებინა, მე **არ ავაშენებდი.**

მეგრული: მუაჩქიმს ცუდე გეუგაფუდუკონი, მა **ვეოგანდი.**

ლაზური: ბაბაჩქიმიქ ოხოი კიდატუნა, მა **ვა პკიდუპტი.**

სვანური: მიშგუმუ ლახ ჩუადგამნა ქორს, მი **მამ ხუგამდას.**

ცხრილი №2

	პირობა ფორმალურად	პირობა სემანტიკურად	შედეგი ფორმალურად	შედეგი სემანტიკურად
1	აეშენებინა	არ ააშენა	არ ავაშენებდი	ავაშენე

მამაჩემმა არ ააშენა, მე ავაშენე.

(3)

ქართული: მამაჩემს რომ სახლი **არ აეშენებინა,** მეც **არ ავაშენებდი.**

მეგრული: მუაჩქიმს ცუდე **ვეუგაფუდუკონი,** მა ხოლო **ვეოგანდი.**

ლაზური: ბაბაჩქიმიქ ოხოი **ვა კიდატუნა,** მანთი **ვა პკიდუპტი.**

სვანური: მიშგუმუ ლახ **მრმ ადგამნა** ქორს, მიი **მამ ხუგამდას.**

ცხრილი №3

	პირობა ფორმალურად	პირობა სემანტიკურად	შედეგი ფორმალურად	შედეგი სემანტიკურად
1	არ აეშენებინა	ააშენა	არ ავაშენებდი	ავაშენე

მამაჩემმა ააშენა, მეც ავაშენე.

(4)

ქართული: მამაჩემს რომ სახლი **აეშენებინა**, მეც **ავაშენებდი**.

მეგრული: მუაჩქიმს ცუდე **გეუგაფუდუკონი**, მა ხოლო **გევოგანდი**.

ლაზური: ბაბაჩქიმიქ ოხოი **კიდატუნა**, მანთი **პკიდუპტი**.

სვანური: მიშგუმუ ლახ **ჩუადგ̌ამნა** ქორს, მიი **ჩუხუაგ̌ამდ̌ს**.

ცხრილი №4

	პირობა ფორმალურად	პირობა სემანტიკურად	შედეგი ფორმალურად	შედეგი სემანტიკურად
1	**აეშენებინა**	**არ ააშენა**	**ავაშენებდი**	**არ ავაშენე**

მამაჩემმა არ ააშენა, მეც არ ავაშენე.

დ ა ს კ ვ ნ ე ბ ი

ქართველურ ენათა ემპირიული მასალის ანალიზის საფუძველზე ახალ ქართულში დამატებით გამოიყო ორი ტიპის კონტექსტი, სხვა ქართველურ ენებში – მეგრულში, ლაზურსა და სვანურში დადასტურდა ახალი ქართულისთვის ბუნებრივი ოთხივე ტიპი. კვლევის შედეგები ასახულია სპეციალურ ცხრილებსა და მაგალითებში; კერძოდ,

უარყოფითი ნაწილაკი **დადასტურების** ფუნქციით მოცემულია:

ა) *დამოკიდებულ წინადადებაში:* პირობა სემანტიკურად დადებითია, ხოლო შედეგი – უარყოფითი (იხ. მაგალითი (1), ცხრილი №1).

ბ) *მთავარ წინადადებაში:* პირობა სემანტიკურად უარყოფითია, შედეგი კი – დადებითი (იხ.მაგალითი (2), ცხრილი №2).

გ) *დამოკიდებულ და მთავარ წინადადებებში:* სემანტიკურად პირობაც დადებითია და შედეგიც (იხ. მაგალითი (3), ცხრილი №3).

ამ შემთხვევების გარდა გვაქვს ისეთი შემთხვევაც, როცა დამოკიდებული და მთავარი კომპონენტების პრედიკატები მოცემულია **წართქმითი ფორმით**: ამ ტიპის კონსტრუქციაში არ მონაწილეობს უარყოფითი ნაწილაკი, თუმცა სემანტიკურად პირობაც უარყოფითია და შედეგიც (იხ. მაგალითი (4), ცხრილი №4).

კანონზომიერ პირობით-შედეგობით ურთიერთმიმართებას ქმნიან ზმნური ფორმები, რომლებიც აერთიანებენ დროის, ასპექტისა და კილოს (TAM) კატეგორიებს; ამ კატეგორიათაგან საანალიზო საკითხის გადასაჭრელად მნიშვნელოვანია **კილო**. პირობით-შედეგობით კონსტრუქციაში კავშირებითი კილოს ფორმით გადმოცემული პრედიკატები მოქმედებას ირეალურ დროში წარმოგვიდგენენ. რადგან კავშირებითი კილოს ერთ-ერთი ფუნქცია ფაქტის საწინააღმდეგო მოქმედების გამოხატვაა, მასთან შესაძლებელია უარყოფითი ნაწილაკის საპირისპირო – დადასტურებითი ფუნქციით გამოყენება, ხოლო უარყოფის გამოხატვა სემანტიკურად წართქმითი ზმნური ფორმით. ეს უნივერსალია საერთოქართველური მოვლენაა, რადგან დასტურდება ქართულ სალიტერატურო ენასა და სხვა ქართველურ ენებშიც – მეგრულში, ლაზურსა და სვანურში.

1.3. წინააღმდეგობა ფორმასა და შინაარსს შორის წართქმით და უკუთქმით წინადადებებში

1.3.1. ქართული ენის მასალის ანალიზი

ცნობილია, რომ წინადადება მტკიცების მიხედვით ორგვარია: **წართქმითი**, როდესაც აზრს დადებითად გამოხატავს, ანუ ზმნით გამოხატული მოქმედება დადებითადაა წარმოდგენილი: *სრულდებოდა, სრულდება* ან *შესრულდება* და **უკუთქმითი**, როდესაც აზრს უარყოფითად გამოხატავს, ანუ ზმნით გამოხა-

როდესაც აზრს უარყოფითად გამოხატავს, ანუ ზმნით გამოხატული მოქმედება *არ სრულდებოდა. არ სრულდება* და *არ შესრულდება* (კვაჭაძე 1988:30).

წინადადებას უკუთქმით შინაარსს შემდეგი მეტყველების ნაწილები აძლევენ:

ა) უარყოფითი ნაწილაკები: *არ, ვერ, ნუ; აღარ, ველარ, ნულარ.*

ბ) უარყოფითი ნაცვალსახელები: *არავინ, ვერავინ, ნურავინ; არარა (არრა, არა), ნურა (ნურარა), ვერარა (ვერრა); არაფერი (აღარაფერი), ვერაფერი (ველარაფერი), ნურაფერი (ნულარაფერი)* და სხვ.

გ) უარყოფითი ზმნიზედები: *არსად, ვერსად, ნურსად; არასოდეს, ვერასოდეს, ნურასოდეს; არა(ს)დროს. ვერა(ს)დროს, ნურა(ს)დროს;* და სხვ. (კვაჭაძე 1988:30, დავითიანი 1973:97-98).

მაშასადამე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ ელემენტების არსებობა წინადადებაში სტრუქტურულ ერთეულს უკუთქმითად აქცევს, ხოლო მათ გარეშე წინადადება წართქმითია. ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ სპეციალურ ლიტერატურაში მიუთითებენ შემდეგსაც: „არის წინადადებები, რომლებშიც წინააღმდეგობაა ფორმასა და შინაარსს შორის. ასეთ შემთხვევებში უკუთქმითი ფორმის წინადადებები აზრს დადებითად გამოხატავენ ან, პირიქით, ზოგიერთი წართქმითი ფორმის (მოდელის) წინადადება უკუთქმითი შინაარსისაა“ (დავითიანი 1977:189).

ამის მაგალითებად ა. დავითიანი ასეთ წინადადებებს ასახელებს:

ფორმით (მოდელით) უკუთქმითი, შინაარსით წართქმითი: *როგორ არ უნდა მეშინოდეს?*

ფორმით (მოდელით) წართქმითი, შინაარსით უკუთქმითი: *როგორ დამეხმარა?*

ეს ვითარება ყველაზე კარგად რიტორიკული შეკითხვის

დროს ვლინდება, რასთან დაკავშირებითაც ნ. ბასილაია აღნიშნავდა: შინაარსის მიხედვით რიტორიკული კითხვითი წინადადება არის ორი სახის: მტკიცების და უარყოფის გამომხატველი. ფორმით უკუთქმითი წინადადება აზრს გადმოგვცემს დადებითად (განა ჩვენ არ ვიყავით ამის მოწმე?), წართქმითი კი – უარყოფითად (განა ყველაფერი უნდა ეთქვა?). სხვანაირად ამას **ემოციურ მტკიცებას** და **ემოციურ უარყოფას** უწოდებენ (ბასილაია 1983:53).

ვფიქრობთ, ასეთივე ემოციური მტკიცებისა და უარყოფის წინადადებებია ზემოთ ა. დავითიანის ნაშრომიდან მოყვანილი ნიმუშებიც.

ჩვენი აზრითაც, წინააღმდეგობა ფორმასა (მოდელსა) და შინაარსს შორის, ჩვეულებრივ, სწორედ რიტორიკულ შეკითხვაში გვაქვს. ამ პროცესის ამსახველ მაგალითებს შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნიდან“ წარმოვადგენთ[1]; პოეტური ტექსტი საგანგებოდ შევარჩიეთ, რადგან ეს ჟანრი მდიდარია ამ ტიპის კონსტრუქციებით.

I. ფორმით (მოდელით) უკუთქმითი, შინაარსით წართქმითი:

(1) „თუ მიჯნური ვარ, ერთი ვხამ ხელი მინდორთა მე რებად; **არ მარტო უნდა გაჭრილი ცრემლისა სისხლის ფერებად?..**“ (რუსთაველი 2002, 231, № 792, 2).

ნ. ნათაძე ტაეპის აზრს ასე განმარტავს: „განა გაჭრილი მარტო არ უნდა ამსგავსებდეს თავის ცრემლს სისხლს, განა მარტოობაში არ უნდა ტიროდეს?“ (იქვე:233).

[1] „ვეფხისტყაოსნიდან“ ნიმუშისათვის ზოგჯერ მოგვყავს ერთი ტაეპი, ზოგჯერ – ორი და ზოგჯერ მთლიანი სტროფი; ეს იმის მიხედვით, თუ რამდენად კარგად ჩანს მათში რიტორიკული შეკითხვა, ამავე მიზნით იშვიათად მოგვყავს პოემის ტექსტს დართული განმარტებაც.

(2) „...**არ გული უნდა ფიცის და პირისა გასრულებასა?..**“
(რუსთაველი 2002, 249, №856, 3).

(3) „ყმამან უთხრა: „რაშიგან ხარ, შენ საქმესა რად იქმ ავსა?
ვინ მიჯნური არ ყოფილა, ვის სახმილი არა სწვავსა?
ვის უქმნია შენი მსგავსი სხვასა კაცთა ნათესავსა?
რად სატანას წაულიხარ? რად მოიკლავ ნებით თავსა?“
(რუსთაველი 2002, 258, №883).

(4) „**ვინ არ ყოფილა მიჯნური, ვის არ სახმილნი სდებიან?**
ვის არ უნახავს პატიჟნი, ვისთვის ვინ არა ბნდებიან?
მითხარ, უსახო რა ქმნილა, სულნი რად ამოგხდებიან?
არ იცი, ვარდი უეკლოდ არავის მოუკრეფიან!..“
(რუსთაველი 2002,258, № 886).

[ავთანდილი ეუბნება ტარიელს]
(5) „არას გარგებს შეჭირვება, რომ სჭმუნვიდე, რა გერგების!
არ თურ იცი, უგანგებოდ არათ კაცი არ მოკვდების?..“
(რუსთაველი 2002,262, № 912, 2).

II. ფორმით (მოდელით) წართქმითი, შინაარსით უკუთქმითი:

(6) „მო დავსხდეთ, ტარიელისთვის ცრემლი გვდის არ შეშრობილი;
მისებრი მართ დაბადებით ვინმცა ყოფილა შობილი!..“[1]
(რუსთაველი 2002,12, №7, 2).

[1] როგორც ცნობილია, კითხვითი წინადადების ბოლოს, ჩვეულებრივ, კითხვის ნიშანი იწერება, ბუნებრივია, ასეა ეს რიტორიკული შეკითხვის დროსაც, მაგრამ ზოგჯერ რიტორიკული შეკითხვის ბოლოს ძახილის ნიშანსაც ვხვდებით, მაგ., რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“, მაგრამ ეს საქმის ვითარებას ვერ ცვლის, რადგან რიტორიკულ შეკითხვას განცვიფრებაც ახლავს, უფრო მეტიც, ზოგჯერ სწორედ განცვიფრება სჭარბობს მასში და ძახილის ნიშანიც ამიტომ გვხვდება.

(7) „...**რაღაა იგი სინათლე, რასაცა ახლავს ბნელია?**“
(რუსთაველი 2002,21, №37, 3).

(8) „...**ხვარაზმშა დაჰსვა ხელმწიფედ, დამრჩების რა ნაცვალია?**
სხვა მეფე დაჯდეს ინდოეთს, მერტყას მე ჩემი ხრმალია?!“
(რუსთაველი 2002:166, №571; 3,4).

(9) „**რა უარეა მამაცსა ომშიგან პირის მხმეჭელსა,**
შემდრკალსა, შეშინებულსა და სიკვდილისა მეჭველსა!
კაცი ჯაბანი რითა სჯობს დიაცსა ქსლისა მბეჭველსა?
სჯობს სახელისა მოხვეჭა ყოველსა მოსახვეჭელსა!..“
(რუსთაველი 2002, 235, №807).

(10) „ბრძენი ხარ და გამორჩევა არა იცი ბრძენთა თქმულებ: **მინდორს სტირ და მხეცთა ახლავ, რას წადილსა აისრულებ?..**“
(რუსთაველი 2002,258, №885, 2).

(11) „ბრძენი, ვინ ბრძენი, რა ბრძენი! **ხელი ვითა იქმს ბრძნობასა?..**“
(რუსთაველი 2002, 259, №895, 1).

(12) „**სწყუროდეს, წყალსა ვინ დაღვრის კაცი უშმაგო, ცნობილი?..** “
(რუსთაველი 2002, 272, №928, 1).

(13) „...**სიკვდილამდე ვის მოუკლავს თავი კაცსა მეცნიერსა!..**“
(რუსთაველი 2002,335, №1200, 3).

ამრიგად, წინააღმდეგობა ფორმასა და შინაარსს შორის წართქმით და უკუთქმით წინადადებებში ჩვეულებრივია რიტორიკული შეკითხვების დროს, რომელთაგან უფრო ხშირად გვხვდება ფორმით (მოდელით) წართქმითი და შინაარსით უკუთქმითი წინადადებები.

1.3.2. მეგრულ-ლაზური და სვანური მასალების ანალიზი

I. უარყოფითი ფორმით დადებითი შინაარსის გადმოცემა

მ ე გ რ უ ლ ი მ ა ს ა ლ ა

მეგრულში უკუთქმითი ზმნა მოცემულია მთავარ წინადადებაში; კერძოდ, „ყოფნა“ ზმნის ახლანდელი და წარსული დროის ფორმებს – ორე(ნ) || ორდუ „არის || იყო“ თავში დაერთვის ვა(რ) „არ“ უარყოფის ნაწილაკი, ბოლოში – კითხვითობის გამომხატველი -ო. მიიღება *ვარენო* || *ვარდუო* „არ არის?“ || „არ იყო?“ პრედიკატული ფორმები. თუკი **უარყოფითპრედიკატიან მთავარს წართქმითი დამოკიდებული** მიუერთდება, ქვეწყობილი წინადადება მთლიანად **დადებით შინაარსს** შეიძენს. „უარყოფითის არა, არ ნაწილაკები ენამ გარკვეულ კონტექსტში შეიძლება გამოიყენოს სრულიად საპირისპირო – დადასტურების ფუნქციით“ (შანიძე 1980:209; ჯორბენაძე 1984:165); გამოიყოფა კითხვითი ან კითხვით-ძახითი ინტონაციის შემცველი კონტექსტი (შდრ.: ქართულს, ჯორბენაძე 1984:165-166); მაგალითად,

(1) თე ქუა **ვარენო** მა **გიშვოგორაფე**?! „ეს ქვა არ არის, მე რომ ამოვარჩევინე?!“

(2) თეს **ვარდუო მირიგენდუნ** ჩქიმი სინდა?! (ხუბ. 357, 22) „ამას არ იყო, რომ მირიგებდა ჩემი სიძე?!“.

(3) თინა **ვარდუო** მა **ვოცვილაფენ**? „ის არ იყო, მე რომ მოვაკვლევინე?!“ (დან. ცან.,130, 29).

თინა ვარდუო მა ვოცვილაფენ? სინონიმური შენაცვლებით იქნება: *ნანდულო თინა რდუ მა ვოცვილაფენ! „ნამდვილად ის იყო, მე რომ მოვაკვლევინე!“*; შდრ.: კითხვით წინადადებაში *არა* და *ხომ* ნაწილაკების თავისუფალი მონაცვლეობა ქართულ ზეპირ მეტყველებაში, ქართული ენის დიალექტებში (ლომთათიძე 1946:343; ჯორბენაძე 1984:165).

ლაზური მასალა

(4) აია ქვა **ვაენ**, მანა კაი **მაწონენ**?! (ექსპ. მასალები) „ეს ქვა არ არის, მე რომ მომწონს?!“

(5) აია კოჩი **ვა რტუ**, მანა **მოუშლეთინი**?! (ექსპ. მასალები) ეს კაცი არ იყო, მე რომ გადავარჩინე?!“

(6) ამუკალა **ვარტუ**, იაწკალდი **ნა მოქიმოჯეს**?! (ექსპ. მასალები) „ამას არ იყო, კინალამ რომ მიმათხოვეს?!“

სვანური მასალა

სვანურში საანალიზო ტიპის კონსტრუქციები ქართულისგან განსხვავებულ რაიმე სპეციფიკას არ ავლენენ; მოგვყავს შესაბამისი მაგალითები ბეჭდური ტექსტებიდან:

(7) გერმანიას ჟ'ახწინდა (რუსეთ) ი ჯალდეს **დეშ ჲახწინოლა**?! (ჩანტლაძე და სხვები 2007-2010, 284) „გერმანიას მოერია (რუსეთი) და ხალდეს ვერ მოერეოდა?!“

(8) ბაიმგრზჲ საფლჲუთეჟი **მჲმ ოდრიწჲსა**?! (ჩანტლაძე და სხვები 2007-2010,186) „ბაიმურზას საფლავზე არ ავიდოდი?!“

(9) კოტრლ ყურადღება **მჲმ ხეკუთუწინხა** ეჯ მახელუაჟჲრს ი ეჯჲარე მგრდი დედელჲრს?! (ჩანტლაძე და სხვები 2007-2010, 261) „ცოტაოდენი ყურადღება მაინც არ ეკუთვნით იმ ვაჟკაცებს და იმათ გამზრდელ დედებს?!“

(10) ნაწრიშ **მად'ახჯედაა**?! (ჩანტლაძე და სხვები 2007-2010, 384) „წერას არ აუტანია/„წერა არ მოსვლია?!“

(11) ნაი როქ ქართუელარ ხუიშდ ი იმჟი როქ **მამ ლოხუნაჩდიდ** ალ გუეშთესგა?! (ჩანტლაძე და სხვები 2007-2010, 248) „ჩვენ ქართველები ვართ და როგორ არ ჩავერევითო ამ საქმეში?!“
(12) შუკუ ჩუირი, ეჩქას ამეჩუ იმჟი **მად მეცხენი**?! (ჩანტლაძე და სხვები 2007-2010, 396) „გზა (თუ) იქნება, მაშინ აქ როგორ არ მირჩევნია?!“

II. დადებითი ფორმით უარყოფითი შინაარსის გადმოცემა

კითხვით სიტყვას ზოგჯერ შეიძლება **უარყოფითი მნიშვნელობა** ჰქონდეს; ასეთ დროს მთავარ და დამოკიდებულ წინადადებათა აზრობრივი მიმართება იცვლება – მთლიანად ქვეწყობილი წინადადება **უარყოფითი** შინაარსისაა. ამგვარი კონსტრუქციაც **რიტორიკული შეკითხვის** შემცველია: „როცა კითხვითი ნაცვალსახელები ან ზმნიზედები გამოყენებულია უარყოფითი მნიშვნელობით, მაშინაც გადმოიცემა როგორც კითხვა, ისე ემოცია (ბასილაია 1983:50).

მეგრულში რიტორიკული შეკითხვის შემცველი კონსტრუქციები ძირითადად ჰიპოტაქსური წყობისაა; მაგალითად,
(13) **მინი რე, მიოთინანსუნ**? (ხუბ. 126,1) „ვინ არის, რომ მიუახლოვდება?“. ეს ნიშნავს: *ვერავინ მიუახლოვდება, ან: არავინ არის ისეთი, რომ მიუახლოვდეს.* ასეთნაირად უნდა იქნეს გაგებული სხვა მაგალითების შინაარსიც:
(14) ბოში, სი **მუთ რე გაგორენი** თი სქანი ჯიმალეფი? „ბიჭო, შენ რით არის, რომ მოგეძებნება ის შენი ძმები?“ (დან. ცან., 164, 30-31).
(15) **მუჟანსი რდუ** მა სი **გოხვარუდინ**?! (ექსპ. მასალები) „როდის იყო, მე შენ რომ გეხმარებოდი?!

კითხვა შეიძლება რიტორიკული იყოს მაშინაც, როცა მთავარ წინადადებაში კითხვითი სიტყვის ნაცვლად პირის ნაცვალსახელი ან რომელიმე სახის ზმნისართია მოცემული; მაგალითად,

(16) **ათეს რდუო, მნატრენდინი**? [1] „ამას იყო, რომ ვნატრობდი?“ (გუდ. 164, 27).

(17) **მა რენო** თქვა ჭითა ნაბადის **მიციდენთგნი**? „მე არის, თქვენ წითელ ნაბადს რომ მიყიდით?!“ (დან. ცან., 144,19).

(18) **დღას ორდუო**, მა სი **გოხვარუდინ**? (ექსპ. მასალები) „ოდესმე იყო, მე შენ რომ გეხმარებოდი?“

(19) **დღას ორდუო**, თეგვარ საქმეშა მა სი **მერცუნდინ**?! (ექსპ. მასალები) „ოდესმე იყო, ამგვარ საქმეზე მე შენ რომ მოგყვებოდი?!“.

ლაზურის მაგალითები:

(20) სკანიშენი ორა **მის ულუნ**?! (ექსპ. მასალები) „შენთვის დრო ვისა აქვს?!“

(21) **მი ულუნ** აკო მენდრა სკანიშენი?! (ექსპ. მასალები) „ვინ წავა ასე შორს შენთვის?!“

(22) აკო მენდრა **მი ნულუნ**?! (ექსპ. მასალები) „ვინ წავა ასე შორს?!“

(23) დოლუ **მიქ უწუმეს**?! / **მიქ უწუმეს** დოლუ?! (ექსპ. მასალები) „ვინ ეტყვის სიმართლეს?!“

(24) **მუნეს ტუ**, მა **მეგიშველიტი**? (ექსპ. მასალები) „როდის იყო, მე (რომ) გეხმარებოდი?!“

სვანურის მაგალითები:

(25) **იმ ოხჩიშად** ეჩა ლისგნჯაუის, ეჩა გუეშარ ჯერიუხა?! (ჩანტლაძე და სხვები 2007-2010, 261) „რას მოასწრებდით იმის თვალიერებას („სინჯვას“), იმის თავი („საქმეები“) გექნებოდათ?!“

(26) ათხე უენდ ლიხ ფრენოლ ი ეჩქას ფრენოლს **დარ ნეჰუდუ-**

[1] Sı პირის ნიშანი ვ- → მ- ნ-ს წინ (Кипшидзе 1914: 055).

ნოლ?! (ჩანტლაძე და სხვები 2007-2010, 398) „ახლა ძლივს არის ფრენები და მაშინ ფრენებს ვინ მოგვცემდა?!“
(27) ეჯამაგ მაყალ ნია, ეჩას ღალ **ლაშგლდან იმე ხარ**?! (ჩანტლაძე და სხვები 2007-2010, 84) „იმდენი შიში აგვიტანია, იმას სათვალავი სადა აქვს?!“
(28) ალდარს ერ ხუენწდ, **იმთე ოდრინას**?! (ჩანტლაძე და სხვები 2007-2010, 186) „ესენი რომ დავინახე, სად(ღა) წავიდოდი?!“
(29) ლახ კონსერუატორიას ოთზგრრს, კისდ ზურალ ხურრლ, მარე **დარდ ამფიშუდ** თბილისთე?! (ჩანტლაძე და სხვები 2007-2010, 220) „კონსერვატორია რომ დამემთავრებინა, მართლა ქალი ვიქნებოდი, მაგრამ ვინ გამიშვა თბილისში?!“
(30) ეკლესიათე **იმჟი ხეკუეს ათხია** დარაღ?! (ჩანტლაძე და სხვები 2007-2010, 316) „ეკლესიაში როგორ უნდა წაიღო იარაღი?!“
(31) შომა **დარდო ჯედნი**, დას ხოხა?! (ჩანტლაძე და სხვები 2007-2010, 329) „ვინ როდის მოვა, ვინ იცის?!“

1.4. უარყოფა და ჩაკითხვა: უარყოფითი ნაწილაკის ფუნქციური განაწილების პრინციპები ქართველურ ენებში

ქართულში უარყოფის გამომხატველი ნაწილაკები **არა** და **არ** ძჭიდროდ უკავშირდება ერთმანეთს სტრუქტურული თვალსაზრისით: ერთი მომდინარეობს მეორისგან (არა → არ); შინაარსიც ერთნაირი აქვთ, თუმცა ფორმალურად ყოველთვის არ მონაცვლეობენ, რაც სემანტიკური ნიუანსობრივი სხვაობით აიხსნება; მაგალითად, არაკითხვითსიტყვიანი კითხვითი წინადადების უარყოფითი პასუხის დროს მხოლოდ **არა** ნაწილაკი გამოიყენება (იგი ცვლის მთელ წინადადებას, როგორც დადებითი პასუხის დროს **დიახ** ან **კი**); ზმნის წინა პოზიციაში კი დასტურდება **არა** ნაწილაკის გამარტივებული ფორმა **არ**:

(1) **არ** მოვიდა, (2) **არ** შეასრულა, (3) **არ** წაუღო და სხვ. გა-

მონაკლისია რამდენიმე ზმნა, რომლებიც **არა** ნაწილაკს სრული სახით დაირთავენ: **არა** აქვს, **არა** ჰყავს, **არა** მგონია... (დაწვრილებით იხ. ჯორბენაძე 1984:144).

ქართული **არა/არ** ნაწილაკის გრამატიკულ-სემანტიკური ფარდია მეგრულში **ვარ/ვა**, ლაზურშიც **ვარ/ვა**, სვანურში **დესა/მ̄ამა** ნაწილაკები. მეგრულსა და ლაზურშიც **ვა** ფორმა **ვარ**-ისგან მომდინარეობს (ვა ← ვარ); დიალოგურ მეტყველებაში (მეორე პირის რეპლიკაში) უარყოფითი პასუხის დროს, ქართულის მსგავსად, მხოლოდ **ვარ** ფორმა დასტურდება[1], ზმნის წინა პოზიციაში კი, უგამონაკლისოა მეგრულში **ვა** „არ“; ლაზური ორივე ფორმას გვიჩვენებს: **ვარ || ვა**, თუმცა სიხშირით **ვარ** ჭარბობს. სვანურში **დესა / მ̄ამა** ნაწილაკები რთული შედგენილობისაა. საკუთრივ უარყოფითი ნაწილაკებია **დე-** და **მა-** ელემენტები (ხმოვნითი ნაწილი ცვალებადია და დამოკიდებულია ამ ნაწილაკის ადგილსა და ფუნქციაზე რთულ კონსტრუქციაში), მეორე კომპონენტი ნაცვალსახელებია; უარყოფითი ელემენტები დამოუკიდებლად არ იხმარება სვანურში, მთლიანად რთული ფორმები (ნაწილაკები) ეფარდება ქართულ არა, არ-ს ზემოაღწერილ ვითარებაში.

ქართული არ, არა [2] და მათი ფარდი ნაწილაკების ფუნქციური განაწილების პრინციპები კარგად წარმოაჩენს კითხვითი სიტყვის გარეშე წარმოდგენილი კითხვითი წინადადების ორგვარ მოდალობას: **შეკითხვასა** და **ჩაკითხვას**.

შეკითხვა, მათ შორის უკუთქმითი ფორმითაც, არის *„ვინმესთვის ისეთი მიმართვა, რომელიც პასუხს მოითხოვს“*

---

[1] მეგრულში დიალოგური მეტყველების დროს პარალელურად შეიძლება შეგვხვდეს „არა“-ს მნიშვნელობის გაარსებითებული **ვარი** „უარი“ ფორმაც (მაგალითი იხ. თ. III: §1.2).

[2] საანალიზო საკითხთან დაკავშირებით მხოლოდ ქართული არა/არ და მისი ფარდი ნაწილაკები გამოდგება და მათ განვიხილავთ.

(ქეგლ-ი), დადებითს ან უარყოფითს; ამის საპირისპიროდ, **ჩაკითხვა** არის ისეთი შეკითხვა, რომლის პასუხად მთქმელი ელოდება მისთვის უკვე ცნობილი ფაქტის დადასტურებას; შესაბამისად, პასუხიც მხოლოდ დადებითია. ჩაკითხვის გადმოსაცემად ქართულში გამოიყენება დადასტურების **ხომ** ნაწილაკი, რომლის პოზიცია ზმნის მიმართ თავისუფალია: ***ხომ** მოგეწონა? / მოგეწონა, **ხომ**?* ამ თვალსაზრისით ქართულისებური ვითარებაა მეგრულსა და ლაზურშიც; მათ დადასტურების ნაწილაკიც ქართულთან საერთო აქვთ *(მეგრ. ხომ მეგეწონუ? / მეგეწონუ, ხომ?)*. სვანურის მონაცემები განსხვავებულია იმ თვალსაზრისით, რომ დადასტურების მნიშვნელობას გამოხატავს კითხვის გამომხატველი **-მო**[1], რომელიც ყოველთვის ზმნას მიერთვის პოსტპოზიციურად და რთული ნაწილაკი **მ̆ადე-ა / მადე-ა.**

***შენიშვნა 1**: მ̆ადე-ა / მადე-ა სტრუქტურულად კითხვითნაწილაკიანი უარყოფითი ნაწილაკია, თუმცა სინქრონიულ დონეზე სრულიად დაცლილია უარყოფითობის სემანტიკისგან, მხოლოდ მტკიცება-დადასტურებას გამოხატავს და ზედმიწევნით შეესატყვისება ქართულ ხომ-ს (აჩ̆ად, მ̆ადა? „წავიდა, ხომ?“); შესაბამისად, მოპასუხისგან დადასტურების მოლოდინიც იმდენად სრულია, რომ ნაწილაკიანი ფორმები რიტორიკულ შეკითხვადაც კი შეიძლება ჩაითვალოს.*

დადასტურების სემანტიკისთვის ენამ შესაძლოა გამოიყე-

[1] სპეციალურ ლიტერატურაში (ქალდანი 1964; ონიანი 1998) აღნიშნულია, რომ სვანურში კითხვითი ნაწილაკები **-მა** და **-მო** თავისუფლად ჩაენაცვლებიან ერთმანეთს, რაც რეალურ ვითარებას არ შეესაბამება: მიუხედავად საზიარო გენეზისისა, თანამედროვე ეტაპზე მათ სხვადასხვა ფუნქცია აქვთ: **-მა** გამოხატავს შეკითხვას („ჰო თუ არა?“), ხოლო **მო-** – ჩაკითხვას („ხომ?“).

ნოს უარყოფითი ნაწილაკიც: ქართულში „ა რ ა შეიძლება გამოყენებულ იქნეს მტკიცებით-დადასტურებითი დანიშნულებით ჩაკითხვის დროს: „წავიდა, არა?“ (იგივეა, რაც „წავიდა, ხომ?“) (ჯორბენაძე და სხვები 1988:44).

საინტერესოა, როგორ აისახება შეკითხვა-ჩაკითხვის სემანტიკური ნიუანსები უარყოფითი ნაწილაკის ფორმობრივ-პოზიციურ მახასიათებელზე კითხვითი სიტყვის გარეშე წარმოდგენილ კითხვით წინადადებაში და რა ვითარებაა ამ თვალსაზრისით ქართველურ ენებში?

I. ტიპი:

კითხვითი სიტყვის გარეშე წარმოდგენილ **კითხვით წინადადებაში შეკითხვა** უკუთქმითი ფორმით გადმოიცემა **ზმნის წინა პოზიციაში** მოცემული **უარყოფითი ნაწილაკის** საშუალებით; მაგალითად,

(4) ქართ. დედაშენი **არ** მოვიდა?
N Neg V

(5) მეგრ. დიასქანქ **ვა** მორთუ-ო?[1]
N Neg V-QPTCL

(6) ლაზ. ნანასკანი **ვარ/ვა** მოხტუ-ი?
N Neg V-QPTCL

(7) სვან. ისგუდი **დე̄ს(ა)/მᲐმ(ა)** ანჴᲐდ-ა?
N Neg V-QPTCL

II. ტიპი:

კითხვითი სიტყვის გარეშე წარმოდგენილ **კითხვით წინადადებაში** უკუთქმითი ფორმით მოცემული შეკითხვა **ჩაკითხვად** გადაკეთდება, როცა უარყოფითი ნაწილაკი **ზმნის წინა პოზიციიდან** გადაინაცვლებს **ზმნის მომდევნო პოზიციაში** და აღიდგენს სრულ ფორმას; მაგალითად,

[1] მეგრულში უარყოფის ნაწილაკსა და ზმნას ამჯერად ცალ-ცალკე ვწერთ თვალსაჩინოებისთვის (იხ. ამ საკითხზე თ. III: §1.2).

(8) ქართ. დედაშენი მოვიდა, **არა**?
N V Neg:AFF
(9) მეგრ. დიასქანქ მორთუ, **ვარ-ო**?
N V Neg:AFF-QPTCL
(10) სვან. ისგუდი ანჯ̈ად, **მჳმა-და**?
N V Neg:AFF-QPTCL

***შენიშვნა 2**: ბზ. მჳმადა?, ბქ. დემეგა? „არა?" / „არა-ა?" ჩაკითხვაა, მაგრამ მათი დართვით წინადადებაში ნაკლებად გამოიხატება დადასტურებითი პასუხის მოლოდინი, რაც ასე იგრძნობა ქართულში. სვანურ ნაწილაკებს უფრო მეტად მიესადაგება კონტექსტები: „ასეა თუ არა?" „არა, თუ?" „განა არა?" ქვეტექსტი: „შენ ასე არ ფიქრობ?" „არ არის ასე?" (მთქმელი თანაბრად უშვებს დადასტურება-დაუდასტურებლობის შესაძლებლობას მოპასუხისგან).*

ლაზ.
(11) ნანასკანი მოხტუ, **ხომ**? (ს. სარფი)
N V AFF
(12) ნანასკანი მოხტუ, **ჰო ი**?(არტაშენი)
N V AFF QPTCL

I. ტიპის კითხვით წინადადებაში გამარტივებული უარყოფითი ნაწილაკები (ქართ. არ და მისი შესატყვისები სხვა ქართველურ ენებში) ზმნის წინა პოზიციაში დგანან. მათი ძირითადი ფუნქციაა **უარყოფის გამოხატვა**; ამ თვალსაზრისით ყველა ქართველურ ენაში ერთნაირი ვითარებაა (იხ. მაგალითები: (4), (5), (6), (7)).

II. ტიპის კითხვით წინადადებაში სრული სახის უარყოფითი ნაწილაკები (*ქართ. არა? მეგრ. ვარ-ო?)* **გამოხატავენ უარყოფის**

საპირისპირო მნიშვნელობას – დადასტურებას. ამავე დროს, უარყოფითი ნაწილაკი დგას ზმნის შემდეგ და მიემართება მთელ წინადადებას. II. ტიპის კითხვითი წინადადების ფორმალურ-სემანტიკური მონაცემები **ერთნაირია** ქართულსა და მეგრულში (მაგალითები: (8), (9)); სვანურიც მათ ემსგავსება, მაგრამ **დადასტურებას დაბეჯითებით ვერ გამოხატავს** (იხ. მაგალითი (10) და შენიშვნა 2). ლაზურის მონაცემები მხოლოდ სემანტიკურად ეფარდება მათ (მაგალითები: (11), (12)), რადგან იგი ჩაკითხვას მხოლოდ დადასტურებითი ნაწილაკების საშუალებით გამოხატავს (შდრ.: ქართულს: *მოგეწონა, **ხომ**?*)

I. და II. ტიპის კითხვითი წინადადებები ერთმანეთისაგან განსხვავდება **ინტონაციითაც**:

I. ტიპის (არაკითხვითსიტყვიან) კითხვით წინადადებაში **კითხვითი ინტონაცია** ქართულ სალიტერატურო ენაში გამოხატულია მხოლოდ ფონეტიკურად – მახვილი მოუდის შემასმენლის ბოლო მარცვალს; მეგრულ-ლაზურსა და სვანურში ფონეტიკურთან ერთად გამოხატულია მორფოლოგიურადაც, კერძოდ, კითხვითი ნაწილაკით (QPTCL), რომელიც დაერთვის ზმნას; შეკითხვის მახვილიც ზმნას მოუდის ბოლოდან მეორე მარცვალზე.

II. ტიპის კითხვითი წინადადებებიც არაკითხვითსიტყვიანია და, შესაბამისად, **კითხვითი ინტონაციის** გამომხატველი საშუალებებიც უცვლელია; თუმცა იცვლება სიტყვათა რიგი წინადადებაში; კერძოდ, უარყოფის ნაწილაკი ზმნის მომდევნოდ დგას და ჩაკითხვის დროს კითხვითობის მახვილიც მასზე მოდის.

II. ტიპის კითხვით წინადადებაში სემანტიკური პროცესის უკეთ გასაგებად შინაარსობრივად გავშალოთ ქართულის მე-8 მაგალითი:

ქართ. დედაშენი (N) მოვიდა (V), **არა**? (Neg:AFF) გამოიყენება ქართულ სპონტანურ დიალოგურ მეტყველებაში და შინაარსობრივად უდრის: დედაშენი (N) მოვიდა (V), **ხომ** ? (AFF)

შენიშვნა 3: ზეპირმეტყველებისთვის დამახასიათებელი ჩაკითხვის გამომხატველი „არა“ ნაწილაკიანი კონსტრუქციები ასახულია ქართველ კლასიკოსთა შემოქმედებაშიც;

მაგალითები კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენიდან“:

*(13) „– ვინ გასწავლიდა ბიზანტიონში ფერწერას? – მხატვართუხუცესი ავრელიოს ალოსტოს. – ავრელიოს ალოსტოს! როდოსელი ბერძენი, **არა**? ფერწერაში ნიჭი მოგდგამს, გეტყობა...“ (კ. გამსახურდია, 1959, 657).*

*(14) „რაც არ უნდა იყოს, ერისთავის ქალია, უნეტარესო, ეგ დიაცი, **არა**? ვილაც სარკინოზს თუ ირანელს არ მითხოვდება, **არა**?“ (კ. გამსახურდია, 1959, 596).*

*(15) „მე მგონია, რაც წამართვი, იგიც გეყოფა, მეფევ ბატონო, **არა**?“ (კ. გამსახურდია, 1959, 775).*

უარყოფის გამოხატვის პოლარულ საშუალებათაგან **ჩაკითხვა** ერთ-ერთია, რომელსაც მთქმელი მიმართავს მაშინ, როცა წინადადებაში მოცემული ფაქტი მისთვის ცნობილია და ელოდება დადებით პასუხს. უარყოფითი ნაწილაკის საპირისპირო – დადებითი მნიშვნელობით გამოყენება გახაზავს მთქმელის მიერ ფაქტის წინასწარ ცოდნას, ინფერენციას – ლოგიკურ ნაწილობრივ დასკვნას წინმსწრები მოვლენების ან კონტექსტის საფუძველზე.

უარყოფითი და დადასტურებითი ნაწილაკების **სინონიმური მონაცვლეობა** დამახასიათებელია ქართული სალიტერატურო ენის დიალექტებისთვისაც:

(16) იქიდან რომ დაბრუნდება(V), არა(Neg:AFF), მაშინ უნდა იკითხო მისი ამბავი (გურული).

შდრ.:

(17) ქე (AFF) რო დევეცი (V), მერე ასე მაქ ე ფეხი (იმერული).

ამრიგად, ქართულსა და მეგრულში **კითხვისა** და **ჩაკითხვის** გამოხატვა ემყარება არ, არა და მისი ფარდი უარყოფითი ნაწილაკების *ფორმას (გამარტივებულია თუ სრული), პოზიციას (ზმნის წინაა თუ მომდევნოდ)*[1] და *ინტონაციას*.

სვანური და ლაზური **კითხვა-ჩაკითხვის** გამოსახატავად უარყოფის ერთსა და იმავე ნაწილაკს არ იყენებენ და ამ თვალსაზრისით ქართულ-მეგრულისაგან განსხვავებულ ვითარებას გვიჩვენებენ. ყველა ქართველური ენისთვის საერთოა **კითხვა-ჩაკითხვის** განსხვავება **ინტონაციით** (მსჯელობა იხ. ზევით).

უარყოფითი ნაწილაკის გამოყენება ჩაკითხვის დროს დამახასიათებელია სხვა ენებისთვისაც, ოღონდ ეს შესაძლებელია არა მხოლოდ ნაწილაკით, არამედ უარყოფითნაწილაკიანი კონსტრუქციის საშუალებით; მაგალითად, რუს.: **не так ли**? გერმ.: nicht war? ინგლ.: is not it? ამ რიგისაა ქართულში შემდეგი ფრაზები: *ა. ასე არ არის? ბ. წელან არ წავიდა? გ. ახლა არ წავიდა?* და მისთ. მსგავს შემთხვევებში **არ** ნაწილაკით დადასტურების სემანტიკის გადმოცემა შეპირობებულია ზმნისართებით (ასე, წელან, ახლა), რომლებიც ფრაზას ანიჭებენ ჩაკითხვისთვის აუცილებელ ინფერენციულ მნიშვნელობას (ქართული მასალის შესახებ განსხვავებული თვალსაზრისისთვის იხ. ჯორბენაძე და სხვები 1988:43).

1.5. სხვადასხვა ემოციურ-გამომსახველობითი ნიუანსის გამოხატვა არა / არ უარყოფითი ნაწილაკების საშუალებით

როგორც ცნობილია, **არა** ნაწილაკი (ისევე, როგორც **დიახ** და **ჰო**), როდესაც წინადადებას წინ უძღვის, აძლიერებს მის ლოგი-

[1] ზმნის მომდევნო პოზიციაში მდგარი უარყოფითი ნაწილაკი მიემართება მთლიანად წინადადებას.

კურ მხარეს – დასტურს ან უარყოფას; ამის ნიმუშია: „**არა**, მყინვარი არ მიყვარს“ (ი. ჭავჭავაძე, 1974, 21). ამ შემთხვევაში **არა** დაბეჯითებით უარყოფს იმას, რაც შემდეგ ფრაზაშია გადმოცემული: მყინვარი არ მიყვარს.

ზოგჯერ აშკარა არ არის ის, თუ რომელ წინადადებას ცვლის **არა** ნაწილაკი, მაგრამ მთელი კონტექსტის მიხედვით შეიძლება ვივარაუდოთ. როგორც ა. დავითიანი აღნიშნავს, როცა უკუთქმითი ნაწილაკი ფუნქციურად გარკვეულ წინადადებათა მაგივრობას ეწევა, კონტექსტის მიხედვით ყოველთვის იგულისხმება შესაბამისი სრული თუ უსრული შესიტყვება-წინადადება (დავითიანი 1973:169).

მაგალითად, ასეთ წინადადებაში: „**არა**, წარიღეთ ეს ბნელი და მშვიდობიანი ღამე...“(ი. ჭავჭავაძე, 1974, 23), კონტექსტის მიხედვით ვხვდებით, რომ **არა** ცვლის დაახლოებით ასეთ წინადადებას: არ მიყვარს / არ მინდა ეს ბნელი და მშვიდობიანი ღამე.

საინტერესოა, რომ ზოგჯერ **არა** წინ უძღვის წინადადებას, რომელიც რიტორიკულ შეკითხვას ან მიმართვას გადმოგვცემს: „**არა**, სხვისი მისაბაძი რა მჭირს, თვარა – კი! სხვა როცა მე შემომნატრის, მე მივბაძო სხვას?“ (მ. მაჭავარიანი, 2007, 254). ამ შემთხვევაში **არა** აძლიერებს რიტორიკული შეკითხვით გადმოცემულ აზრს – სხვისი მისაბაძი არაფერი მჭირს. უარყოფითი ნაწილაკის დართვით ეს რიტორიკული შეკითხვა უფრო მეტად ემოციური ხდება, უფრო მეტ გამომსახველობას იძენს. ასეთი ფრაზები, ძირითადად, სპონტანური მეტყველებისათვის არის დამახასიათებელი და ლიტერატურაში სტილისტური ფუნქციით გამოიყენება; დასახელებული მაგალითი მუხრან მაჭავარიანის სტილის თავისებურების ნიმუშია. ასეთივეა კიდევ ერთი ამონარიდი მისი პოეზიიდან: „შენთან ერთად სადმე შესვლას, თითო კათხა ლუდის შესმას, – რა ნადიმი შეედრება?!... **არა**! თქვი, თუ შეედრება!“ (მ. მაჭავარიანი, 2007,101).

დიალექტებისათვის დამახასიათებელია ჩაკითხვის გამომხატველი უარყოფითი და დადასტურებითი ნაწილაკების გამოყენება: იქიდან რომ დაბრუნდება **არა**, მაშინ უნდა იკითხო მისი ამბავი (გურული). შდრ.: **ქე** რო დევეცი, მერე ასე მაქ ე ფეხი (იმერული, ლომთათიძე, 1946, 343); თავისი ძმისწულია, **ხომ**? (რაჭული).

ქართულ სასაუბრო მეტყველებაში დადასტურებითი და უარყოფითი ნაწილაკები **კი** და **არ** ერთადაც გამოიყენება ამ ტიპის წინადადებებშიც: *ტყუილად **კი არ** მოჰკრეს თვალი...გიგოლას! (მ. ჯავახიშვილი 1976, 437); ტყუილად **კი არ** ჩამომშორდნენ ბალღებიც! (მ. ჯავახიშვილი 1959, 526);* ცხენი განა ეხლა **კი არ** არის*?!* (ი. ჭავჭავაძე, 1974, 37).

ამ ტიპის ძახილისა და კითხვა-ძახილის წინადადებებში აღნიშნული ნაწილაკების ერთად გამოყენებით გამოხატულია ნათქვამის დადასტურება ნიშნის მოგების ნიუანსით. ასეთივე დანიშნულებისაა **აკი** ნაწილაკი-მორფემოიდი, რომელიც, როგორც ა. შანიძე აღნიშნავს, სწორედ **არ** და **კი** ნაწილაკების შერწყმის შედეგად არის მიღებული: აკი < არკი (შდრ.: აკი გითხარი!) (შანიძე 1980:618).

არ ნაწილაკს კითხვით-ძახითი ინტონაციის წინადადებაშიც დადასტურების ფუნქცია აქვს და არა უარყოფისა: აგერ **არ** მოდის?! როგორც ბ. ჯორბენაძე აღნიშნავს, ეს ნიშნავს: აგერ, ახლა მოდის! (ჯორბენაძე და სხვები 1988:166), ამ ტიპის უარყოფითნაწილაკიან ფრაზაში დადასტურებასთან ერთად ჩანს მოულოდნელობით გამოწვეული გაკვირვებაც. მომხდარის დადასტურება, კმაყოფილება და გაოცება ჩანს რიტორიკული შეკითხვის გამომხატველ წინადადებაშიც: კარგად **არ** გამოგვივიდა?! ან ძახილის წინადადებაში, რომელიც შექებას (ზოგჯერ კი ირონიით შექების საპირისპირო შინაარსს) გამოხატავს: ძალიან **არ** მოგინდომებია!

მსგავს შემთხვევებთან დაკავშირებით ა. დავითიანი აღნიშ-

ნავს: „უკუთქმითი წინადადება უშუალოდ უარყოფით პრედიკატთან არის დაკავშირებული, მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც უარყოფითი პრედიკატითაც არ არის გამოხატული უარყოფა, თუმცა სტრუქტურა უკუთქმითი წინადადებისაა. ეს განსაკუთრებით შესამჩნევია გაძლიერებული ემოციურ-სტილური დატვირთულობის მქონე (აქტუალიზებულ) წინადადებებში, როგორიცაა, მაგალითად: *ვინ* ***არ*** *მოხიბლულა ქართველთა სტუმართმოყვარეობით?! ამის გაძლება* ***არ*** *გინდა? როგორ* ***არ*** *ვიჩივლო?!* და *სხვ.* ამ წინადადებებში მსჯელობის ნეგატიური ფორმა პოზიტიურის ფუნქციით არის გამოყენებული“ (დავითიანი 1973:100).

უარყოფითი ნაწილაკის სხვადასხვა ფუნქციით გამოყენების ნიმუშად გვინდა მოვიყვანოთ მ. მაჭავარიანის კიდევ ერთი ლექსი (მ. მაჭავარიანი, 2007,124), რომელშიც **არა** ნაწილაკი განსაკუთრებული ემოციურ-გამომსახველობითი ნიუანსების შემომტანია:

არა!
„ტყუილა კი არ ატყორცნილა ამხელა ხენი!
თავ-პირს ტყუილა კი არ იმტვრევს ქვებზე ყვირილა!
ანდა, საწნახელს უტკბილესი ქვიშხურის წვენი
ტყუილა კი არ წასკდომია სისხლად ცხვირიდან!
არა!
მე ამან საუკუნოდ აღმაფრთოვანა!
არგვეთის სივრცემ ჩამაწურა სულში ფირუზი!
გული სოფლიდან წამოვიღე სწორუპოვარი
და ძმაკაცივით გადავკოცნე დილა თბილისის!
არა!
ტყუილა არ ყიოდა მამალი თურმე!
ვაშლებში თურმე თენდებოდა ტყუილა როდი!
ჭრიალ-ჭრიალიც არ გაჰქონდა ტყუილა ურმებს!
არც ყვირილაზე ქანაობდა ტყუილა ბონდი!
არა!

მე ამან საუკუნოდ აღმაფრთოვანა!
არგვეთის სივრცემ ჩამაწურა სულში ფირუზი!
გული სოფლიდან წამოვიღე სწორუპოვარი
და ძმაკაცივით გადავკოცნე დილა თბილისის!“

ამ ლექსის სათაურად გამოტანილი და შემდეგ სტროფების წინ კიდევ გამეორებული **არა**, როგორც აღვნიშნეთ, მეტ ექსპრესიულობას ანიჭებს სათქმელს, მაგრამ სხვადასხვა შემთხვევაში სხვადასხვა ნიუანსის შემომტანია. პირველ სტროფში ის ხაზს უსვამს **კი არ** ნაწილაკების ერთად გამოყენებით გამოხატულ დადასტურებას და ნიშნის მოგებას, მესამე სტროფში უარყოფითნაწილაკიანი ზმნით გადმოცემულ სათქმელს დაბეჯითებით უარყოფს: „ტყუილა არ ყიოდა მამალი თურმე!“, ხოლო მეორე სტროფის დასაწყისში (რომელიც ბოლოს კიდევ მეორდება), იგი მხოლოდ ძლიერი ემოციის გამომხატველია და ლექსში გადმოცემულ განწყობას მეტ გამომსახველობას ანიჭებს.

როგორც ვხედავთ, უარყოფითი ნაწილაკები, მათი ძირითადი ფუნქციის – უარყოფის გამოხატვის გარდა, ალტერნატიული, მტკიცება-დადასტურების, ფუნქციითაც გამოიყენება და ასევე სხვადასხვა ემოციურ-გამომსახველობით ნიუანსსაც სძენს წინადადებას. უარყოფითი ნაწილაკის დამატებითი ფუნქციით გამოყენების საფუძველს სხვადასხვა შემთხვევაში ქმნის: ამ ნაწილაკის პოზიცია, სხვა ნაწილაკთან დაწყვილება, ინტონაცია, კონტექსტი.

1.6. უარყოფითი ნაწილაკი მტკიცება-დადასტურების ფუნქციით სპეციფიკურ ზმნურ მოდელში: გამოხატვის საერთო საფუძველი მეგრულ ენასა და ქართული ენის დასავლურ დიალექტებში

მეგრულში ზმნის თავკიდურა პოზიციაში **ვა-ქო** ნაწილაკების კომბინაციას პირველად მაკარ ხუბუამ მიაქცია ყურადღება, დაიმოწმა მაგალითები (ვაქოძირესო – ხუბ. 70,10 „ქე არ ნა-

ხეს“; **ვაქჷმორთუო** – ხუბ. 70,13 „ქე არ მოვიდა“) და მიუთითა, რომ ეს მოვლენა მანამდე არ იყო აღნიშნული სპეციალურ ლიტერატურაში (ხუბუა 1942ბ:744):

(1) ქომორთუ ახალი სასინჯოქ, მოჭყუდუს მარწკინდი ქამააგუ ხეს, ფაიტონს ქიგედოხოდეს, პაპაშა მეუნა, ჯვარი დეეწერან ოკო **დო, ვაქომორთუო** თე ბოშიქ?! ღურელი უჩქუდესინ, თი სასინჯოქ (ექსპ. მასალები) „მოვიდა ახალი სასიძო, პატარძალს ბეჭედი გაუკეთა ხელზე, ეტლში ჩასხდნენ, მღვდელთან მიდიან, ჯვარი დაიწერონ უნდა **და, არ ქე მოვიდა** ეს ბიჭი?! მკვდარი რომ ეგონათ, ის სასიძო“.

მეგრულის გავლენით ქართული ენის დასავლურ დიალექტებშიც დასტურდება მსგავსი მოდელები, ოღონდ დადებითი და უარყოფითი ნაწილაკების ურთიერთშეხამების პროცესი უფრო შორს არის წასული **ქე** „კი“/ „დიახ“ ნაწილაკის გამარტივების ხარჯზე (ქე- + არ = **ქარ**): *ქარ მომიტანა ვალი?!* (დაწვრ. იხ. ფაღავა 2009:85)[1]; სხვა მაგალითები დიალექტებიდან:

(2) **ქ'არ** (← ქე არ) მიაგნო კარეფს უკან! (იმერ. დიალექტი).

(3) ჯდებიან საჭმელძე, იი დროია, და **ქ'არ** (← ქე არ) მუა გლახუნე! (გურ. დიალექტი).

ვა-ქო- / ქ'არ ნაწილაკებიანი ზმნური მოდელით გადმოცემული ფრაზა **ჩაკითხვის ინტონაციით წარმოითქმის**[2] და **ადასტურებს, ხაზს უსვამს მოულოდნელი ფაქტის აღსრულების ნამდვილობას.**

ვაქომორთუო?! / ქარმოვიდა?! (ვა-ქო /ქე არ „არ კი“ ნაწილაკებიანი) ზმნური მოდელის შემცველი ფინალური ფრაზა დისკურსის ნაწილია; ეს კარგად ჩანს **მეგრულის** მიხედვით მოხ-

[1] ლაზურში ამ ტიპის მოდელებს არ ადასტურებენ ინფორმატორები. მსჯელობისთვის საჭიროა დამატებითი ძიება.

[2] მეგრულში ჩაკითხვის სპეციფიკური ინტონაციის შესახებ მსჯელობა იხ. თ. IV: §1.4.

მობილი ვრცელი ტექსტიდან (იხ. (1)). საანალიზო ზმნით გადმოცემული მოქმედება წინამავალი კონტექსტის ლოგიკურ დასასრულს არ გამოხატავს; ამიტომ ჩნდება მის წინ ყოველთვის **დო** და კავშირი, რომელიც აჯამებს წინა მსჯელობას **აღმავალი ინტონაციით**, რაც დაუმთავრებელ სათქმელზე მიანიშნებს (კიზირია 1988); ამით მთქმელი ფაქტობრივად ამზადებს მსმენელს ისეთი ინფორმაციის მოსასმენად, რომელიც მოულოდნელი და ალოგიკური შინაარსის შემცველი აღმოჩნდება. **დამაჯერებლობა მიიღწევა** საანალიზო ზმნური მოდელის გრამატიკულ-სემანტიკური შესაძლებლობებით, რომელთაგან ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა **დასრულებული მოქმედების გამოხატვა**.

სამეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია, რომ **ქო-** ნაწილაკის გრამატიკული ფუნქცია სრული ასპექტის წარმოებაა (მარგველაშვილი 1980:166; ჭუმბურიძე 1986:143; ქირია და სხვები 2015:364). **ქო-** ნაწილაკის სემანტიკა (დადასტურების გამოხატვა) და მისი მორფოლოგიურ-გრამატიკული ფუნქცია (სრული ასპექტის წარმოება) სრულად თანხვდება ერთმანეთს. ქო- ნაწილაკი მეგრულში ზოგჯერ ზმნისწინიან ფორმასაც დაერთვის (მარგველაშვილი 1980:166), რაც იმის მაჩვენებელია, რომ ზმნისწინის დართვა ყოველთვის არ განარჩევს მოქმედების სრულობა-უსრულობას; შესაბამისად, ასპექტის „ახალი სისტემის აგებისას ფუნქციური დატვირთვა მიენიჭა ქო- ნაწილაკს: **მტკიცებითი სემანტიკის გაფართოებით მოქმედების სასრულობამდე**“ (ქირია და სხვები 2015:367). საანალიზო ზმნურ მოდელშიც ქო- ნაწილაკით გრამატიკულად გამოხატულია **სრული ასპექტი**, რაც სემანტიკურად – **რეალურ, ნამდვილ მოქმედებას** გვავარაუდებინებს.

მეგრულში დასტურდება ისეთი სპეციფიკური მოდელებიც, რომლებშიც **ქო-**ს ენაცვლებიან **გე-** ან **ო-** ზმნისწინები: *ვაგე-შუო?! „ქე არ დალია?!“ ვაოჭკომუო?! „ქე არ შეჭამა?!“*; მაგალითები:

(4) თე ბოში შურს ვაქალუნდუ ჟირი დღას, გეჟგართუდუ დიხას, თოლი აფუდუ გერუმაფილი; იშენთ ქჷდუდგეს ხოლოს უკტეებაში წყარი **დო, ვაგეშუო**?! (ექსპ. მასალები) „ეს ბიჭი ხმას არ იღებდა ორი დღე, გაშხლართული იყო მიწაზე, თვალები ჰქონდა დახუჭული; მაინც დაუდგეს ახლოს უკვდავების წყალი **და, არ ქე დალია**?!“

იმავე კონტექსტში შესაძლოა სხვა ზმნური მოდელი იყოს მოცემული:

(5) ... იშენთ ქჷდუდვეს ხოლოს გოლაშე დიკოღალირი სუმი ჭითა უშქური **დო, ვაოჭკომუო**?! (ექსპ. მასალები) „...მაინც დაუდეს ახლოს მთიდან ჩამოტანილი სამი წითელი ვაშლი **და, არ ქე შეჭამა**?!“

გე-, ო- ზმნისწინებიც სრული ასპექტის მაწარმოებელთა ჩამონათვალში შედის (Кипшидзе 1914:017-019; ქირია და სხვები 2015:361); ამასთან, ჩანაცვლება სწორედ იმ ზმნურ ფორმებთან მოხდა, რომლებთანაც ქო- ნაწილაკი არ დასტურდება. სამეცნიერო ლიტერატურაში შენიშნულია, რომ **გე-** ზმნისწინი ზოგჯერ **ქო-** დადასტურებითი ნაწილაკის ბადალია (ქირია 2015 :362); ასეთივე თვისება გამოავლინა **ო-** ზმნისწინმაც; აქედან გამომდინარე, *ვა-ქო-მორთუო, ვა-გე-შუო, ვა-ო-ჭკომუო* ზმნურ მოდელებში *ქო-, გე-, ო-* სეგმენტებისთვის საზიარო ჩანს ასპექტური ფორმაწარმოება, შესაბამისად, დადასტურებითი ლოგიკაც. რამდენადაც დადასტურების სემანტიკის არსებობას განსაზღვრავს სრული ასპექტის წარმოება, ქო-, გე- და ო- თავკიდურა ელემენტებისთვის წინა პლანზე სწორედ გრამატიკულ-ფუნქციური დანიშნულება გადმოდის; დადასტურება კი განიხილება, როგორც მისი თანმხლები, მასთან ერთად ნაგულისხმევი დამატებითი მოვლენა. ამასთან ერთად, ქო- ნაწილაკი ლაბილურია **ფორმობრივად** და **ფუნქციურად** (მარტივდება: ქე-

არ → ქარ, სუსტდება: ქო → ქუ, ქგ, ქ, იხ. Кипшидзе 1914:0109-0113; ხუბუა 1942ა:631 და ყველა ზმნასთან არ დასტურდება).

ზემოაღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით, ქო- და მის მონაცვლე ზმნისწინებისთვის (გე-, ო-) საზიაროა პერფექტულობისა (სრული ასპექტისა) და დადასტურების გამოხატვა. **ეჭვს რომ არ იწვევდეს მოულოდნელის ტრანსფორმირება დამაჯერებლად**, მეგრულში ქო-/გე-/ო- სეგმენტებით გადმოცემული სრული ასპექტის ფორმათა მტკიცებით-დადასტურებითი სემანტიკა გაძლიერებულია ვა- „არ“ **უარყოფითი ნაწილაკით**; კერძოდ, იგი გამოყენებულია **საპირისპირო – მტკიცებით-დადასტურებითი ფუნქციით**.

საანალიზო ზმნური მოდელი გამოხატავს გაოცებას და მას თან ახლავს შესაბამისი **ინტონაცია, რომელიც მეგრულში ყოველთვის მარკირებულია მორფოლოგიურადაც კითხვითობის -ო ნაწილაკით**. ზოგადად, კითხვითი სიტყვის გარეშე გადმოცემული კითხვითი წინადადების ინტონაციის სემანტიკური ნიუანსის განსაზღვრა რთულია, თუმცა შენიშნულია, როცა „არა“ ნაწილაკი დადასტურების სემანტიკისაა, მაშინ ინტონაცია გამოხატავს **გაოცებას**.

საანალიზო სპეციფიკურ ზმნურ მოდელში ვა- ნაწილაკის კვალიფიკაციისას გასათვალისწინებელია, რომ „ასეთ დროს ვა- უნდა განვიხილოთ, როგორც დამოუკიდებელი სიტყვა, უარყოფის ნაწილაკი, რომელიც არ წარმოადგენს პრეფიქსულ მორფემას და არ შედის პრეფიქსთა ჯაჭვში. ასეთი ვა- არ ექვემდებარება რედუქციის წესებს და არც ასიმილაციას განიცდის[1] (გუდავა, გამყრელიძე 2000:194). ვა- როცა უარყოფის ნაწილაკია, სწორედ მა-

[1] ვა- ნაწილაკი, როგორც უარყოფის მარკერი, სახელებში არ მონაწილეობს ფონეტიკურ პროცესებში და, შესაბამისად, არ იცვლება; ხოლო ზმნაში განიცდის ფონეტიკურ ტრანსფორმაციას, მაგრამ მისი ხმოვნითი ნაწილი არასოდეს არ სუსტდება (იხ. თ. II: §2).

შინა აქვს საპირისპირო სემანტიკით ფუნქციონირების შესაძლებლობა; ამიტომ პრეფიქსთა ჯაჭვში არ შედის დამოუკიდებლად, როგორც უარყოფის მარკერი.

ლინგვისტიკაში ტრადიციულად დამკვიდრებული ურთიერთგამომრიცხავი უარყოფის **ვა**-სა და დადასტურების **ქო**-ს ჰარმონიზაცია მხოლოდ მას შემდეგ გახდა შესაძლებელი, რაც ისინი ერთმანეთს დაემსგავსნენ მნიშვნელობითა და ფუნქციით (ვა-'ც გახდა დადასტურების სემანტიკის); ამგვარმა შესაძლებლობამ, ცხადია, მოხსნა მათ შორის ერთი რანგის ფარგლებში დამატებითი დისტრიბუციის მიმართება (ან ერთი, ან მეორე) და აღნიშნულ მორფემებს ერთ სლოტში გაერთიანების საშუალება მისცა.

ზემოაღნიშნული მსჯელობის მიხედვით, საანალიზო ზმნურ მოდელში მოცემული *ვა- + ქო-* ნაწილაკების კომბინაციას, ვფიქრობთ, მართებული იქნება ეწოდოს **ორმაგი დადასტურების** (Double Affirmation)[1] მარკერი, ფუნქციურ-სემანტიკური და პრაგმატიკული შედეგის გათვალისწინებითა და ორმაგი უარყოფის (Double Negation) ანალოგიით (შდრ.: ქართულის ვითარება, როცა ერთგზის სუსტად გამოხატული უარყოფა გააძლიერა მეორე მარკერმა); შესაბამისად, *ვა-+ ქო-* გამოიყოფა ერთად.

საანალიზო ზმნური მოდელის გლოსირებული ჩანაწერი განხილული ზმნების მიხედვით ასეთი შეიძლება იყოს:

ვა+ქო-მო-რთ-უ-ო

Dob Aff. PRF (Neg:Aff+Aff.PRF)-PRV-R/სვლა-AOR.S3.SG-QPTC

ვა+ო-ჭკომ-უ-ო

Dob Aff. PRF (Neg:Aff+Aff.PRF)-R/ჭამა-AOR.S3.SG-QPTC

ვა+გე-შ-უ-ო

Dob Aff. PRF (Neg:Aff-Aff.PRF)-R/სმა-AOR.S3.SG-QPTC

[1] განსხვავებული სახელდებისთვის – ნეგატიური დადასტურება (Negation Assertion) იხ. Rostovtsev-Popiel 2011:204-206).

მ ე გ რ უ ლ შ ი უარყოფითი ვა- ნაწილაკი **საპირისპირო მნიშვნელობით** გამოიყენება და ასევე **ორმაგი დადასტურების** სემანტიკას ქმნის ჩაკითხვის გამომხატველ ისეთ ფრაზებში, როგორებიცაა: *ვარენო „არ არის“? ვარდუო „არ იყო“? ვარენო რენი „არ არის რომ არის“*. აქ ქო- ნაწილაკის ადგილს ანაცვლებს „ყოფნა“ ზმნის აწმყო / წარსულის ფორმები (რენ „არის“ / რდუ „იყო“), რომლის სემანტიკურ-პრაგმატიკული დანიშნულება ასეთ შემთხვევებში ფაქტის „ცნობილობის“, „განსაზღვრულობის“ გამოხატვაა („ყოფნა“ ზმნის ამ ფუნქციის შესახებ ქართულსა და მეგრულში იხ. კვანტალიანი 1990:103; ლომია 2005:144). **ინტონაცია**, როგორც კითხვა-ჩაკითხვის გამოხატვის სხვა შემთხვევებში, ამჯერადაც **გამოხატულია მორფოლოგიურად**.

აღსანიშნავია, რომ ამ ფრაზებს სტრუქტურულ-სემანტიკური ცვლილება შეაქვთ ჰიპოტაქსურ კონსტრუქციებში. ამგვარ შემთხვევათა სისტემური ანალიზი მნიშვნელოვანია როგორც მორფემათა სტრუქტურული მოდელების კლასიფიკაციის, ასევე ინფორმაციული სტრატეგიების გარკვევის თვალსაზრისითაც.

1.7. დადებითი და უარყოფითი კონოტაციის ლექსემათა ურთიერთმიმართება მეგრულში: *უჩაში „უფროსი“ – უჩა „შავი“*

უ- თავსართი, როგორც აღინიშნა, უარყოფის გამომხატველი უძველესი ფორმანტია, თუმცა უ- პრეფიქსით ნაწარმოები სახელური სიტყვა-ფორმები ყოველთვის უარყოფით სემანტიკას არ გადმოსცემენ. ამგვარი ენობრივი ფაქტი შეიძლება აღიწეროს ორი ლექსიკური ერთეულის ფორმობრივ-ფუნქციური ურთიერთმიმართების შედეგად. მეგრულში ასეთი ლექსიკური ერთეულებია ერთი ძირისაგან მომდინარე *უჩაში* და *უჩა*; მათი

მნიშვნელობები სინქრონიულ ეტაპზე განსხვავებულია, მაგრამ ერთმანეთთან სემანტიკურ კავშირს დიაქრონიული მონაცემების გათვალისწინებით ინარჩუნებენ.

➢ *უჩაში: სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი დიაქრონიულ-სინქრონიულ ჭრილში*

უ ჩ ა შ ი ზმნური წარმოშობის სახელია; კერძოდ, სასხვისო ქცევისგან მომდინარე ზედსართავი სახელის უფროობითი ხარისხის ფორმაა; როგორც ცნობილია, ამ ტიპის სახელი ჯერ იყო ზმნა, შემდგომ იქცა სახელად; შესაბამისად, მასში მოცემულია როგორც ზმნური, ასევე სახელური კატეგორიის ნიშნები: უ-ჩ-ა-შ-ი ლექსემაში, ამოსავალი ვითარების მიხედვით, **უ-** არის სასხვისო ქცევის პრეფიქსი, **-ჩ-** ძირი, **-ა-** უფროობითი ხარისხის მაწარმოებელი; შემდგომი ეტაპის გათვალისწინებით, **-შ-** ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი ხმოვანფუძიან სახელებთან, **-ი** სახელობითი ბრუნვის ნიშანი. ზედსართავი სახელის უფროობითი ხარისხის ფორმებში პირისა და ქცევის ნიშნების არსებობა ახსნილია ორნაირად: 1. ერთი და იგივე აფიქსი შესაძლებელია სახელშიც გამოიყენებოდეს და ზმნაშიც (შანიძე 1936); 2. უფროობითის ფორმა იყო ზმნა და მერე გახდა სახელი (მაჭავარიანი 1957). სინქრონიულ დონეზე სახელად ქცეული *უჩაშის* სეგმენტებია: *უ-ჩ-აშ-ი*, აქედან: **უ- – -აშ** უფროობითი ხარისხის მაწარმოებელი კონფიქსია, **-ჩ-** ძირია, **-ი** სახელობითი ბრუნვის ნიშანია.

-ჩ- ძირი შეესატყვისება ხ-უ-ც-ე-ს-ი და ხ-ო-შ-ა ფორმებში დადასტურებულ ქართულ **-ც-** და სვანურ **-შ-** ძირებს (ფენრიხი, სარჯველაძე 1990:307,404). ამ მონაცემების გათვალისწინებით, -ჩ- ძირი „თეთრის“ მნიშვნელობისაა და უჩაში, როგორც უფროობითი ხარისხის ფორმა, სემანტიკურად არის „უთეთრესი“; შდრ.: „თეთრი“ შინაარსის გამომხატველი ქართული -ცხ- ძირი მხცოვან-ში, რომელიც საყრდენი ფუძის მიხედვით შეიძლება

გადმოიცეს, როგორც *„ჭალაროსანი“ ან *„თეთროსანი“; -ჩ- ძირს იგივე მნიშვნელობა აქვს უ-ჩ-ა ფორმაში („უჩა“ სიტყვა-ფორმის შესახებ იხ. თ. I: §1.6).

-ჩ- ძირ-ფუძის შესატყვისობის გათვალისწინებით, *უჩაშის*, როგორც უფროობითი ხარისხის ფორმის, მნიშვნელობაა „უთეთრესი“.

სინქრონიულ დონეზე *უჩაში* ლექსემის სტრუქტურა და სემანტიკა შეცვლილია; კერძოდ, მარტივფუძიანია და სემანტიკური გადაწევის ხარჯზე „უ-თეთრ-ეს-ი“ → „უფროსი“. უნდა აღინიშნოს, რომ დიაქრონიულ და სინქრონიულ მონაცემებს შორის სემანტიკური კავშირი ბუნებრივი და კანონზომიერია, რადგან *უთეთრესი* (გაჭალარავებული) არის ასაკით *უფროსი*.

***შენიშვნა 1**: მეგრულში სინქრონიულ დონეზე გამარტივებულ-ფუძიან ზედსართავ სახელს (უჩაში „უფროსი“) აქვს გაარსებითების ტენდენციაც, მაგალითად: ა. უჩაში კოჩი „უფროსი კაცი“, შდრ.: უჩაშიქ თქუ „უფროსმა თქვა“.*

- *უჩაში: უჩა – მიმართება „თეთრ“- ფუძესთან და სემანტიკური ვარიაციები*

უჩაში: უჩა ლექსემები დიაქრონიულად „თეთრის“ სემანტიკის -ჩ- ძირს შეიცავს; მათი სემანტიკური ვარიაციები სინქრონიულ დონეზეც საკუთრივ *თეთრ-* ფუძესთან მიმართებით განისაზღვრება:

უ-ჩ-აშ-ი „უ-თეთრ-ეს-ი“

↑

ჩ-ე „თ ე თ რ ი“

↓

უ-ჩ-ა „არა-თეთრი“ = *„უ-თეთრი“

როგორც მოცემული სქემიდან ჩანს,
ა. „თეთრი“ ნეიტრალური ხარისხის ზედსართავი სახელია.
ბ. *უჩაში* ფორმაში უარყოფილია „თეთრი“, თუმცა მასში „სითეთრის“ ნიშანი **მეტი ხარისხითაა** წარმოდგენილი; ანუ: *უჩაში* არ არის „თეთრი“, მაგრამ არის „უთეთრესი“ = მეტად თეთრი.
გ. *უჩა* ფორმაშიც უარყოფილია „თეთრი“, თუმცა მასში „სითეთრის“ ნიშანი **ნაკლები ხარისხითაა** წარმოდგენილი; ანუ: *უჩა* არ არის „თეთრი“, არამედ არის „არათეთრი“ / „*უთეთრი“ = ნაკლებად თეთრი.

ამრიგად, ამოსავალ (ნეიტრალურ) ფორმასთან მიმართებით იმატებს თუ იკლებს ახალი ლექსემის სემანტიკური მახასიათებლის ხარისხი, იმაზეა დამოკიდებული, ახალი ლექსემა დადებითი კონოტაციისაა თუ უარყოფითი.

ვფიქრობთ, ენობრივ მოვლენათა ამგვარი ანალიზი შეიძლება გახდეს აღნიშნულ ლექსემათა სემანტიკური დიფერენციაციის საფუძველი:
ა. *უ- ჩ-აშ-ი* „უთეთრესი“ → *უჩაში* „უფროსი“
ბ. *უ-ჩ-ა:* „არათეთრი“ / „*უთეთრი“ → *უჩა* „შავი“

***შენიშვნა 2**: უფროობითი ხარისხის ფორმა უარყოფის სემანტიკას რომ უკავშირდება, თან დადებითი კონოტაციით, აღნიშნული აქვს აკად. ბ. ჯორბენაძეს (მ. ლომიას კონსპექტი „ქართული ზმნის“ საუნივერსიტეტო სპეცკურსში, 1988 წელი).*

ნ. ჭუმბურიძეს შენიშნული აქვს, რომ ბავშვებს აბნევთ აღმატებით ფორმებში უ- პრეფიქსის გამოყენება, რადგან მათთვის უ- სიტყვის თავში უკავშირდება მის მთავარ ფუნქციას – უარყოფის გამოხატვას: ა. „...გოგონას ზღაპარს უყვებოდნენ „ულამაზეს“ პრინცესაზე. მან გაკვირვებულმა იკითხა: – რატომ ულამაზესი? პრინცესა ხომ ლამაზია?“; ბ. „...6 წლის ბუჭუნამ მოისმინა დიქტორის ნათქვამი პატრიარქზე: „მისი

უწმინდესობა“ და ძალიან გაუკვირდა: პატრიარქი ხომ წმინდაა?!“ (ჭუმბურიძე 1999:124).

➢ *უჩა: ხარისხის ფორმათა ნარმოებასთან დაკავშირებული საკითხები*

როგორც აღვნიშნეთ, მეგრულში სინქრონიულ დონეზე „*უჩა*“ გაიგება მარტივფუძიან ზედსართავ სახელად და შინაარსობრივად იდენტურია ქართული „*შავისა*“, თუმცა, ქართული „შავი“-საგან განსხვავებით, **უფროობითი ხარისხის ფორმას არ აწარმოებს**. ამ ენობრივი ფაქტის ახსნა შესაძლებელია იმით, რომ *უ ჩ ა* ტიპოლოგიურად გამოირჩევა და განსხვავდება სხვა ქართველური ენების მონაცემებისაგან: იგი ნაწარმოებია კონტრადიქტორული პრინციპით, *ჩე „თეთრ“*- ფუძეზე უარყოფის *უ*- პრეფიქსის დამატებით; მაშასადამე, *უჩა* მიღებულია „თეთრის“ უარყოფით: „არა-თეთრი“/*უ-თეთრი =„შავს“[1]. რადგან მეგრულში „შავის“ სემანტიკის ჩამოყალიბება **თეთრის კლებას უკავშირდება**, ხოლო უფროობითი ხარისხის ფორმა **მეტი ხარისხით** ითვალისწინებს საგნის ნიშნის (ან თვისების) წარმოდგენას, ცხადია, მეგრულში *უჩა* იმთავითვე მოკლებული იყო შესაძლებლობას, „შავის“ სემანტიკა მეტი ხარისხით გადმოეცა. გარდა ამისა, ზემოთ მოცემულ სქემაზე (იხ. *უჩაში – უჩა* ფორმების *ჩე-სთან* მიმართება) კარგად ჩანს, რომ ზედსართავი სახელი საგნის ხარისხის კლებისა თუ მატების გადმოსაცემად ერ-

[1] როგორც სამეცნიერო ლიტერატურიდანაა ცნობილი, მეგრული ***უჩა***, ფორმაწარმოების თვალსაზრისით, არამხოლოდ ქართველურ ენებს შორის გამოირჩევა ტიპოლოგიურად, არამედ „დღემდე შესწავლილ ფერის ტერმინთა სისტემებს შორის არც ერთ სისტემაში არ დასტურდება ანალოგიური ფაქტი – ბაზისური ფერის კატეგორია [შავი] არც ერთ სისტემაში არ უკავშირდება [თეთრი] კატეგორიის აღმნიშვნელ ტერმინს და არ ნიშნავს „არათეთრს“ (სოსელია 2009:142).

თსა და იმავე უ- პრეფიქსიან მოდელს იყენებს. ამის მიხედვით შეგვიძლია ვთქვათ, რომ, **სემანტიკური მახასიათებლის გარდა,** წინააღმდეგობას ქმნის **ფორმაწარმოების მორფოლოგიური მოდელიც**, რადგან ენა ზღუდავს ერთნაირი ფუნქციით ერთი და იმავე აფიქსის გამოყენებას. როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, „უუ“ პრეფიქსით ნაწარმოები უფროობითი ხარისხის ფორმები ხელოვნურია (ზურაბიშვილი 1957)[1].

ზემოაღნიშნული მსჯელობის სისწორეს ადასტურებს *უჩა-საგან* წარმოქმნილი **ოდნაობითი** ხარისხის ფორმა. ცნობილია, რომ ოდნაობითი ხარისხი საგნის ნიშანს (ან თვისებას) წარმოაჩენს **ნაკლები ოდენობით**; ამიტომ, ამოსავალი ვითარების გათვალისწინებით, მასთან სემანტიკურად ახლოს დგას მეგრული *უ-ჩა „არათეთრი“/„ნაკლები თეთრი“*. გარდა ამისა, ოდნაობითი ხარისხის **ფორმაწარმოების მორფოლოგიური მოდელი** არ არის უ- პრეფიქსიანი და არ ემთხვევა *უ-ჩას* თავსართს; შესაბამისად, ორივე ფაქტორმა – სემანტიკურმა მახასიათებელმა და ფორმაწარმოების მორფოლოგიურმა მოდელმა ხელი შეუწყო *უჩა-ს*, გაგებულიყო მარტივფუძიანი „შავის“ სემანტიკის ზედსართავ სახელად და წარმოქმნილიყო მისგან ოდნაობითი ხარისხის ფორმა: *უჩა „შავი“ → *მო-უჩა-ე → მო-უჩ-ე „მოშავო“*.

შენიშვნა 3: *უჩა მარტივი აგებულების ზედსართავ სახელად გაიგება* თანაბრობითი ხარისხის წარმოების დროსაც. *თანაბრობითი ხარისხის ორგანული წარმოება ქართველურ ენებს შორის მხოლოდ მეგრულისთვის არის დამახასიათებე-*

[1] ჰიპოთეტურია ო. ქაჯაიას მიერ მეგრულ-ქართული ლექსიკონის I ტომის შესავალ ნაწილში, გრამატიკის მოკლე მიმოხილვისას, *უჩა*-ს უფროობითი ხარისხის ფორმად დასახელებული *უუჩაში*, რომელიც, როგორც დამოუკიდებელი ლექსემა, საკუთრივ ლექსიკონში არ დასტურდება (იხ. ქაჯაია ტ. I).

ლი: უჩა „შავი“ → მა-უჩ-ა „სიშავის“ (ნოშქვერიშ მაუჩა კუჩხი „ნახშირის სიშავის ფეხი“).

აღსანიშნავია, რომ *უჩა* და *უჩაში* ფორმების *ძირ-ფუძედ* გამოყენებული *ჩე „თეთრი“* ზედსართავი სახელი უფროობითი ხარისხს მაწარმოებლად იყენებს პარალელურ ფორმას: ჩელა „თეთრი“ → უ-რჩელ-აშ-ი „უთეთრესი“. როგორც ჩანს, ენა ხელმეორე წარმოებისთვის მხოლოდ აფიქსის კი არა, ფუძის გამოყენებასაც ზღუდავს (შდრ.: უ-ჩ-აშ-ი „უთეთრესი“→ „უფროსი“ და უ-რჩელ-აშ-ი „უთეთრესი“).

დასკვნები

მეგრულში *უჩაში – უჩა* ლექსემების მაგალითზე უ- პრეფიქსიანთა სემანტიკური განაწილების საკითხის განხილვა გვიჩვენებს, რომ:

1. **დიაქრონიულად** ორივე ლექსემა **წარმოქმნილია** საერთო ძირ-ფუძითა (-ჩ-) და უარყოფის **უ-** პრეფიქსით. მიუხედავად ამისა, ისინი სემანტიკურად განსახვავდებიან: უ-ჩ-აშ-ი „უთეთრ-ეს-ი“ დადებითი კონოტაციისაა, ხოლო უ-ჩ-ა „არა-თეთრი/*უ-თეთრი – უარყოფითისა; მათ შორის სემანტიკური განსხვავების საფუძველია საყრდენ (ნეიტრალურ) -ჩ- ფუძესთან მიმართებით თვისების მეტი ან ნაკლები ხარისხით წარმოჩენა.

2. **სინქრონიულად** საანალიზო ლექსემათა სტრუქტურა **გამარტივებულია**, ამოსავალი მნიშვნელობები **დაზუსტებულია**: უჩაში =„უფროსი“, უჩა = „შავი“; გამარტივების მიუხედავად, მათთვის სიტყვაწარმოებისას ძირეული მორფემისა (-ჩ-/ჩე) თუ დერივაციული აფიქსის (უ-) ხელახლა გამოყენება შეზღუდულია; შესაბამისად, *ჩე* და *უჩა* ვერ ანარმოებენ უფროობითი ხარისხის ფორმებს, რაც განპირობებულია დიაქრონიული მონაცემებით.

3. ზემოალნიშნული შეზღუდვის კანონზომიერებას ადასტურებს *უჩა-ს* **ოდნაობითი** და **თანაბრობითი ხარისხის** ფორმაწარმოება სინქრონიულ დონეზე მეგრულში.

1.8. -მე სუფიქსიანი ლექსემები დადებითი და უარყოფითი კონოტაციით მეგრულსა და ქართულში

ქართული და მეგრული, ისევე როგორც სხვა მონათესავე ქართველური ენები (ლაზური და სვანური), მორფოლოგიურად მდიდარი სტრუქტურისაა. ქართველურ ენებში მორფოლოგიური თვალსაზრისით საინტერესოა სახელი და ზმნა, როგორც მრავალრიცხოვან სინტაგმატურ მონაცემთა სტრუქტურული ერთეულები. ყოველივე ეს მათ ფართო გრამატიკულ შესაძლებლობებსა და მორფემული ანალიზის საინტერესო შედეგებზე მიუთითებს. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი მორფემა დამოუკიდებელი მნიშვნელობის სიტყვისგან მომდინარეობს; ამიტომ შეუძლია განსაზღვროს ლექსემის სემანტიკა საყრდენ ფუძესთან ერთად.

მეგრულსა და ქართულში ყურადღებას იქცევს **-მე** სუფიქსიანი ლექსემების სემანტიკური სხვაობა **დადებითი** და **უარყოფითი** კონოტაციის მიხედვით. სიტყვა-ფორმათა შინაარსობრივი დიფერენციაცია მოითხოვს საყრდენი სახელური ფუძეების მნიშვნელობის გარკვევას, ასევე, სუფიქსური მარკერის გენეზისისა და ფუნქციური დანიშნულების ანალიზს.

მეგრულში -მე სუფიქსიანი სახელები სისტემურადაა წარმოდგენილი ფიცილის ფრაზებში და დადებით კონოტაციას გამოხატავენ, ამიტომ საკითხის ანალიზს მეგრული მონაცემების განხილვით დავიწყებთ.

➢ *„ფიცის ნაწილაკები“ მეგრულში: კვლევის ისტორია, სემანტიკა, ფუნქცია*

მეგრულში ფიცის გამომხატველ ფრაზებში **-მე** ნაწილაკი პირველად გამოყო ი. ყიფშიძემ. ამავე მნიშვნელობითა და ფუნქციით **-გე** ნაწილაკი უკვე გამოყოფილი ჰქონდა ალ. ცაგარელს (Цагарели 1880:9). ი. ყიფშიძემ მათ I და II პირის „ფიცის ნაწილაკები“ (частицы клятвы) უწოდა (Кипшидзе 1914:018, 243, 279), რაც, ფაქტობრივად, ფიცის სემანტიკის მარკერებს ნიშნავს და პირების მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება: „**-მე** გამოიყენება მაშინ, როცა მთქმელი (პირველი პირი) თვითონ იფიცებს, ხოლო **-გე** მაშინ, როცა მთქმელი სხვას – მეორე პირს აფიცებს“ (კარტოზია 1997:110). მეგრულში დასტურდება **-მე** და **-გე** ნაწილაკების ფონეტიკური ვარიანტები: **-მეე**, **-გეე**. **-მე** ნაწილაკიან სახელებს ქართულის ფიცილის ფორმულებში შეესაბამება მოთხრობითბრუნვიანი ლექსემები, ხოლო **-გე** ნაწილაკიან სახელებს – მიცემითბრუნვიანი ფორმები; მაგალითად, *ღორონთი-მე = ღმერთმანი, ნანა-გე = დედაშვილობას*“ (კარტოზია 1997:110). მოთხრობითბრუნვიანი და მიცემითბრუნვიანი ქართული ფიცილის ფორმულები შინაარსობლივად ასეც შეიძლება გაიშალოს: *ა. ღმერთმანი = ღმერთს გეფიცები, ღვთის მადლს გეფიცები. ბ. დედაშვილობას = დედაშვილობას გაფიცებ, დედაშვილობის მადლს გაფიცებ.*

➢ *-მე ნაწილაკიანი ლექსემები მეგრულში*

მეგრულში **-მე** ნაწილაკი დაერთვის სახელობითი ბრუნვის ფორმით გადმოცემულ ცალკეულ სახელურ ლექსემებს ან შესიტყვებებს; ესენია:

ა. ღორონთი „ღმერთი“

(1) ვაგაცუნუქ, **ღორონთ-ი-მე** (გუდ.240,7) „არ გამოგყვები, *ღმერთმანი/ღვთის მადლს გეფიცები* “.

ემპირიულ მასალებში დასტურდება **ღორონთ-უ-მე** ფორმაც, რომელიც ფონეტიკური გარდაქმნის შედეგადაა მიღებული, კერძოდ, სახელობითი ბრუნვის ნიშანი **-ი** > **-უ** მომდევნო ბაგისმიერი **მ** ფონემის გავლენით (კარტოზია 1997:110-111).
(2) ვენაღა, ჭუმე თექ იპიიქ, **ღორონთ-უ-მე** (ექსპ. მასალები) „არ იდარდო, ხვალ იქ ვიქნები, ღვთის მადლს ვფიცავ“.

შენიშვნა 1: *ღორონთ-უ-მე ფორმის მიღების საშუალებად ი. ყიფშიძეს მიაჩნია სახელობითი ბრუნვის უძველესი უ ნიშნის აღდგენა (Кипшидзе 1914:352). სახელობითი ბრუნვის უძველეს ნიშნად უ ხმოვნის არსებობა არ არის გაზიარებული ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში. გარდა ამისა, ამ ფაქტის დადასტურებას -მე ნაწილაკიან სახელებში ხელს უშლის ისიც, რომ -ი > -უ- -გე ნაწილაკის წინ არ ხდება. ი. ყიფშიძის მიერ დასახელებული ღორონთ-უ-გე* (იქვე:352) *არ დასტურდება მეგრულში. ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, -ი >-უ- ფონეტიკური პროცესის განმსაზღვრელად მხოლოდ ბაგის:მიერი -მ თანხმოვანი უნდა ჩაითვალოს.*

ბ. ბუაშ მარდი „მზის მადლი“
(3) უშულადუ **ბუაშ მარდ-ი-მე** (ყიფ. 276,29) „დაუღლელი *მზის მადლმა/მზის მადლს გეფიცები*“.

მე- ნაწილაკი მეგრულში გამოიყენება აგრეთვე გარდაცვლილი მშობლების სულის ხსენებისას – დაფიცებისას:
გ. დიდაშ შური „დედის სული“
(4) მოხიოლუ თაქ რინა, **დიდაშ შურ-ი-მე** (ექსპ. მასალები) „მიხარია აქ ყოფნა, *დედის სულს გეფიცები* “.
დ. მუმაშ შური „მამის სული“

(5) ოქისეთ გეტკოიღა შონურ ქუს, **მუმაშ შურ-ი-მე** (ექსპ. მასალები) „საშობაოდ ჩამოგიტან სვანურ ქუდს, *მამის სულს გეფიცები*“.

➢ *-გე ნაწილაკიანი ლექსემები მეგრულში*

მეგრულში **-გე** ნაწილაკიც სახელობითი ბრუნვის ფორმით გადმოცემულ ცალკეულ სახელურ ლექსემას დაერთვის. **-მე** და **-გე** ნაწილაკებისთვის საერთო სიტყვა-ფორმებია: *შური „სული“, ღორონთი „ღმერთი“:*
(6) სქან **ჯიმაშ შურ-ი-გეე**, ქომიწიი სიმართე (ექსპ. მასალები) „შენი ძმის სულს გაფიცებ, მითხარი სიმართლე“.
(7) ჯგირი კოჩი, **ღორონთ-ი-გე**, – უნუ გერქ (ყიფ. 69,18) „კარგო კაცო, *ღვთის მადლს გაფიცებ*, – უთხრა მგელმა.

***შენიშვნა 2**: მეგრულში ფონეტიკური პროცესების შედეგად მიღებული ფორმებია: **ღორონთგიე // ღორონდგიე**; კერძოდ: ღორონთიგე → ღორონთგიე (მეტათეზისი) → ღორონდგიე (რეგრესული, კონტაქტური, ნაწილობრივი ასიმილაცია)(კარტოზია 1997:112); ამ ფორმებში **-გიე** დაბოლოების მიღების განსხვავებული თვალსაზრისებისთვის იხ. ჟღენტი 1953:125; ბაღათურია 1987:44.*

-გე / -გეე ნაწილაკი დაერთვის აგრეთვე ნათესაობის აღმნიშვნელ სიტყვებს:
ა. *ნანა „დედა“: ნანა-გე „დედაშვილობის მადლს გაფიცებ“.*
ბ. *ბაბა „მამა“: ბაბა-გე „მამაშვილობის მადლს გაფიცებ“.*
გ. *სქუა „შვილი“: სქუა-გე (ეს ლექსემა მიმართვისას შეიძლება გამოიყენოს დედამაც და მამამაც, შესაბამისად, ქართუ-*

ლად იქნება: „დედაშვილობის / მამაშვილობის მადლს გაფიცებ“).
დ. ჯიმა „ძმა“: ჯიმა-გე „ძმობის მადლს გაფიცებ“.
ე. თოლი „თვალი“: თოლი-გე (ამ ლექსემას მიმართვისას მეუღლეები იყენებენ, იხ. Кипшидзе 1914:0145, 240-244; გადმოქართულებისას დაახლოებით ასე შეიძლება ჟღერდეს: „ჩემო თვალის სინათლევ“.

➢ *-მე და -გე ფიცის ნაწილაკების გენეზისის საკითხი*

ცნობილია, რომ ნაწილაკები დამოუკიდებელი მნიშვნელობის სიტყვებისგან მომდინარეობენ. *-მე* და *-გე* ფიცის ნაწილაკების გენეზისზე აზრთა სხვადასხვაობაა სამეცნიერო ლიტერატურაში. ვ. ბოედერის თვალსაზრისით, შესაძლებელია აღნიშნული ნაწილაკების ამოსავლად ივარაუდებოდეს ზმნა, კერძოდ, ქართ. ფ ი ც ე ბ ა, მეგრ. ფ უ ჩ ა ფ ა (შდრ.: დ ე დ ა ს გ ე ფ ი ც ე ბ ი), ან გ ე ნ ა ც ვ ა ლ ო ს // მ ე ნ ა ც ვ ა ლ ო ს, ან კიდევ სხვა რამ (Boeder 1988:17). აღნიშნულ ნაწილაკებს გ. კარტოზიაც ზმნისგან მომდინარედ მიიჩნევს, ოღონდ ორივე მათგანისთვის ერთსა და იმავე ფუძეს ვარაუდობს. მისი აზრით, ასეთია I და II პირის ზმნური ფორმები **მაცი** „მექმნება“, **გაცი** „გექმნება“. ამგვარი ვარაუდის მიხედვით, თავდაპირველად ამოსავალი ფრაზები ***ღორონთი-მე-სა*** და ***ღორონთი-გე-სათვის*** აღნიშნული ზმნების მონაწილეობით ასეთი იქნებოდა: ა. ღორონთი **მაცი** მოხვარეთ „ღმერთი მექმნება დამხმარედ / შემწედ (შდრ.: ქართ. ღმერთი შემეწევა); ბ. ღორონთი **გაცი** მოხვარეთ „ღმერთი გექმნება დამხმარედ / შემწედ (შდრ.: ქართ. ღმერთი შეგეწევა). „**აცი** > **ეე** გადასვლა უნდა მომხდარიყო შუალედური **აი** საფეხურის გავლით. მას შემდეგ, რაც მოიკვეცა შედგენილი შემასმენლის სახელური ნაწილი, ალბათ დაიჩრდილა მეშველი ზმნის ლექსიკური

მნიშვნელობა, რაც ხელს შეუწყობდა ც-ს უკვალოდ დაკარგვას ინტერვოკალურ პოზიციაში“ (კარტოზია 1997:116-117).

მეშველი ზმნის გამარტივების ფონეტიკური პროცესები საფეხურების გათვალისწინებით:

I. მაცი → მაიი (ც ბგერის დაკარგვა) → მაი (ერთგვარ ხმოვანთა შერწყმა: იი→ი).

II. მაი → მეე (*აი-ს* ნაწილობრივი რეგრესული ასიმილაციით →**ეი*, ხოლო სრული რეგრესული ასიმილაციით → ეე).

ასეთივე ფონეტიკური ცვლილება უნდა განეცადა *გაცი* ფორმასაც და საბოლოოდ მისგან მივიღეთ *-გეე* ნაწილაკი.

წარმოდგენილი საფეხურების გათვალისწინებით, პარალელურ ფორმებს (-მე||-მეე, -გე||-გეე) შორის, გ. კარტოზიას აზრით, უპირველესია ორხმოვნიანი ფორმები (-მეე და -გეე), ხოლო ცალხმოვნიანები (-მე და -გე) ერთგვარ ხმოვანთა შერწყმის შედეგადაა მიღებული (იქვე:116).

- ***-მე** ნაწილაკის ასახვა ქართულში: განსხვავებული თვალსაზრისები*

ქართულში **-მე** ნაწილაკი დასტურდება ერთ კონკრეტულ ლექსემა *რუსეთუმე-ში*. სამეცნიერო ლიტერატურაში განსხვავებული თვალსაზრისები არსებობს იმასთან დაკავშირებით, აღნიშნულ სიტყვაში გამოიყოფა თუ არა მეგრული -მე ნაწილაკი; შესაბამისად, განსხვავებულად წარმოჩნდება დასახელებული ფორმის სეგმენტაციაც.

***შენიშვნა 3**: თუ რუსეთუმეში -მე ნაწილაკი გამოიყოფა, მაშინ მისი მიღება ფონეტიკურად სავარაუდებელია ღორონთუმე ფორმის ანალოგიით: *რუსეთ-ი-მე → რუსეთ-უ-მე (-მე ნაწი-*

ლაკიან სახელში -ი > -უ ფონეტიკურ პროცესთან დაკავშირებით მსჯელობა იხ. ზემოთ).

რუსეთუმე ფორმა ქართულში მე-19 საუკუნის შუა წლებიდან ჩნდება. პირველად იგი გვხვდება გიორგი ერისთავის კომედიაში „*გაყრა*“, ხოლო შემდეგ – აკაკი წერეთლის პიესაში „*რუსეთუმე*“. ქართულ *რუსეთუმე* ფორმაში მეგრული -მე ნაწილაკი ი. ყიფშიძემ გამოყო, ხოლო მთლიანად სიტყვა-ფორმის სინონიმურ მნიშვნელობად დაასახელა: „რუსეთს გეფიცები“ (Кипшидзе 1914:018). ი. ყიფშიძის თვალსაზრისი გაიზიარა კ. დანელიამ (დანელია 1991:596-597). „გაყრაში“ ლექსემა *რუსეთუმე* სომეხი ვაჭრის, მიკირტუმ გასპარიჩის, მეტყველებაში დასტურდება; ამის გათვალისწინებით, გ. კარტოზია ფაქტობრივად გაემიჯნა ადრე ჩამოყალიბებულ თვალსაზრისს; მეცნიერის აზრით, საანალიზო ლექსემა სომხური ენის მიხედვით უნდა აიხსნას, რაც იძლევა შემდეგი სეგმენტების გამოყოფის საშუალებას: *რუსეთუმ-ე;* აქედან, რუსეთ- არის სახელური ფუძე, ხოლო „-უმ-ე დაბოლოებაში -**უმ** [სომხური] ადგილობითი ბრუნვის მაწარმოებელია, **ე** კი „არის“ მეშველი ზმნა უნდა იყოს; მაშასადამე, *რუსეთუმე* იგივეა, რაც *რუსეთშია*“ (კარტოზია 1997:113).

მართალია, „გაყრაში“ აღნიშნულ ლექსიკურ ერთეულს იყენებს სომეხი ვაჭარი, მაგრამ გ. ერისთავის თზულებათა ენის ანალიზი (დაწვრ. იხ. ურიდია 1963:22-32) საშუალებას იძლევა აღვნიშნოთ, რომ

1. რუსეთუმე-ს სეგმენტაცია-სემანტიკის განსაზღვრას სომხური გრამატიკის მიხედვით ხელს უშლის შემდეგი გარემოებები:

ა. გ. ერისთავის კომედიაში ვაჭართა წრეს წარმოადგენენ თბილისელი სომხები, რომლებმაც იციან ქართული; „ზოგჯერ ვაჭართა წრიდან ესა თუ ის პირი საკმაოდ ვრცლად ლაპარა-

კობს გამართული ქართულით“ (იქვე:32) და მით უფრო არ არის მოულოდნელი, კონკრეტულ შემთხვევაში ავტორმა კონტექსტის შესაფერისად ათქმევინოს სომეხ პერსონაჟს ქართული ლექსიკური ერთეული *რუსეთუმე*.

ბ. გ. ერისთავის კომედიებში სომეხი ვაჭრების მეტყველებას **არ ახასიათებს** ერთი ლექსიკური ერთეულის შიგნით შერეული გრამატიკული ელემენტების (მაგ., სომხური ბრუნვის ნიშნისა და ქართული მეშველი ზმნის) ერთდროულად გამოყენება[1].

გ. ვაჭართა თბილისურ ჟარგონს საფუძვლად დაედო ქართული ენა, რაც ასევე გამორიცხავს ქართული ლექსიკური ერთეულების გაფორმებას სხვა ენის, თუნდაც სომხურის, ბრუნვის ნიშნით.

დ. ვაჭართა ფენის გაქრობასთან ერთად მათი მეტყველებისთვის დამახასიათებელი ქალაქური ჟარგონიც გაქრა, ხოლო საანალიზო ლექსიკური ერთეული *რუსეთუმე* ენაში დარჩა. იგი დღესაც იმავე მნიშვნელობით გამოიყენება *(„რუსეთს გეფიცები“)*, რომელზეც მიუთითა თავის დროზე ი. ყიფშიძემ.

ე. *რუსეთუმე* ფორმის ბოლოკიდური **-ე** თუკი ქართული „არის“ ზმნისგან მომდინარეობს, მაშინ უნდა დავუშვათ, რომ **-ე** ფონეტიკური ტრანსფორმაციის შედეგია; თუმცა **ქართულში არ დასტურდება კლიტიკად ქცეული -ა სუფიქსის** (-ა←არის) **მონაწილეობა ფონეტიკურ პროცესებში და ფორმალური სახეცვლილება**. ეს ფაქტიც ეწინააღმდეგება *რუსეთუმე* ფორმაში -ე სუფიქსის გამოყოფას.

---

[1] *თბილისელი სომეხი ვაჭრების მეტყველების ძირითადი ენობრივი თავისებურებებია: ა. კონსტრუქციაში სახელებს შორის ბრუნვაში შეთანხმების დარღვევა; ბ. ფონეტიკური ცვლილებები ზმნის თემატურ სუფიქსებში; გ. ფრაზებში ვაჭრებისთვის დამახასიათებელი სომხურ-რუსული ლექსიკის ჩართვა. ეს ენობრივი ფაქტებიც ადასტურებს, რომ რუსეთუმე-შიც ვერ გამოიყოფა სომხური ადგილობითი ბრუნვის ნიშანი.*

რუსეთუმეში -მე ნაწილაკის გამოყოფის დამატებით არგუმენტად გამოდგება აგრეთვე

2. რუსეთუმე – თერგდალეული ლექსემების მნიშვნელობათა დაზუსტებაც:

ა. მე-19 საუკუნის შუა ხანებში საქართველოდან რუსეთში სწავლა-განათლების მისაღებად მიდიოდნენ ქართველი ახალგაზრდები და რამდენიმე წლის შემდეგ უკან ბრუნდებოდნენ. იმდროინდელ საქართველოში ამგვარი ახალგაზრდების ორი ჯგუფი გაჩნდა: **ერთნი** ქვეყნის ეროვნული ხაზის განვითარებისთვის ზრუნავდნენ (ილია ჭავჭავაძე და მისი თანამოაზრეები); **მეორენი** საკუთარი ქვეყნისთვის სასარგებლოს ვერაფერს ქმნიდნენ და ნიჰილისტურად იყვნენ განწყობილი ეროვნულის მიმართ. მეორე ჯგუფის წარმომადგენელთა ტიპური სახეა ივანე გ. ერისთავის პიესიდან „გაყრა“.

ბ. რუსეთში ნამყოფი ახალგაზრდების აღსანიშნავად ლექსემები *თერგდალეული* და *რუსეთუმე* ქრონოლოგიურად ერთდროულად და სინონიმური მნიშვნელობით გაჩნდა. ამას მოწმობს მაგალითები პიესიდან:

(1) „თერგ-დალეული ჩემი ძამია“ (უფროსი ძმა ანდუყაფარი ამბობს ივანეზე).

(2) „ერთი ძმაც ყამს რუსეთუმე“ (მიკირტუმ გასპარიჩი ანდუყაფარის ძმაზე, ივანეზე).

გ. სინონიმურ ლექსემათა დიფერენციაციას ხელი შეუწყო შემდეგმა გარემოებებმა:

თერგდალეული რუსეთში ნამყოფი პიროვნების აღსანიშნავად გაჩნდა ყოფითი მოტივაციით: როცა ახალგაზრდები რუსეთში მიდიოდნენ, მდინარე თერგი უნდა გაევლოთ და მის წყალს სვამდნენ. ამიტომ გაუტოლდა ერთმანეთს თერგდალეულობა და რუსეთში ნამყოფობა.

რუსეთუმე რუსეთში ნამყოფი პიროვნების აღსანიშნავად გაჩნდა მშობლიურის მიმართ დამოკიდებულების მიხედვით: ახალგაზრდების ერთ ჯგუფს სამშობლოში დაბრუნების შემდეგ მოსწონდა ყველაფერი რუსული და არაფერი მშობლიური. ასეთ დროს გადატანითი მნიშვნელობით და ირონიულად ითქმის, რომ იგი „იფიცებს რუსეთს“; ამიტომ ლექსემა *რუსეთუმე* სემანტიკურად უფრო ზუსტი და შესაფერისი აღმოჩნდა მშობლიურის მიმართ ნიჰილისტურად განწყობილი ახალგაზრდების აღსანიშნავად.

დ. რამდენადაც დედის დაფიცება ქართველისთვის პატივისცემის გამოხატვის ძლიერი სემანტიკური ნიუანსის მქონეა, იმდენად იძენს იგი საპირისპირო მნიშვნელობას – უპატივცემლობას, თუკი სუბიექტი ფიცის ობიექტს („დედას“) არასათანადოდ შეცვლის. დაფიცებისას მშობელი დედის არასწორად ჩანაცვლება რომ დასაძრახია, ქართულ ანდაზაშიც არის ასახული: „დედის სული ჰქონდათ დავიწყებული და დედინაცვალს იფიცებდნენო“.

ე. რაკი რუსეთში ნამყოფი ახალგაზრდების ერთ ჯგუფს დაერქვა *რუსეთუმე*, მათგან იდეურად განსხვავებული მეორე ჯგუფის სახელი გახდა *თერგდალეული*. ასე მივიღეთ ლექსიკური სინონიმიიდან ლექსიკური ანტონიმია; ანტონიმიისთვის დამახასიათებელი ასიმეტრიულობის თანახმად, რაც პირველად უარყოფითი კონოტაციის ერთეულის გაფორმება-გაჩენას ნიშნავს (ბერულავა 1976:59,93; დანელია 1979 [2009:87]; იხ. თ. I:§1.6), ჯერ დაზუსტდებოდა უარყოფითი სემანტიკის *რუსეთუმე*, ხოლო შემდგომ, მეორე წევრი, ნეიტრალური *თერგდალეული*, თავისთავად შეიძენდა დადებით მნიშვნელობას. სავარუდოდ, ლექსემები *რუსეთუმე – თერგდალეული* ტერმინებად გაფორმდა მას შემდეგ, რაც მოხდა მათი სემანტიკური დიფერენციაცია.

საინტერესოა ასევე იმის ახსნაც,

3. რუსეთუმე-ს მნიშვნელობისთვის რატომ შეიძლება უფრო მეტად შესაფერისი იყოს „რუსეთს გეფიცები“ და არა „რუსეთშია“:

ა. ივანე, რომელსაც მიემართება ეს სიტყვა პირველად „გაყრაში“, ფიზიკურად უკვე საქართველოშია; ამიტომ ასეთ დროს ვერ ითქმება *რუსეთშია* პირდაპირი მნიშვნელობით.

ბ. გადატანითი მნიშვნელობის გამოსახატავად *რუსეთშია* სუსტია სემანტიკურად, იმიტომ რომ ნიშნავს „წარმოსახვით იქაა“ და არ ავლენს მშობლიურის მიმართ დამოკიდებულებას; ხოლო მას, ვინც „იფიცებს რუსეთს“, ცალსახად აქვს არჩევანი გაკეთებული მშობლიურსა და უცხოს შორის ამ უკანასკნელის სასარგებლოდ.

დასკვნები

1. მეგრულში დადასტურებული ფიცის ნაწილაკებია **-მე** და **-გე**, რომლებიც I და II პირების მიხედვით ნაწილდება. ისინი დაერთვიან კონკრეტულ ლექსემებს (ბჟა „მზე“, ღორონთი „ღმერთი“, დიდაშ შური „დედის სული“, მუმაშ შური „მამის სული“ და სხვა მისთ.), რითიც გამოხატავენ საკუთარის, შენიანის, მშობლიურის განცდას.

2. ფიცის ნაწილაკების ფუნქციური დანიშნულებაა, ფიცილის ფორმულებად (ფიცის გამომხატველ ფრაზებად) აქციოს ის ლექსემები, რომლებსაც დაერთვიან. ამ ტიპის ენობრივ ფორმულებში ფიცის ობიექტი თავად ის სახელია, რომელსაც ნაწილაკი დაერთვის.

3. სპეციფიკური ნაწილაკიანი ფრაზები ფიცის სემანტიკასთან ერთად უგამონაკლისოდ გამოხატავენ პატივისცემას, მოწიწებას საფიცარი ობიექტის მიმართ; ამით ნათქვამს მეტი დამაჯერებლობა ენიჭება და მთლიანად ფრაზა დადებითი კონოტაციისაა.

4. ქართულში მეგრული **-მე** ნაწილაკით გააფორმებულია ერთადერთი ლექსიკური ერთეული – *რუსეთი, თუმცა*, მეგრულისგან განსხვავებით, შექმნილია ფიცის გამომხატველი უარყოფითი კონოტაციის ფრაზა *რუსეთუ-მე („რუსეთს გეფიცები“)*. მეგრულსა და ქართულს შორის ფიცის ფრაზემების სემანტიკური დიფერენციაციის საფუძველი გახდა ფიცის ობიექტის ცვლილება, კერძოდ, მშობლიურის ჩანაცვლება უცხოთი.

5. სემანტიკური დიფერენციაციის შედეგად თავად ქართულშიც ჩამოყალიბდა *ნიჰილიზმისა („რუსეთუმე“)* და *ეროვნულობის* („*თერგდალეული*“) გამომხატველი ანტონიმური წყვილი.

თავი V

უარყოფის ზოგი სპეციფიკური საკითხი და მისი ასახვა თარგმანში

1. არა /არ ნაწილაკიანი ზმნური და სახელური მოდელები „ვეფხისტყაოსნის“ ორიგინალურ ტექსტსა და ინგლისურენოვან თარგმანში

სამყაროში ნებისმიერი მოვლენა შეიძლება შეფასდეს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი ასპექტით. ამგვარი მიდგომა, უპირველეს ყოვლისა, რეალიზებულია ზმნური და სახელური ენობრივი მოდელების სახით. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა პოეტური ტექსტების ენა ორიგინალსა და თარგმანებში. აღნიშნული საკითხი კონკრეტულ ჭრილში (არა/არ ნაწილაკიანი ზმნური და სახელური მოდელების მიხედვით) განხილულია შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ ორიგინალური ტექსტისა და ინგლისურენოვანი თარგმანების მიხედვით.

1.1. პრობლემის განსაზღვრა

ორიგინალური ტექსტისა *და* ***თარგმანის*** ურთიერთმიმართება კარგად წარმოაჩენს პრობლემის არსს, რადგან:
1. ორიგინალურ პოეტურ ტექსტში, როგორც წესი, მოცემულია ტრადიციული, უნივერსალური და, ამავე დროს, პოეტური სტილისთვის დამახასიათებელი ოკაზიური ენობრივი მოდელები.
2. ცნობილია, რომ თვით ყველაზე კარგად შესრულებულ თარგმანშიც კი ვერ აისახება ორიგინალის ენობრივი თავისებურებები; მეორე მხრივ, თარგმანით შეიძლება გადამოწმდეს, რომე-

ლი ენობრივი საშუალებებია ბუნებრივი და გასაგები სხვა ენობრივი სამყაროს მკითხველისთვის.

ზემოხსენებულის გათვალისწინებით, „ვეფხისტყაოსანში“ უარყოფითი **არა / არ** ნაწილაკით გადმოცემული ზმნური და სახელური მოდელების სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი და მათი ასახვა ინგლისურ თარგმანებში ბევრ საინტერესო საკითხს წარმოაჩენს.

***შენიშვნა 1**: სახელებში იგულისხმება ყველა სახელი: არსებითი, ზედსართავი, რიცხვითი, ნაცვალსახელი და ნაზმნარი სახელები: საწყისი და მიმღეობა.*

➢ *უარყოფითი ნაწილაკის ადგილისათვის წინადადებაში*

ო. ესპერსენის აზრით, წინადადების მნიშვნელობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ადგილი უკავია მასში უარყოფით ელემენტს. ამის მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ უარყოფა ლოგიკურად შეიძლება მიემართებოდეს ერთ ცალკეულ იდეას (ეს არის სპეციალური უარყოფა), ან ორი იდეის კომბინაციას (ნექსუსის უარყოფა). ნექსუსის უარყოფის შემთხვევაში უარყოფითი ელემენტი ჩვეულებრივ უკავშირდება ზმნას (Jespersen 1917:42-55).

***შენიშვნა 2**: **ნექსუსი** ესპერსენის ტერმინია, ამ ტერმინით აღიწერება ურთიერთობა ელემენტსა (სუბიექტს ან ობიექტს) და მის პრედიკტს შორის... (Cristal 2003:313)..*

ესპერსენის ამ იდეის გავრცობა-განვითარებად უნდა ჩაითვალოს რუსული ენის სინტაქსის ცნობილი მკვლევრის, ა. პეშკოვსკის, მიერ შემოთავაზებული უარყოფით წინადადებათა კლასიფიკაცია. ა. პეშკოვსკი ზუსტი კრიტერიუმების გამოყენების საფუძველზე გამოყოფს უარყოფით წინადადებათა ორ სა-

ხეს. მისი აზრით, სწორედ შემასმენელთან მდგარი უარყოფა აქცევს მთელ გამონათქვამს უარყოფითად, უკუთქმითად; ხოლო უარყოფა, მდგარი რომელიმე სხვა წევრთან, ვერ არყევს გამონათქვამის ზოგად წართქმით აზრს. ა. პეშკოვსკის აზრით, წინადადებას, დადებითი შემასმენლით და უარყოფითი ნაწილაკით სხვა წევრთან, შეიძლება ეწოდოს **კერძოდუარყოფითი,** ხოლო წინადადებას უარყოფითი შემასმენლით – **ზოგადადუარყოფითი** ან **საკუთრივუარყოფითი**. ეს კლასიფიკაცია საფუძვლად დაედო შემდგომ კვლევათა უმეტეს კლასიფიკაციებს. ასე, მაგალითად, „რუსული გრამატიკა-80“-ში (“Русской грамматики-80”) გადმოცემული კლასიფიკაცია ახლოა ა. პეშკოვსკის კლასიფიკაციასთან, თუმცა განსხვავებაცაა, რაც ცალკე მსჯელობის საგანია (შდრ.: Пешковский 1956:377-378 upud Штернина 2015:213).

მაშასადამე, **უარყოფითი ნაწილაკის ადგილს წინადადებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სტილურ-სემანტიკური სპეციფიკის განსაზღვრისათვის**. როგორც აღვნიშნეთ, ამ თვალსაზრისით საინტერესოა „ვეფხისტყაოსნის“ განხილვა.

1.2. არა / არ ნაწილაკიანი ზმნური და სახელური მოდელები „ვეფხისტყაოსანში“

ქართულში უარყოფის გამომხატველი „არა/არ“ ნაწილაკების პოზიცია დასტურდება ზმნისა (NegV) და სახელის წინ (NegN). ამ ორ მოდელს შორის ზმნური მოდელი ძირითადია, რადგან მთლიანად წინადადების უარყოფითობას განსაზღვრავს: **I**. NegV; მასთან შედარებით, სახელური მოდელი – **II**. NegN არაძირითადია, რადგან წინადადებაში კონკრეტულად სახელით გადმოცემულ წევრს უარყოფს და სტილურ-სემანტიკურ ვარიაციებს გამოხატავს.

პეშკოვსკის კლასიფიკაციის გათვალისწინებით, **I.** NegV მოდელს შეიძლება ეწოდოს **ზოგადადუარყოფითი,** ხოლო **II.** NegN-ს – **კერძოდუარყოფითი.**

„ვეფხისტყაოსანშიც“ NegV მოდელის მიხედვით გადმოიცემა ჩვეულებრივი უარყოფა და წინადადების რომელიმე წევრის აქტუალიზება არ ხდება:

(1) მოშაირე **არა** (Neg) **ჰქვიან** (V), ვერას იტყვის ვინცა გრძელად (1974:11, №17,4).

პოემაში დადასტურებული სახელური მოდელის (**II. Neg.N**) ლექსემები პირობითად შეიძლება დაიყოს ორად: **IIA.(NegN)** და **IIB.(NegN). IIA** მოდელში გაერთიანდებიან უარყოფითნაწილაკიანი ის სიტყვა-ფორმები, რომლებიც მიიღება დადებით ფორმაზე უარყოფითი ნაწილაკის დამატებით და ბუნებრივად ჟღერს ქართულისათვის. წარმოების წესის მიხედვით, მათ ანტონიმური ლექსემები ეწოდებათ; მაგალითად, ასეთი ანტონიმური წყვილია პოემიდან *თქმა* და ***არა-თქმა:***

(2) მაგრა მეტი უარეა **არა**(Neg)**-თქმა** (N) და ჭირთა მალვა (1974:132, №418,2)[1].

ქართული სალიტერატურო ენის დიაქრონიული ანალიზი ცხადყოფს, რომ **არა-/არ-** ნაწილაკიანი რთული სახელები ანტონიმური ლექსემების საწარმოებლად დამკვიდრებულია ძველ ქართულშივე; გარდა ამისა, ანტონიმური წყვილების წარმოსაქმნელად სამ მოდელს შორის არა-/არ- ნაწილაკიანი ყველაზე გავრცელებულია (ჯორბენაძე 1984:85). ფაქტობრივად, ამ მოდელის მიხედვით ანტონიმური ლექსემის წარმოება შესაძლებელია ნებისმიერი სახელური ფუძიდან, მაგრამ ერთია მოდელის შესაძლებლობები, გაფართოების ტენდენციები და მეორეა მისი

[1] ერთი ფუძიდან წარმოქმნილი ანტონიმური ლექსემები შესაძლებელია ერთ ტაეპშიც იყოს მოცემული: „ზოგჯერ თქმა სჯობს არა-თქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდების“ (რუსთაველი 1974).

რეალიზების სისტემურობა. ენაში ანტონიმურ ლექსემათა მარაგს განსაზღვრავს არა მხოლოდ წარმომქმნელი მოდელის მოქნილობა, არამედ ბევრი სხვა ფაქტორი, რომელთა შორის ერთ-ერთია ბუნებრიობა, სიტყვის ბუნებრივი ჟღერადობა. ამ თვალსაზრისით, **IIB** მოდელი ოკაზიურია; კერძოდ, მასში ერთიანდება ისეთი უარყოფითნაწილაკიანი სახელები, რომელთაც შეიძლება ეწოდოთ **ანტონიმური ოკაზიონალიზმები**; ეს იმას ნიშნავს, რომ უარყოფითნაწილაკიანი ანტონიმური წყვილი ცალი ლექსემითაა წარმოდგენილი და იგი ავტორის მიერაა შექმნილი, მხოლოდ პოემის ტექსტში დასტურდება; მაგალითად, ერთ-ერთი ასეთი სიტყვა-ფორმაა „ვეფხისტყაოსანში“ „არ ორგულობა“:

(3) ეთქვა თუ: ჟამად **გვაჩნია** (V) ჩვენ თქვენი **არ** (Neg)-**ორგულობა** (N) (1974:139, №448, 3).

საინტერესო და თავისებურია თავად ამ ლექსემის მიღების გზაც.

საანალიზო სეგმენტი პოეტური ტაეპიდან:

V... NegN: „...**გვაჩნია** (V)... **არ** (Neg)-**ორგულობა** (N)“ – *კერძოდუარყოფითი / აქტუალიზებული*

შდრ.:

NegV... N: „...**არ**(Neg) **გვაჩნია**(V)...**ორგულობა** (N)“ – *ზოგადაიჭუარყოფითი/ ნაკლებად აქტუალიზებული.*

მაშასადამე, ოკაზიური ანტონიმური სიტყვა-ფორმის მიღების საფუძველია ***უარყოფითი ნაწილაკის პოზიციის ცვლა***; კერძოდ, ბუნებრივ მეტყველებაში ზმნის წინ მდგარ უარყოფით ნაწილაკს პოეტურ ტექსტში ავტორი უცვლის პოზიციას და ათავსებს სახელის წინ, ექსპრესიულობის მისაღწევად: ***NegV...N → V...Neg N***; ამიტომ არის ამგვარად შექმნილი ანტონიური ლექსემა ოკაზიური ცალეული და არა ანტონიმური წყვილის წევრი.

საინტერესოა, როგორ არის ასახული თარგმანებში „ვეფხისტყაოსანში“ დადასტურებული ზემოგანხილული უარყოფითნაწილაკიანი ენობრივი მოდელები.

როგორც ცნობილია, „ვეფხისტყაოსანი“ მსოფლიოს ხალხთა მრავალ ენაზეა თარგმნილი. ჩვენთვის საინტერესო საკითხს ერთი ენის, კერძოდ, ინგლისურის თარგმანების მიხედვით განვიხილავთ.

1.3. არა / არ ნაწილაკიანი ზმნური და სახელური მოდელების ასახვა „ვეფხისტყაოსნის“ ინგლისურენოვან თარგმანში

ინგლისურად „ვეფხისტყაოსნის “ 5 თარგმანი არსებობს[1]:

- მარჯორი უორდროპის პროზაული, სიტყვასიტყვითი თარგმანი, გამოიცა ორჯერ 1912, 1966 წლებში.
- ვენერა ურუშაძის პოეტური თარგმანი, გამოიცა ოთხჯერ: 1968, 1971, 1979, 1986 წლებში.
- ქეთრინ ვივიენის თავისუფალი პროზაული თარგმანი, გამოიცა 1977 წელს.
- რობერტ სტივენსონის თავისუფალი პროზაული თარგმანი, გამოიცა 1977 წელს.
- ლინ კოფინის პოეტური თარგმანი, გამოიცა 2015 წელს.

შესადარებლად ვიღებთ მარჯორი უორდროპის სიტყვასიტყვით პროზაულ თარგმანს, როგორც ერთგვარ წყაროს ინგლისურისათვის და ლინ კოფინისა და ვენერა ურუშაძის პოეტურ თარგმანებს.

[1] 2018 წელს ინგლისურ ენაზე გამოიცა ჯეფრი გოსბის მიერ პოპულარული ენით დაწერილი „ვეფხისტყაოსნის“ მოკლე პროზაული ვერსია ინგლისურენოვანი მკითხველისათვის, ამბად მოთხრობილი ავთანდილ არაბულის მიერ.

ზემოალნიშნული მოდელები „ვეფხისტყაოსნის“ ორიგინალურ ტექსტსა და თარგმანებში

ცხრილი №1: I. NegV

შოთა რუსთაველი: **I. NegV** „მოშაირე **არა ჰქვიან**, ვერას იტყვის ვინცა გრძელად“ (1974:11, №17,4).
მ. უორდროპი: **I. NegV** Those **are not called** poets who cannot compose a long work” (1966: 15, №24, 4).
ლ. კოფინი: **I. NegV** He still should **not be called** a poet who cannot recite for long” (2015:13 №17, 4).
ვ. ურუშაძე: But remember, only he who writes majestic poetry is a poet” (1986: 16№17,4).

შენიშვნა 1: მ. უორდროპისა და ლ. კოფინის თარგმანებში შენარჩუნებულია ორიგინალურ ტექსტში მოცემული მოდელი: **NegV**. ეს არ არის შემთხვევითი, რადგან NegV მოდელი ერთგვარად უნივერსალურია, რამდენადაც გავრცელებული მოდელია (Dryer 2011). ვ. ურუშაძის თარგმანში სტრიქონის შინაარსი გადმოცემულია უარყოფითი ნაწილაკის გარეშე, სხვა ლექსიკური საშუალებებით.

ცხრილი №2: II.A. NegN

შოთა რუსთაველი: **II.A. NegN** მაგრა მეტი უარეა **არა-თქმა** და ჭირთა მალვა (1974:132, №418,2).

მ. უორდროპი: II.A. NegN yet is it much worse **not to speak** and to hide woes (1986: №68, 398).
ლ. კოფინი: II.A. NegN Yet it's worse for a woman **not to speak**, to hide her inner woe (2015: 97, №418).
ვ. ურუშაძე: Yet it is worse to be silent and keep one's sorrow a secret (1986: 64, №405).

შენიშვნა 2: მ. უორდროპისა და ლ. კოფინის თარგმანები მიჰყვებიან ორიგინალურ ტექსტში მოცემულ მოდელს: **II.A. NegN**, თუმცა, თარგმანის ენაში კონკრეტული ლექსემა ***არა-თქმა*** **ანტონიმურ ლექსემად არ დასტურდება**. ვ. ურუშაძის თარგმანში სტრიქონის შინაარსი შენარჩუნებულია უარყოფითი ნაწილაკის გარეშე, სხვა ლექსიკური საშუალებებით.

ცხრილი №3: II.B. NegN

შოთა რუსთაველი: **II.B. NegN** ეთქვა, თუ: «ჟამად **გვაჩნია** ჩვენ თქვენი **არ-ორგულობა**» (1974:139, №448, 3)
მ. უორდროპი: he said: "We look upon your treachery as untimely" (1966:72, №427, 3)
ლ. კოფინი: He said, "We thought you honest men, and now you in armor appear" (2015:102, №448, 3)
ვ. ურუშაძე: If in friendship you came, why are these warriors in armour? (1986:67, №435, 3)

შენიშვნა 3: მეორე მოდელის **B** ვარიანტი (**IIB NegN**), რომელიც ოკაზიურია, არც ერთ ინგლისურ თარგმანში არ გვხვდება, რაც იმას ადასტურებს, რომ უარყოფითი ნაწილაკით ამგვარი ფორმწარმოება მხოლოდ რუსთაველის ენისა და სტილისათვისაა დამახასიათებელი.

დასკვნები

„ვეფხისტყაოსანში“ **არ / არა** ნაწილაკიანი სამი მოდელი გამოიყო: ამათგან პირველი-მეორე – I (NegV), II.A. (NegN) ტრადიციულ გრამატიკებში აღწერილია, ხოლო მესამე – IIB. (NegN) ოკაზიონალიზმია. იმის საჩვენებლად, თუ როგორ შეიძლება ამ მოდელების გადატანა სხვა ენაზე, განხილულ იქნა ინგლისური (მ. უორდროპის, ვ. ურუშაძის და ლ. კოფინის) თარგმანები. გამოვლინდა, რომ I და IIA ვარიანტები გვხვდება პოემის იმ თარგმანებში, რომლებიც დედანთან სიახლოვით გამოირჩევა (მ. უორდროპის, ლ. კოფინის) და არ გვხვდება ვ. ურუშაძის თარგმანში, რაც, ვფიქრობთ, მთარგმნელის ორიგინალური მიდგომის შედეგია.

IIB მოდელი, როგორც მწერლის ენისა და სტილისთვის დამახასიათებელი ოკაზიური ფორმა, არ დადასტურდა არცერთ თარგმანში.

2. ერთი სახის უკუთქმითი წინადადების შესახებ „ვეფხისტყაოსნის“ ორიგინალურ ტექსტსა და ინგლისურენოვან თარგმანში

ცნობილია, რომ წინადადება მტკიცების მიხედვით ორგვარია: **წართქმითი**, როდესაც აზრს დადებითად გამოხატავს, ანუ ზმნით გამოხატული მოქმედება დადებითადაა წარმოდგენილი: *სრულდებოდა, სრულდება* ან *შესრულდება* და **უკუთქმითი**,

როდესაც აზრს უარყოფითად გამოხატავს, ანუ ზმნით გამოხატული მოქმედება *არ სრულდებოდა, არ სრულდება* და *არ შესრულდება* (კვაჭაძე 1988:30).

წართქმითი წინადადების დახასიათებისას აღნიშნავენ იმასაც, რომ იგი გადმოსცემს ამბავს, აღწერს ობიექტურ სინამდვილეს, საგნებსა და მოვლენებს იმის მიუხედავად, მთქმელი უშუალოდ აღიქვამს მას, მისი ფანტაზიის ნაყოფია, თუ სხვისი ცნობებით სარგებლობს. აქ მთავარი ისაა, რომ მთქმელი, მეტ-ნაკლებად, ჭეშმარიტებად მიიჩნევს იმ აზრს, რომელსაც გადმოსცემს. უკუთქმითი წინადადებით გადმოცემული ამბავი არ უნდა იქნეს გაგებული ჭეშმარიტებად. იგი უარყოფს იმ აზრს, რომელიც მთქმელს სხვისთვის უნდა შეეტყობინებინა, ან კრძალავს ამა თუ იმ მოქმედებას (დავითიანი 1973:97).

არსებობს წართქმითი და უკუთქმითი წინადადებების სხვაგვარი განმარტებაც.

წინადადებას უკუთქმით შინაარსს შემდეგი მეტყველების ნაწილები აძლევენ:

ა) უარყოფითი ნაწილაკები: *არ, ვერ, ნუ; აღარ, ვეღარ, ნუღარ.*

ბ) უარყოფითი ნაცვალსახელები: *არავინ, ვერავინ, ნურავინ; არარა (არრა, არა), ნურა (ნურარა), ვერარა (ვერრა). არაფერი (აღარაფერი), ვერაფერი (ვეღარაფერი), ნურაფერი (ნუღარაფერი) და სხვ.*

გ) უარყოფითი ზმნიზედები: *არსად, ვერსად, ნურსად; არასოდეს, ვერასოდეს, ნურასოდეს; არა(ს)დროს, ვერა(ს)დროს, ნურა(ს)დროს და სხვ.* (კვაჭაძე 1988:30; დავითიანი 1973:97-98).

ჩვეულებრივ უარყოფა გარკვეულ მოქმედებას ეხება, რადგან მოქმედება ზმნითაა გამოხატული, უარყოფითი ნაწილაკები ზმნასთანაა დაკავშირებული (ჭუმბურიძე 1970:41); ასევე ზმნას-

თანაა დაკავშირებული უარყოფის გამომხატველი სხვა საშუალებებიც: უარყოფითი ნაცვალსახელები და ზმნიზედები.

მაშასადამე, უკუთქმითი წინადადების არსებითი ნიშანი უარყოფითი ფორმის რაიმე სტრუქტურული ერთეულია. ამასთან ერთად უკუთქმითობა აუცილებლად პრედიკატულია. ამის გათვალისწინებით ა. დავითიანი ერთმანეთისაგან მიჯნავს უკუთქმით წინადადებებსა და მათ სინონიმურ პარალელებს, რომლებშიც **რაიმე ნიშან-თვისების უქონლობა ლოგიკურად დადებითად** არის წარმოდგენილი და ამის ნიმუშად ასეთი წინადადებები მოჰყავს:

კედელი აუშენებელი დარჩა,
ღობე ულამაზო იყო,
საკინძე შეუკრავი ჰქონდა და სხვ.

ამ ტიპის წინადადებებში უარყოფითობა ლექსიკურადაა გამოხატული, რომელსაც მთქმელი გადმოსცემს მსჯელობის პოზიტიური ფორმით. მართალია, შინაარსობრივად ეს წინადადებები იმასვე გამოხატავენ, რასაც მათი „სინონიმური“ უკუთქმითი წინადადებანი, მაგრამ ესენი არ ითვლება უკუთქმით წინადადებებად, რადგან მსჯელობის ლოგიკური სტრუქტურის მხრივ ემთხვევიან წართქმით წინადადებებს (დავითიანი 1973:99).

ამ საკითხის შესახებ ა. დავითიანი მასწავლებელთათვის განკუთვნილ სახელმძღვანელოშიც მსჯელობს; კერძოდ, აღნიშნავს, რომ ასეთი (უქონლობის მნიშვნელობის სიტყვების შემცველი) წინადადებები მოსწავლეებს ხშირად უკუთქმითებად მიაჩნიათ, რაც, ბუნებრივია, არ არის სწორი (დავითიანი 1977:189-190).

ასეთი სიტყვები, უარყოფის სხვა შემთხვევებთან ერთად, წარმოების თვალსაზრისით განხილული აქვს ბ. ჯორბენაძეს (ჯორბენაძე 1984:136-166). ჩვენ მათ დავასახელებთ საილუსტრაციო მაგალითებთან ერთად, რომლებიც ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონიდან მოგვყავს (ქეგლ-ი 1950-1964):

1. ასეთია უ- პრეფიქსით ნაწარმოები სიტყვები:

ა) უქონლობის აღმნიშვნელი მიმღეობები:

და-უ-წერ-ელ-ი – *„მე გავხდი მისი ჯერ* ***დაუწერელი****, მოთხრობილი პიესის მსმენელი (მ. ქორ.)“.*

გა-უ-კეთებ-ელ-ი – *„სიბრალულისა თუ ახლობლობის შეგრძნება ავსებდა და მზად იყო* ***გაუკეთებელი*** *გაეკეთებინა მისთვის (თ. მაღლაფ.)“.*

ბ) უქონლობის აღმნიშვნელი სახელები.

რაიმე საგნის უქონლობის აღმნიშვნელი სახელები:

უ-წიგნ-ო – *„****უწიგნოდ*** *თვალთახედვის ისარი მოკლეა... (ილია)“.*

რაიმე თვისების უქონლობის აღმნიშვნელი სახელები:

უ-გნ-ურ-ი – *„ვაჰ, ხიდო, ხიდო, რა გითხრა,* ***უგნური*** *ხელით ნაგებო! (ვაჟა)“.*

2. *არ, ვერ* ნაწილაკებით ნაწარმოები სიტყვები[1]:

არგაგონილი – *„შვილი... დიდი ხნის* ***არგაგონილ*** *დედის ჩივილს უგდებდა ყურს (მ. ელიოზ.)“.*

ვერმიხვედრილი – *„გლახა ჭრიაშვილი (დაცინებას* ***ვერმიხვედრილი****): «რა ვქნა, შენი ჭირიმე, ზოგჯერ თქმა სჯობს არათქმასაო!» (ილია)“.*

მოყვანილ მაგალითებში ვხვდებით ნაწარმოებ უარყოფითი მნიშვნელობის სიტყვებს, რომლებსაც არა აქვთ კავშირი ზმნა-შემასმენელთან და წინადადებები მტკიცების მიხედვით **წართქმითია.**

მაშასადამე, გამოდის, რომ:

I. წინადადებაში შესაძლებელია იყოს უარყოფითი მნიშვნელობის სიტყვა (უარყოფითი ნაწილაკები, უარყოფითი ნაცვალ-

[1] მორფემის დანიშნულებით გამოყენებულ წარმოშობით არამორფემულ ელემენტებს მორფემოიდებად განმარტავენ, შესაბამისად გვხვდება ტერმინი ნაწილაკ-მორფემოიდიც (ჯორბენაძე და სხვები 1988).

სახელები, უარყოფითი ზმნიზედები, რომლებიც დაკავშირებულია ზმნასთან) და შესაბამისად, წინადადება მტკიცების მიხედვით უკუთქმითია;

II. შესაძლებელია წინადადებაში იყოს უარყოფითი მნიშვნელობის სიტყვა (უარყოფითი მნიშვნელობის ნაწარმოები ლექსიკური ერთეულები) და წინადადება მტკიცების მიხედვით წართქმითია (და არა უკუთქმითი).

ასეთ პირობებში ისმის კითხვა, **შესაძლებელია თუ არა უარყოფის გამომხატველი ნაწარმოები ლექსიკური ერთეულების შემცველი წინადადება მტკიცების მიხედვით იყოს უკუთქმითი და თუ შესაძლებელია, რა შემთხვევაში ხდება ეს?**

ზემოთ დასახელებული უარყოფითი მნიშვნელობის ნაწარმოები ლექსიკური ერთეულებიდან ჩვენს ყურადღებას იპყრობს არ ნაწილაკ-მორფემოიდით ნაწარმოები *არგაგონილი* ტიპის ფორმები. ამგვარად ნაწარმოები სიტყვები ხშირია „ვეფხისტყაოსანში“.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოვლენილია *არ/არა* ნაწილაკ-მორფემოიდებით ნაწარმოებ სიტყვათა ჯგუფები „ვეფხისტყაოსანში“, აღნიშნულია, რომ არა ნაწილაკიანი ფორმები იშვიათია, ხოლო არ ნაწილაკით ნაწარმოები სიტყვები – ხშირი (გელენიძე 1984:167-174). შესწავლილია მათი გამოყენება მხატვრულ-ლინგვისტური, კერძოდ, კონტრასტული პარალელიზმის თვალსაზრისითაც (ბოლქვაძე 1997:66-73).

ჩვენ ამ სიტყვებს განვიხილავთ ჩვენთვის საინტერესო საკითხთან მიმართებით. კერძოდ, არ ნაწილაკ-მორფემოიდით ნაწარმოები უარყოფითი მნიშვნელობის ლექსიკური ერთეულების შემცველ წინადადებებს ვიკვლევთ მტკიცების თვალსაზრისით. კონკრეტულად კი, ვასხვავებთ, ასეთი სიტყვების შემცველი წინადადება რა შემთხვევაშია მტკიცების თვალსაზრისით წართქმითი და რა შემთხვევაში – უკუთქმითი. რაც შეეხება არა ნაწილაკით ნაწარმოებ სიტყვებს, როგორც ზემოთ აღინიშნა,

„ვეფხისტყაოსანში“ იშვიათია, ამიტომაც ისინი ვერ იძლევიან საჭირო მასალას ჩვენთვის საინტერესო საკითხისათვის. ამის შესახებ შეგვიძლია ვიმსჯელოთ პოემაში დადასტურებული არ ნაწილაკ-მორფემოიდით ნაწარმოები სიტყვების ანალიზის საფუძველზე.

„ვეფხისტყაოსანში“ უარყოფითი მნიშვნელობის ოკაზიონალური სიტყვები არ ნაწილაკ-მორფემოიდით არის ნაწარმოები. ისინი მრავლად გვხვდება პოემაში ხან დეფისით დაწერილი და ხანაც უდეფისოდ. მასალის განხილვამ გვიჩვენა, რომ, როდესაც ეს სიტყვები ცალკე, ზმნასთან დაუკავშირებლად დგანან, წინადადება წართქმითია; ხოლო, თუ რაიმე საშუალებით ახერხებენ ზმნასთან დაკავშირებას, მაგალითად, შედგენილი შემასმენლის სახელად ნაწილად არიან გამოყენებულნი, მაშინ წინადადება უკუთქმითია. ეს იმიტომ, რომ ასეთ სიტყვებში *არ* ნაწილაკი ბოლომდე არ არის შეხორცებული (//შეზრდილი) ნაწარმოები სიტყვის ფუძეს; სწორედ ამიტომაც არიან ეს სიტყვები ოკაზიონალურები.

ეს ორივე შემთხვევა ერთი მაგალითის, *არდამზრალის*, ნიმუშითაც შეგვიძლია ვაჩვენოთ:

„არ-დამზრალი“ ცალკე წართქმით წინადადებაში:

(1) *„მზემან შუქნი შემომადგნა, ვარდი მით ვჩან **არ-დამზრალი**“* (რუსთაველი, 1974:454, №1444 , 4).

შდრ.:

„არ-დამზრალი + ა“ შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილი უკუთქმით წინადადებაში:

(2) *„მაგრა მას ვჰნატრი, უნახავს მზე, ამად **არ-დამზრალია!**“* (რუსთაველი 1974:408, №1297, 3). „არ-დამზრალია“ ნიშნავს „არ არის დამზრალი“.

ამ ორი შემთხვევიდან პირველი, როდესაც *არ* ნაწილაკ-მორფრმოიდით ნაწარმოები ოკაზიონალური უარყოფითი მნიშვნე-

ლობის გამომხატველი სიტყვა ცალკე, ზმნასთან დაუკავშირებლად დგას და წინადადება მტკიცების მიხედვით წართქმითია, პოემაში ხშირია. მაგალითისათვის დავასახელებთ რამდენიმეს:

(3) *„**არ-ავი** მიმიჩს მიზეზი ჩემისა ცრემლთა დენისა“* (რუსთაველი 1974:159, № 499, 4).

(4) *„ყმა წავიდა მხიარული, ლმობიერი, **არ გამწყრალი**“* (რუსთაველი 1974:222, № 698, 1).

(5) *„მიდით და ფრიდონს უამბეთ ამბავი **არ-ნაცქაფავი**“* (რუსთაველი 1974:413, № 1324, 1).

(6) *„ავთანდილ მიხდა არაბეთს, ნახნა **არ ცუდნი** ჭირენი“* (რუსთაველი 1974:512, № 1654, 4) და სხვ.

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ საკმაოდ დასტურდება მეორე შემთხვევის მაგალითებიც, როდესაც არ ნაწილაკ-მორფემოიდით ნაწარმოები ოკაზიონალური უარყოფითი მნიშვნელობის გამომხატველი სიტყვები გამოყენებულია შედგენილი შემასმენლის სახელად ნაწილად და წინადადება უკუთქმითა:

(7) *„მოვიდა კაცი მეფისა, ცისკრობს, **არ დანალამია**“* (რუსთაველი 1974:151, № 479, 1). „არ დანაღამია“ მნიშვნელობით იგივეა, რაც: „არ არის დანაღამი“; ეს ადგილი ასეა განმარტებული: „**ცისკრობს** – აქ: გათენებულია. ერთი აზრი ორი გზითაა გამოხატული: დადებითად (ცისკრობს, რიჟრაჟია) და უარყოფითად („არ დანაღამია“, აღარ ბნელა)“ (რუსთაველი 1974:155).[1]

(8) *„მითხრა, თუ: „გკადრებ მართალსა, აწ ჩემგან **არ-სათნებია**“* (რუსთაველი 1974:159, № 498, 2). „არ-სათნებია“ მნიშვნელობით იგივეა, რაც: „არ არის სათნე-

[1] განმარტებები ეკუთვნის ნოდარ ნათაძეს.

ბი"; ეს მაგალითი ასეა განმარტებული: „...**აწ ჩემგან არ-სათნებია** – ახლა ჩემთვის სათუოდ საგონებელი აღარაა..." (რუსთაველი 1974, 160).

(9) *„ვთქვი: „ჩემგან დაშლა ამისი არ ითქმის, **არ-საქმნელია!**"* (რუსთაველი 1974:166, № 517, 2). „არ-საქმნელია" იგივეა, რაც: „არ არის საქმნელი".

(10) *თუ მოგვცემს შვილსა სასიძოდ, მისებრივ **არ რომელია**"* (რუსთაველი 1974:166, № 517, 4). ეს მაგალითი ასე განიმარტება: „**არ რომელია** – არავინაა" (რუსთაველი 1974:168), თავის მხრივ „არავინაა" ნიშნავს „არავინ არის".

(11) *„ვერ გათნევ, თქვენმან კეთილმან, აწ ეგე **არ-მართალია**"* (რუსთაველი 1974:182, № 571, 1). „არ მართალია" ნიშნავს „არ არის მართალი". ეს ფრაზა ასეა განმარტებული: „**აწ ეგე არ-მართალია** – ახლა ეს სამართლიანი არაა" (რუსთაველი 1974:186).

(12) *„ვიცი, უცილოდ ამავსებს, შოება **არ-საწყენია!**"* (რუსთაველი 1974:239, № 748, 4). არ-საწყენია, იგივეა, რაც „არ არის საწყენი".

(13) *„კმა ზენაარი ზენარად, **არ ნაქმარია** მთრვალისა"* (რუსთაველი 1974:301, № 935, 3). „არ ნაქმნარია" იგივეა, რაც „არ არის ნაქმნარი".

(14) *„მე რომე ცეცხლი მედების, **არ ნაგზებია** კვესითა!"* (რუსთაველი 1974:301, № 936, 2). „არ ნაგზებია" იგივეა, რაც „არ არის ნაგზნები".

(15) „სხვა-და-სხვა ჭირი ჩემზედა **არ-ახალია**, ძველია“ (რუსთაველი 1974:369, №1184, 4). „არ ახალია“ იგივეა, რაც „არ არის ახალი“.

(16) *„როშაქ გვიბრძანა: „ნუ ჰკითხავთ, აწ თურე **არ-სათქმელია***“ (რუსთაველი 1974:390, №1241, 1). „არ-სათქმელია“ ნიშნავს „არ არის სათქმელი“ და სხვ.

ამრიგად, შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“ **არ** ნაწილაკ-მორფემოიდით ნაწარმოები უარყოფითი მნიშვნელობის ოკაზიონალური სიტყვების მონაწილეობით გამოიყოფა ორი ჯგუფი, რომლებიც ქმნიან ორი ტიპის კონტექსტს:

ა. ზმნასთან დაუკავშირებლად გამოყენებული **არ**-ნაწილაკიანი სახელური ლექსემები ჩვეულებრივ უარყოფას გამოხატავენ ლექსიკურად, უქონლობა ლოგიკურად დადებითადაა გადმოცემული და წინადადება მტკიცების მიხედვით წართქმითია.

ბ. ამგვარი სიტყვები გამოყენებულია შედგენილი შემასმენლის სახელად ნაწილად, **არ** ნაწილაკი წინადადების პრედიკატულ ცენტრს უკავშირდება და წინადადება მტკიცების მიხედვით უკუთქმითია.

ორიგინალურ ტექსტში ჯგუფების ამგვარად გამოყოფის მართებულობის გადასამოწმებლად მივმართავთ პოემის ინგლისურენოვან თარგმანს.

„ვეფხისტყაოსნის“ ცნობილი ხუთი ინგლისურენოვანი თარგმანიდან (მ. უორდროპის, ვ. ურუშაძის, ლ. კოფინის, ქ. ვივიენის და რ. სტივენსონისა) (იხ. სრული დასახელება თ. V:§1.3), განსახილველად ვირჩევთ მარჯორი უორდორპის თარგმანს, რომელიც სხვებისაგან იმით გამოირჩევა, რომ სიტყვასიტყვითი თარგმანია.

ზემოაღნიშნული ორივე შემთხვევის (ა. & ბ.) ნიმუშებს ვიხილავთ ქართული ორიგინალური ტექსტისა და მისი ინგლისური სიტყვასიტყვითი თარგმანის მიხედვით:

*„**არ-დამზრალი**“* ცალკე წართქმით წინადადებაში:

(17) *„მზემან შუქნი შემომადგნა, ვარდი მით ვჩან **არ-დამზრალი**“* (რუსთაველი,1974:454, №1444,4).

*“The sun hath shed his beams upon me, therefore I appear a rose **unfrozen**”* (Wardrop 1966:218, №1412,4)

შდრ.:

*„**არ-დამზრალი** + **ა**“* შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილი უკუთქმით წინადადებაში:

(18) *„მაგრა მას ვჰნატრი, უნახავს მზე, ამად **არ-დამზრალია!**“* (რუსთაველი 1974:408, №1297,3).

ქართულში **„არ-დამზრალია“** შედგენილი შემასმენელია, რომელიც, ცნობილია, რომ მიღებულია შემდეგნაირად: „არ დამზრალი-ა (←არის)“.

*“But I envy him, he hath seen the sun, thus **is he not frozen**”* (Wardrop 1966:218, №1265, 3).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ ორი შემთხვევიდან პირველი, როდესაც **არ** ნაწილაკ-მორფემოიდით ნაწარმოები ოკაზიონალური უარყოფითი მნიშვნელობის გამომხატველი სიტყვა ცალკე, ზმნასთან დაუკავშირებლად, დგას და წინადადება მტკიცების მიხედვით წართქმითია, პოემაში ხშირია:

(19) *„მიდით და ფრიდონს უამბეთ ამბავი **არ-ნაცქაფავი**“* (რუსთაველი 1974:414, № 1324, 1).

*“Go and tell P'hridon this **unvarnished story** ”* (Wardrop 1966:218, №1291, 1).

(20) *„მიდი, უთხარ ჩემ მაგიერ სიტყვა ჩემგან* ***არ-ნათნები***“ (რუსთაველი 1974:465, № 1489, 1).

“Go, speak on my behalf words ***not of adulation***” (Wardrop 1966:224, №1457, 1).

და სხვ.

უნდა აღინიშნოს, რომ საკმაოდ დასტურდება მეორე შემთხვევის მაგალითებიც, როდესაც **არ** ნაწილაკ-მორფემოიდით ნაწარმოები ოკაზიონალური უარყოფითი მნიშვნელობის გამომხატველი სიტყვები გამოყენებულია შედგენილი შემასმენლის სახელად ნაწილად და წინადადება უკუთქმითია:

(21) *„ვიცი, უცილოდ ამავსებს, შოება* ***არ-საწყენია!***“ (რუსთაველი 1974:239, № 748, 4). ქართულში **„არ-საწყენია“** შედგენილი შემასმენელია, რომლის მიღების გზა აქაც უცვლელია: „არ საწყენი-ა (←არის)“.

“I know of a truth he will fill me (with favours), and gain ***is not disagreeable****!”* (Wardrop 1966:116, №724, 2).

(22) *„მე რომე ცეცხლი მედების,* ***არ ნაგზებია*** *კვესითა!“* (რუსთაველი 1974:301, № 936, 2). ქართულში **„არ-ნაგზებია“** შედგენილი შემასმენელია: „არ ნაგზები-ა (←არის)“.

“The flame which consumes me ***is not kindled*** *by a steel”* (Wardrop 1966:142, №907, 2).

და სხვ.

წარმოდგენილი მაგალითების საფუძველზე ვრწმუნდებით, რომ თარგმანის შემთხვევაში პოემის ინგლისურ ვარიანტშიც ქართულ წართქმით წინადადებას შეესაბამება ინგლისური წართქმითი, ხოლო ქართულ უკუთქმითს – ინგლისური უკუთქმითი.

დასკვნები

ამრიგად, ცალკე, ზმნასთან დაუკავშირებლად, გამოყენებული **არ** ნაწილაკ-მორფემოიდით ნაწარმოები უარყოფითი მნიშვნელობის ოკაზიონალური სიტყვები ჩვეულებრივ უარყოფას გამოხატავენ ლექსიკურად. ამ შემთხვევაში უქონლობა ლოგიკურად დადებითადაა გადმოცემული და წინადადება მტკიცების მიხედვით წართქმითია, მაგრამ, თუ ეს სიტყვები გამოყენებული იქნება შედგენილი შემასმენლის სახელად ნაწილად, **არ** ნაწილაკი წინადადების პრედიკატულ ცენტრს უკავშირდება და წინადადება (ან წინადადების ის სეგმენტი, რომელშიც ამგვარი შედგენილი შემასმენელია) მტკიცების მიხედვით უკუთქმითად იქცევა; ორივე ამ შემთხვევის მაგალითები გვხვდება შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“, რომელთა კვალიფიკაციას მტკიცების თვალსაზრისით გვიდასტურებს ამავე პოემის მარჯორი უორდროპისეული ინგლისურენოვანი სიტყვასიტყვითი თარგმანი.

ძირითადი დასკვნები

უარყოფის კატეგორია განხილულია ქართველური ენების ემპირიული მასალის მიხედვით; დიაქრონიული და სინქრონიული მონაცემებისა და ლექსიკურ-გრამატიკული, სემანტიკური მრავალფეროვნების გათვალისწინებით. უარყოფის კატეგორიის რაობის შესაბამისად, სისტემურად გაანალიზებულია: *სახელური და ზმნური მოდელები; უარყოფითი ნაცვალსახელები და უარყოფითი ზმნიზედები; უარყოფის გამოხატვის პოლარული საშუალებები; თარგმანთან დაკავშირებული საკითხები* [1].

I თავი
უარყოფის გამოხატვის სახელური მოდელები
***უ-** პრეფიქსიანი სახელები (სახელი/მიმღეობა)*

1. ქართულში საწყის ეტაპზე ოდენ **უ-** პრეფიქსმა სახელური და ზმნური ფუძეებისგან შექმნა **უარყოფითი სახელები – ანტონიმური ლექსემები** (*შიში – უ-შიში; წერა – უ-წერი*); ასეთივე შინაარსისაა ცალად წარმოდგენილი **უ-** პრეფიქსიანი ფორმებიც (**ბირი – უ-ბირი*). უარყოფის გამოხატვის ნიუანსს აძლიერებს და **უ-** პრეფიქსს აქტიურობას სძენს **თავკიდურა პოზიცია.**
2. შემდგომ ეტაპზე **უ-** პრეფიქსიანი **სახელური** და **ზმნური საყრდენი ფუძეები შეიცვალა სუფიქსების დართვით.**

- *ზმნურ ფუძეებში* ცვლილება არ შეხებია ამოსავალ მნიშვნელობას, თუმცა **უ-** პრეფიქსის სემანტიკური შესაძლებლო-

[1] უარყოფა გამოიხატება კავშირთა წყვილების (არც... არც და სხვ.) საშუალებითაც და ლექსიკური ერთეულებითაც, თუმცა ამ საკითხების სრულად განხილვა თემატურად და მეთოდოლოგიურად გამართლებულია ცალკე.

ბები მნიშვნელოვნად დაასუსტა თავკიდურა პოზიციის დათმობამ *(უ-წერ-ი → და-უ-წერ-ელ-ი)*.

• *სახელურ ფუძეებს* მნიშვნელობა შეეცვალა: სხვადასხვა შინაარსის სუფიქსებმა **უ-** პრეფიქსთან ერთად გამოხატეს თვისობრივი და მატერიალური უქონლობა (უქონლობა-უყოლობა). სემანტიკური გადაწევა მოხდა უარყოფიდან უქონლობამდე: ***უარყოფა → უქონლობა***.

3. უქონლობის აფიქსები საერთოქართველური მონაცემებია და სტრუქტურულად მრავალფეროვანია. სინქრონიულ დონეზე კონფიქსური წარმოება ყველა ქართველურ ენას ახასიათებს, ოდენსუფიქსური – მხოლოდ სვანურს. **გენეზისისა** და **დიაქრონიული** მონაცემების კვლევამ დაადასტურა, რომ სუფიქსები ამოსავალი მნიშვნელობა-ფუნქციით არ უკავშირდებოდა უარყოფა-უქონლობის გამოხატვას.

4. სემანტიკურმა გადაწევამ (*უარყოფა → უქონლობა*) შემოსაზღვრა **უ-** პრეფიქსიანი ანტონიმური წარმოების საყრდენი ფუძე, რადგან ანტონიმური წყვილის ორივე წევრი წარმოქმნილი უნდა ყოფილიყო (წიგნ-**იან**-ი – **უ**-წიგნ-**ურ**-ი); ამით, ფაქტობრივად, შეიზღუდა **უ-** პრეფიქსიანი ანტონიმური წარმოების არეალი და შემცირდა მისი პროდუქტიულობა.

5. **მეგრულში უ-** ფორმანტის საშუალებით **კონტრადიქტორული პრინციპით** არის წარმოქმნილი ბაზისური ფერის აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეული უ-ჩა („არათეთრი“ = „შავი“); ამგვარი ფორმაწარმოება მეგრულს განასხვავებს სხვა ქართველური ენებისგან. სინქრონიულ დონეზე გამარტივების მიუხედავად, აღნიშნული ლექსემა უ- პრეფიქსით უფროობითი ხარისხის ფორმას ვერ აწარმოებს.

უარყოფითნაწილაკიანი რთული სახელები

6. ქართულში უარყოფითნაწილაკიანი რთული სახელის შემადგენელი კომპონენტია არა-/არ- ნაწილაკი; სხვა ქართველურ

ენებშიც რთულ სახელებს ქმნიან მისი ფარდი უარყოფითი ნაწილაკები: ვა- „არ- მეგრულში; ვარ-/ვა- „არა“-/„არ“- ლაზურში; მამა/მადმა „არა“/„არაფერი“ სვანურში.

7. ქართულში აქტიური მოდელია ***ნაწილაკი + სახელი;*** სახელებს შორის განსაკუთრებით პროდუქტიულია ***არსებითი სახელი.*** მეგრულში, ლაზურსა და სვანურში დასტურდება მოდელი ***ნაწილაკი + მიმღეობა,*** თუმცა სისტემურად არ არის განვითარებული. იგი მხოლოდ წყევლის ფორმულებსა და უარყოფითი შინაარსის მეტსახელებში გვხვდება.

8. ქართულში რთული სახელური მოდელის გააქტიურებას ხელი შეუწყო არა-/არ- ნაწილაკის მონაწილეობამ

- **ანტონიმური ლექსემების წარმოქმნაში.**
- **სამეცნიერო ტერმინოლოგიის ჩამოყალიბებაში.**

9. არა-/არ- ნაწილაკი უარყოფის გამომხატველ ანტონიმს **უშუალოდ დადებითი ფორმისაგან** აწარმოებს; მისი **საყრდენი ფუძე მარტივია** და, შესაბამისად, სიტყვაწარმოების არეალიც ფართოა: საყრდენ ფუძედ გამოიყენება ყველა სახელი და ნაზმნარი სახელი.

10. არა-/არ- ნაწილაკიანი წარმოების ანტონიმური ლექსემები ტერმინოლოგიზაციას ადვილად დაექვემდებარა. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი როლი ითამაშა რუსულ ენასთან მჭიდრო კავშირმაც, რაც ამ ორ ენაში არსებული ტიპოლოგიურად მსგავსი მოდელების არსებობით აიხსნება *(შდრ.: ქართ. არა-არსებითი და რუს. не-существенный).*

11. არა-/არ- ნაწილაკი სტაბილური აღმოჩნდა:

- **პოზიციურად** (ყოველთვის სიტყვის თავშია).
- **სემანტიკურად** (ყოველთვის კატეგორიული უარყოფის გამომხატველია).

არა-/არ- ნაწილაკის პოზიციური სტაბილურობა განსაზღვრულია ანტონიმური ლექსემების მარტივი საყრდენი ფუძით;

ამ შემთხვევაში *არა-/არ-* ნაწილაკი ერთადერთი მაწარმოებელია და **თავკიდურა პოზიციის** დათმობა-ჩანაცვლების შემაპირობებელი ფაქტორი აღარ არსებობს.

არა-/არ- ნაწილაკიანი ფორმის **სემანტიკური აქტუალიზება** სიტყვაწარმოების წესს უკავშირდება: აღნიშნული ნაწილაკით წარმოქმნილი ანტონიმური ლექსემა მიღებულია ერთი ცნების გაყოფის შედეგად; **დადებითი** და **უარყოფითი ფორმები** ერთმანეთს გამორიცხავენ ერთი თვისების ან ნიშნის ქონა-არქონის მიხედვით. მათ შორის **სემანტიკურ დაპირისპირებას** სწორედ უარყოფის მარკერი – *არა-/არ-* ნაწილაკი უსვამს ხაზს.

12. მოქნილი და ტევადი შინაარსის შემცველი *არა-/არ-* ნაწილაკიანი სახელური მოდელი დასტურდება ყველა ტიპის საკომუნიკაციო სფეროში; როგორებიცაა: სასწავლო-სამეცნიერო, ლიტერატურული, ცოცხალი მეტყველების (ყოფითი/ყოველდღიური).

13. *უ-* პრეფიქსი ამოსავალი მნიშვნელობით ფრაგმენტულად **სინქრონიულ დონეზეც** დასტურდება ქართულ ზეპირმეტყველებაში, ქართული ენის დიალექტებში, ბავშვთა მეტყველებაში, მხატვრულ ტექსტებში, რაც მხოლოდ მის თავდაპირველ ფორმალურ-ფუნქციურ შესაძლებლობებს ადასტურებს.

II თავი

უარყოფითი ნაცვალსახელები და უარყოფითი ზმნიზედები

14. ქართველურ ენებში **უარყოფითი ნაცვალსახელების / ზმნიზედების** მორფოლოგიური მოდელი სტრუქტურულად **ერთნაირია**: შედგება უარყოფითი ნაწილაკისა და კითხვითი სიტყვისაგან; **განსხვავებულია** სტრუქტურული ერთეულების განლაგება: ქართულსა და სვანურში ნაწილაკი უსწრებს კითხვით სიტყვას; მეგრულისთვის დამახასიათებელია შებრუნებული წყობა;

ლაზურში სინქრონიულ დონეზე უარყოფითი ნაცვალსახელები და უარყოფითი ზმნიზედები არ დასტურდება.

15. სვანურში შესაძლებლობის უარყოფისთვის დამატებით დასტურდება უარყოფით ნაცვალსახელთა და ზმნიზედათა განსხვავებული მოდელი:

ნეიტრალური უარყოფითი ნაცვალსახელი / ზმნიზედა + შესაძლებლობის ნაწილაკი მოშ.

16. ქართული და სვანური უარყოფითი ნაცვალსახელების სტრუქტურა და სემანტიკა მნიშვნელოვანია არეალურ-ტიპოლოგიური პერსპექტივის გათვალისწინებითაც.

ორმაგი უარყოფის საკითხი ქართველურ ენებში

17. ქართველურ ენებში ორმაგი უარყოფის საკითხი მჭიდროდ უკავშირდება უარყოფითი ნაცვალსახელებისა და ზმნიზედების სტრუქტურასა და სემანტიკას; კლიტიკად ქცეული ნაწილაკების გამო ნაცვალსახელები / ზმნიზედები „სუსტად“ გამოხატავენ უარყოფას; წინადადებაში მათთან ზმნა ყოველთვის დადებითი ფორმითაა მოცემული; შესაბამისად, „სუსტია“ უარყოფითი მიმართება ნაცვალსახელით გადმოცემულ სუბიექტსა (/ობიექტსა) და მის პრედიკატს შორის, რაც ასევე აისახება მთლიანად წინადადების უკუთქმითობის სემანტიკაზეც.

18. ქართველურ ენებში **უარყოფის აქტუალიზების** ორი შესაძლებლობა გამოიკვეთა: *ორმაგი უარყოფა* და *ჩანაცვლება*.

19. **ქართულმა** აირჩია *ორმაგი უარყოფა* (უარყოფის ინტენსიფიკაცია), **სხვა ქართველურმა ენებმა** კი – *ჩანაცვლების* სტრატეგია:

ქართულში სახელური მოდელით (Cltc:Neg-Prn) „სუსტად“ გამოხატული უარყოფა გაძლიერებულია ზმნის წინ Neg ნაწილაკის ჩართვით.

მეგრულსა და ლაზურში უარყოფითი ნაცვალსახელი ჩანაცვლებულია განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელითა და უარყოფითი ნაწილაკით: Prn-Cltc:Neg → Prn Neg, რითიც გააქტიურებულია სახელური მოდელი; შემდგომ, პოსტპოზიციაში მყოფი უარყოფითი ნაწილაკით წინადადებაში შენარჩუნებულია „ცნობიერში“ არსებული აქტიური სახელის ეფექტი და გააქტიურებულია ზმნური მოდელი.

სვანურში უარყოფითი ნაცვალსახელის შემადგენელი მარტივი უარყოფითი ნაწილაკი ჩანაცვლებულია ძლიერი სემანტიკის რთული ნაწილაკით; მონაცვლე ნაწილაკის ძლიერი სემანტიკა განპირობებულია უარყოფითობის ორი სხვადასხვა კომპონენტით. რთული ნაწილაკი ან უარყოფითი ნაცვალსახელის სეგმენტია, ან ზმნის წინა პოზიცია უჭირავს წინადადებაში.

20. ქართველურ ენებში **უარყოფის აქტუალიზების კანონზომიერება** განპირობებულია **ნეგაციის პირველადობის პრინციპით**, რომელიც ეყრდნობა უარყოფითი მარკერისა და უარსაყოფი სიტყვის პოზიციურ ურთიერთმიმართებას.

21. აღნიშნული პრინციპის ორი შესაძლებლობიდან (NegPrn / PrnNeg და NegV), ქართულში გამოყენებულია ერთი: NegV, მეგრულსა და ლაზურში – ერთდროულად ორივე: Prn Neg V; სვანურში გამოყენებულია ხან ერთი (NegPrn), ხან მეორე (NegV), რაც საკმარისია ძლიერი სემანტიკის უარყოფითი ნაწილაკის შემთხვევაში.

22. სალიტერატურო ქართულში *ორმაგი უარყოფა* განსაზღვრულია **სტილით**; ცალკეულ შემთხვევაში – **გრამატიკული ნორმით**, რომლის შენარჩუნებას ხელს უწყობს წინადადების სინტაქსური ორგანიზება. სვანურში *ორმაგი უარყოფის* სემანტიკური ეფექტი მიღწეულია უარყოფითი ნაწილაკის **ლექსიკური** შესაძლებლობით, ხოლო მეგრულსა და ლაზურში – **უარყოფითი ნაწილაკის შუალედური პოზიციით** სახელსა და ზმნას შორის, რაც ასევე შეპირობებულია წინადადების სინტაქსური წყობით.

23. სვანურში, სხვა ქართველური ენებისგან განსხვავებით, უარყოფის რთული ნაწილაკის ლექსიკური შესაძლებლობა უფრო მრავალმხრივია; მას, კატეგორიულობასთან ერთად, საგნის ან ფაქტის უარყოფის კონკრეტიზაცია და მის მიმართ სუბიექტის (მთქმელის) დამოკიდებულების გამოხატვა შეუძლია.

III თავი
უარყოფის გამოხატვის ზმნური მოდელები

